

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება № 385  
2011 წლის 8 ივლისი  
ქ. თბილისი**

**პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე , ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ძირითადი არსი და პრინციპები (დანართი №1);

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია (დანართი №2);

გ) ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით

შედგენის მეთოდოლოგია (დანართი №3);

დ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია (დანართი №4).

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის ბრძანება №244 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.*

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს დაევალოს:

ა) პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის მიზნით 2011 წლის 31 აგვისტომდე „საქართველოს საბიუჯეტო

კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება;

ბ) 2012 წლის 1 მარტამდე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 11 ივლისიდან.

მინისტრი **დ. გვინდაძე**

## დანართი №1

# პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ძირითადი არსი და პრინციპები

### *ძირითადი არსი და პრინციპები*

ქვეყნის განვითარებისა და ხელისუფლების ფუნქციების შესრულების კუთხით საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია, ვინაიდან საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს ბიუჯეტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების და ანგარიშგების ერთიან პროცესს, ხოლო თავად ბიუჯეტი არის წლის მთავარი ფისკალური დოკუმენტი, რომლიდანაც ფინანსდება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რასაც ხელისუფლება ახორციელებს კონკრეტული წლის განმავლობაში.

საქართველოს საბიუჯეტო პროცესს არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ განვლილ პერიოდში საბიუჯეტო პროცესი დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

პროგრამული ბიუჯეტი ნათლად აჩვენებს მიღწეულ შედეგებს და არა მხოლოდ ათვისებულ ასიგნებებს, შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე.

პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. შესაბამისად, პარარელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, ამავე დროს ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, პროცედურები და ინფორმაცია რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები.

პროგრამული ბიუჯეტის მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები არ მტკიცდება შესაბამისი დონის წლიური ბიუჯეტით და წარმოდგენილია ბიუჯეტის თანდართულ დოკუმენტებში. მნიშვნელოვანია დაიხვეწოს შესრულების ინდიკატორების შემუშავების მეთოდები და წარმოდგენილი ინფორმაცია გახდეს მაქსიმალურად რეალური, ზუსტი და შესრულების ეფექტურად გაზომვის საშუალება.

პროგრამული ბიუჯეტირება, იგივე შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ცალკე მდგომი (იზოლირებული)ინიციატივა, პირიქით, პროგრამული ბიუჯეტირება წარმოადგენს საჯარო ფინანსების რეფორმის ნაწილს, რომელიც საჯარო ფინანსებს განიხილავს შედეგებთან მიმართებაში. უფრო ზუსტად, პროგრამული ბიუჯეტირება ეს არის ფინანსების მართვა შედეგების მისაღწევად. პროგრამული ბიუჯეტის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმისა და მასთან დაკავშირებული სხვა რეფორმების ერთობლიობის თანმიმდევრულობა და ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების ეფექტურობის და ეფექტიანობის გაზრდას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების შიგნით მენეჯერული ანგარიშვალდებულების სტრუქტურის ჩამოყალიბებით, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების სწორად განაწილებით, მიზნების ეფექტიანად და პროდუქტიულად მიღწევას, რაც თავის მხრივ პირდაპირ დაკავშირებულია პროგრამული ბიუჯეტის ხარისხის გაუმჯობესებასთან. ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებული რიგი რეგულაციები, რომლებიც ეხება საბიუჯეტო ორგანიზაციების შიდა ორგანიზების საკითხებს ეტაპობრივად მოექცევა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემაში და ამ სისტემის სრულყოფილად დანერგვის შემდგომ შესაბამისი თემების ამ მეთოდოლოგიით დარეგულირება აღარ იქნება საჭირო. ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები რეგულირდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ და „ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

მთავრობის 2017 წლის 21 მარტის №133 დადგენილებით.

წინამდებარე მეთოდოლოგია მოიცავს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდურ მითითებებს, ტერმინთა განმარტებას, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისთვის და შესაბამის მაგალითებს.

### *ტერმინთა განმარტება*

1. **პროგრამა** – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. პროგრამის განხორციელებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება მხარჯავ დაწესებულებასა და მისი განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მხარჯავი დაწესებულება ან მის სისტემაში შემავალი/კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაცია.
2. **ქვეპროგრამა** – პროგრამა შეიძლება დაყოფილი იყოს ქვეპროგრამებად, ქვეპროგრამა არის კონკრეტული მიმართულების ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ძირითად მიზანად ისახავს პროგრამის შუალედური შედეგის მიღწევას.
3. **ღონისძიება** – ღონისძიება არის შედარებით მცირე მასშტაბის მქონე აქტივობა ქვეპროგრამის ფარგლებში. აღნიშნული აქტივობების განხორციელება ხელს უწყობს ქვეპროგრამის განხორციელებას და შესაბამისი შედეგების მიღწევას.

#### ***ინფორმაციისთვის:***

*წლიური ბიუჯეტით უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება პროგრამები და ქვეპროგრამები, ხოლო ის ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია მათ მისაღწევად უმეტეს შემთხვევაში თავისი შინაარსით ვიწრო და დეტალურია, უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების/სექტორიული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ნაწილს.*

4. **ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი** – ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე, ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური

რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ, მისი შედეგის და წარდგენის ძირითადი წესი განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

5. **ბიუჯეტი/წლიური ბიუჯეტი** - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;
6. **საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა** - ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში საშუალოვადიან პერიოდში (4-წლიანი პერიოდი) განსახორციელებელი პროგრამებით/ქვეპროგრამებით დასახული შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აღნიშნული ღონისძიებების აღწერას, დასაბუთებას, ინფორმაციას განმახორციელებლის და განხორციელების ვადების შესახებ, ასევე, , არსებული ან/და საჭირო დაფინანსების მოცულობას, მოსალოდნელ შედეგებს და შესრულების შეფასების ინდიკატორებს.
7. **ხარჯთაღრიცხვა** - საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განსახორციელებელი ღონისძიებების განფასება, აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო რესურსების და შესაძლო დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა.
8. **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outcome)** - წარმოადგენს პროგრამების შედეგს, ის შინაარსით გლობალურია. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს.
9. **მოსალოდნელი შუალედური შედეგი (output)** - წარმოადგენს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯების შედეგებს დაზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.
10. **შესრულების შეფასების ინდიკატორი** - შედეგის მიღწევა გამოსახული გაზომვად (რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი) მაჩვენებლებში,

განსაზღვრავს პროგრამის/ქვეპროგრამის/დონისძიების განხორციელების ეფექტიანობას.

11. **მხარჯავი დაწესებულება** – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – თვითმმართველი ერთეული.
12. **საბიუჯეტო ორგანიზაცია** – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია;
13. **უწყება/დაწესებულება** – ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მხარჯავი დაწესებულების, ისე საბიუჯეტო ორგანიზაციის მნიშვნელობით.
14. **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური** – მხარჯავი დაწესებულების ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია სისტემის ბიუჯეტის დაგეგმვასა და აღსრულების მონიტორინგზე. აღნიშნული ფუნქციის მატარებელი სტრუქტურული ერთეული სხვადასხვა უწყებაში სხვადასხვა ფორმით შეიძლება არსებობდეს (სამმართველო, დეპარტამენტი, სამსახური, განყოფილება და ა.შ.) და ჰქონდეს სხვადასხვა დასახელება (მაგ.: ეკონომიკური დეპარტამენტი, ადმინისტრაციული სამსახური და ა.შ.), თუმცა ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის ამ სამსახურებმა უნდა იხელმძღვანელოს ამ მეთოდოლოგიით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესაბამისად.

## საშუალოვადიანი გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია

### 1. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი წარმოადგენს ფისკალურ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტების ფარგლებში, მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების მოცულობას. წლის განმავლობაში, სამინისტროებისა და უწყებების მიერ თავიანთი სამოქმედო გეგმების/სექტორული სტრატეგიების, ახალი პოლიტიკის განსაზღვრისა თუ ახალი ვალდებულებების აღების შემთხვევაში, დოკუმენტი წარმოადგენს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ რესურსები მათ მიერ აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე, როდესაც საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს იმ მხარჯავი დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც უნდა ჩაერთონ დასაგეგმი წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადებაში.

მხარჯავი დაწესებულებების განსაზღვრასთან ერთად საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ ინფორმაციის ნუსხა და მისი წარდგენის ვადები, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა გამოიყენოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების პროცესში.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია:

- გასული ორი წლის განმავლობაში, პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე მიმართული სახსრები და მათი განხორციელებით მიღწეული შედეგები;
- მიმდინარე წლისთვის არსებული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და ღონისძიებებზე გამოყოფილი სახსრები და მათი

განხორციელების მოსალოდნელი შედეგები;

- დასაგეგმი წლებისათვის მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტების ჩამონათვალი, მათი მოკლე აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები;
- დასაგეგმი წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტი, რომელიც ჩაშლილი უნდა იყოს პროგრამების მიხედვით;
- დასაგეგმი წლისათვის მხარჯავ დაწესებულებებში დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;
- დასაგეგმი წლებისათვის გამოსაყოფი ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.
- დასაგეგმი წლებისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენა ხორციელდება მხარჯავი დაწესებულების მიერ განსახორციელებელი პროგრამების მიხედვით. წარმოდგენილ ინფორმაციაში უნდა გაიმიჯნოს მოთხოვნები არსებული პოლიტიკის, ახალი ვალდებულებებისა და ახალი ინიციატივების მიხედვით. იხილეთ დანართის სტრუქტურა, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა.

*ინფორმაცია დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ*

| პროგრამული კოდი | დასახელება   | დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა |                   |                   |                   | ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა (ათასი ლარი) |                   |                   |                   | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შესრულების ინდიკატორი | შენიშვნა/საფუძველი |
|-----------------|--|--------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|--|-------------------|-------------------|-------------------|----------------------------|-----------------------|--------------------|
|                 |  | დასაგეგმი წელი                       | დასაგეგმს +1 წელი | დასაგეგმს +2 წელი | დასაგეგმს +3 წელი | დასაგეგმი წელი   | დასაგეგმს +1 წელი | დასაგეგმს +2 წელი | დასაგეგმს +3 წელი |                            |                       |                    |
|                 | სულ  | 0                                    | 0                 | 0                 | 0                 | 0  | 0                 | 0                 | 0                 |                            |                       |                    |
|                 | I პროგრამა   | 0                                    | 0                 | 0                 | 0                 | 0  | 0                 | 0                 | 0                 |                            |                       |                    |
|                 | II პროგრამა  | 0                                    | 0                 | 0                 | 0                 | 0  | 0                 | 0                 | 0                 |                            |                       |                    |
|                 | III პროგრამა   | 0                                    | 0                 | 0                 | 0                 | 0  | 0                 | 0                 | 0                 |                            |                       |                    |
|                 | -----  | 0                                    | 0                 | 0                 | 0                 | 0  | 0                 | 0                 | 0                 |                            |                       |                    |
|                 | მათ შორის, მიმდინარე წელს არსებული პოლიტიკის ფარგლებში |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | I პროგრამა   |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | II პროგრამა  |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | III პროგრამა   |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | -----  |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |



| პროგრამული კოდი | დასახელება  | დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა |                   |                   |                   | ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა (ათასი ლარი) |                   |                   |                   | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შესრულების ინდიკატორი | შენიშვნა/საფუძველი |
|-----------------|---|--------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|--|-------------------|-------------------|-------------------|----------------------------|-----------------------|--------------------|
|                 |   | დასაგეგმი წელი                       | დასაგეგმს +1 წელი | დასაგეგმს +2 წელი | დასაგეგმს +3 წელი | დასაგეგმი წელი   | დასაგეგმს +1 წელი | დასაგეგმს +2 წელი | დასაგეგმს +3 წელი |                            |                       |                    |
|                 | მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი ვალდებულებებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)                                  | 0                                    | 0                 | 0                 | 0                 | 0  | 0                 | 0                 | 0                 |                            |                       |                    |
|                 | I პროგრამა  |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | II პროგრამა   |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | III პროგრამა  |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | -----   |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | მათ შორის, ახალი პოლიტიკის (მიმდინარე წლისგან განსხვავებული) განსახორციელებლად დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | 0                                    | 0                 | 0                 | 0                 | 0  | 0                 | 0                 | 0                 |                            |                       |                    |
|                 | I პროგრამა  |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | II პროგრამა   |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | III პროგრამა  |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |
|                 | -----   |                                      |                   |                   |                   |  |                   |                   |                   |                            |                       |                    |

დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია ივსება ორწყვილიანი პროგრამული კოდების მიხედვით.

ამასთან:

- „მიმდინარე წელს არსებული პოლიტიკის ფარგლებში“ - ივსება მიმდინარე წლის შესაბამისი პერიოდისთვის არსებული პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე პროგრამების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით დასაგეგმ და დასაგეგმის შემდგომ 3 წელში საჭირო დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი ვალდებულებებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - ივსება მიმდინარე წლის შესაბამისი პერიოდისთვის საქართველოს კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებული იმ ახალი ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, რომელთა ამოქმედების ვადა განსაზღვრულია და ემთხვევა საშუალოვადიან პერიოდს;
- ახალი პოლიტიკის (მიმდინარე წლისგან განსხვავებული) განსახორციელებლად დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - ივსება მიმდინარე წლის შესაბამისი პერიოდისგან განსხვავებული ახალი პოლიტიკის განსახორციელებლად დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში საშუალოვადიან პერიოდში საჭირო დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობები და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, მათ შორის სხვადასხვა პოლიტიკის მატრიცებით და სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებები, რომელთა ამოქმედების ვადა წინასწარ განსაზღვრული არ არის და მხარჯავი დაწესებულება გეგმავს საშუალოვადიან პერიოდში.

აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდგომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სამინისტროებთან კონსულტაციების საფუძველზე ამზადებს ინფორმაციას საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებებისა და ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების დასკვნების გათვალისწინებით საქართველოს სამინისტროები ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს და უგზავნიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების, მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და პროგნოზირებული საფინანსო რესურსის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ დასახული მიზნები, რისი მიღწევა სურს საშუალოვადიან პერიოდში და რა ძირითადი სამოქმედო გეგმები აქვს დასახული აღნიშნული მიზნების მისაღწევად.
- აღწერილი უნდა იყოს ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის მოკლე ანალიზი, ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლები და მათი აღწერა;
- მაკროეკონომიკური სიტუაციის აღწერის შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს გასული ორი წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგები, შემოსულობების ფაქტობრივი მაჩვენებლები და ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები;
- შემდგომ ნაწილში მოცემული უნდა იყოს მიმდინარე საბიუჯეტო წლის და დასაგეგმი წლების ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები და საფინანსო რესურსის პროგნოზების მოკლე აღწერა;

- მთავრობის პროგრამიდან გამომდინარე დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ახორციელებენ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს.
- წარმოდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი წლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. ასიგნებების საორიენტაციო ზღვრულ მოცულობაში არ უნდა იყოს გათვალისწინებული დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები და მათ ფარგლებში სახელმწიფოს თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისთვის საჭირო ასიგნებები.

ზღვრული მოცულობების გაანგარიშებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების განსაკუთრებულ წესს ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულებისათვის და შემდეგ გარემოებებს:

- საქართველოს პარლამენტის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზღვრულ მოცულობებში საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული ასიგნებები;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო სასამართლოების ასიგნებების განსაზღვრისას, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად, არ უნდა შეამციროს აღნიშნული ორგანიზაციების ხარჯების მოცულობა მიმდინარე წლის მოცულობასთან შედარებით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეთხვევაში უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს პროკურატურისათვის გამოყოფილი ხარჯების მოცულობა არ უნდა იყოს წინა წლის შესაბამის მოცულობაზე ნაკლები;
- იურიდიული დახმარების სამსახურის ასიგნების ზღვრული მოცულობების განსაზღვრისას გაითვალისწინოს, რომ სამსახურისთვის გამოყოფილი ხარჯების მოცულობა არ უნდა იყოს წინა წლის შესაბამის მოცულობაზე ნაკლები;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების განსაზღვრისთვის აუცილებელად უნდა იქნეს გათვალისწინებული მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები;
- ცეკოს დაფინანსების მოცულობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ცეკოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები, მათ შორის საარჩევნო წელთან დაკავშირებული სპეციფიკა;
- მიმდინარე ხარჯების (საოპერაციო მიზნებისათვის) განსაზღვრისას

გასათვალისწინებელი არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური ჩარჩოს ტენდენციები და შესაბამისად არსებული ფისკალური ჩარჩო. როგორც წესი ამ ტიპის ხარჯების ზრდის შესაძლებლობა შეზღუდულია და საბაზოდ ვერსიად განიხილება მათი შენარჩუნება მიმდინარე წლის პარამეტრებთან ახლოს (ერთჯერადი ეფექტების გამოკლებით). ამ ტიპის სახსრების ზრდის შესაძლებლობა განიხილება მხოლოდ სათანადო დასაბუთებით, მათ შორის აუცილებელია გამიჯვნა ზრდა გამოწვეულია ახალი ვალდებულებებით/ინიციატივებით თუ არსებობს ზრდის შესაბამისი გარემოებები არსებული პოლიტიკის შენარჩუნების ფარგლებშიც.

- სამტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომელთა რაოდენობა და მათი თანამდებობრივი სარგოების წლიური მოცულობა უმეტესწილად გაითვალისწინება მიმდინარე წელს მოქმედი სამტატო განრიგის მიხედვით. შრომის ანაზღაურების საკითხები რეგულირდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით. გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული კანონი 2019-2020 წლებში განსაკუთრებულ შეზღუდვებს ითვალისწინებს. აღნიშნული გარდამავალი პერიოდის შემდგომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული სამტატო ნუსხები უნდა შეესაბამებოდეს თანამშრომელთა ფუნქციურ დატვირთვას, ხოლო შრომის ანაზღაურების ზრდის საკითხის მართვა განხორციელდება ერთიანი მიდგომით ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს ზრდის მეშვეობით, რომელიც განისაზღვრება წლიური ბიუჯეტის კანონით;
- შტატგარეშე თანამშრომელთა სახელფასო ფონდი უმეტესწილად განსაზღვრება არაუმეტეს მიმდინარე წელს არსებული ოდენობით. აღნიშნული საკითხის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციები;
- მივლინებების, ოფისის, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის (გარდა საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების) და საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე ხარჯები განისაზღვრება გასული და მიმდინარე წლების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.
- პროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებებისათვის საჭირო თანხები განსაზღვრება მათი შესრულების

გასული და მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის და საფინანსო რესურსის პროგნოზის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრისას გაანალიზებული უნდა იქნეს გასულ წლებში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და ფაქტობრივად მიღწეული შედეგები;

- ამასთან, ზემოაღნიშნული წესით მიღებული მონაცემები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის საორიენტაციო ხასიათისაა და ზღვრული მოცულობების განსაზღვრისას შესაძლებელია მხედველობაში მიღებული იქნეს სხვა ფაქტორები და ზღვრული მოცულობები განისაზღვროს უფრო მეტი ან უფრო ნაკლები ოდენობით.
- დოკუმენტის შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებები, თითოეული მათგანის მოკლე აღწერა, მათ ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები;

ამ ნაწილში თითოეული პროგრამისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროგრამის არსებობის მნიშვნელობა, ძირითადი არსი და მთავარი მიზანი რისთვის არის აღნიშნული პროგრამის დაფინანსება საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი მხარჯავი დაწესებულებისათვის.

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი პროგრამების აღწერები უნდა ქმნიდეს ფართო ჩარჩო კონტექსტს სამინისტროებისათვის, რის ფარგლებშიც დაიგეგმება თითოეული სამინისტროს საშუალოვადიანი დეტალური სამოქმედო გეგმა, კონკრეტული ღონისძიებებით, რომლებიც თავის მხრივ შედარებით გამსხვილებულად წარმოდგენილი იქნება წლიურ ბიუჯეტსა და ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში.

- დოკუმენტის ბოლო ნაწილში მოცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი თითოეული პროგრამის დაფინანსების მოცულობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაზე მიმართული მთლიანი სახსრები;
- დოკუმენტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დანართები, სადაც წარმოდგენილი იქნება განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არ მტკიცდება და არა აქვს კანონის ძალა. დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი

წარმოადგენს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის პაკეტის მნიშვნელოვან ნაწილს და მისი საბოლოო ვარიანტი მზადდება საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 1 თვის ვადაში და წარედგინება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

## **2. სამინისტროების საშუალოვადიანი გეგმები**

თითოეული სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ვალდებულია მოამზადოს და დაამტკიცოს მისი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტისაგან და საფუძვლად უნდა ედოს წლიური ბიუჯეტის კანონის მომზადების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წადგენილ საბიუჯეტო განაცხადს.

სამოქმედო გეგმა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო დეტალურ ღონისძიებებად უნდა იშლებოდეს ვიდრე ეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში ან წლიური ბიუჯეტის კანონშია წარმოდგენილი. თითოეული პროგრამა, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს უნდა იყოს ჩაშლილი ღონისძიებების მიხედვით, რაც პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო. მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებები ჩაიშალოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს თითოეული ღონისძიების განხორციელებაზე საბიუჯეტო ორგანიზაციის შიგნით პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების (ზოგ შემთხვევაში დასაქმებული პირების) იდენტიფიცირება, ასევე ამ ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგების განსაზღვრა. ღონისძიებები სამოქმედო გეგმაშივე ჯგუფდება პროგრამებად და ქვეპროგრამებად, რომელიც შემდგომ წლიურ ბიუჯეტში აისახება.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინოს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციები.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება ხორციელდება 30 ივნისამდე. ამ პერიოდისათვის მიმდინარეობს მომავალი წლების საშუალოვადიანი პროგნოზების და მათ შორის მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების საორიენტაციოს ზღვრული მოცულობის განახლება. საშუალოვადიანი სამოქმედო

გეგმების დამტკიცებისას საბაზო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ამ პერიოდსათვის მოქმედი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (დოკუმენტი, რომელიც პარლამენტს ეგზავნებას საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში) განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობებსა და პარამეტრებს ან/და ასიგნებების პირველად საორიენტაციო მოცულობის იმ პარამეტრებს, რომელიც ამ ეტაპისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ არის მიწოდებული მხარჯავი დაწესებულებებისთვის. ახალი პოლიტიკის/ინიციატივებისათვის საჭირო გეგმებზე და მათ დაფინანსებაზე ინფორმაცია, რომელთა განხორციელებისათვის საჭირო რესურსიც აღემატება ამ პერიოდისათვის განსაზღვრულ რესურსს, შესაძლებელია დამტკიცებულ იქნეს ცალკე დანართად. წლიური ბიუჯეტის კანონის დამტკიცების შემდგომ ამ დანართიდან ის ღონისძიებები, რომლებიც მოიპოვებენ დაფინანსებას უნდა დაემატოს საბაზო გეგმას. შესაბამისად საშუალოვადიანი საქმედო გეგმებისა და წლიური ბიუჯეტს შორის მჭიდრო კავშირის შენარჩუნების მიზნით საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებში სათანადო ცვლილებები უნდა აისახოს წლიური ბიუჯეტის კანონის დამტკიცების შემდგომ, მიზანშეწონილია არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ერთი თვისა.

## **2.1. რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი გეგმები**

საშუალოვადიანი გეგმის შედგენისას (რომელიც ყოველწლიურად განახლებადი 4-წლიანი დოკუმენტია) სამინისტროებმა უნდა იხელმძღვანელონ გეგმის შედგენის მომენტში მოქმედი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მათთვის განსაზღვრული დაფინანსების საორიენტაციო ზღვრული მოცულობებიდან გამომდინარე და პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიებების დაფინანსებისათვის თუ არსებობს დამატებით დაფინანსების მოზიდვის საჭიროება მათ შესახებ ცალკე უნდა გაკეთდეს მითითება.

სამოქმედო გეგმის თითოეული ღონისძიებისთვის სასურველია წარმოდგენილი იყოს:

- ა) ღონისძიების აღწერა და მიზანი;
- ბ) განმახორციელებელი;
- გ) მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები
- დ) ღონისძიების შესრულების შეფასების ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი და ღონისძიების განხორციელების შედეგად მისაღები სამიზნე მაჩვენებელი, ასევე ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები;

ე) დაფინანსების წყარო;

ვ) ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა არსებული დაფინანსების პირობებში და მთლიანობაში (თუ ღონისძიება დამატებით დაფინანსების შემთხვევაში შესაძლოა სხვაგვარად განვითარდეს);

ზ) დაფინანსების დამატებით წყაროს არსებობის შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილება;

თ) ინფორმაცია იმის შესახებ, ღონისძიება წარმოადგენს არსებული პროგრამის არსებული გზით გაგრძელების ნაწილს, თუ უკავშირდება რეფორმას, ახალ პოლიტიკას ან ახალ პროგრამას.

#### **ა) ღონისძიების აღწერა და მიზანი**

აღწერილობითი ნაწილში აღწერილია ინფორმაცია იმის შესახებ თუ რას გულისხმობს ღონისძიება, რა უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობის ფარგლებში; ღონისძიება თავისი შინაარსით უნდა იყოს სამინისტროს პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებები, რომელიც დაშლილია ისეთ წვრილ დონეზე, რომ მისი განმახორციელებელი უმეტეს შემთხვევაში ერთი კონკრეტული უწყება ან უწყებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულია (სამინისტროს სისტემის შიგნით).

#### **ბ) განმახორციელებელი**

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ის ერთეული, რომელიც უშუალოდაა პასუხისმგებელი ღონისძიების განხორციელებაზე;

განმახორციელებელში უმეტეს შემთხვევაში მოიაზრება სამინისტროს აპარატი, ტერიტორიული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულების ან სსიპის/ა(ა)იპის სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი/სამმართველო), ღონისძიებების დიდი ნაწილისთვის განმახორციელებელი ერთი სტრუქტურული ერთეული იქნება, თუმცა შესაძლებელი ზოგ შემთხვევაში რამდენიმე მათგანი ან მთლიანად სტრუქტურა იყოს განმახორციელებელი. ასეთ შემთხვევაში სასურველია ღონისძიების აღწერილობით ნაწილში მაინც გაიმიჯნოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციები.

გ) მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები - საბოლოო შედეგების განისაზღვრება პროგრამებისათვის და ზოგიერთ შემთხვევაში ქვეპროგრამებისათვის. არსებული პოლიტიკის შენარჩუნების შემთხვევაში მოსალოდნელი საბოლოო შედეგები მეტწილად დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს მიმდინარე წლის პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული მოსალოდნელი



საბოლოო შედეგებისგან, ვინაიდან მოსალოდნელი საბოლოო შედეგები უნდა ასახვდეს პროგრამის საბოლოო მიზანს პროგრამის ბოლოს ან საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსათვის და ბუნებრივია შინაარსით მათი შეცვლა ყოველწლიურად არ უნდა ხდებოდეს.

არსებული პოლიტიკის ცვლილების, ასევე ახალი ვალდებულებებისა და ინიციატივების სამოქმედო გეგმაში ასახვის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს შესაბამისი პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები განისაზღვრება თითოეული ღონისძიებისათვის საშუალოვადიანი (4 წელი) პერიოდის განმავლობაში, თითოეული წლის ბოლოსათვის.

**დ) შესრულების შეფასების ინდიკატორები - საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები, ცდომილების აღბათობა და შესაძლო რისკები**

სამიზნე მაჩვენებლებში წარმოდგენილი უნდა იყოს ღონისძიების განხორციელების შედეგად საშუალოვადიან პერიოდში მისაღები კონკრეტული პროდუქტი, შედეგი და აღნიშნული შედეგი დაშლილი უნდა იყოს საშუალოვადიანი პერიოდის თითოეული წლისათვის საორიენტაციოდ შედეგის მაჩვენებელში რა პროგრესი იქნება მიღწეული.

სამიზნე მაჩვენებლები უნდა აღნიშნავდეს კონკრეტული ღონისძიების განხორციელების შედეგად მისაღებ პროდუქტს, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს რაოდენობრივ ან თვისობრივ მაჩვენებლებში.

*მაგალითი (1)*  
თუ ღონისძიების სამიზნე მაჩვენებელი რაოდენობრივია და გულისხმობს, რომ ღონისძიების განხორციელების შედეგად საშუალოვადიანი პერიოდისათვის ბენეფიციართა 100% მოცული უნდა იყოს კონკრეტული ხარისხის სერვისით, თითოეულ წელზე წარმოდგენილი უნდა იყოს პირველი წლის ბოლოს ბენეფიციართა რა % იქნება მოცული ამ სერვისით, მე-2 წელს რა ნაწილი და ა.შ. ან პირველ წელს ბენეფიციართა რა ნაწილი იქნება მოცული საბაზისო პაკეტით, მე-2 წელს გაუმჯობესებული პაკეტით, მე-3 წელს კიდევ უფრო მაღალი პაკეტით, მე-4 წელს სრული პაკეტით.  
თუ ღონისძიების მაჩვენებელი რაოდენობრივი არ არის და მაგალითად გულისხმობს ახალი რეგულაციის დანერგვას შესაძლოა საშუალოვადიანი პერიოდის მაჩვენებელი იყოს რეგულაციის ამოქმედება, ხოლო პირველი წლის ბოლოსათვის მაჩვენებელი იყოს კანონპროექტის მომზადება და განსახილველად წარდგენა, მე-2 წლისათვის კანონის საბოლოო ვარიანტზე შეჯერება და მისი დამტკიცება, მე-3 წელს პილოტირება, ხოლო მე-4 წელს კანონის ამოქმედება.

თითოეულ მაჩვენებელზე აუცილებელია მითითებული იყოს ღონისძიების დაწყების მომენტისათვის არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი – საბაზისო მაჩვენებელი.

**მაგალითი (2)**

*ზემოაღნიშნული (2) მაგალითის შემთხვევაში საბაზისო ინდიკატორი შესაძლოა იყოს, რომ არსებული მდგომარეობით მოცული 5% ან 0% ან ყველა ბენეფიციარი სარგებლობს საბაზო პაკეტზე დაბალი მომსახურებით;*

*მეორე შემთხვევაში კი არსებული ინდიკატორი შესაძლოა იყოს, რომ არ არსებობს რეგულაცია, ან არ არსებობს საკონონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს საკითხს, ან არსებობს რეგულაცია, რომელიც ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და ა.შ.*

მნიშვნელოვანია, რომ მითითებული იყოს შესაბამისი ინდიკატორის გაზომვისთვის საჭირო მონაცემების წყარო.

შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილში მნიშვნელოვანია რისკების გაანალიზება, რა უშლის ხელს დასახული მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევას არსებული დაფინანსების პირობებში, რათა დაწესებულებამ წინასწარ განსაზღვროს რეალური რისკი, რაც შეიძლება დადგეს პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების განხორციელების პროცესში და შეაფასოს ცდომილების ალბათობა, იგივე მიზნობრივი მაჩვენებლისგან გადახრა, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას ღონისძიების განხორციელების პროცესში მიიღოს შესაბამისი ზომები შესაძლო რისკების მინიმუმამდე დასაყვანად და თავიდან ასაცილებლად. ვინაიდან აღნიშნული რისკებს ვაფასებთ ამავე სამოქმედო გეგმით არსებული დაფინანსების პირობებში, რისკების შეფასება გულისხმობს იმ გარემოებების გამოვლენას, რაც შედეგის მიღწევას შეუძლებელს გახდიდა ან შეაფერხებდა ამ გეგმით განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში. შესაბამისად რისკი არ შეიძლება იყოს სათანადო დაფინანსების არ არსებობა. ასევე რისკებში აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ გარემოებებზე, რაც განმახორციელი უწყების კომპეტენციებსა და ძალეაშია და შეიძლება გამოწვეული იქნეს ამ უწყების ქმედებით/უმოქმედობით. შესაბამისად რისკებში (იშვიათი გამონაკლისების გარდა) არ შეიძლება მიეთითოს გლობალური ხასიათის კრიზისები, კატასტროფები და სხვა დაუძლეველი ძალა და ფორს-მაჟორი.

**ე) დაფინანსების წყარო**

დაფინანსების წყაროში უნდა იქნეს მითითებული ღონისძიების დაფინანსება სამინისტროს საშუალოვადიანი გეგმით გათვალისწინებული რომელი პროგრამიდან

განხორციელდება, ასევე, თუ არსებობს სხვა დამატებითი წყაროები დონორის დაფინანსება, საკუთარი სახსრები და სხვა, რითაც შეიძლება დაფინანსება განხორციელდეს, ასევე, აქ შეიძლება მიეთითოს არსებობს თუ არა დამატებით დაფინანსების მოზიდვის საჭიროება.

#### ე) ხარჯთაღრიცხვა

თითოეული ღონისძიების უკან უნდა იდგეს ხარჯთაღრიცხვა, სადაც განსაზღვრული იქნება ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო გადასახდელები. ხარჯთაღრიცხვის შედგენის მეთოდოლოგია ბევრ შემთხვევაში ინდივიდუალური იქნება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ:

- o როდესაც ღონისძიება დაკავშირებულია ინტელექტუალურ შრომასთან და რომელსაც ახორციელებს სამინისტროს აპარატი (სხვა უწყება) შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვა დაითვალოს კაც/საათის მიხედვით (მაგალითის სახით იხილეთ დანართი №2ა - მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია 2.1-1);
- o თუ პროგრამის ხარჯი დამოკიდებულია ბენეფიციარების რაოდენობაზე ხარჯთაღრიცხვა კეთდება ბენეფიციარების მიხედვით;
- o თუ პროგრამა ითვალისწინებს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას ან რაიმე პროდუქტის შექმნას და არ არის მხოლოდ ინტელექტუალურ შრომასთან დაკავშირებული, ხარჯთაღრიცხვა კეთდება პროდუქტის შექმნისთვის საჭირო ხარჯის მიხედვით (+ ინტელექტუალური შრომა დათვლილი პირველ პუნქტში, თუ იგი უკვე არ არის სხვა ღონისძიების ნაწილი ან თუ მისი ცალკე გამოყოფა შესაძლებელია); საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების მართვასთან და მათ შორის ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები ასევე რეგულირდება ამ მეთოდოლოგიის მე-5 დანართით.
- ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ალტერნატიული გზა, როდესაც შესაძლებელია აღებულ იქნეს უწყების/სტრუქტურული ერთეულის შენახვის საშუალო ხარჯი (გამოთვლა შესაძლებელია გასული რამდენიმე და მიმდინარე წლის მთლიანი ხარჯებიდან), შემდეგ დაიყოს უწყების/სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციების შესრულებად პროცენტულად დაახლოებით რა წილი მიაქვს და მთლიანი ხარჯები გადანაწილდეს იმავე პროპორციით. ეს მიდგომა უფრო მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ერთეულში თანამშრომლების

კომპეტენციები არ არის დაყოფილი მკვეთრად და ყველა თანამშრომელი ყველა ფუნქციაზე მუშაობს სხვადასხვა პერიოდში და შესაბამისად, განაწილება თითოეული თანამშრომლის რა დრო იხარჯება და რა ღონისძიებაზე რთულია.

### **ვ) დამატებითი დაფინანსება**

თუ ხარჯთაღრიცხვისა და დაფინანსების წყაროს მითითებისას გასათვალისწინებელია, რომ ღონისძიება უნდა გაიწეროს იმ რეალობიდან გამომდინარე, რის დაფინანსების საშუალებაც შესაბამისი წლებისათვის არსებობს (ერთი და იმავე ღონისძიების განხორციელება შესაძლოა დაიგეგმოს სხვადასხვაგვარად დაფინანსების მოცულობიდან გამომდინარე. მაგ.: გადანაწილდეს მეტ წლებზე, დაიგეგმოს ნაკლები მოცულობით, ბენეფიციართა შეზღუდულ რაოდენობაზე გათვლილი, განსხვავებული ხარისხით და ა.შ.), თუმცა სასურველია ასევე, იყოს მითითებული სრულყოფილად განხორციელების შემთხვევაში საჭირო დაფინანსების მთლიანი მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა, ასევე, სამიზნე მაჩვენებლები გაზრდილი დაფინანსების შემთხვევაში, მსგავსი ტიპის ინფორმაცია მნიშვნელოვანია, როგორც ზოგადად გეგმების ჩამოყალიბებისათვის, ასევე, შესაძლო დონორებთან სასაუბროდ, რათა ნათლად ჩანდეს, სად არის შესაბამისი საჭიროებები.

### **ზ) ღონისძიებები მიმდინარე და ახალი პოლიტიკისათვის**

სამოქმედო გეგმაში თითოეულ ღონისძიებას მითითებული უნდა ჰქონდეს, აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება არსებული პოლიტიკის ფარგლებში და წარმოადგენს პოლიტიკის გაგრძელებას თუ წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ან რეფორმის შემადგენელ ნაწილს.

აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამოქმედო გეგმების შედგენისას პირველ რიგში ხდება ისეთი ღონისძიებების გათვალისწინება და მათთვის შესაბამისი დაფინანსების მოძიება, რომლებიც დაკავშირებულია უკვე აღებულ ვალდებულებებთან და არსებულ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან (თუ პროგრამამ/ქვეპროგრამამ თავი არ ამოწურა და საჭიროა მისი ამ ფორმით შენარჩუნება), ხოლო მიმდინარე პოლიტიკის შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების შემდეგ ხდება ახალი პროგრამების/ქვეპროგრამებისა თუ პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, მათი ხარჯთაღრიცხვების შედგენა და დაფინანსების წყაროს განსაზღვრა.

სასურველია სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესავალი ნაწილი მოიცავდეს წინა წლების გეგმების გაანალიზების შედეგად მიღებულ ინფორმაციას და მათი გათვალისწინების შესაძლებლობებს ახალ სამოქმედო გეგმებში.

## 2.2. საშუალოვადიანი გეგმების შემუშავება

საშუალოვადიანი გეგმების შედგენა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, ერთი მხრივ, უნდა მოხდეს ე.წ. „ზემოდან ქვემოთ“ დაგეგმვის მეთოდის გამოყენება და ამასთანავე აუცილებელია „ქვემოდან ზემოთ“ პრინციპის გათვალისწინებაც.

ნებისმიერი უწყების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს უფრო გლობალური სტრატეგიებით გათვალისწინებული პრიორიტეტებიდან. ასეთ გლობალური დოკუმენტებია სამთავრობო პროგრამა - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი, სხვადასხვა სექტორული სტრატეგიები და უშუალოდ სამინისტროს დებულებით განსაზღვრული მიზნები და დებულებები. მნიშვნელოვანია, რომ საშუალოვადიანი დაგეგმვისას მითითება გაკეთდეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირზე (Sustainable Development Goals – 2030), ასევე, საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის ევროკავშირის დირექტივებთან კავშირზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამოქმედო გეგმის შედგენისას აუცილებელია პროცესში ჩართული იყვნენ და პროცესს ორგანიზებას უწევდნენ სამინისტროს/უწყების მაღალი რგოლის მენეჯმენტი, ის ადამიანები, რომლებიც ზუსტად ხედავენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს შესაბამისი მიმართულებით არსებული ერთიანი პოლიტიკის კონტექსტში.

ზემოაღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ სამოქმედო გეგმები განსხვავებით სტრატეგიებისაგან ქმნის არა ზოგად ჩარჩოს, არამედ განსაზღვრავს კონკრეტულ ღონისძიებებს, ე.წ. ოპერატიულ გეგმებს, რომლის მიხედვითაც ეს უწყებები საშუალოვადიან/შესაბამის პერიოდში იფუნქციონირებენ, შესაბამისად ეს ღონისძიებები თავისი შინაარსით საკმაოდ კონკრეტულ და დეტალურ ქმედებებს აღწერს, რაც გულისხმობს, რომ მათ მომზადებაში ჩართულნი უნდა იყვნენ უშუალოდ შემსრულებლები, ის პირები, ვინც ყველაზე ახლოს და დეტალურად იცნობენ მიმდინარე პროცესებს და ყველაზე ახლოს ხედავენ პრობლემატურ მონაკვეთებსა და გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენა ვერ იქნება ერთი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენცია, პროცესში მთლიანად უწყების ჩართვაა აუცილებელი და საჭირო. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ თითოეულ ღონისძიებაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს შესაბამისი შემსრულებელი სტრუქტურული ერთეული და არა მხოლოდ იმპლემენტაციის დონეზე, არამედ თავად დაგეგმარების დონეზე.

სასურველია სამინისტროების შემთხვევაში არსებობდეს სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იქნება მინისტრის ყველა მოადგილე, ყველა დეპარტამენტის უფროსი და ყველა საქვეუწყებო თუ სხვა ტიპის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი. ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უნდა უწევდეს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და შესაბამისი კურატორი მინისტრის მოადგილე/მინისტრი (თუ თავად კურირებს). აღნიშნულის მიუხედავად, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამოქმედო გეგმა საფინანსო/საბიუჯეტო/ეკონომიკური სამსახურის/დეპარტამენტის შესადგენია. აღნიშნული სამსახური/დეპარტამენტი პასუხს აგებს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების თავსებადობაზე სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებების საორიენტაციო ზღვრულ მოცულობებთან, ზედამხედველობას უწევს შესაბამისი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვების მომზადების პროცესს. საშუალოვადიანი სამოქმედო ღონისძიებები კი უნდა დაიგეგმოს უშუალოდ პოლიტიკის განმახორციელებელი ერთეულების მიერ. მათ უნდა უზრუნველყონ მათ მიმართ დაკისრებული ფუნქციონირებისა და სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, დაგეგმონ საშუალოვადიან პერიოდში მისაღწევი კონკრეტული სამიზნეები და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც რეალისტურია როგორც დროითი, ისე ადამიანური და რაც მთავარია ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად სასურველია გეგმების შედგენამდე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თითოეული მიმართულების მიხედვით განსაზღვრავდეს ე.წ. ჭერებს ამ სამინისტროსათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტით განსაზღვრული საორიენტაციო მოცულობების გათვალისწინებით. ასევე, სასურველია სამუშაო ჯგუფში შეიქმნას ქვეჯგუფები, რომლებიც მიმართულებების მიხედვით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად იმუშავებენ გეგმის მათი ნაწილის შემუშავებაზე. თითოეულ ასეთ ქვეჯგუფში უნდა შედიოდეს შესაბამისი მიმართულებით წამყვანი დეპარტამენტის წარმომადგენელი, განმახორციელებელი უწყებების (სსიპების/ა(ა)იპების) წარმომადგენლები, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

წარმომადგენლები, იურიდიული დეპარტამენტის, ადამიანური რესურსების და სხვა ზოგადი პროფილის დეპარტამენტების წარმომადგენლები. ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფებში მონაწილეობდეს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელიც და საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ იქნეს დარგის სპეციალისტი/ექსპერტი.

სამუშაო ჯგუფების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საბოლოოდ შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის არსებობა დაწესებულებაში და პასუხისმგებლობების და ანგარიშვალდებულებების სწორად გადანაწილება დაწესებულების შიგნით. ამ სისტემის ჩამოყალიბების და შემდგომი განვითარების გარეშე სამუშაო ჯგუფების მუშაობა ეფექტური ვერ გახდება. სწორი მენეჯერული კონტროლის მექანიზმების შემუშავება უზრუნველყოფს რომ მენეჯერებს რეალურად მიეცეთ შესაძლებლობა, დაწესებულების მიერ მომზადებული დოკუმენტაცია გამოიყენონ მათ მიერ განხორციელებული პროგრამების მონიტორინგისა და მართვის პროცესში.

დასაგეგმი და შემდგომი 3 წლისათვის საშუალოვადიანი გეგმების შედგენისათვის მზადება იწყება ყოველი წლის 1 მარტიდან, როდესაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ ინფორმაციის ნუსხა, რომელსაც მხარჯავი დაწესებულებები წარადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების (BDD) დოკუმენტის შედგენის მიზნით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი პროგრამული მიმართულებები უნდა გამომდინარეობდეს სწორედ ამ ტიპის სამოქმედო გეგმებიდან. სამოქმედო გეგმები მზად უნდა იყოს 30 ივნისისთვის, როდესაც სამინისტროებს ევალებათ ამ გეგმების დამტკიცება, ხოლო ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მომზადების შემდეგ საბიუჯეტო განაცხადზე მუშაობისას პროგრამებისა და ქვეპროგრამების შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ამოცანები და მისაღწევი მიზნები.

ასევე, აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სექტორული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების დროს, სტრატეგიაზე პასუხისმგებელი წამყვანი უწყებების მიერ.

### **მაგალითი (3)**

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის, აგრეთვე შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავების მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შექმნილია სახელმწიფო ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიის (4-წლიანი სტრატეგია) განხორციელების საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეა მინისტრი, ხოლო საბჭოს შემადგენლობაში შედიან მინისტრის მოადგილეები, სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებების/საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ასევე, მოწვეული წევრები (საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი, სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები, შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები).

საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების მომზადებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი/ჯგუფები.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომები ტარდება სამ თვეში ერთხელ და საჭიროებიდან გამომდინარე.

საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს წინადადებებს სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიის თაობაზე, ამზადებს რეფორმის ფარგლებში შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის პროექტს და წარუდგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად; შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს რეფორმის სტრატეგიის განახლებისა და სრულყოფის მიზნით; ხელს უწყობს სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადებას; შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში კოორდინაციას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობას ასევე, ახორციელებს სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის სტრატეგიის და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგს.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად, თითოეულ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ამზადებს შესაბამის ინფორმაციას (ღონისძიების გატარებისათვის საჭირო ადამიანური/დროითი/მატერიალური/სხვა რესურსების გათვალისწინებით).

მაგალითის სახით იხილეთ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დანართის სტრუქტურა, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა:



## საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის<sup>1</sup>

(დანართი ივსება, როგორც ზღვრული მოცულობების, ასევე საჭიროების შემთხვევაში ზღვრული მოცულობისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში)

### პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებების აღწერა

პრიორიტეტის დასახელება<sup>2</sup> -----

1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი<sup>3</sup> -----

განმახორციელებელი -----

პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს<sup>4</sup>

-----  
პროგრამის აღწერა და მიზანი  
-----  
-----  
-----  
-----

-----  
მოსალოდნელი საბოლოო შედეგები ზღვრული მოცულობის ფარგლებში  
-----  
-----  
-----

-----  
მოსალოდნელი საბოლოო შედეგები ზღვრული მოცულობის ზევით დაფინანსების პირობებში  
-----  
-----  
-----

-----  
მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები<sup>5</sup>  
-----

<sup>1</sup> სამოქმედო გეგმა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო დეტალურ ღონისძიებებზე უნდა იმსჯელოს, ვიდრე ეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში ან წლიური ბიუჯეტის კანონშია წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიება წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ნაწილს ან/და შესაბამის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, მათ შორის შესაბამისი სექტორული ან სხვა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნაწილს, მნიშვნელოვანია, რომ მიეთითოს აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებელია ეს ინფორმაცია შინაარსის მიხედვით მიეთითოს, როგორც პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიებების აღწერის ნაწილში, ისე მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში. ასევე უნდა იქნას დაგეგმილი პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების შესაბამისობა გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნებთან - 2030, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

<sup>2</sup> პრიორიტეტში იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებები ახორციელებენ თავიანთ პროგრამებს;

<sup>3</sup> ივსება მხარჯავი დაწესებულების ყველა პროგრამაზე;

<sup>4</sup> ივსება იმ შემთხვევაში თუ პროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს.

| №  |                                   | დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის (ზღვრული მოცულობის ფარგლებში) | დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის (ზღვრული მოცულობის ზევით დაფინანსების პირობებში) |
|----|-----------------------------------|---|--|
| 1. | საბაზისო მაჩვენებელი <sup>6</sup> |   |  |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი            |   |  |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)    |   |  |
|    | შესაძლო რისკები                   |   |  |
| -- | საბაზისო მაჩვენებელი              |   |  |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი            |   |  |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)    |   |  |
|    | შესაძლო რისკები                   |   |  |

განხორციელების ვადები<sup>7</sup> -----

**1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი**

-----

ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს<sup>8</sup>

-----

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

-----

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

-----

-----

მოსალოდნელი შუალედური შედეგები ზღვრული მოცულობების ფარგლებში

-----

-----

<sup>5</sup> სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;

<sup>6</sup> ივსება მიმდინარე წლის ბოლომდე მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები.

<sup>7</sup> იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4 წლიანი პერიოდი), უნდა მიეთითოს პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მუდმივად და განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“;

<sup>8</sup> ივსება იმ შემთხვევაში თუ ქვეპროგრამა წარმოადგენს ახალი პოლიტიკის ნაწილს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები ზღვრული მოცულობის ზევით დაფინანსების პირობებში

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები<sup>9</sup>

| №  |                                    | დასაგეგმი წელი              |                         | დასაგეგმი + 1 წელი          |                         | დასაგეგმი + 2 წელი          |                         | დასაგეგმი + 3 წელი          |                         |
|----|------------------------------------|-----------------------------|-------------------------|-----------------------------|-------------------------|-----------------------------|-------------------------|-----------------------------|-------------------------|
|    |                                    | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით |
| 1  | საბაზისო მაჩვენებელი <sup>10</sup> |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი             |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)     |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | შესაძლო რისკები                    |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
| -- | საბაზისო მაჩვენებელი               |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი             |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)     |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | შესაძლო რისკები                    |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |

განხორციელების ვადები<sup>11</sup> -----

1.1.1 ღონისძიების დასახელება

ღონისძიების განმახორციელებელი

ღონისძიების აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შუალედური შედეგები ზღვრული მოცულობების ფარგლებში

<sup>9</sup> სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ქვეპროგრამებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს ქვეპროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;

<sup>10</sup> იესება მიმდინარე წლის ბოლომდე მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები.

<sup>11</sup> იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამა დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4 წლიანი პერიოდი), უნდა მიეთითოს ქვეპროგრამის დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში თუ ქვეპროგრამა ხორციელდება მუდმივად და განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

-----  
**მოსალოდნელი შუალედური შედეგები ზღვრული მოცულობის ზევით დაფინანსების პირობებში**  
 -----

**მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები<sup>12</sup>**

| №  |                                    | დასაგეგმი წელი              |                         | დასაგეგმი + 1 წელი          |                         | დასაგეგმი + 2 წელი          |                         | დასაგეგმი + 3 წელი          |                         |
|----|------------------------------------|-----------------------------|-------------------------|-----------------------------|-------------------------|-----------------------------|-------------------------|-----------------------------|-------------------------|
|    |                                    | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | ზღვრული მოცულობის ზევით |
| 1  | საბაზისო მაჩვენებელი <sup>13</sup> |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი             |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)     |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | შესაძლო რისკები                    |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
| -- | საბაზისო მაჩვენებელი               |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი             |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)     |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |
|    | შესაძლო რისკები                    |                             |                         |                             |                         |                             |                         |                             |                         |

**განხორციელების ვადები<sup>14</sup>** -----

<sup>12</sup> სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ ღონისძიებებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს ღონისძიების გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი;

სასურველია, რომ მითითებული იყოს შესაბამისი ინდიკატორის გაზომვისთვის საჭირო მონაცემების წყარო;

<sup>13</sup> ივსება მიმდინარე წლის ბოლომდე მოსალოდნელი საბოლოო მონაცემები.

<sup>14</sup> იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება დაიწყო ან დასრულდა საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში (საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 4 წლიანი პერიოდი), უნდა მიეთითოს ღონისძიების დაწყების და დასრულების თარიღები; იმ შემთხვევაში თუ ღონისძიება ხორციელდება მუდმივად და განხორციელების ვადებში უნდა მიეთითოს „მიმდინარე“.

## საშუალოგადიანი ბიუჯეტი დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის

(დანართი ივსება როგორც ზღვრული მოცულობების, ასევე საჭიროების შემთხვევაში ზღვრული მოცულობისგან განსხვავებული პარამეტრების ფარგლებში, ასევე არსებული პოლიტიკის, კანონმდებლობით აღებული ვალდებულებების და ახალი პოლიტიკის გამოიყენით)

| პროგრამული კოდი | N | დასახელება                                | დაფინანსება <sup>15</sup> |                         |               |  |                    |                         |               |  |                    |                         |               |  |                    |                         |               |  |
|-----------------|---|---|---------------------------|-------------------------|---------------|--|--------------------|-------------------------|---------------|--|--------------------|-------------------------|---------------|--|--------------------|-------------------------|---------------|--|
|                 |   |   | დასაგეგმი წელი            |                         |               |  | დასაგეგმი + 1 წელი |                         |               |  | დასაგეგმი + 2 წელი |                         |               |  | დასაგეგმი + 3 წელი |                         |               |  |
|                 |   |   | სულ                       | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები | მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები | სულ                | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები | მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები | სულ                | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები | მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები | სულ                | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები | მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები |
|                 |   | <i>სულ პრიორიტეტის ჯამი</i>               | 0,0                       | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  |
|                 |   | <i>სულ მომუშავეთა რიცხოვნობა</i>          | 0,0                       | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  |
|                 |   | <i>მ.შ. შტატით გათვალისწინებული</i>       | 0,0                       |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  |
|                 |   | <i>მ.შ. შტატგარეშე მომუშავე</i>           | 0,0                       |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  |
|                 | I | <i>პრიორიტეტის დასახელება</i>             | 0,0                       |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  |
|                 |   | პროგრამის დასახელება                      | 0,0                       | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  | 0,0                | 0,0                     | 0,0           | 0,0  |
|                 |   | პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0                       |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  | 0,0                |                         |               |  |

<sup>15</sup> დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამების/ქვეპროგრამების/ლონისძიებების დაფინანსება, დაფინანსების ყველა წყაროს მითითებით. საჭიროების შემთხვევაში უნდა დაემატოს დაფინანსების წყაროს სვეტი.

| პროგრამული კოდი | N   | დასახელება                                   | დაფინანსება <sup>15</sup> |                         |               |  |                    |                         |               |  |                    |                         |               |  |                    |                         |               |
|-----------------|-----|--|---------------------------|-------------------------|---------------|--|--------------------|-------------------------|---------------|--|--------------------|-------------------------|---------------|--|--------------------|-------------------------|---------------|
|                 |     |  | დასაგეგმი წელი            |                         |               |  | დასაგეგმი + 1 წელი |                         |               |  | დასაგეგმი + 2 წელი |                         |               |  | დასაგეგმი + 3 წელი |                         |               |
|                 |     |  | სულ                       | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები | მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები | სულ                | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები | მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები | სულ                | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები | მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები | სულ                | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი | მ.შ. დონორები |
|                 | 1   | ქვეპროგრამის დასახელება                      | 0.0                       |                         |               |  | 0.0                | 0.0                     | 0.0           | 0.0  | 0.0                | 0.0                     | 0.0           | 0.0  | 0.0                | 0.0                     | 0.0           |
|                 |     | ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0                       |                         |               |  | 0,0                |                         |               |  |                    |                         |               | 0,0  |                    |                         |               |
|                 | 1.1 | ღონისძიების დასახელება                       | 0.0                       |                         |               |  | 0.0                |                         |               |  |                    |                         |               | 0.0  |                    |                         |               |
|                 | 1.2 | ღონისძიების დასახელება                       | 0.0                       |                         |               |  | 0.0                |                         |               |  |                    |                         |               | 0.0  |                    |                         |               |
|                 | 1.3 | ღონისძიების დასახელება                       | 0.0                       |                         |               |  | 0.0                |                         |               |  |                    |                         |               | 0.0  |                    |                         |               |
|                 |     | -----  |                           |                         |               |  |                    |                         |               |  |                    |                         |               |  |                    |                         |               |
|                 | 2   | ქვეპროგრამის დასახელება                      | 0.0                       | 0.0                     | 0.0           | 0.0  | 0.0                | 0.0                     | 0.0           | 0.0  | 0.0                | 0.0                     | 0.0           | 0.0  | 0.0                | 0.0                     | 0.0           |
|                 |     | ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0                       |                         |               |  | 0,0                |                         |               |  |                    |                         |               | 0,0  |                    |                         |               |
|                 | 1.1 | ღონისძიების დასახელება                       | 0.0                       |                         |               |  | 0.0                |                         |               |  |                    |                         |               | 0.0  |                    |                         |               |
|                 | 1.2 | ღონისძიების დასახელება                       | 0.0                       |                         |               |  | 0.0                |                         |               |  |                    |                         |               | 0.0  |                    |                         |               |
|                 | 1.3 | ღონისძიების დასახელება                       | 0.0                       |                         |               |  | 0.0                |                         |               |  |                    |                         |               | 0.0  |                    |                         |               |
|                 |     | -----  | ---                       |                         |               |  | ----               |                         |               |  |                    |                         |               | ----   |                    |                         |               |

### 2.3. საშუალოვადიანი გეგმების შეფასება

საშუალოვადიანი გეგმების დამტკიცება ყოველწლიურად ხდება 4-წლიანი პერიოდისათვის, რაც გულისხმობს, რომ ისინი ე.წ. მცოცავი გრაფიკით განახლებადია ყოველწლიურად.

საშუალოვადიანი დაგეგმვის ჩვეულ პრაქტიკად ქვევისათვის აუცილებელია საშუალოვადიან გეგმებთან მიმართებაში გამოიყენებოდეს სტანდარტული პროცესის ყველა ეტაპი: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და ანგარიშგება.

გეგმები გეგმებად რომ არ დარჩეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოხდეს შეფასება, რამდენად შესრულდა ის, რაც დაიგეგმა. აღნიშნული შეფასების მთავარი დანიშნულება არ არის ვინმეს „დასჯა“ გეგმების ვერშესრულებისათვის. შეფასებისა და ანგარიშგების პირველადი დანიშნულებაა მოხდეს გაანალიზება, რა ახდენს გავლენას გეგმებსა და ფაქტობრივად განხორციელებულ ღონისძიებებს შორის არსებულ განსხვავებებზე, პრობლემა წარმოიშვება დაგეგმვის ეტაპზე თუ განხორციელების, რა შეიძლება გაკეთდეს უკეთესი დაგეგმვის ან დაგეგმილის უკეთესი განხორციელებისათვის.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად აუცილებელია არსებობდეს შიდა მექანიზმები. იმავე სამუშაო ჯგუფის ფორმატში ყოველწლიურად ახალი სამუშაო გეგმების შედგენამდე სასურველია ხდებოდეს გასული წლის მდგომარეობით დასახული გეგმების და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება და გაანალიზება. ასევე, სასურველია 2 წელიწადში ერთხელ მაინც გასული 4 წლის ფაქტობრივი შესრულების გაანალიზება შესაბამისი პერიოდის მომცველ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

საქმიანობის შედეგების მონიტორინგი უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებას (რომელი განმახორციელებელი დაწესებულება ითვისებს რესურსს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით), არამედ უნდა აფასებდეს დასახული მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს შორის კავშირებს და მიღებული შედეგების ეფექტიანობას. საქმიანობის შედეგების მონიტორინგის განხორციელებისათვის აუცილებელია რიგი შეფასებების (საქმიანობის შედეგების ინდიკატორები) და დაკავშირებული მიზნების განსაზღვრა. საქმიანობის შედეგები იძლევა იმის დადასტურების საშუალებას, მიღწეულ იქნა თუ არა მოსალოდნელი შედეგები რესურსების გამოყენებით და თუ ვერ იქნა მიღწეული, მიზეზების ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება საბოლოოდ პროგრამის პოლიტიკის და განხორციელების მექანიზმების შეცვლა.

შეფასების და მონიტორინგის ნაწილში უმნიშვნელოვანესია შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სწორად დაგეგმვა, როლების და პასუხისმგებლობების სწორად

გადანაწილება და ანგარიშვალდებულებების სისტემის ქმედითი სისტემის არსებობა დაწესებულებაში.

### 3. პროგრამული ბიუჯეტი

#### 3.1. რეკომენდაცია პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესის კოორდინირებისათვის

პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა თავის მხრივ გულისხმობს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვას საშუალოვადიან პერიოდში. საბიუჯეტო ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა და ანგარიშგება არის პროცესი და ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია, რომ სამინისტროებმა შექმნან სწორი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ჩართული მხარის მიერ საჭირო წვლილის შეტანას საშუალოვადიანი გეგმებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნებისათვის.

აღნიშნული მიზნით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმავე სამუშაო ჯგუფები, რომლებიც განხილულია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის ნაწილში (თავი 2.2). აღნიშნული ჯგუფი იკრიბება საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

წლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესში აღნიშნული კომპლექსური სამუშაო ჯგუფის ჩართვა ხელს შეუწყობს ბიუჯეტის რეფორმის პროცესში მმართველობითი რგოლის მხრიდან საბიუჯეტო პროცესისადმი უფრო სწორი მიდგომების ჩამოყალიბებას და საბოლოო ჯამში შედეგებზე დაფუძნებული საბიუჯეტო სისტემის დამკვიდრებას. აღნიშნული პროცესის პარალელურად ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება დაწესებულების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვავს საბიუჯეტო დოკუმენტაციის, მათ შორის პროგრამული ბიუჯეტის უკეთეს ხარისხს.

კანონმდებლობით დადგენილი წესით მხარჯავი დაწესებულებისათვის ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობების განსაზღვრის შემდეგ, მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო განაცხადის მომზადებისას, სამუშაო ჯგუფი განიხილავს ხარჯების განაწილების სხვადასხვა ვარიანტებს და ამტკიცებს ხარჯების საბოლოო გეგმებს, მიზანშეწონილია განსაზღვროს ზღვრული მოცულობები (ე.წ. ქვეჭერები) პროგრამების და ქვეპროგრამებისათვის. სამინისტროს სისტემაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებები/სსიპ-ები და სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან წარმოადგინონ საბიუჯეტო განაცხადები სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ფორმატით და განსაზღვრული ზღვრული მოცულობების ფარგლებში, ხოლო დამატებით ასიგნების ან დასაქმებულთა რიცხოვნობის მოთხოვნის



შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი იხილავს შესაბამის დასაბუთებას და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობების გადანაწილების შესახებ ან/და გადაწყვეტილებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის განაცხადის ზღვრულ მოცულობებს ზემოთ წარდგენის თაობაზე. სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებული საბიუჯეტო განაცხადის საბოლოო ვარიანტი წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

### **3.2 ბიუჯეტის სტრუქტურა**

ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდით დაგეგმვა გულისხმობს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ყურადღება გამახვილებულია დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელ შედეგებზე და მისი შესრულების შეფასების მაჩვენებლებზე და არა მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ ასიგნებებზე, რისი გათვალისწინებითაც სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შემუშავდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

#### **სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები (პირველი თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გასული და მიმდინარე წლებისათვის, ხოლო დასაგეგმი წლის მონაცემები უნდა დაიყოს საბიუჯეტო და დონორების დაფინანსებად. ასევე, აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

#### **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (მეორე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემოსავლების ჩაშლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე, გასული და მიმდინარე წლებისათვის.

#### **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მესამე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯების მთლიანი მოცულობა, არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა ჩაშლილი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, არაფინანსური აქტივების კლების მთლიანი მოცულობა ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით და ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (მეოთხე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა;
- ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მოცულობები ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- სახელმწიფო ვალდებულების ზრდის მოცულობა, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები ჩაშლილი პროექტების მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- ვალდებულებების კლების მაჩვენებელი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- შესაბამისი წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა ჩაშლილი კრედიტორების (გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების) მიხედვით.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (მეხუთე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები, ამ პრიორიტეტების ფარგლებში, შესაბამისი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები (ქვეპროგრამები/ღონისძიებები), მათი აღწერა და მიზანი.

ყველა პროგრამა დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტებთან და განხორციელდეს ამ პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტით ასევე, შესაძლებელია ფინანსდებოდეს ისეთი ღონისძიებები, რომელიც არ ემსახურება კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებას, მაგრამ მის ფარგლებში დაგეგმილ ქვეპროგრამებს და ღონისძიებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად და მათი განხორციელება ყველა პრიორიტეტისათვის აუცილებელია.

### **• პროგრამა**

პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. პროგრამის განხორციელებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება მხარჯავ

დაწესებულებას და მისი განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მხარჯავი დაწესებულება ან მის სისტემაში შემავალი/კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაცია

სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი.

პროგრამები უნდა ჩამოყალიბდეს მხარჯავი დაწესებულებების კომპეტენციიდან გამომდინარე. ერთი პროგრამის განმახორციელებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება ერთ მხარჯავ დაწესებულებას.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები თავისი შინაარსით არის გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომელთა ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგის მიღწევა შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში წარმოდგენილია თითოეული პროგრამის აღწერა და მიზანი, რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით.

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, პრიორიტეტის მიზანს. პროგრამას უნდა ჰქონდეს მისი მიზანი და ბიუჯეტი.

### **პროგრამა შინაარსით ძირითადად შეიძლება იყოს:**

#### **• მართვის და რეგულირების**

პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასთან და სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან. ამ ტიპის პროგრამა შესაძლოა იყოს წმინდა ადმინისტრირების და მართვის, როდესაც მოიცავს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა აპარატის შენახვის ხარჯები, ხოლო თუ პროგრამაში ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების გარდა ასევე, ერთიანდება პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურული დანაყოფების მიერ გასატარებელი ღონისძიებებიც, მაშინ პროგრამის ეს ტიპი უფრო პოლიტიკის რეგულირების ხასიათს იძენს.

სამინისტროების უმრავლესობაში არსებობს როგორც სამინისტროს ფუნქციონირების ტექნიკურ საკითხებზე მომუშავე, ასევე, შესაბამის სფეროში

პოლიტიკის შემუშავებელი დეპარტამენტები, რისი გათვალისწინებითაც სამინისტროების აპარატები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტული პროგრამის შემადგენელ ნაწილს, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს როგორც შესაბამისი სფეროს პოლიტიკის შემუშავების და პროგრამების მართვის პროგრამა, რომელიც შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების“ პროგრამის ტიპს, ხოლო თუ აპარატი მოიცავს მხოლოდ ადმინისტრაციულ და ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ხარჯებს, ჩამოყალიბდეს როგორც „პროგრამების ადმინისტრირება და მართვა“, რომელიც ასევე, „მართვისა და რეგულირების“ ტიპის პროგრამას განეკუთვნება.

მართვისა და რეგულირების პროგრამის ხარჯების გაანგარიშება/განფასება, ინდივიდუალური ხასიათისაა. თუმცა შესაძლებელია მისი გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნეს შემდეგი გარემოებები: პროგრამისათვის (მაგალითად, სამინისტროს ან სსიპ-ის აპარატი/ადმინისტრაცია) უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის აღწერა და მიზნები. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებების განფასების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გასულ და მიმდინარე წლებში პროგრამის ადმინისტრირებაზე გაწეული ხარჯები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს კაც/საათი ან კაც/დღე. (მაგალითის სახით იხილეთ დანართი №2ა - მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია 2.1-1);

პირობითად განისაზღვრება ერთი ადამიანის ხარჯი დღეში/საათში - ფაქტობრივი ადმინისტრაციული (ოფისი, კომუნალური და სხვა) ხარჯები (გარდა შრომის ანაზღაურება) იყოფა მთლიან საშტატო რიცხოვნობაზე, საიდანაც მიიღება ერთი ადამიანის ხარჯი დღეში/საათში შრომის ანაზღაურების გარდა. შემდეგ გამოითვლება ერთი ადამიანის საშუალო შრომის ანაზღაურება დღეში/საათში და სულ ერთი ადამიანის ხარჯი დღეში. ამის შემდეგ განისაზღვრება ხარჯები ღონისძიების მიხედვით, იმის გათვალისწინებით თუ რამდენი ადამიანი რამდენი საათის/დღის განმავლობაში ასრულებს შესაბამის ღონისძიებას (მაგალითის სახით იხილეთ დანართი №2ა - მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია 2.1-1);

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რაიმე კონკრეტული მომსახურების შესყიდვა, ან მაგალითად გარკვეული ტექნიკის ან ინვენტარის შესყიდვა, გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი ღონისძიებისთვის საჭირო ხარჯები.

#### ● მომსახურების მიწოდების

ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი

ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგრამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა ბენეფიციარიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია.

ამ ტიპის პროგრამის ხარჯების გაანგარიშება/განფასება შესაძლებელია განხორციელდეს ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გაანგარიშებისას უნდა დაემატოს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა გათვალისწინებით ხარჯები კაც/საათების მიხედვით, როგორც ეს გამოითვლება მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების შემთხვევაში. (მაგალითის სახით იხილეთ დანართი №2ა - მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია 2.1-1).

#### ● სუბსიდირების

მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე, გამოისახება რაოდენობრივ ინდიკატორებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე, შეფასდება სათანადო ინდიკატორებით.

ამ შემთხვევაში ხარჯების გაანგარიშება განხორციელდება რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბენეფიციარების რაოდენობა, ცალკეული ობიექტების რაოდენობა), ასევე, საჭიროების შემთხვევაში გაანგარიშებისას უნდა დაემატოს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა გათვალისწინებით ხარჯები კაც/საათების მიხედვით, როგორც ეს გამოითვლება მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების შემთხვევაში (მაგალითის სახით იხილეთ დანართი №2ა - მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია 2.1-1).

#### ● ინფრასტრუქტურული/კაპიტალური

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითადად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა,

ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ ინდიკატორებში. ამ ტიპის პროგრამების უმრავლესობა თავის მხრივ მოხვედბა კაპიტალური ბიუჯეტის დანართშიც.

პროგრამის ხარჯი გაიანგარიშება კონკრეტული ღონისძიების განსახორციელებლად (მშენებლობა, რეაბილიტაცია, აღჭურვა) საჭირო ფინანსური რესურსის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია ინტელექტუალურ შრომასთან, დაემატება ხარჯები კაც/საათების მიხედვით (მაგალითის სახით იხილეთ დანართი №2ა - მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია 2.1-1).

პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:

- **მიმდინარე (მუდმივი)** – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც მხარჯავი დაწესებულებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება;

- **მრავალწლიანი** – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალ-წლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახუროდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომელთა საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) ძირითად შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც თავის მხრივ პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

- **ერთწლიანი (მოკლევადიანი)** – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა საბოლოოა და იგი, თავის მხრივ არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

გარდა პროგრამებისა, სახელმწიფო ბიუჯეტით შესაძლებელია დაფინანსდეს ისეთი მხარჯავი დაწესებულებები, რომლებიც თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში არ წარმოადგენენ პროგრამებს და ქვეპროგრამებს, მაგრამ მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნის ფუნქციონირებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მხარჯავი დაწესებულება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში წარმოდგენილი არ არის პროგრამული სტრუქტურის მიხედვით, მე-5 თავში აუცილებელია გაიწეროს, თუ რას ემსახურება მისი ფუნქციონირება.

პროგრამების გამოვლენისას მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს

შემდეგი ფაქტორები:

- პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ქვეყნის რომელიმე პრიორიტეტს;
- თუ მხარჯავი დაწესებულების ძირითადი ფუნქციისა და ადმინისტრირების ხარჯების გამოყოფა შეუძლებელია, ადმინისტრირების ხარჯებიც გაერთიანდება იმ ძირითად პროგრამასთან, რომელსაც ემსახურება მხარჯავი დაწესებულება;
- პროგრამის განმახორციელებელი და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულება, ხოლო პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამების განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს ამავე მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაცია.
- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამა იქნება პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია, რომელსაც ექნება წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული გეგმა.

- **ქვეპროგრამები**

პროგრამების გამოკვეთის შემდეგ შესაძლებელია (უმეტეს შემთხვევაში ესეც ხდება) მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეყოლება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული ერთი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია და იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იმავე ტიპებად, როგორც პროგრამები.

ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

სახელმწიფო ბიუჯეტშიშესაძლებელია წარმოდგენილი იყოს თითოეული ქვეპროგრამის აღწერა, მიზანი და დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობის წარმოდგენა აუცილებელი არ არის იმ პროგრამების ქვეპროგრამებზე, რომლებიც თავისი შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების ტიპს“.

მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ქვეპროგრამა შესაძლოა თავის მხრივ კიდევ იშლებოდეს ქვეპროგრამებად (ტექნიკური დონე), რომელთა დიდი ნაწილი ვერ მოხვდება წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ მე-5 თავში, თუმცა მათი ამ დონეზე ჩაშლა აუცილებელი პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებისა

და სწორად აღრიცხვისთვის შინაარსობრივი ან ტექნიკური მიზნებიდან გამომდინარე:

- შინაარსობრივ მიზნებში იგულისხმება, რომელიმე კონკრეტული ღონისძიების აღრიცხვის გამოყოფა საერთო ქვეპროგრამიდან (მეტი გამჭვირვალობისა და ინფორმირებულობის მიზნებისათვის). ასეთი ტიპის ქვეპროგრამები ხშირ შემთხვევაში შესაძლოა ემთხვეოდეს საშულოვადიანი სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
- ტექნიკურ მიზნებში იგულისხმება (პროგრამის/ქვეპროგრამის ჩაშლა განმახორციელებელი უწყებების დონეზე, მაგალითად „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებებს განკარგავენ შესაბამისი პროფესიული სასწავლებლები და შესაბამისად აღნიშნული ქვეპროგრამის ჩაშლა ტექნიკურ დონეზე აუცილებელი იმ დეტალიზაციით, რაც ერთი პროფესიული სასწავლებლის კომპეტენციაში ექცევა).

სამინისტროებმა და სხვა მხარჯავმა დაწესებულებებმა მიზანშეწონილია ქვეპროგრამები ისე ჩამოაყალიბონ, რომ თითოეული მათგანის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყოს ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული), ამასთან, შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია ახორციელებდეს რამდენიმე ქვეპროგრამას.

ისეთი პროგრამები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, შესაძლებელია დაიყოს არა ქვეპროგრამებად, არამედ სხვადასხვა კაპიტალურ პროექტებად, თუმცა თავისი შინაარსით აღნიშნული პროექტებიც ქვეპროგრამებს წარმოადგენს.

პროგრამის ტექნიკურად განხორციელების თვალსაზრისით ყველა პროგრამა/ქვეპროგრამა წლიური ბიუჯეტი განწერაში იყოფა ქვეპროგრამულ დონეზე, ისე რომ თითოეულ ასეთ ქვეპროგრამას (ღონისძიებას) ჰყავდეს აუცილებლად ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია განმახორციელებლად.

### **საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება (მეექვსე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროგრამებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები და იმ მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობა, რომლებიც ბიუჯეტში არ არიან წარმოდგენილი პროგრამული სტრუქტურით. ასევე, ამ თავში წარმოდგენილი იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა კატეგორიის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისათვის გამოყოფილი ასიგნებები.

პროგრამები და მათი დაფინანსება დაჯგუფებული უნდა იყოს მხარჯავი



დაწესებულებების მიხედვით. თოთოეული მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების მთლიანი მოცულობა, აღნიშნულ თავში გათვალისწინებული ყველა პროგრამა, ქვეპროგრამა და ღონისძიება ჩაშლილი უნდა იყოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ პირველი თანრიგის მიხედვით, ხოლო „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ მეორე თანრიგის მიხედვით. ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების“ კატეგორიაში აუცილებელია გამოყოფილი იყოს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. ამავე თავში უნდა იყოს წარმოდგენილი მხარჯავი დაწესებულების საშტატო რიცხოვნობა.

წლიურ საბიუჯეტო კანონში პროგრამის დაფინანსება წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე, გასული და მიმდინარე წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმი წლის ასიგნებები გაყოფილი უნდა იყოს საბიუჯეტო სახსრებად და დონორების დაფინანსებად.

### **ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი (მეშვიდე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ტრანსფერების შესახებ.

წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკების და თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით ტრანსფერის მთლიანი მოცულობა და მათი ჩაშლა, თუ რამდენს შეადგენს გათანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერი.

მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შემთხვევაში აუცილებელია მიეთითოს, თუ რომელი დელეგირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი აღნიშნული ტრანსფერი.

### **მარეგულირებელი ნორმები (მერვე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითადი მუხლები, რომლებმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში უნდა დაარეგულირონ სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

### 3.3 ბიუჯეტის თანდართული მასალები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და წლიურ საბიუჯეტო კანონის პროექტთან ერთად წარედგინება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები, რომლებიც მოიცავს:

- კანონის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზები და მათი აღწერა, ასევე, უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულ ძირითად პროგრამებსა და ღონისძიებებს და მათი დაფინანსების მოცულობას;

- მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პარალელურად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართულ მასალებს ასევე, დაემატება ინფორმაციული დანართების ორი პაკეტი:

1. პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია.

2. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კაპიტალური პროექტების შესახებ.

#### 3.3.1 პროგრამული ბიუჯეტის დანართი

პროგრამების შესახებ ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში, კერძოდ, კანონის ძირითად ნაწილში მოცემული იქნება სრული ინფორმაცია, თუ რას ემსახურება პროგრამა, რა ძირითადი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისგან შედგება ის და რა მიზნის მიღწევას დაგეგმილი მისი განხორციელებით.

პროგრამული ბიუჯეტის დანართი არ მტკიცდება. აღნიშნული დანართი წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის კანონის პაკეტის ნაწილს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს. პროგრამული ბიუჯეტის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომ დოკუმენტი იყოს მარტივად აღსაქმელი, რეალური, კონკრეტული და გამოყენებადი. პროგრამული ბიუჯეტის დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი საჭიროებს შემდგომ განვითარებას, პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრას და

პარალელურად დაწესებულებებში შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმების სრულყოფილად დანერგვას. მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების საკანონმდებლო დონეზე აყვანის განხილვა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მაშინ როდესაც პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლებს ექნებათ სათანადო გამოცდილება და პროგრამების მართვის პრაქტიკა.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად, პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს. ასევე, თითოეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს და პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/დონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს.

პროგრამული ბიუჯეტის დანართი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურით:

- პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტზე მიმართული სახსრების შესახებ, მასში შემავალი პროგრამების მიხედვით, კერძოდ:

| პროგრამული კოდი             | დასახელება | დასაგეგმი წელი | მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | მ.შ. საკუთარი სახსრები | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|-----------------------------|------------|----------------|--------------------------------------|------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
|                             |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |
|                             |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |
|                             |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |
| სულ პრიორიტეტის დაფინანსება |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |

შემდგომ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- პროგრამის დასახელება;
- პროგრამის განმახორციელებელი;
- პროგრამის აღწერა;
- პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით).

|   |  |
|---|--|
| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი) |  |
|---|--|

| პროგრამის განმახორციელებელი                     |                      |                        |                                |                 |
|---|----------------------|------------------------|--------------------------------|-----------------|
| პროგრამის აღწერა და მიზანი                      |                      |                        |                                |                 |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი                      |                      |                        |                                |                 |
| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:           |                      |                        |                                |                 |
| №   | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები |
| 1.  |                      |                        |                                |                 |
| 2.  |                      |                        |                                |                 |
| 3.  |                      |                        |                                |                 |
| 4.  |                      |                        |                                |                 |
| 5.<br>(გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) |                      |                        |                                |                 |

შემდგომში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მასში შემავალი ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ, კერძოდ:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-5 თავის შესაბამისად);
- ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება;
- განმახორციელებელი ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული);
- ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა;
- ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
- ქვეპროგრამის/ღონისძიების შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით).

|   |  |
|---|--|
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) |  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი            |  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი             |  |
| მოსალოდნელი შუალედური შედეგი              |  |

| მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი: |                      |                        |                                |                 |
|---|----------------------|------------------------|--------------------------------|-----------------|
| №   | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები |
| 1.  |                      |                        |                                |                 |
| 2.  |                      |                        |                                |                 |
| 3.  |                      |                        |                                |                 |
| 4.  |                      |                        |                                |                 |
| 5.<br>(გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში)     |                      |                        |                                |                 |

### შუალედური და საბოლოო შედეგები

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის, ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ლონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა

რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

შესაბამისად, საბოლოო შედეგები განისაზღვრება პროგრამისათვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის. განსახვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთ-წლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

თავად წლიურ საბიუჯეტო კანონში გაწერილი უნდა იყოს პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგები აღწერილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ მასალებში.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ლონისძიების) აღწერაში. შუალედური და საბოლოო შედეგების სწორად და ნათლად ჩამოყალიბება იძლევა შესაძლებლობას სწორად და მარტივად შეფასდეს მიღწეული შედეგები, გამოიკვეთოს და გაანალიზდეს მიზეზები დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის განსხვავებების არსებობის შემთხვევაში, რათა შემდგომში მოხდეს სამინისტროებისა და უწყებების მიერ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში/სექტორულ სტრატეგიებსა თუ სამოქმედო გეგმებში აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინება და გამოსწორება.

პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს, ხოლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამებისა და ლონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეული, ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ლონისძიების) განხორციელება).

პროგრამის საბოლოო შედეგი უმეტეს შემთხვევაში ერთია, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა პროგრამის ფარგლებში რამდენიმე საბოლოო შედეგი იყოს განსაზღვრული, თუმცა ზოგადად არსებული პროგრამების მოცულობების და

არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით (ძირითადად პროგრამები გლობალური ხასიათისაა და საბოლოო შედეგიც შესაბამისად, გლობალურია). თითოეულ პროგრამაზე მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს არაუმეტეს 3 საბოლოო შედეგისა.

### **შესრულების შეფასების ინდიკატორები**

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე, არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორი.

ამასთან, პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნეს პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური

და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

- **კონკრეტული** - ნათელი და ადვილად აღსაქმელი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება;
- **გაზომვადი** - შესაძლებელი იყოს მიღწეული შედეგის შეფასება;
- **მიღწევადი** - შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება და არ უნდა მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;
- **შესაბამისი** - ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური;
- **დროში გაწერილი** - უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიზნული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

- რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;
- ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;
- ხარჯზე მიზნული ინდიკატორები აფასებს პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;
- ეფექტიანობის (effectiveness) ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;
- პროდუქტიულობის (efficiency) ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

ამასთან, პროგრამების შეფასებისას (განსაკუთრებით მომსახურების მიწოდების პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში) სასურველია რაოდენობრივ ინდიკატორთან ერთად მიეთითოს ერთი ხარისხობრივი ინდიკატორი მაინც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „გაზრდა“, „გაუმჯობესება“, „სრულყოფა“ არ წარმოადგენენ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით შერჩეულ შეფასების ინდიკატორებს. მით უფრო, რომ არ შეიცავს ზომის ერთეულს და შეუძლებელია მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნული საკითხის დარეგულირება შესაძლებელია საჭირო მონაცემების შეგროვებით, იმისათვის რომ მაქსიმალურად მიღწევადი იყოს რეალისტური და გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საწყის ეტაპზე შესაძლებელია დაიგეგმოს შესაბამისი



ლონისძიებები საჭირო მონაცემთა ბაზების შექმნის მიზნით საშუალოვადიან პერიოდში ინდიკატორების სისტემის შემუშავებისათვის.

**მაგალითი (3)**

„სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის“ პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება.

პროგრამის მოსალოდნელი ერთ-ერთი საბოლოო შედეგი შესაძლოა იყოს პატიმრების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა, საბოლოო შედეგის ინდიკატორი ამ შემთხვევაში იქნება პატიმრების 100%-ის უზრუნველყოფა შესაბამისი სტანდარტით ან პენიტენციარული სისტემის ყველა ობიექტის (100%) შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ამასთან, აუცილებელია საბაზო მაჩვენებელში მიეთითოს საბიუჯეტო წლის დაწყების მომენტისათვის არსებული მდგომარეობა და მაჩვენებელი. სასურველია ასევე, მიეთითოს ინდიკატორის დადასტურების საშუალებები (მაგ: კონკრეტული მეთოდით ჩატარებული კვლევა, სახალხო დამცველის ანგარიში, საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასების შედეგები).

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება“ ქვეპროგრამის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება პატიმართა და თავისუფლებადკვეთილ პირთათვის ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი სამართლებრივი გარანტიების შენარჩუნების გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგი შესაძლებელია იყოს თავისუფლებადკვეთილ პირთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

აღნიშნული ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი უნდა იყოს კონკრეტული საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის პატიმრების რაოდენობა, რომელთაც გაუმჯობესდა პირობები (ნომინალურ ან პროცენტულ გამოხატულებაში) ან/და პენიტენციარული სისტემის ობიექტების რაოდენობა (ნომინალურ ან პროცენტულ გამოხატულებაში), რომლებშიც არსებული პირობები მიუახლოვდება დასახულ სტანდარტს. ამასთან, საბაზო მაჩვენებლებში უნდა მიეთითოს საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის არსებული მდგომარეობა და მაჩვენებელი. სასურველია ასევე, მიეთითოს ინდიკატორის დადასტურების საშუალებები (მაგ: კონკრეტული მეთოდით ჩატარებული კვლევა, სახალხო დამცველის ანგარიში, საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასების შედეგები).

**3.3.2 კაპიტალური ბიუჯეტის დანართი**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2012 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია, შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის

ერთ-ერთ დანართად იქნება წარმოდგენილი.

კაპიტალურ ბიუჯეტში მოცემული ყველა პროექტი, თავის მხრივ, წარმოადგენს წლიური საბიუჯეტო კანონის რომელიმე პროგრამას ან მის შემადგენელ ნაწილს, თუმცა კაპიტალურ დანართში თავს მოიყრის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. დანართში წარმოდგენილი პროექტები დაჯგუფებული იქნება მათი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“<sup>16</sup>. ასევე, ამ ბრძანების მე-5 დანართით დამტკიცებულია საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების დეტალური მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრავს მათი მართვის წესებს და პროცედურებს, მონაწილე მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე.

კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის თანხა, რომელიც წლიურ საბიუჯეტო კანონში წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით, არ წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს და პირიქით, შესაძლებელია კაპიტალური პროექტის შემადგენელი ნაწილი იყოს ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. წლიურ საბიუჯეტო კანონში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით წარმოდგენილი ასიგნებები ასევე, შესაძლებელია იყოს კაპიტალური პროექტი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მუხლიდან ხშირ შემთხვევაში ასიგნებები მიემართება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დაკრედიტების ან/და კაპიტალის ზრდისთვის და სახელმწიფო საწარმოები ახორციელებენ მსხვილ კაპიტალურ პროექტებს.

გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალური პროექტები განხორციელდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი დაფინანსებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტსა და მის დანართებში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება, თუმცა პროექტის აღწერაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რა თანხას შეადგენს კერძო სექტორის დაფინანსება და აღწერილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალდებულებები.

ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელთათვისაც წლიური საბიუჯეტო კანონით

<sup>16</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3265745>

დაფინანსება გამოყოფილი არ არის, არ უნდა იყოს წარმოდგენილი არც ბიუჯეტის დანართებში.

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას. ამასთან, შესაძლებელია იყოს ისეთი კაპიტალური პროექტები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, მაგრამ მთავრობის რომელიმე პრიორიტეტის შემადგენელი ნაწილია (მაგ., სკოლების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება და სხვა). ყველა კაპიტალური პროექტი, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია დაფინანსება, აუცილებელია დაკავშირებული იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ რომელიმე პრიორიტეტთან.

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები;
- მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის (გარდა სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა), ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შემდგომ შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები;
- პროექტის ღირებულება უნდა მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს.

შესაძლებელია მხარჯავ დაწესებულებას ჰქონდეს მსგავსი შინაარსის რამდენიმე მცირე კაპიტალური პროექტი და თითოეული მათგანი არ აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს, ამ შემთხვევაში აღნიშნული პროექტები შინაარსობრივად უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი პროექტის სახით და შედარებით მცირე პროექტები სახელმწიფო ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება მისი ქვეპროექტების სახით.

შესაძლებელია არსებობდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს კაპიტალური პროექტის სახით.

წლიური საბიუჯეტო კანონის კაპიტალური დანართი დაყოფილი იქნება ორ

ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა პროექტის დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობა უნდა მოიცავდეს პროექტის მთლიან ღირებულებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ და დაგეგმილ ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

| კოდი | დასახელება      | პროექტის<br>სავარაუდო<br>ღირებულება | ფაქტი<br>გასული<br>წლის<br>ჩათვლით | მიმდინარე<br>წლის<br>გეგმა | დასაგეგმი<br>წლის<br>პროექტი | დასაგეგმი<br>+1 წელი<br>პროგნოზი | დასაგეგმი<br>+2 წელი<br>პროგნოზი | დასაგეგმი<br>+3 წელი<br>პროგნოზი |
|------|-----------------|-------------------------------------|------------------------------------|----------------------------|------------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
|      | პროექტი №1      |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №1   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №2   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №... |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | პროექტი №2      |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №1   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №2   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №... |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | პროექტი №...    |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №1   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №2   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |

მოცემულ ცხრილში პროექტის ფარგლებში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტები და ქვეპროექტების სახით იყოს წარმოდგენილი აღნიშნული პროექტის ფარგლებში თითოეული მხარჯავი დაწესებულების კაპიტალური პროექტები.

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროექტის და ქვეპროექტის აღწერა და შემდეგი ინფორმაცია:

- მთავრობის რომელი პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- რა შედეგს უნდა ველოდოთ პროექტის დასრულების შემდგომ;
- პროექტის მთლიანი ღირებულება;
- პროექტის დაფინანსების წყაროები, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამომდინარე წყაროები გაშლილი დონორების, ასევე, გრანტების და კრედიტების მიხედვით;
- დასაგეგმი წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები.

|   |  |
|---|--|
| <b>პროექტის დასახელება</b>  |  |
| პროექტის პროგრამული კოდი  |  |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი                                   |  |
| პროგრამის კოდი და დასახელება, რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში |  |
| პროექტის განმახორციელებელი  |  |
| პროექტის დაწყების თარიღი  |  |
| პროექტის დასრულების თარიღი  |  |
| პროექტის აღწერა და მიზანი   |  |
| დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ  |  |
| პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი   |  |
| პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი   |  |

ვინაიდან კაპიტალური პროექტები, თავის მხრივ, პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია და შესაბამისად, მათი მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერაში, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილს აღარ ითვალისწინებს.

#### **4. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და კვარტალური მიმოხილვა**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, ხოლო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგინება გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ვინაიდან, სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების უმეტესობა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში და ზოგიერთი მათგანის განხორციელება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა იწყებოდეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შეუძლებელი იქნება კვარტალური მიმოხილვების დროს გაანალიზდეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგები. ასევე, შეუძლებელი იქნება იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც პროგრამებისთვის ძირითადად გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე, ხოლო ქვეპროგრამებისათვის ერთ საბიუჯეტო წელზე, შეფასდეს წლის გარკვეულ პერიოდში მიღწეული შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შემდგომ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებით მიღწეულ შედეგებზე, ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვაში მაინც ძირითადად წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია დაგეგმილი და ფაქტობრივი ფისკალური მონაცემების შესახებ. საბიუჯეტო პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმის ჩართვის მიზნით მხარჯავი დაწესებულებების შიდა აუდიტის სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამების შესრულების კვარტალური მონიტორინგი და აუდიტი შერჩევითი მეთოდით, რათა შეფასდეს საბოლოო და შუალედური შედეგისკენ წინსვლის პროგრესი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვაში, გარდა ფისკალური მონაცემებისა, ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვის ანგარიშს თან უნდა დაერთოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების ექვსი თვის შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ

მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მომზადდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

### **თავი პირველი**

პირველ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც გეგმური, ასევე, ფაქტობრივი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ; ასევე, აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

### **თავი მეორე**

• პირველ ნაწილში მოცემული უნდა იყოს გასული წლის მაკროეკონომიკური ანალიზი და ინფორმაცია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის და ნომინალური მაჩვენებლების, ინფლაციის, განხორციელებული ინვესტიციების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესახებ;

• მეორე ნაწილში უნდა იყოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა და ძირითადი კატეგორიების მიხედვით გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები;

• მესამე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა, მათი გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნული მაჩვენებლები ჩაშლილი უნდა იყოს არანაკლებ იმავე დონეზე, როგორც ისინი წარმოდგენილი იქნებიან წლიურ საბიუჯეტო კანონში. ამასთან, ინფორმაცია გრანტების შესახებ, გარდა წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისა, მოცემული უნდა იყოს დონორებისა და პროექტების მიხედვით.

### **თავი მესამე**

მესამე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების აგრეგირებული მაჩვენებლები;

- საელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები;
- გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით;
- საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელებით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისების მდგომარეობა;
- მონაცემები ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული ტრანსფერების შესახებ, თოთოეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით.

### **თავი მეოთხე**

მეოთხე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მაჩვენებელი;
- ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მაჩვენებლები;
- სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მოცულობა წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის;
- სახელმწიფო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი;
- წლის განმავლობაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობა;
- საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტები ჩაშლილი დონორებისა და პროექტების მიხედვით;
- ვალდებულებების კლების მაჩვენებელი;
- საშინაო სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრები და საშინაო სახელმწიფო ვალის მოცულობა;
- საგარეო სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრები და საგარეო სახელმწიფო ვალის მოცულობა, ჩაშლილი კრედიტორების მიხედვით.

### **თავი მეხუთე**

მეხუთე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების შესახებ.

### **თავი მეექვსე**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების და მათი ფაქტობრივი შესრულების შესახებ.



სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს დანართების სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების წლიური შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლების, ასევე, პროგრამებისა და კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

### 5. ინფორმაცია პროგრამების შესრულების შესახებ

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

| პროგრამის კოდი | პრიორიტეტის დასახელება             | გეგმა               |                                | საკასო შესრულება    |                                |
|----------------|------------------------------------|---------------------|--------------------------------|---------------------|--------------------------------|
|                |                                    | მთლიანი დაფინანსება | მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა | მთლიანი დაფინანსება | მ.შ. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა |
|                | პროგრამა №1-ის დასახელება          |                     |                                |                     |                                |
|                | პროგრამა №2-ის დასახელება          |                     |                                |                     |                                |
|                | პროგრამა №3-ის დასახელება          |                     |                                |                     |                                |
|                | პროგრამა №4-ის დასახელება          |                     |                                |                     |                                |
|                | პროგრამა №5-ის დასახელება          |                     |                                |                     |                                |
|                | პროგრამა №...-ის დასახელება        |                     |                                |                     |                                |
|                | სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები |                     |                                |                     |                                |

მეორე ნაწილში წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ყველა პროგრამაზე და ქვეპროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- დასახელება;
- განმახორციელებელი;
- წლიური საბიუჯეტო კანონის დანართით გათვალისწინებული მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგი;
- შედეგის შეფასების ინდიკატორები (საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების მითითებით);
- განმარტება დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში.

### ინფორმაცია პროგრამის შესრულების თაობაზე

|                      |  |
|----------------------|--|
| პროგრამის დასახელება |  |
|----------------------|--|

|   |                      |                       |                                       |                                   |            |
|---|----------------------|-----------------------|---------------------------------------|-----------------------------------|------------|
| (პროგრამული კოდი)                               |                      |                       |                                       |                                   |            |
| პროგრამის განმახორციელებელი                     |                      |                       |                                       |                                   |            |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                      |                      |                       |                                       |                                   |            |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი                        |                      |                       |                                       | მიღწეული შედეგი                   |            |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი  |                      |                       | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი |                                   | განმარტება |
| №   | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი                  | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |            |
| 1.  |                      |                       |                                       |                                   |            |
| 2.  |                      |                       |                                       |                                   |            |
| 3.  |                      |                       |                                       |                                   |            |
| 4.  |                      |                       |                                       |                                   |            |
| 5.<br>(გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) |                      |                       |                                       |                                   |            |

ინფორმაცია ქვეპროგრამის შესრულების შესახებ

|  |                         |                          |  |   |            |
|--|-------------------------|--------------------------|--|---|------------|
| ქვეპროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი)             |                         |                          |  |   |            |
| ქვეპროგრამის<br>განმახორციელებელი                        |                         |                          |  |   |            |
| პროგრამის აღწერა და<br>მიზანი                            |                         |                          |  |   |            |
| დაგეგმილი შუალედური<br>შედეგი                            |                         |                          |  | მიღწეული<br>შედეგი                      |            |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის<br>შეფასების ინდიკატორი      |                         |                          | მიღწეული შედეგის<br>შეფასების ინდიკატორი |   | განმარტება |
| №  | საბაზისო<br>მაჩვენებელი | დაგეგმილი<br>მაჩვენებელი | მიღწეული<br>მაჩვენებელი                  | ცდომილების<br>მაჩვენებელი<br>(%/აღწერა) |            |
| 1.   |                         |                          |  |   |            |
| 2.   |                         |                          |  |   |            |
| 3.   |                         |                          |  |   |            |
| 4.   |                         |                          |  |   |            |
| 5.<br>(გენდერული,<br>ასეთის<br>არსებობის<br>შემთხვევაში) |                         |                          |  |   |            |

**6. ინფორმაცია კაპიტალური პროექტის შესრულების შესახებ**

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით:

| პროგრამული კოდი | დასახელება             | სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება | საანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარდა) | საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული თანხა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | შემდგომი წლების პროგნოზი | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები, საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულები ს ბოლომდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | პროექტის დაწყების ფაქტობრივი თარიღი | პროექტის დასრულები ს თარიღი |
|-----------------|------------------------|--|--|---|--------------------------------------|--------------------------|--|--|-------------------------------------|-----------------------------|
|                 | პროექტი №1             |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | ქვეპროექტი №1          |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | ქვეპროექტი №2          |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | ქვეპროექტი №...        |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | პროექტი №2             |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | ქვეპროექტი №1          |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | ქვეპროექტი №2          |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | პროექტი №...           |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | ქვეპროექტი №1          |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | ქვეპროექტი №2          |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |
|                 | სულ კაპიტალური ბიუჯეტი |  |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                             |

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული პროექტის და ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

## ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია

### 1. ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც განსაზღვრავს, პრიორიტეტების დოკუმენტის შესადგენად წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და მისი მომზადების ვადებს.

ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;
- ავტონომიური რესპუბლიკის გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის:
  - ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს;
  - ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებსა და მათი დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს;
  - აგრეგირებულ მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებულ დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას;

მიზანშეწონილია ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა განხორციელდეს შემდეგი სტრუქტურით:

- დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დასახული მიზნები, რისი მიღწევა სურს საშუალოვადიან პერიოდში და რა ძირითადი სამოქმედო გეგმები აქვს დასახული აღნიშნული

მიზნების მისაღწევად.

- მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს გასული საბიუჯეტო წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
- მესამე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული პროგნოზები;
- მეოთხე ნაწილში წარმოდგენილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მონაცემები საშუალოვადიანი პერიოდისათვის;
- დოკუმენტის მეხუთე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი წლებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები;
- დოკუმენტის მეექვსე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები;
- დოკუმენტის ბოლო ნაწილში მოცემული იქნება ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი თითოეული პროგრამის დაფინანსების მოცულობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის. აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაზე მიმართული მთლიანი სახსრები.

## 2. ბიუჯეტის სტრუქტურა

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის შემდგომ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელ შედეგებზე და არა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ ასიგნებებზე, რისი გათვალისწინებითაც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა შემუშავდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

### 2.1 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები (პირველი თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გასული და მიმდინარე წლებისათვის, ხოლო

დასაგეგმი წლის მონაცემები უნდა იქნეს წარმოდგენილი ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით. ასევე აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

## **2.2 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები (მეორე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემოსავლების ჩაშლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის. დასაგეგმი წლისათვის გრანტებით მისაღები სახსრები წარმოდგენილი უნდა იყოს წყაროების მიხედვით.

## **2.3 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მესამე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯების მთლიანი მოცულობა (ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტის და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით), არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა ჩაშლილი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტის და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით), არაფინანსური აქტივების კლების მთლიანი მოცულობა ჩაშლილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით და ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების და დონორების დაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით).

## **2.4 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (მეოთხე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა;
- ფინანსური აქტივების ცვლილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის;
- ვალდებულებების კლების მაჩვენებელი გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლებისათვის.

## **2.5 – ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები**



## და პროგრამები (მეხუთე თავი)

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები, ამ პრიორიტეტების ფარგლებში, შესაბამისი წლის განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები (ქვეპროგრამები/ლონისძიებები), მათი აღწერა და მიზანი.

ძირითადად ყველა პროგრამა დაკავშირებული უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებთან და განხორციელდეს ამ პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად, თუმცა ბიუჯეტში შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი რამდენიმე პროგრამა, რომელიც არ ემსახურება კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებას, მაგრამ მის ფარგლებში დაგეგმილ ქვეპროგრამებს და ღონისძიებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ფუნქციების შესასრულებლად და მათი განხორციელება ყველა პრიორიტეტისათვის აუცილებელია.

### 2.5.1 – პროგრამა

პროგრამა წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი.

პროგრამები უნდა ჩამოყალიბდეს მხარჯავი დაწესებულებების კომპეტენციიდან გამომდინარე. ერთი პროგრამის განმახორციელებელი უნდა იყოს ერთი მხარჯავი დაწესებულება.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომლებიც განხორციელდება კონკრეტული წლის განმავლობაში.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროგრამის აღწერა და მიზანი, ანუ უნდა გაიწეროს რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით.

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, პრიორიტეტის მიზანს. პროგრამას უნდა ჰქონდეს მისი მიზანი და ბიუჯეტი.

- პროგრამა შინაარსით ძირითადად შეიძლება იყოს:

### » მართვის და რეგულირების

პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში ზოგადი პოლიტიკის შემუშავებასთან და სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან. ამ ტიპის პროგრამა შესაძლოა იყოს წმინდა ადმინისტრირების და მართვის, როდესაც მოიცავს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა აპარატის შენახვის ხარჯები, ხოლო თუ პროგრამაში ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების გარდა ასევე ერთიანდება პოლიტიკის დამგეგმავი სტრუქტურული დანაყოფების მიერ გასატარებელი ღონისძიებებიც, მაშინ პროგრამის ეს ტიპი უფრო რეგულირების ხასიათს იძენს.

ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების უმრავლესობაში არსებობს როგორც სამინისტროს ფუნქციონირების ტექნიკურ საკითხებზე მომუშავე, ასევე შესაბამის სფეროში პოლიტიკის შემუშავებელი დეპარტამენტები, რისი გათვალისწინებითაც სამინისტროების აპარატები, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტული პროგრამის შემადგენელ ნაწილს, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს როგორც შესაბამისი სფეროს პოლიტიკის შემუშავების და პროგრამების მართვის პროგრამა, რომელიც შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების“ პროგრამის ტიპს, ხოლო თუ აპარატი მოიცავს მხოლოდ ადმინისტრაციულ და ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ხარჯებს, ჩამოყალიბდეს როგორც „პროგრამების ადმინისტრირება და მართვა“, რომელიც ასევე „მართვისა და რეგულირების“ ტიპის პროგრამას განეკუთვნება.

### » მომსახურების მიწოდების

ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწყვეს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგრამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლების ბენეფიციარიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია.

### » სუბსიდირების

მსგავსი ტიპის პროგრამები და მისი ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, ავტონომიური რესპუბლიკის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების

პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ ინდიკატორებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით.

#### » ინფრასტრუქტურული

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ ინდიკატორებში. ამ ტიპის პროგრამების უმრავლესობა თავის მხრივ მოხვდება კაპიტალური ბიუჯეტის დანართშიც.

#### ● პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:

» მიმდინარე (მუდმივი) – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც მხარჯავი დაწესებულებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება.

» მრავალწლიანი – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახუროდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომელთა საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) ძირითად შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც თავის მხრივ პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

» ერთწლიანი (მოკლევადიანი) – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა საბოლოოა და იგი, თავის მხრივ არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

გარდა პროგრამებისა, რომლებსაც რესპუბლიკის პრიორიტეტების ფარგლებში ახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით შესაძლებელია დაფინანსდეს საერთო რესპუბლიკური

მნიშვნელობის გადასახდელები, როგორცაა სარეზერვო ფონდები, ტრანსფერები ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე, ვალების მომსახურება და დაფარვა და სხვა.

შესაძლებელია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულება, მისი ფუნქციების სპეციფიკიდან გამომდინარე არ იყოს წარმოდგენილი პროგრამებად და ქვეპროგრამებად, თუმცა ამ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მე-5 თავში აუცილებელია გაიწეროს, თუ რას ემსახურება მისი ფუნქციონირება.

პროგრამების გამოვლენისას მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ავტონომიური რესპუბლიკის აღმსრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ავტონომიური რესპუბლიკის რომელიმე პრიორიტეტს;

თუ მხარჯავი დაწესებულების ძირითადი ფუნქციისა და ადმინისტრირების ხარჯების გამოყოფა შეუძლებელია, ადმინისტრირების ხარჯებიც გაერთიანდება იმ ძირითად პროგრამასთან, რომელსაც ემსახურება მხარჯავი დაწესებულება;

- პროგრამის განმახორციელებელი და საბოლოო შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ერთი მხარჯავი დაწესებულება, ხოლო პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამების განმახორციელებელი შესაძლებელია იყოს ამავე მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაცია. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ქვეპროგრამებს უმეტეს შემთხვევაში ერთი განმახორციელებელი ეყოლება;

- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამა იქნება პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი კატეგორია, რომელსაც ექნება ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული გეგმა.

### **2.5.2 – ქვეპროგრამები/ლონისძიებები**

პროგრამების გამოკვეთის შემდეგ აუცილებელია მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეყოლება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული ერთი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია და იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იგივე ტიპებად, როგორც პროგრამები.

ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში აუცილებელია წარმოდგენილი იყოს თითოეული ქვეპროგრამის აღწერა, მიზანი და დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობის წარმოდგენა აუცილებელი არ არის იმ

პროგრამების ქვეპროგრამებზე, რომლებიც თავისი შინაარსით განეკუთვნება „მართვისა და რეგულირების ტიპს“.

მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე ქვეპროგრამა შესაძლოა თავის მხრივ მოიცავდეს ღონისძიებებს. ღონისძიებები და მათი დაფინანსება უმეტეს შემთხვევაში ვერ მოხვდება პროგრამული ბიუჯეტის კანონის ძირითად თავებში, მიუხედავად ამისა, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას აუცილებელია თითოეული პროგრამის და ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების ზუსტი ჩამონათვალის და აღწერის განსაზღვრა, ვინაიდან რეალურად სწორედ წარმატებულად განხორციელებული თითოეული ღონისძიების მოკლევადიან შედეგზე დამოკიდებული მთლიანი პროგრამის შესრულების ხარისხი.

ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა და სხვა მხარჯავმა დაწესებულებებმა მიზანშეწონილია ქვეპროგრამები ისე ჩამოაყალიბონ, რომ თითოეული მათგანის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყოს ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული), ამასთან, შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია ახორციელებდეს რამდენიმე ქვეპროგრამას.

ისეთი პროგრამები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, შესაძლებელია დაიყოს არა ქვეპროგრამებად, არამედ სხვადასხვა კაპიტალურ პროექტებად, თუმცა თავისი შინაარსით აღნიშნული პროექტებიც ქვეპროგრამებს წარმოადგენს.

## **2.6 – საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება (მეექვსე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროგრამებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები და იმ მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობა, რომლებიც ბიუჯეტში არ არიან წარმოდგენილი პროგრამული სტრუქტურით. ასევე ამ თავში წარმოდგენილი იქნება საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები, როგორცაა კანონმდებლობით განსაზღვრული სარეზერვო ფონდები, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერები, ვალების მომსახურება და დაფარვა და სხვა.

პროგრამები და მათი დაფინანსება დაჯგუფებული უნდა იყოს მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების მთლიანი მოცულობა. აღნიშნულ თავში გათვალისწინებული ყველა პროგრამა, ქვეპროგრამა და ღონისძიება ჩაშლილი უნდა იყოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ პირველი თანრიგის მიხედვით, ხოლო „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ მეორე თანრიგის მიხედვით. ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯები“-ს კატეგორიაში აუცილებელია გამოყოფილი იყოს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. ამავე თავში უნდა იყოს წარმოდგენილი მხარჯავი დაწესებულების სამტატო რიცხოვნობა.

წლიურ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში პროგრამის დაფინანსება წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც დასაგეგმი, ასევე გასული და მიმდინარე წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმი წლის ასიგნებებში გაყოფილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები და დონორების დაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამულ ფორმატში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი პირველად შემუშავდება 2013 წლისთვის, 2013 წლის ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ 2013 წლისთვის (დასაგეგმი წელი), ხოლო 2014 წლის ბიუჯეტი 2013-2014 წლებისთვის (მიმდინარე და დასაგეგმი წლები).

### **2.7 – მარეგულირებელი ნორმები (მეშვიდე თავი)**

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითადი მუხლები, რომლებმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში უნდა დაარეგულირონ ბიუჯეტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

### **3. ბიუჯეტის თანდართული მასალები**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები, რომლებიც მოიცავს:

- კანონის პროექტის განმარტებით ბარათს, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზები;
- მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პარალელურად ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართულ მასალებს ასევე ემატება ინფორმაციული დანართები:

- პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, სადაც წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესახებ.

### 3.1 – პროგრამული ბიუჯეტის დანართი

პროგრამების შესახებ ძირითადი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მე-5 თავში, კერძოდ, კანონის ძირითად ნაწილში მოცემული იქნება სრული ინფორმაცია, თუ რას ემსახურება პროგრამა, რა ძირითადი ქვეპროგრამების და ღონისძიებებისგან შედგება ის და რა მიზნის მიღწევას დაგეგმილი მისი განხორციელებით.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება პროგრამასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე არ დამტკიცდება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ და არ მიეცემა კანონის იურიდიული ძალა. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე საკმაოდ რთული იქნება მოსალოდნელი შედეგების და შეფასების ინდიკატორების სწორად განსაზღვრა და მათი თავიდანვე კანონით დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ზოგიერთი პროგრამის ან/და ქვეპროგრამის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკად არ განიხილება, ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის საწყის ეტაპზე პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუშლის პროგრამული ბიუჯეტის სისტემის შემდგომ განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების საკანონმდებლო დონეზე აყვანა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მაშინ როდესაც პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებლებს ექნებათ სათანადო გამოცდილება და პროგრამების მართვის პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემული ინფორმაცია არ დამტკიცდება და არ ექნება კანონის ძალა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ძირითადი აქცენტი სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაზე იქნება გადატანილი.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა პროგრამის დაფინანსებას და შესაბამისად პრიორიტეტზე მიმართული სახსრების მთლიან ჯამს. ასევე თითოეული პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს და პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს.

პროგრამული ბიუჯეტის დანართი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურით:

- პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტზე მიმართული სახსრების შესახებ, მასში შემავალი პროგრამების მიხედვით, კერძოდ:

| პროგრამული კოდი | დასახელება | დასაგეგმი წელი | მათ შორის, ბიუჯეტიდან | მათ შორის, საკუთარი | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|-----------------|------------|----------------|-----------------------|---------------------|-------------------|-------------------|-------------------|
|-----------------|------------|----------------|-----------------------|---------------------|-------------------|-------------------|-------------------|

|                 |                           |  |                      |          |  |  |  |
|-----------------|---------------------------|--|----------------------|----------|--|--|--|
|                 |                           |  | მიღებული დაფინანსება | სახსრები |  |  |  |
|                 | პროგრამა №1-ის დასახელება |  |                      |          |  |  |  |
|                 | პროგრამა №2-ის დასახელება |  |                      |          |  |  |  |
|                 | პროგრამა №3-ის დასახელება |  |                      |          |  |  |  |
| სულ დაფინანსება | პრიორიტეტის               |  |                      |          |  |  |  |

- შემდგომ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
  - პროგრამის დასახელება;
  - პროგრამის განმახორციელებელი;
  - პროგრამის აღწერა;
  - პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
  - პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით).

| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი)       |                      |                        |                                |                 |
|---|----------------------|------------------------|--------------------------------|-----------------|
| პროგრამის განმახორციელებელი                     |                      |                        |                                |                 |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                      |                      |                        |                                |                 |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი                      |                      |                        |                                |                 |
| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:           |                      |                        |                                |                 |
| №   | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები |
| 1.  |                      |                        |                                |                 |
| 2.  |                      |                        |                                |                 |
| 3.  |                      |                        |                                |                 |
| 4.  |                      |                        |                                |                 |
| 5.<br>(გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) |                      |                        |                                |                 |



შემდგომში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მასში შემავალი ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ, კერძოდ:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-5 თავის შესაბამისად);
- ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება;
- განმახორციელებელი ორგანიზაცია (ან მისი სტრუქტურული ერთეული);
- ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა;
- ქვეპროგრამის/ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
- ქვეპროგრამის/ღონისძიების შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით).

| ქვეპროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი)             |                         |                           |                                      |                 |
|--|-------------------------|---------------------------|--------------------------------------|-----------------|
| ქვეპროგრამის<br>განმახორციელებელი                        |                         |                           |                                      |                 |
| ქვეპროგრამის აღწერა და<br>მიზანი                         |                         |                           |                                      |                 |
| მოსალოდნელი შუალედური<br>შედეგი                          |                         |                           |                                      |                 |
| მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:      |                         |                           |                                      |                 |
| №  | საბაზისო<br>მაჩვენებელი | მიზნობრივი<br>მაჩვენებელი | ცდომილების<br>ალბათობა<br>(%/აღწერა) | შესაძლო რისკები |
| 1.   |                         |                           |                                      |                 |
| 2.   |                         |                           |                                      |                 |
| 3.   |                         |                           |                                      |                 |
| 4.   |                         |                           |                                      |                 |
| 5.<br>(გენდერული,<br>ასეთის<br>არსებობის<br>შემთხვევაში) |                         |                           |                                      |                 |

### შუალედური და საბოლოო შედეგები

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება

შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს არსებულ პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება ავტონომიური რესპუბლიკის მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი, საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

შესაბამისად საბოლოო შედეგები უმეტესად განისაზღვრება პროგრამისთვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის (ღონისძიებებისათვის). განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

თავად წლიურ ბიუჯეტში გაწერილი უნდა იყოს პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგები აღწერილი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თანდართულ მასალებში.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი

დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს, ხოლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების და ღონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეული, ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ღონისძიების) განხორციელება).

## შესრულების შეფასების ინდიკატორები

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არა უმეტეს 5 ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

- სასარგებლო – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;
- შედეგზე ორიენტირებული – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან

მიმართებას;

- ნათელი და გაზომვადი – იოლად აღქმადი და გასაგები ერთ ადწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;

- შესაბამისი და მიღწევადი – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;

- შედარებითი – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიზნული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

- რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;

- ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;

- ხარჯზე მიზნული ინდიკატორები აფასებს პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;

- ეფექტიანობის ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;

- ეფექტურობის ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

### 3.2 – კაპიტალური ბიუჯეტის დანართი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს 2013 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებას ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის, რომელიც თავისი შინაარსით საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია. შესაბამისად, იგი პროგრამული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და ბიუჯეტის კანონის ერთ-ერთ დანართად იქნება წარმოდგენილი.

კაპიტალურ ბიუჯეტში მოცემული ყველა პროექტი, თავის მხრივ, წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის რომელიმე პროგრამას ან მის შემადგენელ ნაწილს, თუმცა კაპიტალურ დანართში თავს მოიყრის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა კაპიტალური პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. დანართში წარმოდგენილი პროექტები დაჯგუფებული იქნება მათი შინაარსიდან გამომდინარე და არა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვა რეგულირდება საქართველოს

მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“<sup>17</sup>. ასევე, ამ ბრძანების მე-5 დანართით დამტკიცებულია საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების დეტალური მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრავს მათი მართვის წესებს და პროცედურებს, მონაწილე მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე.

კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის თანხა, რომელიც წლიურ ბიუჯეტში წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით, არ წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს და პირიქით, შესაძლებელია კაპიტალური პროექტის შემადგენელი ნაწილი იყოს ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. რიგ შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკის წლიურ ბიუჯეტში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით წარმოდგენილი ასიგნებები ასევე შესაძლებელია იყოს კაპიტალური პროექტი.

გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალური პროექტები განხორციელდეს საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი დაფინანსებით. ამ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და მის დანართებში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება, თუმცა პროექტის აღწერაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ რა თანხას შეადგენს კერძო სექტორის დაფინანსება და აღწერილი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალდებულებები.

ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელთათვისაც ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონით დაფინანსება გამოყოფილი არ არის, არ უნდა იყოს წარმოდგენილი არც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დანართებში.

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას. ამასთან, შესაძლებელია იყოს ისეთი კაპიტალური პროექტები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ განვითარებასთან, მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის რომელიმე პრიორიტეტის შემადგენელი ნაწილია (მაგ., სკოლების რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება და სხვა). ყველა კაპიტალური პროექტი, რომლისთვისაც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან

<sup>17</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3265745>

გამოყოფილია დაფინანსება, აუცილებელია დაკავშირებული იყოს რომელიმე პრიორიტეტთან.

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები;

- მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები;

- პროექტის ღირებულება უნდა მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს.

შესაძლებელია მხარჯავ დაწესებულებას ჰქონდეს მსგავსი შინაარსის რამდენიმე მცირე კაპიტალური პროექტი და თითოეული მათგანი არ აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს, ამ შემთხვევაში აღნიშნული პროექტები შინაარსობრივად უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი პროექტის სახით და შედარებით მცირე პროექტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება მისი ქვეპროექტების სახით.

შესაძლებელია არსებობდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს კაპიტალური პროექტის სახით.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კაპიტალური დანართი დაყოფილი იქნება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა პროექტის დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობა უნდა მოიცავდეს პროექტის მთლიან ღირებულებაზე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეულ და დაგეგმილ ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

| კოდი | დასახელება       | პროექტის<br>სავარაუდო<br>ღირებულება | ფაქტი<br>გასული<br>წლის<br>ჩათვლით | მიმდინარე<br>წლის<br>გეგმა | დასაგეგმი<br>წლის<br>პროგნოზი | დასაგეგმი<br>+1 წელი<br>პროგნოზი | დასაგეგმი<br>+2 წელი<br>პროგნოზი | დასაგეგმი<br>+3 წელი<br>პროგნოზი |
|------|------------------|-------------------------------------|------------------------------------|----------------------------|-------------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
|      | პროექტი №1       |                                     |                                    |                            |                               |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი<br>№1 |                                     |                                    |                            |                               |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი<br>№2 |                                     |                                    |                            |                               |                                  |                                  |                                  |

|                 |  |  |  |  |  |  |  |  |
|-----------------|--|--|--|--|--|--|--|--|
| ქვეპროექტი №... |  |  |  |  |  |  |  |  |
| პროექტი №2      |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №1   |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №2   |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №... |  |  |  |  |  |  |  |  |
| პროექტი №...    |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №1   |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №2   |  |  |  |  |  |  |  |  |

მოცემულ ცხრილში პროექტის ფარგლებში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტები და ქვეპროექტების სახით იყოს წარმოდგენილი აღნიშნული პროექტის ფარგლებში თითოეული მხარჯავი დაწესებულების კაპიტალური პროექტები.

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროექტის და ქვეპროექტის აღწერა და შემდეგი ინფორმაცია:

- ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების რომელი პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- რა შედეგს უნდა ველოდოთ პროექტის დასრულების შემდგომ;
- პროექტის მთლიანი ღირებულება;
- პროექტის დაფინანსების წყაროები, მათ შორის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი წყაროები გაშლილი დონორების, ასევე გრანტების და კრედიტების მიხედვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დასაგეგმი წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები.

| პროექტის დასახელება  |  |
|--|--|
| პროექტის პროგრამული კოდი   |  |
| პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი                                  |  |
| პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში |  |
| პროექტის განმახორციელებელი   |  |
| პროექტის აღწერა და მიზანი  |  |
| დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ   |  |
| პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი  |  |
| პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი  |  |
| პროექტის დაწყების თარიღი   |  |

ვინაიდან კაპიტალური პროექტები თავის მხრივ პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია და შესაბამისად მათი მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერაში, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი მოსალოდნელი შედეგების და შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილს აღარ ითვალისწინებს.

#### **4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და კვარტალური მიმოხილვა**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ამზადებს და უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, ხოლო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში – გასული წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

ვინაიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების უმეტესობა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში და ზოგიერთი მათგანის განხორციელება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა იწყებოდეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შეუძლებელი იქნება კვარტალური მიმოხილვების დროს გაანალიზდეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგები. ასევე შეუძლებელი იქნება იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც პროგრამებისთვის ძირითადად გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე, ხოლო ქვეპროგრამებისათვის ერთ საბიუჯეტო წელზე, შეფასდეს წლის გარკვეულ პერიოდში მიღწეული შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის შემდგომ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებით მიღწეულ შედეგებზე, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვაში მაინც ძირითადად წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია დაგეგმილი და ფაქტობრივი ფისკალური მონაცემების შესახებ. საბიუჯეტო პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმის ჩართვის მიზნით მხარჯავი დაწესებულებების შიდა აუდიტის სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამების შესრულების კვარტალური მონიტორინგი და აუდიტი შერჩევითი მეთოდით, რათა შეფასდეს საბოლოო და შუალედური შედეგისკენ წინსვლის პროგრესი.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მიმოხილვაში, გარდა ფისკალური მონაცემებისა, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით ავტონომიური რესპუბლიკის



რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მომზადდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

### **თავი პირველი**

პირველ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ (მათ შორის, უნდა გამოიყოს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები და დონორების დაფინანსება).

ასევე, აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

### **თავი მეორე**

მეორე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების შესახებ (ვალდებულებების ზრდის გარეშე) მიმოხილვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად მისი ძირითადი კატეგორიების მიხედვით გეგმური და ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები; აღნიშნული მაჩვენებლები ჩაშლილი უნდა იყოს არანაკლებ იმავე დონეზე, როგორც ისინი წარმოდგენილი იქნებიან ავტონომიური რესპუბლიკის წლიურ საბიუჯეტო კანონში. ამასთან, ინფორმაცია გრანტების შესახებ, წარმოდგენილი უნდა იყოს წყაროების მიხედვით.

### **თავი მესამე**

მესამე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

– ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების აგრეგირებული მაჩვენებლები;

– გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით;

– ინფორმაცია საერთო რესპუბლიკური დანიშნულების გადასახდელების ათვისების მდგომარეობის შესახებ;

– ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული ფინანსური დახმარების შესახებ, თითოეული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით.

– მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მაჩვენებელი;

– ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მაჩვენებლები;

– ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის

მოცულობა წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

– ვალდებულებების კლების მაჩვენებელი, ვალების დაფარვა და დარჩენილი ნაწილის მოცულობა კრედიტორების მიხედვით.

**თავი მეოთხე**

• მეოთხე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ.

**თავი მეხუთე**

• აღნიშნულ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების და მათი ფაქტობრივი შესრულების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს დანართების სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამებისა და კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

**5. ინფორმაცია პროგრამის შესრულების შესახებ**

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

| პროგრამის კოდი | პრიორიტეტის დასახელება             | გეგმა               |   | საკასო შესრულება    |   |
|----------------|------------------------------------|---------------------|---|---------------------|---|
|                |                                    | მთლიანი დაფინანსება | მ.შ. რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები | მთლიანი დაფინანსება | მ.შ. რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები |
|                | პროგრამა №1-ის დასახელება          |                     |   |                     |   |
|                | პროგრამა №2-ის დასახელება          |                     |   |                     |   |
|                | პროგრამა №3-ის დასახელება          |                     |   |                     |   |
|                | პროგრამა №4-ის დასახელება          |                     |   |                     |   |
|                | პროგრამა №5-ის დასახელება          |                     |   |                     |   |
|                | პროგრამა №...-ის დასახელება        |                     |   |                     |   |
|                | სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები |                     |   |                     |   |

• მეორე ნაწილში ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონით

გათვალისწინებულ ყველა პროგრამაზე, ქვეპროგრამაზე და ღონისძიებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- დასახელება;
- განმახორციელებელი;
- ავტონომიური რესპუბლიკის წლიური საბიუჯეტო კანონის დანართით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგი;
- წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგი;
- შედეგის შეფასების ინდიკატორები;
- განმარტება დაგეგმილთან შედარებით განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში.

აღნიშნული ინფორმაცია პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი სტრუქტურით:

|   |  |                          |  |   |            |
|---|--|--------------------------|--|---|------------|
| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი)         |  |                          |  |   |            |
| პროგრამის<br>განმახორციელებელი                    |  |                          |  |   |            |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                        |  |                          |  |   |            |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი                          |  |                          |  | მიღწეული<br>შედეგი                      |            |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების<br>ინდიკატორი |  |                          | მიღწეული შედეგის<br>შეფასების ინდიკატორი |   | განმარტება |
| №   | საბაზისო<br>მაჩვენებელი                            | დაგეგმილი<br>მაჩვენებელი | მიღწეული<br>მაჩვენებელი                  | ცდომილების<br>მაჩვენებელი<br>(%/აღწერა) |            |
| 1.  |  |                          |  |   |            |
| 2.  |  |                          |  |   |            |
| 3.  |  |                          |  |   |            |
| 4.  |  |                          |  |   |            |
| 5.  | (გენდერული,<br>ასეთის<br>არსებობის<br>შემთხვევაში) |                          |  |   |            |

|   |   |                       |                                       |                                   |            |
|---|---|-----------------------|---------------------------------------|-----------------------------------|------------|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) |   |                       |                                       |                                   |            |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი            |   |                       |                                       |                                   |            |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი             |   |                       |                                       |                                   |            |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                            |   |                       |                                       | მიღწეული შედეგი                   |            |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი      |   |                       | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი |                                   | განმარტება |
| №   | საბაზისო მაჩვენებელი                      | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი                  | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |            |
| 1.  |   |                       |                                       |                                   |            |
| 2.  |   |                       |                                       |                                   |            |
| 3.  |   |                       |                                       |                                   |            |
| 4.  |   |                       |                                       |                                   |            |
| 5.  | (გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) |                       |                                       |                                   |            |

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერაში სხვა ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაფინანსების წყაროს შესახებ. კერძოდ, არის ეს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები თუ არის ტრანსფერი (მათ შორის, მიეთითოს თუ რომელი სახის სტრანსფერია), გრანტი ან სხვა სახის დაფინანსების წყარო. განმარტება უნდა გაკეთდეს ასევე, იმ შემთხვევაშიც, როცა დაფინანსების განხორციელდა 2 ან მეტი სხვადასხვა წყაროდან.

თუ მნიშვნელოვანია (30%-ზე მეტი) სხვაობა ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის, განმარტებების გრაფაში მოცემული უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთება თუ რამ გამოიწვია აღნიშნული.

ამ თავის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სარეზერვო ფონდიდან და წინა წლების დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფონდებიდან გამოყოფილი თანხის მოცულობას (გეგმიური და ფაქტიური

მაჩვენებლები), მიზნობრიობას და თანხის გამოყოფის თარიღს.

**6. ინფორმაცია კაპიტალური პროექტის შესრულების შესახებ**

• პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით დაგეგმილ და ფაქტობრივ ფისკალურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით:

| პროგრამული კოდი | დასახელება             | ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება | საანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარდა) | საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული თანხა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | შემდგომი წლების პროგნოზი | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები, საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულების ბოლომდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | პროექტის დაწყების ფაქტობრივი თარიღი | პროექტის დასრულების ფაქტობრივი თარიღი |
|-----------------|------------------------|---|--|--|--------------------------------------|--------------------------|--|---|-------------------------------------|---------------------------------------|
|                 | პროექტი №1             |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | ქვეპროექტი №1          |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | ქვეპროექტი №2          |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | ქვეპროექტი №...        |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | პროექტი №2             |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | ქვეპროექტი №1          |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | ქვეპროექტი №2          |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | პროექტი №...           |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | ქვეპროექტი №1          |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | ქვეპროექტი №2          |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |
|                 | სულ კაპიტალური ბიუჯეტი |   |  |  |                                      |                          |  |   |                                     |                                       |

• დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული პროექტის და ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

## ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია

### 1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის თვითმმართველი ერთეულის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმების შესახებ. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც გასულ პერიოდზე, ასევე, მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე.

პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა/განახლებას ძირითადად ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისას თვითმმართველობის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა და შესაბამისმა სამსახურებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, რომ დაცული იქნას შესაბამისობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და შესაბამის რეგიონული განვითარების სტრატეგიას შორის.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში ყოველი შემდგომი წლის საბიუჯეტო პროცესი იწყება 1 მარტიდან, როდესაც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა/განახლების სამუშაოების ორგანიზების შესახებ.

ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი 15 აგვისტომდე. მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციები და მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულები იწყებენ მუშაობას საბიუჯეტო განაცხადზე პრიორიტეტის დოკუმენტის პირველადი ვარიანტის ფარგლებში მოწონებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობის მიხედვით.

თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, წლიური ბიუჯეტის პროექტთან ერთად,

წარუდგენს ყოველი წლის არაუგვიანეს 15 ნოემბრისა. საბიუჯეტო განაცხადი მზადდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (E-Budget) მეშვეობით.

ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს ასევე წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

### **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**

მუნიციპალიტეტის მერის მიერ (არა უგვიანეს 1 მარტამდე) გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიზანშეწონილია განისაზღვროს და დარეგულირდეს შემდეგი საკითხები:

1. განისაზღვროს ბრძანების მიზანი - პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლება, შემდგომი წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება.
2. მუნიციპალური სამსახურების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა. ჯგუფს სასურველია ხელმძღვანელობდეს მერი ან მერის ის მოადგილე რომელიც კურირებს საბიუჯეტო პროცესს, ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ მერის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ყველა სფეროს წამყვანი თანამდებობის პირები. საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენისას კონსულტაციების მიღების მიზნით, კომისიაში შესაძლებელია მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტიც.
3. აქტით უნდა დადგინდეს კონკრეტული ვადები, თუ როდის უნდა მოხდეს შესაბამისი სამსახურების (მათ შორის, მუნიციპალური სსიპ-ის/ა(ა)იპ-ის მიერ საფინანსო სამსახურისათვის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კანონით დადგენილი ვადების გათვალისწინებით. მუნიციპალური სამსახურების, მათ შორის საფინანსო სამსახურის მიერ, ინფორმაცია უნდა დამუშავდეს და მოცემული იქნას საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებისა და ამ მეთოდოლოგიით დადგენილი ფორმების შესაბამისად.
4. აქტით უნდა განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.

### **მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა**

პრიორიტეტების დოკუმენტი მიზანშეწონილია შედგებოდეს 3 თავისგან და მასში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია, შემდეგი თანმიმდევრობით:

### **თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ**

პირველი თავი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ:

- ✓ დასახელება; რაიონული ცენტრი; მუნიციპალიტეტში ქალაქის, დაბის, თემის და სოფლის რაოდენობა;
- ✓ ფართობი (%-ულად რეგიონთან, ქვეყანასთან); გზების სიგრძე;
- ✓ მოსახლეობის რაოდენობა (%-ულად რეგიონთან, ქვეყანასთან);
- ✓ ქალაქად/სოფლად მაცხოვრებელი; ქალის/კაცის, 0-5 წლამდე ბავშვების, სკოლის ასაკის ბავშვების და პენსიონერთა რაოდენობა;
- ✓ მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- ✓ სოციალურად დაუცველთა რაოდენობა;
- ✓ მაღალმთიან დასახლებებში მაცხოვრებლების რაოდენობა;
- ✓ ბიუჯეტის მოცულობა (მიმდინარე წლის);
- ✓ სხვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ.

### **თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

#### **2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი**

- ✓ ბიუჯეტის შემოსულობები (საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი მუხლების და დაფინანსების წყაროების მიხედვით) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის. დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები შემოსულობების პროგნოზირება ხორციელდება გასული ორი და მიმდინარე წლების შემოსავლების ტენდენციის გათვალისწინებით. ამასთან, პროგნოზირებისას გასათვალისწინებელია, რომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ის სახსრები, რომლებიც უკავშირდებოდა ერთჯერადი ხასიათის ღონისძიებებს (სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია, კულტურული და სპორტული ერთჯერადი ღონისძიებების დაფინანსება და სხვა);
- ✓ ბიუჯეტის გადასახდელებს (საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი მუხლებისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის.



- ✓ ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გასული, მიმდინარე წლის, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის
- 2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება
- ✓ ამ ქვეთავში მოცემული უნდა იყოს ძირითად საკითხები გასული წლის ბიუჯეტის შესრულებიდან და მიმდინარე წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება.

### **თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში**

ამ თავში ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომ 3 წლისათვის. პრიორიტეტების დოკუმენტის პირველ ვარიანტში ამ თავით განისაზღვრება მხოლოდ თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების ფარგლებში, ასევე პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსების საპროგნოზო მაჩვენებელი მომდევნო 4 წლისათვის. პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების აღწერა და მიზნები. პრიორიტეტების გადამუშავებულ ვარიანტში, რომელიც წარედგინება საკრებულოს საბიუჯეტო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდგომი 4 წლის განმავლობაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა პრიორიტეტის და პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა, მიზნები და ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები.

პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროები და მათი დაფინანსების დინამიკა პირველ რიგში უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს, უნდა უზრუნველყოფდეს იმ პრობლემების მოგვარებას რაც დასტურდება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციით. პრიორიტეტების დაფინანსების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, რაც მოქმედი კანონმდებლობით გააჩნიათ მუნიციპალიტეტებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პრიორიტეტების დოკუმენტის საშემოსავლო ნაწილის საპროგნოზო მაჩვენებლებზე, კერძოდ, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფინანსური რესურსები რისი მობილიზების რეალური საშუალება არსებობს და არ მოხდეს ფინანსური რესურსის არარეალურ გათვლებზე საშუალოვადიანი მიზნებისა და ამოცანების დასახვა. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა პრიორიტეტების განსაზღვრისას ასევე მხედველობაში უნდა მიიღონ ქვეყნის საერთო პოლიტიკა, ცენტრალური ხელისუფლების დასახული პრიორიტეტები, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და

მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული საშუალოვადიანი ფისკალური მაჩვენებლები.

საშუალოვადიანი პროგნოზის მომზადებისას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელონ პროგნოზის შედგენის მომენტისთვის მოქმედ (წინა წელს მომზადებული) პრიორიტეტების დოკუმენტში განსაზღვრული ასიგნებების ზღვრული მოცულობებით, არსებული ტენდენციებით და იმ გეგმების გათვალისწინებით, რაც გაწერილია მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრატეგიებით და სამოქმედო გეგმებით (მაგ: დეცენტრალიზაციის სტრატეგია, რეგიონული განვითარების სტრატეგია და სხვა). მთლიანი ასიგნებების, შესაბამისად შემოსულობების ზღვრული მოცულობის გაზრდა, მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილში შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დასაბუთებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

დოკუმენტში უნდა გაიმიჯნოს პრიორიტეტის და პროგრამების დაფინანსების ოდენობა არსებული (მიმდინარე) პოლიტიკის განხორციელების მიზნებისა და ახალი ინიციატივების მიზნებისათვის.

მე-3 თავის პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტების დაფინანსების ზღვრული ოდენობისა (საკუთარი შემოსავლების ფარგლებში) და ჯამური დაფინანსების მიხედვით და იგი მიზანშეწონილია მოცემული იყოს შემდეგი სტრუქტურით:

**ასიგნებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა (საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)**

*თანხა ათას ლარებში*

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება                       | რიცხოვნობა | დასაგეგმი წელი | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|------------------|--|------------|----------------|-------------------|-------------------|-------------------|
| 01 00            | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები   |            |                |                   |                   |                   |
| 02 00            | ინფრასტრუქტურის განვითარება                  |            |                |                   |                   |                   |
| 03 00            | დასუფთავება და გარემოს დაცვა                 |            |                |                   |                   |                   |
| 04 00            | განათლება                                    |            |                |                   |                   |                   |
| 05 00            | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი              |            |                |                   |                   |                   |
| 06 00            | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |            |                |                   |                   |                   |

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | რიცხოვნობა | დასაგეგმი წელი | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|------------------|------------------------|------------|----------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სულ ბიუჯეტი      |                        |            |                |                   |                   |                   |

**პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)**

*თანხა ათას ლარებში*

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება                       | დასაგეგმი წელი | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|------------------|--|----------------|-------------------|-------------------|-------------------|
| 01 00            | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები   |                |                   |                   |                   |
| 02 00            | ინფრასტრუქტურის განვითარება                  |                |                   |                   |                   |
| 03 00            | დასუფთავება და გარემოს დაცვა                 |                |                   |                   |                   |
| 04 00            | განათლება                                    |                |                   |                   |                   |
| 05 00            | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი              |                |                   |                   |                   |
| 06 00            | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |                |                   |                   |                   |
| სულ ბიუჯეტი      |  |                |                   |                   |                   |

**პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის და ახალი ინიციატივების დასაფინანსებლად ჯამურად)**

*თანხა ათას ლარებში*

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება                     | დასაგეგმი წელი | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|------------------|--|----------------|-------------------|-------------------|-------------------|
| 01 00            | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები |                |                   |                   |                   |
| 02 00            | ინფრასტრუქტურის განვითარება                |                |                   |                   |                   |
| 03 00            | დასუფთავება და გარემოს დაცვა               |                |                   |                   |                   |
| 04 00            | განათლება                                  |                |                   |                   |                   |

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება                       | დასაგეგმი წელი | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|------------------|--|----------------|-------------------|-------------------|-------------------|
| 05 00            | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი              |                |                   |                   |                   |
| 06 00            | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |                |                   |                   |                   |
| სულ ბიუჯეტი      |  |                |                   |                   |                   |

იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება ან იგეგმება ისეთი პრიორიტეტის დაფინანსება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პრიორიტეტების ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში, შესაძლებელია ჩამონათვალს, შემდგომი რიგითი კოდით, დაემატოს პრიორიტეტის დასახელება. მაგ: პრიორიტეტის კოდი - 07 00 „ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“.

პრიორიტეტების ჯამური დაფინანსების წარმოდგენის შემდგომ, პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული პრიორიტეტის დაფინანსებაზე ცალ-ცალკე. ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს პრიორიტეტში შემავალ ყველა პროგრამაზე, შესაბამისი ასიგნებებით და პროგრამის აღწერით.

პროგრამები მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი სტრუქტურით:

თანხა ათას ლარებში

| პროგრამული კოდი                   | პროგრამის დასახელება | დასაგეგმი წელი | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|-----------------------------------|----------------------|----------------|-------------------|-------------------|-------------------|
|                                   |                      |                |                   |                   |                   |
|                                   |                      |                |                   |                   |                   |
|                                   |                      |                |                   |                   |                   |
|                                   |                      |                |                   |                   |                   |
|                                   |                      |                |                   |                   |                   |
| პრიორიტეტის დასახელება (სულ ჯამი) |                      |                |                   |                   |                   |

შემდგომ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ პროგრამის დასახელება და პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- ✓ პროგრამის აღწერა და მიზანი;

პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტში, რომელიც საკრებულოს

წარედგინება 15 ნოემბრამდე წლიური ბიუჯეტის პროექტთან ერთად პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამული ბიუჯეტის დანართით.

## 2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტი

### პროგრამა

პროგრამა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დასახული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. პროგრამის განხორციელებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს. მუნიციპალიტეტის სამსახურები (მათ შორის, მუნიციპალური სსიპ, ააიპ) შესაძლებელია იყოს როგორც ერთი, ასევე, რამდენიმე პროგრამის განმახორციელებელი.

წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები თავისი შინაარსით არის გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები, რომელთა ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგის მიღწევა შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში.

პროგრამები, შესაბამისი აღწერით, მიზნებით, შედეგებით და საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებით (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების, ცდომილების ალბათობის აღწერისა და შესაძლო რისკების მითითებით) მოცემული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მე-3 თავში და მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის მე-2 თავში.

პროგრამა შესაძლებელია იყოს რამდენიმე ტიპის, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთო საბოლოო შედეგების მიღებას, პრიორიტეტის მიზანს. პროგრამას უნდა ჰქონდეს მისი მიზანი და ბიუჯეტი.

პროგრამა შინაარსით ძირითადად შეიძლება იყოს:

✓ მართვის და რეგულირების

პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ

ფუნქციონირებას.

მართვისა და რეგულირების პროგრამის ხარჯების გაანგარიშება/განფასება, ინდივიდუალური ხასიათისაა. თუმცა შესაძლებელია მისი გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნეს შემდეგი გარემოებები: პროგრამისათვის (მაგ. წლიური ბიუჯეტით საკრებულოს, გამგეობის, მუნიციპალური ააიპ-ის, სსიპ-ის დაფინანსება) უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის აღწერა და მიზნები. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებების განფასების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გასულ და მიმდინარე წლებში პროგრამის ადმინისტრირებაზე გაწეული ხარჯები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს კაც/საათი ან კაც/დღე.

პირობითად განისაზღვრება ერთი ადამიანის ხარჯი დღეში/საათში - ფაქტობრივი ადმინისტრაციული (ოფისი, კომუნალური და სხვა) ხარჯები (გარდა შრომის ანაზღაურება) იყოფა მთლიან საშტატო რიცხოვნობაზე, საიდანაც მიიღება ერთი ადამიანის ხარჯი დღეში/საათში შრომის ანაზღაურების გარდა. შემდეგ გამოითვლება ერთი ადამიანის საშუალო შრომის ანაზღაურება დღეში/საათში და სულ ერთი ადამიანის ხარჯი დღეში. ამის შემდეგ განისაზღვრება ხარჯები ღონისძიების მიხედვით, იმის გათვალისწინებით თუ რამდენი ადამიანი რამდენი საათის/დღის განმავლობაში ასრულებს შესაბამის ღონისძიებას.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რაიმე კონკრეტული მომსახურების გაწევა, ან მაგალითად გარკვეული ტექნიკის ან ინვენტარის შესყიდვა, გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი ღონისძიებისთვის საჭირო ხარჯები.

#### ✓ მომსახურების მიწოდების

ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგრამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალური დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა ბენეფიციარიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია.

ამ ტიპის პროგრამის ხარჯების გაანგარიშება/განფასება შესაძლებელია განხორციელდეს ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გაანგარიშებისას უნდა დაემატოს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა გათვალისწინებით ხარჯები კაც/საათების მიხედვით, როგორც ეს გამოითვლება მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების შემთხვევაში.

✓ სუბსიდირების

მსგავსი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას, სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე, გამოისახება რაოდენობრივ ინდიკატორებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე, შეფასდება სათანადო ინდიკატორებით.

ამ შემთხვევაში ხარჯების გაანგარიშება განხორციელდება რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბენეფიციარების რაოდენობა, ცალკეული ობიექტების რაოდენობა), ასევე, საჭიროების შემთხვევაში გაანგარიშებისას უნდა დაემატოს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა გათვალისწინებით ხარჯები კაც/საათების მიხედვით, როგორც ეს გამოითვლება მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების შემთხვევაში.

✓ ინფრასტრუქტურული/კაპიტალური

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითადად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ ინდიკატორებში. ამ ტიპის პროგრამების უმრავლესობა თავის მხრივ მოხვედება კაპიტალური ბიუჯეტის დანართშიც.

პროგრამის ხარჯი გაიანგარიშება კონკრეტული ღონისძიების განსახორციელებლად (მშენებლობა, რეაბილიტაცია, აღჭურვა) საჭირო ფინანსური რესურსის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია ინტელექტუალურ შრომასთან, დაემატება ხარჯები კაც/საათების მიხედვით.

პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:

- ✓ მიმდინარე (მუდმივი) – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც მუნიციპალიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება;

- ✓ მრავალწლიანი – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახურებოდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომელთა საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) ძირითად შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც თავის მხრივ პროგრამის შემადგენელი ნაწილია.
- ✓ ერთწლიანი (მოკლევადიანი) – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა შესაძლოა მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა საბოლოოა და იგი, თავის მხრივ არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

### ქვეპროგრამა

პროგრამების გამოკვეთის შემდეგ შესაძლებელია (უმეტეს შემთხვევაში ესეც ხდება) მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად. ქვეპროგრამა თავის მხრივ წარმოადგენს კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იმავე ტიპებად, როგორც პროგრამები.

ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა ძირითადად უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ქვეპროგრამის დაფინანსების მოცულობა, აღწერა, მიზანი, შედეგი და მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები. რიგი ქვეპროგრამებისა ასევე მოცემული უნდა იყოს პრიორიტეტების დოკუმენტში. პრიორიტეტების დოკუმენტში ამა თუ იმ ქვეპროგრამის წარმოდგენის მიზანშეწონილობა განისაზღვრება რამოდენიმე მაჩვენებლით: თუ პროგრამა ზოგადი ხასიათისაა და მასზე მოცემული ინფორმაცია (აღწერა და მიზნები) არ ქმნის ნათელ წარმოდგენას გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობის შესახებ მიზანშეწონილია ესეთი პროგრამა ჩაიშალოს ქვეპროგრამებად; სხვა ქვეპროგრამებთან შედარებით დიდია ამ ქვეპროგრამის ასიგნებების მოცულობა; ქვეპროგრამის ხანგრძლივობა 1 წელზე მეტია და მარტივად პროგნოზირებადია მისი ასგნებების ზღვრული



მოცულობების განსაზღვრა მომავალი წლებისათვის და სხვა.

მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ქვეპროგრამა შესაძლოა თავის მხრივ კიდევ იშლებოდეს ქვეპროგრამებად და ღონისძიებებად, რომელთათვის წლიური ბიუჯეტში ასიგნებების განსაზღვრა და ცალკე პროგრამული კოდის მინიჭება არაა სავალდებულო. ამ ღონის ქვეპროგრამისა და ღონისძიების წლიურ ბიუჯეტში დამოუკიდებელ კოდად ასხვა ყოველ კონკრეტული შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტია. თუმცა ასეთი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების აღწერა აუცილებელია წლიური ბიუჯეტის მე-2 თავის იმ ნაწილში სადაც ამ მეთოდოლოგიით მოცემულ ფომაში შესავსებია ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერის გრაფა.

### **შუალედური და საბოლოო შედეგები**

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის, ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ,

ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

შესაბამისად, საბოლოო შედეგები განისაზღვრება პროგრამისათვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის. განსახვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც.

საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა უმეტეს შემთხვევაში ერთ-წლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას მუნიციპალიტეტების მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ლონისძიების) აღწერაში. შუალედური და საბოლოო შედეგების სწორად და ნათლად ჩამოყალიბება იძლევა შესაძლებლობას სწორად და მარტივად შეფასდეს მიღწეული შედეგები. აუცილებელია გაანალიზდეს მიზეზები დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის განსხვავებების არსებობის შემთხვევაში, რათა შემდგომში მოხდეს ხარვეზების გათვალისწინება და გამოსწორება.

პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები, მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს, ხოლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი განმახორციელებელი კონკრეტული მუნიციპალური სამსახური (მუნიციპალური ააიპ, სსიპ, შპს ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ღონისძიების) განხორციელება).

პროგრამის საბოლოო შედეგი უმეტეს შემთხვევაში ერთია, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა პროგრამის ფარგლებში რამდენიმე საბოლოო შედეგი იყოს განსაზღვრული, თუმცა ზოგადად არსებული პროგრამების მოცულობების და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით (ძირითადად პროგრამები გლობალური ხასიათისაა და საბოლოო შედეგიც შესაბამისად, გლობალურია). თითოეულ პროგრამაზე მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს არაუმეტეს 3 საბოლოო შედეგისა.

### **შესრულების შეფასების ინდიკატორები**

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების

შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსაზღვრულ ღონისძიებათა რა ნაწილია შესრულებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე, არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

- კონკრეტული - ნათელი და ადვილად აღსაქმელი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება;
- გაზომვადი - შესაძლებელი იყოს მიღწეული შედეგის შეფასება;
- მიღწევადი - შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება და არ უნდა მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;
- შესაბამისი - ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური;
- დროში გაწერილი - უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიზნული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

- რაოდენობრივი ინდიკატორები აღწერს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;

- ხარისხობრივი ინდიკატორები აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;

- ხარჯზე მიზნული ინდიკატორები აფასებს პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში;

- ეფექტიანობის (effectiveness) ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯულ რესურსებთან მიმართებაში;

- პროდუქტიულობის (efficiency) ინდიკატორები აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

ამასთან, პროგრამების შეფასებისას (განსაკუთრებით მომსახურების მიწოდების პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში) სასურველია რაოდენობრივ ინდიკატორთან ერთად მიეთითოს ერთი ხარისხობრივი ინდიკატორი მაინც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „გაზრდა“, „გაუმჯობესება“, „სრულყოფა“ არ წარმოადგენენ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით შერჩეულ შეფასების ინდიკატორებს. მით უფრო, რომ არ შეიცავს ზომის ერთეულს და შეუძლებელია მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნული საკითხის დარეგულირება შესაძლებელია საჭირო მონაცემების შეგროვებით, იმისათვის რომ მაქსიმალურად მიღწევადი იყოს რეალისტური და გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საწყის ეტაპზე შესაძლებელია დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები საჭირო მონაცემთა ბაზების შექმნის მიზნით საშუალოვადიან პერიოდში ინდიკატორების სისტემის შემუშავებისათვის.

### 3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კაპიტალური ბიუჯეტი

კაპიტალურ ბიუჯეტში ძირითადად იგულისხმება ისეთი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის არსებით გაუმჯობესებას. ამასთან, შესაძლებელია იყოს ისეთი კაპიტალური პროექტები/ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან, მაგრამ წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის

პრიორიტეტის შემადგენელი ნაწილს (მაგ., საბავშვო-ბაღების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების მშენებლობა და სხვა).

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 30,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 2 წელზე ნაკლები;

- მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 1 წელზე ნაკლები;

- პროექტის ღირებულება უნდა მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს.

გამონაკლისის სახით შესაძლებელია არსებობდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს კაპიტალურ ბიუჯეტში.

#### 4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების პროგნოზირებადი ფინანსური რესურსების ფარგლებში უნდა მოამზადოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა საფუძვლად უნდა დაედოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, ყველა იმ ქვეპროგრამასა და პროგრამას რომლებიც შემდგომში აისახება წლიურ ბიუჯეტში.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის ერთგვარი გაგრძელებაცაა და მისი წინაპირობაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორივე დოკუმენტი ყოველწლიურად განახლებადი ციკლის ფარგლებში მზადდება და ერთმანეთისგან გამომდინარეობენ. პრიორიტეტების დოკუმენტი უფრო გლობალური ხასიათისაა და მასში მოყვანილია ძირითადი პრიორიტეტული სფეროების და პროგრამების დაფინანსება, ხოლო სამოქმედო გეგმა ამავე პერიოდზე პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო კონკრეტული ღონისძიებების აღწერაა. აღნიშნულ დოკუმენტში ღონისძიებების განსაზღვრა ხორციელდება ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, ეს დოკუმენტი

გამოიყენებული უნდა იქნეს როგორც ხიდი შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმებსა, პრიორიტეტების დოკუმენტსა და პროგრამულ ბიუჯეტს შორის. ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტი შედეგებზეა ორიენტირებული, ხოლო პრიორიტეტების დოკუმენტი აგრეგირებულ მაჩვენებლებს წარმოგვიდგენს საშუალოვადიანმა სამოქმედო გეგმამ უნდა უზრუნველყოს თითოეული პროგრამის შედეგის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებების პროგნოზირება, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრა და მასზე დაყრდნობით შიდა მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების აწყობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რთულია გათვალისწინო და გააკეთო შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები იმ ღონისძიებებისა, რომელიც მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს მომავალი 4 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა შეძლოს და დეტალურ ღონისძიებებზე გაწეროს ის პროგნოზირებადი ფინანსური სახსრები, რაც მოცემულია პრიორიტეტების დოკუმენტში და სწორად მიუსადაგოს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ მიზნებს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმით წარმოდგენილ ღონისძიებებში ცვლილებების განხორციელებაში მუნიციპალიტეტი შეზღუდული არ არის და კონკრეტული ღონისძიების ცვლილების, გაუქმების ან ახლის დამატების შესაძლებლობა მას წარმოეჩნება ყოველწლიურად.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ. სამოქმედო გეგმა მტკიცდება მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც მუნიციპალიტეტის შიდა მოხმარების დოკუმენტია და მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფის და უწყების შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ფარგლებში გამოვლენილი რეკომენდაციებისა და წინადადებების საფუძველზე.

გეგმის სწორად და კვალიფიციურად შემუშავებაზე მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული წლიური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ეფექტური და მიზნობრივი განკარგვა. სრულყოფილად მომზადებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა ფინანსური რესურსის ცვლილების შემთხვევაში (როგორც ზრდა, ასევე შემცირება), მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვნად უმარტივებს სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას. იგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შედეგზე ორიენტირებული წლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესში.

გასათვალისწინებელია, რომ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი საშუალოვადიან პერიოდში გააგრძელებს მუშაობას. შესაბამისად, ეს ღონისძიებები თავისი შინაარსით საკმაოდ კონკრეტულ და დეტალურ ქმედებებს უნდა აღწერდეს, რაც გულისხმობს, რომ

მათ მომზადებაში ჩართულნი უნდა იყვნენ უშუალოდ შემსრულებლები, ის პირები, ვინც ყველაზე ახლოს და დეტალურად იცნობენ მიმდინარე პროცესებს.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი გეგმით განსახორციელებელ ღონისძიებებზე, ამ ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობებზე (არსებული და დამატებითი რესურსები) და მათი განხორციელების ვადებზე გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნას მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში გამართული კონსულტაციების საფუძველზე. საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაშიც, ისევე როგორც პრიორიტეტების დოკუმენტში, უნდა გაიმიჯნოს ის ღონისძიებები და მათი დაფინანსების ოდენობები, რომლებიც აუცილებელია არსებული პოლიტიკის გაგრძელებისათვის და ახალი ინიციატივებისათვის.

ბრძანებით განსაზღვრული უნდა იყოს თითოეული პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულებაზე და შესაბამისად ამ პროგრამიდან/ქვეპროგრამიდან გამომდინარე ღონისძიების დაგეგმვაზე და შესრულებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალური სამსახური (მათ შორის, მუნიციპალური სსიპ, ააიპ) აღნიშნული გულისხმობს, რომ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენა ვერ იქნება ერთი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენცია, მაგალითად, საფინანსო სამსახურის. პროცესში ყველა მუნიციპალური სამსახურის ჩართვაა აუცილებელი. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ თითოეული ღონისძიების განხორციელების ყველა ეტაპზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს შესაბამისი შემსრულებელი, შესაბამისი სამსახური. მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა, ისევე როგორც პრიორიტეტების დაკუმენტისა და წლიური ბიუჯეტის მოზადების პროცესში, აქაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესს.

დასაგეგმი და შემდგომი 3 წლისათვის საშუალოვადიან გეგმაზე მუშაობა მიზანშეწონილია დაიწყოს 1 მარტიდან, როდესაც გამოიცემა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. ბრძანების მიხედვით კონკრეტული მუნიციპალური სამსახურებისათვის უნდა განისაზღვროს გეგმების მომზადების და საფინანსო სამსახურისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების კონკრეტული ვადები. დოკუმენტის განახლება ხორციელდება მოქმედი პრიორიტეტების დოკუმენტის და დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრების ჩარჩოს ქვეშ.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე სამუშაო ჯგუფი მუშაობას ასრულებს და მტკიცდება არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.

სამოქმედო გეგმას შესაძლებელია ჰქონდეს დანართი, რომელშიც ასახული იქნება ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც არსებული პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული ასიგნებების ზღვრული მოცულობის ფარგლებში ვერ განხორციელდება, თუმცა რის თაობაზეც პასუხისმგებელი უწყება აპირებს მოლაპარაკებები აწარმოოს სამუშაო ჯგუფთან პრიორიტეტების დოკუმენტის განახლებისას ასიგნებების ზღვრული ოდენობის გაზრდის თაობაზე. პრიორიტეტების

დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში თუ მნიშვნელოვნად იცვლება საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შინაარსი ან/და დაფინანსების მოცულობა, მათ შორის, თუ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტის შემუშავებიდან ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე ან მას შემდგომ (მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფისას), თუ მოხდება პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული შემოსულობების ზემოთ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზება, მაშინ ეს თანხები ასევე ასახული უნდა იქნას განახლებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში, სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის პროექტის მომზადება. შემუშავებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში მოცემული ღონისძიებები, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით უნდა გახდეს ძირითადი ორიენტირი მომავალი წლების საბიუჯეტო ასიგნებების ზღვრულ მოცულობებზე გადაწყვეტილების მიღებისას (15 აგვისტო).

#### საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურა

შემუშავებული უნდა იყოს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა მომავალ 4 წელზე. გეგმა უნდა მოიცავდეს პრიორიტეტებს დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებს, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს დაფინანსების შესაბამისი მოცულობებით. ასევე, ამ პროგრამების და ქვეპროგრამების შემადგენელ ღონისძიებებს, პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

თითოეული პროგრამისათვის, ქვეპროგრამისათვის და ღონისძიებისთვის მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი ინფორმაცია დასაგეგმი და შემდგომი 3 წლისთვის:

- ა) პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი;
- ბ) განმახორციელებელი მუნიციპალური სამსახური;
- გ) მოსალოდნელი საბოლოო და შუალედური შედეგები;
- დ) შესრულების შეფასების ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი და სამიზნე მაჩვენებლები;
- ე) დაფინანსების წყარო;
- ვ) ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა არსებული დაფინანსების პირობებში და მთლიანობაში (თუ ღონისძიება დამატებით დაფინანსების შემთხვევაში შესაძლოა სხვაგვარად განვითარდეს);
- ზ) დამატებითი წყაროს არსებობის შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილება;

საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში პროგრამების, მასში შემავალი ქვეპროგრამების და ღონისძიებების აღწერა მიზანშეწონილია მოცემული იქნას შემდეგი სტრუქტურით:



**საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის**

პრიორიტეტის დასახელება -----

2. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი -----

განმახორციელებელი სამსახური -----

პროგრამის აღწერა და მიზანი -----

პროგრამა წარმოადგენს არსებული პოლიტიკის თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს

დაფინანსების წყარო -----

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში -----

პროგრამის განხორციელების ვადები -----

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

| №  |                                | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით |
|----|--------------------------------|-------------------------------|-----------------------|
| 1. | საბაზისო მაჩვენებელი           |                               |                       |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი         |                               |                       |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) |                               |                       |
|    | შესაძლო რისკები                |                               |                       |
| -- | -----                          |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |

1.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი-----

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური -----

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი -----

-----  
 ქვეპროგრამა წარმოადგენს არსებული პოლიტიკის თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს  
 -----

დაფინანსების წყარო -----

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში -----

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში -----

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები -----

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

| №  | დასახელება                     | დასაგეგმი წელი                |                       | დასაგეგმი +1 წელი             |                       | დასაგეგმი +2                  |                       | დასაგეგმი +3 წელი             |                       |
|----|--------------------------------|-------------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------|
|    |                                | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით |
| 1. | საბაზისო მაჩვენებელი           |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი         |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | შესაძლო რისკები                |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
| -- | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |

1.2.1 ღონისძიების დასახელება

-----  
 ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური -----

ღონისძიების აღწერა და მიზანი -----  
 -----

ღონისძიება წარმოადგენს არსებული პოლიტიკის თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს

დაფინანსების წყარო -----

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში -----

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში -----

ღონისძიების განხორციელების ვადები -----

ღონისძიების მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

| №  | დასახელება                     | დასაგეგმი წელი                |                       | დასაგეგმი +1 წელი             |                       | დასაგეგმი +2                  |                       | დასაგეგმი +3 წელი             |                       |
|----|--------------------------------|-------------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------|
|    |                                | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობების ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით |
| 1. | საბაზისო მაჩვენებელი           |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი         |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | შესაძლო რისკები                |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
| 2. | საბაზისო მაჩვენებელი           |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი         |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | შესაძლო რისკები                |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
| 3. | საბაზისო მაჩვენებელი           |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | მიზნობრივი მაჩვენებელი         |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | შესაძლო რისკები                |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
| -- | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |
|    | -----                          |                               |                       |                               |                       |                               |                       |                               |                       |

ამის შემდეგ მოცემული უნდა იყოს პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების მოცულობები ჯამურად 4 წელზე და მათ შორის, თითოეულ წელზე ცალ-ცალკე. დაფინანსებების მოცულობები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში, ასევე, გაზრდილი ასიგნებების მიხედვით. ამასთან, ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს არსებული პოლიტიკის ფარგლებში და კანონმდებლობით აღებული ვალდებულებების და ახალი

პოლიტიკის ფარგლებში. დაფინანსების სტრუქტურა თითოეული პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით მიზანშეწონილია შემუშავებული იყოს შემდეგი სახით:

ინფორმაცია არსებული (საბაზისო) პოლიტიკის ფარგლებში:

| პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება |                | სულ                         |                       | დასაგეგმი წელი              |                       | დასაგეგმი +1 წელი           |                       | დასაგეგმი +2                |                       | დასაგეგმი +3 წელი           |                       |
|---|----------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|
|   | დასახელება     | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით |
|   | პრიორიტეტი სულ |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1   | პროგრამა       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.1   | ქვეპროგრამა    |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.1.1   | ღონისძიება 1   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.1.2   | ღონისძიება 2   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.1.3   | ღონისძიება 3   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.2   | ქვეპროგრამა    |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.2.1   | ღონისძიება 1   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.2.2   | ღონისძიება 2   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 1.2.3   | ღონისძიება 3   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2   | პროგრამა       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.1   | ქვეპროგრამა    |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.1.1   | ღონისძიება 1   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.1.2   | ღონისძიება 2   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.1.3   | ღონისძიება 3   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.2   | ქვეპროგრამა    |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.2.1   | ღონისძიება 1   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.2.2   | ღონისძიება 2   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 2.2.3   | ღონისძიება 3   |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 3   | -----          |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 3.1   | -----          |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |
| 3.1.1   | -----          |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |                             |                       |

ინფორმაცია ახალი პოლიტიკის ფარგლებში:

| პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება |            | სულ                         |                       | დასაგეგმი წელი              |                       | დასაგეგმი +1 წელი           |                       | დასაგეგმი +2                |                       | დასაგეგმი +3 წელი           |                       |
|---|------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|
|   | დასახელება | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით | ზღვრული მოცულობის ფარგლებში | გაზრდილი დაფინანსებით |

| პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება |                   | სულ | დასაგეგმი წელი | დასაგეგმი +1 წელი | დასაგეგმი +2 | დასაგეგმი +3 წელი |
|---|-------------------|-----|----------------|-------------------|--------------|-------------------|
|   | პრიორიტეტი<br>სულ |     |                |                   |              |                   |
| 1   | პროგრამა          |     |                |                   |              |                   |
| 1.1   | ქვეპროგრამა       |     |                |                   |              |                   |
| 1.1.1   | ღონისძიება 1      |     |                |                   |              |                   |
| 1.1.2   | ღონისძიება 2      |     |                |                   |              |                   |
| 1.1.3   | ღონისძიება 3      |     |                |                   |              |                   |
| 1.2   | ქვეპროგრამა       |     |                |                   |              |                   |
| 1.2.1   | ღონისძიება 1      |     |                |                   |              |                   |
| 1.2.2   | ღონისძიება 2      |     |                |                   |              |                   |
| 1.2.3   | ღონისძიება 3      |     |                |                   |              |                   |
| 2   | პროგრამა          |     |                |                   |              |                   |
| 2.1   | ქვეპროგრამა       |     |                |                   |              |                   |
| 2.1.1   | ღონისძიება 1      |     |                |                   |              |                   |
| 2.1.2   | ღონისძიება 2      |     |                |                   |              |                   |
| 2.1.3   | ღონისძიება 3      |     |                |                   |              |                   |
| 2.2   | ქვეპროგრამა       |     |                |                   |              |                   |
| 2.2.1   | ღონისძიება 1      |     |                |                   |              |                   |
| 2.2.2   | ღონისძიება 2      |     |                |                   |              |                   |
| 2.2.3   | ღონისძიება 3      |     |                |                   |              |                   |
| 3   | -----             |     |                |                   |              |                   |
| 3.1   | -----             |     |                |                   |              |                   |
| 3.1.1   | -----             |     |                |                   |              |                   |

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს თან უნდა დაერთოს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები. ხარჯთაღრიცხვები (ღონისძიების გატარებისათვის საჭირო ადამიანური/დროითი/მატერიალური/სხვა რესურსების გათვალისწინებით) უნდა შემუშავდეს ღონისძიებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალური სამსახურების მიერ, საფინანსო სამსახურთან კონსულტაციებით.

ამასთან მართვისა და რეგულირების (ადმინისტრაციული ტიპის) პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვების მომზადებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ ბრძანების დანართი №6 - მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია.

## 5. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წლიური ბიუჯეტი

### წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის მოსამზადებელ სამუშაოებს იწყებს ყოველი წლის 1 მარტიდან, როდესაც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოიცემა

გამგებლის/მერის ბრძანება. ყოველი წლის 1 მარტიდან ივლისის თვის ჩათვლით მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები ძირითადად მუშაობას აგრძელებენ მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმასა და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაზე. მათ შორის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ მეთოდოლოგიით დაგენილი საბიუჯეტო ფორმების სრულყოფილ მომზადებაზე. აღნიშნული სამუშაოები კი წლიური ბიუჯეტის პროექტის პროგრამული ფორმატით მომზადების აუცილებელი წინაპირობაა.

მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით არაუგვიანეს 15 ივლისისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების პროგნოზებს. ამ მონაცემების, ასევე გასული წლების ბიუჯეტების შემოსულობების ცალკეული სახეების გაანალიზებით მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა უნდა გააკეთოს პროგნოზი მუნიციპალიტეტის მომავალი წლების საფინანსო რესურსების (შემოსულობების) საპროგნოზო მაჩვენებლებზე.

საფინანსო სამსახურმა მომავალი წლების საფინანსო რესურსის პროგნოზირებისას უნდა გაანალიზოს შემოსულობების ცალკეული სახეები და მხედველობაში მიიღოს შემდეგი გარემოებები:

- ✓ საგადასახადო შემოსავლებისათვის - ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული მშპ-ს რეალური ზრდისა და მშპ-ს დეფლატორის მაჩვენებელი, ამავე დოკუმენტში მოცემული საგადასახადო შემოსავლების ცვლილების დინამიკა; ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელ ნორმებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (მთავრობებიდან) მიღებული გრანტებისათვის - საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მთავრობებთან) უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით მისაღები ფულადი დახმარებები. მომავალში დაგეგმილი ანალოგიური სახის ხელშეკრულებები.
- ✓ გათანაბრებითი ტრანსფერისათვის - გაანგარიშება გააკეთოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 74-მუხლით განსაზღვრული ფორმულითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად. გაანგარიშებისას გამოყენებული ცვლადი კოეფიციენტების (სტატუსისა და მხარდაჭერის კოეფიციენტები) მნიშვნელობებად გამოიყენოს მიმდინარე წლის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისათვის ფინანსთა მინისტრის

ბრძანებით ამ კოეფიციენტების დადგენილი მნიშვნელობები. ფორმულაში გამოიყენოს სტატუსისა და მხარდაჭერის სხვა კოეფიციენტები თუ აღნიშნულზე იქნება მითითება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისას ასევე, მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ სახის ტრანსფერის მოცულობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- ✓ მიზნობრივი ტრანსფერისათვის - ვინაიდან მიზნობრივი ტრანსფერი წარმოადგენს მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობას მისი პროგნოზის გაკეთებისას უნდა გაინაგარიშოს ტრანსფერის მხოლოდ ის მოცულობა, რომელიც უზრუნველყოფს იმ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ხარჯების დაფინანსებას რაც მუნიციპალიტეტს აკისრია საქართველოს კანონებით. ამ სახის ხარჯების გაანგარიშებისას მხედველობაში ასევე, უნდა მიიღოს გასულ წლებში დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების მოცულობები.
- ✓ სპეციალური ტრანსფერისათვის - ამ სახის ტრანსფერის გამოყოფა ძირითადად შემთხვევებში ხდება წინასწარ დაუგეგმავი ღონისძიებებისათვის. მათ შორის, სტიქიური მოვლენებისას, საომარი მოქმედებისას და ა.შ. განსაკუთრებულ და იშვიათ შემთხვევებში სპეციალური ტრანსფერი შესაძლებელია სხვა სპეციალური მიზნებისთვისაც იქნას გამოყოფილი. გამომდინარე აქედან, სპეციალური ტრანსფერის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამასთან, იგი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობას და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა არ უნდა მოხდეს სპეციალური ტრანსფერის პროგნოზირება.
- ✓ კაპიტალური ტრანსფერისათვის - კაპიტალური ტრანსფერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავალს. მისი გამოყოფა ხდება მიზნობრივად კონკრეტული კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. ტრანსფერის სიდიდის განსაზღვრა არაა დამოკიდებული ადგილობრივ თვითმმართველობაზე. მისი მოცულობა განისაზღვრება სახელმწიფო (რესპუბლიკურ) ბიუჯეტში მობილიზებული შესაბამისი ფინანსური რესურსისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პროცედურების შესაბამისად. კაპიტალური ტრანსფერის სიდიდის პროგნოზირებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ცენტრალური მთავრობის

საბიუჯეტო პოლიტიკა კაპიტალურ (ინვესტიციური) პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია უშუალოდ ამ მუნიციპალიტეტისათვის ბოლო წლების განმავლობაში გამოყოფილი ასეთი სახის ტრანსფერის სიდიდის დინამიკის გაანალიზება. აქვე აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, რომ კაპიტალური ტრანსფერის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფა ძირითადად ხდება საბიუჯეტო წლის დაწყების შემდეგ. შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ გაკეთებული პროგნოზი მხოლოდ ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენისა და მის ფარგლებში პროექტების შერჩევისათვის უნდა იქნას გამოყენებული. სხვა შემოსავლებისათვის - უნდა გაკეთდეს ბოლო წლების ანალიზი სხვა შემოსავლების თითოეული შემოსავლის სახის (წყაროს) მიხედვით. ვინაიდან სხვა შემოსავლის მუხლით მობილიზებული შემოსავლის სახეობები შინაარსობრივად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (მაგ. პროცენტი, ჯარიმები, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და ა.შ.) გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული შემოსავლის წყაროს სფეციფიკა. შემოსავლის ამ წყაროების დინამიკის ანალიზისას უნდა გამოირიცხოს ე.წ. ერთჯერად ჩარიცხვები, განსაკუთრებული და გამონაკლისი შემთხვევები.

- ✓ არაფინანსური აქტივების კლებისათვის - ძირითადად პროგნოზირება უნდა გაკეთდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების (ქონება, მიწა) პრივატიზაციის გეგმის მიხედვით. ასევე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამის სამსახურთან უნდა დაზუსტდეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირითადი აქტივების შესაძლო გაყდვასთან დაკავშირებით.
- ✓ ფინანსური აქტივების კლებისათვის - გათვალისწინებული უნდა იქნას მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების, მათ შორის, გაცემული სესხიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაბრუნებული თანხების მოცულობა დასაგეგმ პერიოდზე. გაანალიზდეს მუნიციპალიტეტის დეპოზიტებზე არსებული თავისუფალი ნაშთები და მიმდინარე წლის შემოსულობებისა და გადასახდელების მოსალოდნელი შესრულების მხედველობაში მიღებით გაკეთდეს პროგნოზი წლის ბოლოსათვის დეპოზიტებზე არსებული ფულადი სახსრების (ნაშთის) მოცულობებზე.
- ✓ ვალდებულებების ზრდისათვის - მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც საგარეო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე, საშინაო წყაროებიდან მისაღები სესხების მოცულობა, გაფორმებული



ხელშეკრულებების მიხედვით მისაღები ფულადი დახმარებები ან მომავალში დაგეგმილი ანალოგიური სახის სასესხო ხელშეკრულებები.

ყველა მოცემულ რეკომენდაციასთან ერთად საფინანსო სამსახურმა ძირითადი ყურადღება უნდა გაამახვილოს ბოლო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის შემოსულობებში არსებულ დინამიკაზე და გაითვალისწინოს ის სპეციფიკა რაც მოყვანილია რეკომენდაციებში.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური მის მერ შემუშავებული მომავალი წლების საფინანსო რესურსის საპროგნოზო მაჩვენებლებს ინფორმაციის სახით წარუდგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს. საფინანსო სამსახური, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ შედგენილი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მხედველობაში მიღებით, სამუშაო ჯგუფში ასევე წარადგენს საკუთარ პროგნოზს მომავალი წლების გადასახდელების განაწილების შესახებ. სამუშაო ჯგუფი იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების ფარგლებში, არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, ამზადებს წინადადებებს ასიგნებების ზღვრულ მოცულობების განსაზღვრის შესახებ. ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვრება მომავალი და +3 წლისთვის წლიური ბიუჯეტის პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებისა და წლიური ბიუჯეტის ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვრება მერის პრიორიტეტების დოკუმენტით. ისევე როგორც ზღვრული მოცულობების განსაზღვრისას ასევე, ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155-ე, 156-ე, 157-ე მუხლების და წლიური ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნები.

ასიგნებების ზღვრული მოცულობების განსაზღვრის შემდგომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან პროგრამების განხორციელებაზე, ამზადებენ საბიუჯეტო განაცხადებს. განაცხადის ფორმები უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და ამ მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნებს.

არაუგვიანეს 15 სექტემბრისა მუნიციპალური სამსახურები შევსებული საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განსახილველად წარადგენენ საფინანსო სამსახურში. საფინანსო სამსახური იხილავს შევსებულ საბიუჯეტო განაცხადებს და ამზადებს მომავალი წლის წლიური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემაში.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარადგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში, სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების

მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით. ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტი შემოსულობების და გადასახდელების ნაწილში არ უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალური ტრანსფერით გამოყოფილ სახსრებს და განსახორციელებელ პროექტებს. საფინანსო სამსახურის მიერ მონაცემები კაპიტალური პროექტების შესახებ ცალკე უნდა შემუშავდეს ინფორმაციის სახით, სადაც მოცემული იქნება ჭერის ფარგლებში შესასრულებელი პროექტები შესაბამისი სამიზნე ინდიკატორებით. ხოლო, ამ პროექტებზე დამატებით მოთხოვნილი ასიგნებების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს განსახორციელებელი პროექტების შეცვლილი სამიზნე ინდიკატორები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველობებს აცნობებს შემდგომი წლის მუნიციპალიტეტის მიერ საგადასახადო შემოსავლებიდან მისაღები თანხების პროგნოზს და სახელმწიფო ბიუჯეტის მომავალი წლის პროექტით მუნიციპალიტეტისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების მოცულობას.

განახლებული მონაცემების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური, სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციებით, აგრძელებს მუშაობას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე.

არაუგვიანეს 15 ნოემბრისა მომავალი წლის წლიური ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განსახილველად ეგზავნება თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოს. საკრებულოში ასევე იგზავნება ბიუჯეტის განმარტებითი ბარათი, ინფორმაცია მუნიციპალურ სსიპ-ების და ააიპ-ის ბიუჯეტზე და ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესახებ.

### **წლიური ბიუჯეტის სტრუქტურა**

წლიური ბიუჯეტის პროექტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი სტრუქტურით:

#### **თავი I. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები**

##### **მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

მოცემული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის.

| <i>თანხა ათას ლარში</i> |        |           |           |
|-------------------------|--------|-----------|-----------|
| დასახელება              | გასული | მიმდინარე | დასაგეგმი |
|                         |        |           |           |

|                                     | წელი | წელი | წელი |
|-------------------------------------|------|------|------|
| I. შემოსავლები                      |      |      |      |
| გადასახადები                        |      |      |      |
| გრანტები                            |      |      |      |
| სხვა შემოსავლები                    |      |      |      |
| II. ხარჯები                         |      |      |      |
| შრომის ანაზღაურება                  |      |      |      |
| საქონელი და მომსახურება             |      |      |      |
| პროცენტი                            |      |      |      |
| სუბსიდიები                          |      |      |      |
| გრანტები                            |      |      |      |
| სოციალური უზრუნველყოფა              |      |      |      |
| სხვა ხარჯები                        |      |      |      |
| III. საოპერაციო სალდო               |      |      |      |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება |      |      |      |
| ზრდა                                |      |      |      |
| კლება                               |      |      |      |
| V. მთლიანი სალდო                    |      |      |      |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება    |      |      |      |
| ზრდა                                |      |      |      |
| ვალუტა და დეპოზიტები                |      |      |      |
| სესხები                             |      |      |      |
| აქციები და სხვა კაპიტალი            |      |      |      |
| კლება                               |      |      |      |
| ვალუტა და დეპოზიტები                |      |      |      |
| სესხები                             |      |      |      |
| აქციები და სხვა კაპიტალი            |      |      |      |
| VII. ვალდებულებების ცვლილება        |      |      |      |
| ზრდა                                |      |      |      |
| საგარეო                             |      |      |      |
| საშინაო                             |      |      |      |
| კლება                               |      |      |      |
| საგარეო                             |      |      |      |
| საშინაო                             |      |      |      |
| VIII. ბალანსი                       |      |      |      |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ისეთი ძირითადი კატეგორიების მიხედვით როგორცაა შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება. მათ შორის:

| დასახელება                                | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|---|-------------|----------------|----------------|
| შემოსულობები                              |             |                |                |
| შემოსავლები                               |             |                |                |
| არაფინანსური აქტივების კლება              |             |                |                |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე) |             |                |                |
| ვალდებულებების ზრდა                       |             |                |                |
| გადასახდელები                             |             |                |                |
| ხარჯები                                   |             |                |                |
| არაფინანსური აქტივების ზრდა               |             |                |                |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)  |             |                |                |
| ვალდებულებების კლება                      |             |                |                |
| ნაშთის ცვლილება                           |             |                |                |

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსავლებზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:

თანხა ათას ლარში

| დასახელება       | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|------------------|-------------|----------------|----------------|
| შემოსავლები      |             |                |                |
| გადასახადები     |             |                |                |
| გრანტები         |             |                |                |
| სხვა შემოსავლები |             |                |                |

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის გადასახადების შესახებ. მათ შორის:

თანხა ათას ლარში

| დასახელება                        | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|-----------------------------------|-------------|----------------|----------------|
| გადასახადები                      |             |                |                |
| ქონების გადასახადი                |             |                |                |
| საწარმოთა ქონებაზე გადასახადი     |             |                |                |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი |             |                |                |

|                            |  |  |  |
|----------------------------|--|--|--|
| მიწაზე ქონების გადასახადი  |  |  |  |
| სხვა გადასახადები ქონებაზე |  |  |  |
| საშემოსავლო გადასახადი     |  |  |  |

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის გრანტების (ტრანსფერების) შესახებ. მათ შორის:

*თანხა ათას ლარში*

\* სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების ქვეკატეგორიებს უნდა მიეთითოს, თუ რომელი

| დასახელება   | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|--|-------------|----------------|----------------|
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები          |             |                |                |
| უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები        |             |                |                |
| სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები           |             |                |                |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან *                         |             |                |                |
| გათანაბრებითი ტრანსფერი                                  |             |                |                |
| მიზნობრივი ტრანსფერი                                     |             |                |                |
| სპეციალური ტრანსფერი                                     |             |                |                |
| კაპიტალური ტრანსფერი                                     |             |                |                |
| გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან |             |                |                |
| სპეციალური ტრანსფერი                                     |             |                |                |
| კაპიტალური ტრანსფერი                                     |             |                |                |

წყაროდან ხდება ტრანსფერის გამოყოფა (რეგიონალური განვითარების ფონდი, მთავრობის

ფონდი თუ სხვა). ანალოგიური მითითება უნდა გაკეთდეს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებზეც.

თუ გრანტის მიღება ხდება ისეთი წყაროდან, რომელიც არ არის მითითებული ცხრილში (მაგ. ააიპ), შესაბამისი ინფორმაცია უნდა დაემატოს ცალკე მწკრივის სახით.

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შესახებ. მათ შორის:

*თანხა ათას ლარში*

| დასახელება | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|------------|-------------|----------------|----------------|
|------------|-------------|----------------|----------------|

|  | წელი | ე წელი | წელი |
|--|------|--------|------|
| შემოსავლები საკუთრებიდან   |      |        |      |
| პროცენტები   |      |        |      |
| დივიდენდები  |      |        |      |
| რენტა  |      |        |      |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია   |      |        |      |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები  |      |        |      |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი   |      |        |      |
| სანებართვო მოსაკრებელი   |      |        |      |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის                                      |      |        |      |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი   |      |        |      |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი                                |      |        |      |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი  |      |        |      |
| კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი |      |        |      |
| ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის                 |      |        |      |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                       |      |        |      |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი  |      |        |      |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება                                      |      |        |      |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები)  |      |        |      |
| ნებყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა  |      |        |      |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები   |      |        |      |

თუ სხვა შემოსავლის მიღება ხდება ისეთი წყაროდან, რომელიც არ არის მითითებული ცხრილში, შესაბამისი ინფორმაცია უნდა დაემატოს ცალკე მწკრივის სახით.

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის ხარჯების შესახებ. მათ შორის:

*თანხა ათას ლარში*

| დასახელება              | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|-------------------------|-------------|----------------|----------------|
| ხარჯები                 |             |                |                |
| შრომის ანაზღაურება      |             |                |                |
| საქონელი და მომსახურება |             |                |                |
| პროცენტი                |             |                |                |
| სუბსიდიები              |             |                |                |
| გრანტები                |             |                |                |
| სოციალური უზრუნველყოფა  |             |                |                |

|              |  |  |  |
|--------------|--|--|--|
| სხვა ხარჯები |  |  |  |
|--------------|--|--|--|

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის შესახებ, ბიუჯეტში წარმოდგენილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით. მაგ:

თანხა ათას ლარში

| პროგრ. კოდი | დასახელება                              | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|-------------|---|-------------|----------------|----------------|
| 02 01       | საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარება       |             |                |                |
| 02 01 01    | გზების მიმდინარე შეკეთება               |             |                |                |
| 02 02 02    | ახალი გზების მშენებლობა                 |             |                |                |
| 02 03       | გარე განათება                           |             |                |                |
| 02 03 01    | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია      |             |                |                |
| 02 03 02    | გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა |             |                |                |
|             | ---                                     |             |                |                |
|             | ---                                     |             |                |                |
|             | სულ არაფინანსური აქტივების ზრდა         |             |                |                |

ბ) მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლებაზე. მათ შორის:

თანხა ათას ლარში

| დასახელება                   | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|------------------------------|-------------|----------------|----------------|
| არაფინანსური აქტივების კლება |             |                |                |
| ძირითადი აქტივები            |             |                |                |
| არაწარმოებული აქტივები       |             |                |                |

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის ხარჯებზე და არაფინანსურ აქტივებზე ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს გასული, მიმდინარე და დასაგეგმ წელს.

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდოს შესახებ. მათ შორის:

თანხა ათას ლარში

| დასახელება       | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|------------------|-------------|----------------|----------------|
| საოპერაციო სალდო |             |                |                |
| მთლიანი სალდო    |             |                |                |

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდის და კლების მოცულობების მიხედვით, რომელიც უნდა ჩაიშალოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდგომ დონეზე მიმდინარე და დასაგეგმი წლების ჩვენებით. ცხრილის შემდეგ მოცემული უნდა იყოს განმარტება რითია გამოწვეული ფინანსური აქტივების ცვლილება. მაგ: თუ არის სესხის დაბრუნება ან გაცემა, რის საფუძველზე და ვისთან ხდება ეს ფინანსური ოპერაცია. თუ არის ნაშთის გამოყენება უნდა განიმარტოს არის ეს თავისუფალი ნაშთი თუ არის მიზნობრივი. ნაშთის შემთხვევაში ასევე, მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიზე არსებული მთლიანი ნაშთის შესახებ და ა.შ.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდისა და კლების შესახებ. ვალდებულებების ზრდა და კლება უნდა ჩაიშალოს საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდად/კლებად. მათ შორის:

თანხა ათას ლარში

| დასახელება              | გასული წელი | მიმდინარე წელი | დასაგეგმი წელი |
|-------------------------|-------------|----------------|----------------|
| ვალდებულებების ცვლილება |             |                |                |
| ზრდა                    |             |                |                |
| საშინაო                 |             |                |                |
| საგარეო                 |             |                |                |
| კლება                   |             |                |                |
| საშინაო                 |             |                |                |



|         |  |  |  |
|---------|--|--|--|
| საგარეო |  |  |  |
|---------|--|--|--|

ცხრილის შემდეგ უნდა გაკეთდეს განმარტება როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალდებულებების ცვლილებაზე. რომელი დონორისგან, რა პირობებით ხდება ვალის აღება, ან პირიქით ვისი ვალი იფარება და რა მოცულობით. ამ თავში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მთლიანი ვალდებულებების შესახებ (ვალის ნაშთი), როგორც დასაგეგმი წლის 1 იანვრისათვის ასევე დასაგეგმი წლის 31 დეკემბრისათვის (საპროგნოზო მაჩვენებელი).

## თავი II. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

წლიური ბიუჯეტის მე-3-ე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ. ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ასიგნებებს როგორც ყველა პროგრამასა და ქვეპროგრამაზე, ასევე ასიგნებებს პროგრამული კოდი 01 00 პრიორიტეტიდან დაფინანსებული ყველა ღონისძიებებისათვის. მაგ. სარეზერვო ფონდი, ვალდებულებების მომსახურება და ა.შ.

გამომდინარე იქედან, რომ ყველა თვითმმართველობის ფუნქციები, უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები ძირითად შემთხვევებში იდენტურია მიზანშეწონილია წლიურ ბიუჯეტში (პრიორიტეტების დოკუმენტშიც) განსაზღვრული პრიორიტეტები და მასში შემავალი პროგრამები და ქვეპროგრამები მიზანშეწონილია მოცემული იყოს პროგრამული კოდების შემდეგი ნუმერაციითა და შემდეგი თანმიმდევრობით:

| პროგრ. კოდი | პრიორიტეტი/პროგრამა/ქვეპროგრამა   |
|-------------|---|
| 01 00       | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები                                    |
| 01 01       | საკონონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა                       |
| 01 01 01    | მუნიციპალიტეტის საკრებულო   |
| 01 01 02    | მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია  |
| 01 02       | საერთო დანიშნულების ხარჯები   |
| 01 02 01    | სარეზერვო ფონდი   |
| 01 02 02    | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულების ფონდი |
| 01 02 03    | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა                         |
| 02 00       | ინფრასტრუქტურის განვითარება   |
| 02 01       | საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარება   |
| 02 01 01    | გზების მიმდინარე შეკეთება   |

|          |   |
|----------|---|
| 02 02 02 | ახალი გზების მშენებლობა                                 |
| 02 02 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება                           |
| 02 02    | წყლის სისტემების განვითარება                            |
| 02 02 01 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა                              |
| 02 02 02 | კანალიზაციის სისტემების განვითარება                     |
| 02 03    | გარე განათება   |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია                      |
| 02 03 02 | გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა                 |
| 02 04    | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება                    |
| 02 04 01 | მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება          |
| 02 04 02 | მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება                      |
| 02 05    | ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია             |
| 02 06    | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება              |
| 02 07    | კეთილმოწყობა  |
| 02 07 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია          |
| 02 07 02 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია                        |
| 02 07 03 | სადღესასწაულო ღონისძიებები                              |
| 02 07 04 | შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია, მშენებლობა |
| 02 08    | სარიტუალო ღონისძიებები                                  |
| 02 08 01 | სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა                           |
| 02 08 02 | სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა  |
| 03 00    | დასუფთავება და გარემოს დაცვა                            |
| 03 01    | დასუფთავება და ნარჩენების გატანა                        |
| 03 02    | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება          |
| 03 03    | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში             |
| 04 00    | განათლება   |
| 04 01    | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება                |
| 04 02    | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა     |
| 05 00    | კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი                         |
| 05 01    | სპორტის სფეროს განვითარება                              |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა                     |
| 05 01 02 | სპორტული ღონისძიებები                                   |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა   |
| 05 02    | კულტურის სფეროს განვითარება                             |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა              |
| 05 02 02 | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა   |
| 05 02 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა                     |
| 05 03    | ახალგაზდობის მხარდაჭერა                                 |
| 06 00    | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა            |

|          |   |
|----------|---|
| 06 01    | ჯანმრთელობის დაცვა  |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა |
| 06 02    | სოციალური დაცვა   |

იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება ან იგეგმება ისეთი პრიორიტეტის დაფინანსება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პრიორიტეტების ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში, შესაძლებელია ჩამონათვალს, შემდგომი რიგითი კოდით, დაემატოს პრიორიტეტის დასახელება. მაგ: პრიორიტეტის კოდი - 07 00 „ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების მოცემული სტრუქტურა სარეკომენდაციო ხასიათისაა. იგი შესაძლებელია შეიცვალოს მინუციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით. შესაძლებელია მოცემულ ჩამონათვალს დაემატოს (იგივე ან ქვედა დონეზე) ისეთი პროგრამა ან ქვეპროგრამა, რომელსაც არ მოიცავს წარმოდგენილი ცხრილი. ასეთ შემთხვევებში კონკრეტულ პრიორიტეტში დამატებული პროგრამა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნებს რასაც ითვალისწინებს მოცემული პრიორიტეტი, და ანალოგიურად კონკრეტული პროგრამის ქვეშ დამატებული ქვეპროგრამის მიზნები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი პროგრამის მიზნებს. იგივე მეთოდით შესაძლებელია ქვეპროგრამა ჩაიშალოს კიდევ უფრო დეტალურ დონეზე ქვეპროგრამის ან ღონისძიების მიხედვით. მაგ: ა) წყლის სისტემების განვითარების პროგრამას შესაძლებელია დაემატოს ქვეპროგრამა „სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია“ პროგრამული კოდით 02 02 03. ბ) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ჩაიშალოს უფრო დაბალი დონის სამ ქვეპროგრამად: „საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტაცია“-02 07 01 01, „სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია“-02 07 01 02 და „ახალი სკვერების მოწყობა“-02 07 01 03.

რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია გაერთიანდეს ერთი პრიორიტეტის, ან ერთი პროგრამის ქვეშ მოქცეული პროგრამები ან ქვეპროგრამები. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია იყოს მხოლოდ მაშინ როდესაც ვერ ხერხდება მოცემული პროგრამების/ქვეპროგრამების ხარჯების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მაგ: თუ სპორტულ ღონისძიებებს ახორციელებს სპორტული ააიპ და ვერ ხერხდება ააპი-ს ადმინისტრაციული ხარჯებისა და მის მიერ ჩატარებული სპორტული ღონისძიებების ხარჯების გამიჯვნა. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (05 01 01) და სპორტული ღონისძიებები (05 01 02) ქვეპროგრამების გაერთიანება ერთ ქვეპროგრამად.

იმ შემთხვევაში, თუ არ არის შესაძლებელი გაიმიჯნოს სხვადასხვა ქვეპროგრამას მიკუთვნებული ხარჯები და ეს ქვეპროგრამები წარმოადგენენ სხვადასხვა პროგრამის ქვეპროგრამას, მაშინ ამ სახის ხარჯი უნდა გატარდეს იმ ქვეპროგრამაში, რომლის

მიზნების შესრულებისათვის მეტი რესურსი იხარჯება. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მაშინ როდესაც ბიუჯეტიდან ასიგნებები იხარჯება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებით კერძო კომპანიის მიერ. თუ ამ სახის სამუშაოებს ახორციელებს მუნიციპალური ააიპ, სსიპ ან შპს ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ასიგნებების გამიჯვნა და შესაბამის პროგრამას/ქვეპროგრამას მიკუთვნება. მაგ: ა) თუ მუნიციპალიტეტი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით ახორციელებს გზების მიმდინარე შეკეთებას (02 01 01), რომელიც ასევე მოიცავს კანალიზაციის სისტემების განვითარება/რეაბილიტაციას (02 02 02), მაშინ ასეთი ხარჯი მთლიანად უნდა დაფინანსდეს პროგრამიდან გზების მიმდინარე შეკეთება (02 01 01); ბ) თუ მუნიციპალური ააიპ ერთდროულად ახორციელებს დასუფთავების სამუშაოებს და საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ქუჩების დახაზვის სამუშაოებს, მაშინ უნდა მოხდეს ამ ხარჯების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და შესაბამის ქვეპროგრამას მიკუთვნება.

პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების (ღონისძიებების) თანმიმდევრობა და მათი პროგრამული კოდები მიზანშეწონილია წარმოდგენილი იქნას ზემოთ მოყვანილი სტრუქტურის მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ ისეთი პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის დამატება, რომელიც არ გვხვდება ჩამონათვალში მიზანშეწონილია განხორციელდეს ახალი პროგრამული კოდით. პროგრამების/ქვეპროგრამების გაერთიანებისას შესაძლებელია დაზუსტდეს პროგრამის სახელწოდება და პროგრამულ კოდად გამოყენებული იქნას გაერთიანებული პროგრამების/ქვეპროგრამების ერთის რომელიმეს პროგრამული კოდი.

გადაწყვეტილებას, თუ რა დონეზე ჩაშლილად იქნება წარმოდგენილი წლიურ ბიუჯეტის ამ თავში პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები და ღონისძიებები იღებს თვითმმართველი ერთეული. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ წლიური ბიუჯეტში მოცემული ინფრმაცია შეძლებისგვარად სრულყოფილ და ნათელ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობაზე. იგი უნდა იყოს მარტივად აღქმადი არა მარტო საკითხში გარკვეული ფინანსისტებისთვის, არამედ რიგითი მოქალაქეებისათვისაც.

ამ თავში წარმოდგენილი ყველა პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა და ღონისძიება წარმოდგენილი უნდა იყოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“, „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ მეორე თანრიგის მიხედვით. ამავე თავში უნდა იყოს წარმოდგენილი მხარჯავი დაწესებულების საშტატო რიცხოვნობა.

### თავი III. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები

ამ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითადი მუხლები, რომლებმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში უნდა დაარეგულირონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

#### 6. მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი

წლიური ბიუჯეტის ამ დანართში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტების მიხედვით. იგი უნდა მოიცავდეს თითოეული პროგრამის განხორციელებით მისაღებ საბოლოო შედეგს და ამ შედეგის შეფასების ინდიკატორებს. ასევე პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამების/ღონისძიებების განხორციელებით მოსალოდნელ შუალედურ შედეგებს და მათი შეფასების ინდიკატორებს. ამ თავში მოცემული უნდა იყოს ყველა იმ პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა, რომელსაც წლიურ ბიუჯეტის მე-2 თავში მინიჭებული აქვს ცალკე პროგრამული კოდი და დასაგაგემ წელს გამოყოფილი აქვს შესაბამისი ასიგნებები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 01 00 პროგრამული კოდით მოცემულ მმართველობასა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტი, რომლის პროგრამული კოდების აღწერა არ არის სავალდებულო.

ამ დანართში წარმოდგენილი პრიორიტეტების/პროგრამების/ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ატარებს ინფორმაციულ ხასიათს.

პირველ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტზე მიმართული სახსრების შესახებ, მასში შემავალი პროგრამების მიხედვით, კერძოდ:

| პროგრამული კოდი             | დასახელება | დასაგეგმი წელი | მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | მ.შ. საკუთარი სახსრები | დასაგეგმი წელი +1 | დასაგეგმი წელი +2 | დასაგეგმი წელი +3 |
|-----------------------------|------------|----------------|--------------------------------------|------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
|                             |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |
|                             |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |
|                             |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |
| სულ პრიორიტეტის დაფინანსება |            |                |                                      |                        |                   |                   |                   |

შემდგომ თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- პროგრამის დასახელება;
- პროგრამის განმახორციელებელი;

- პროგრამის აღწერა;
- პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითებით).

| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი)       |                      |                        |                                |                 |
|---|----------------------|------------------------|--------------------------------|-----------------|
| პროგრამის განმახორციელებელი                     |                      |                        |                                |                 |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                      |                      |                        |                                |                 |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი                      |                      |                        |                                |                 |
| საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:           |                      |                        |                                |                 |
| №   | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები |
| 1.  |                      |                        |                                |                 |
| 2.  |                      |                        |                                |                 |
| 3.  |                      |                        |                                |                 |
| 4.  |                      |                        |                                |                 |
| 5.<br>(გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) |                      |                        |                                |                 |

ბიუჯეტით განსაზღვრულ ცალკეულ პრიორიტეტს, მასში შემავალ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს. თითოეულ პროგრამასა და ქვეპროგრამაზე წარმოდგენილი უნდა აღწერა ანალოგიური ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი თითოეული ქვეპროგრამის მიხედვით:

|   |  |  |
|---|--|--|
| ქვეპროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი)        |  |  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი                      |  |  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი                       |  |  |
| მოსალოდნელი შუალედური შედეგი                        |  |  |
| მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი: |  |  |

| №  | საბაზისო<br>მაჩვენებელი | მიზნობრივი<br>მაჩვენებელი | ცდომილების<br>ალბათობა<br>(%/აღწერა) | შესაძლო რისკები |
|--|-------------------------|---------------------------|--------------------------------------|-----------------|
| 1.   |                         |                           |                                      |                 |
| 2.   |                         |                           |                                      |                 |
| 3.   |                         |                           |                                      |                 |
| 4.   |                         |                           |                                      |                 |
| 5.<br>(გენდერული,<br>ასეთის<br>არსებობის<br>შემთხვევაში) |                         |                           |                                      |                 |

თუ პროგრამა/ქვეპროგრამა შედგება სხვადასხვა ღონისძიებებისაგან და ბიუჯეტის მე-2 თავში მისთვის ცალკე არ არის გამოყოფილი ასიგნებები, მაშინ ეს ღონისძიებები მოცემული უნდა იყოს პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერით ნაწილში. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ასეთ ღონისძიება როგორც წესი საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალურად პასუხისმგებელი უწყების და მოსალოდნელი შედეგების მითითებით. ხოლო, თუ კონკრეტული ღონისძიება ბიუჯეტში წარმოდგენილია ცალკე ორგანიზაციული კოდით და დაფინანსებით, ასეთ ღონისძიებაზე, ქვეპროგრამის მსგავსად, უნდა შეივსოს ზემოთმოცემული ფორმა და წარმოდგენილი იქნას წლიური ბიუჯეტის ამ თავშიც.

## 7. მუნიციპალიტეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი

წლიური ბიუჯეტის პროექტს, საკრებულოში წარდგენისას, სხვა თანდართულ მასალებთან ერთად უნდა დაერთოს ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესახებ - კაპიტალური ბიუჯეტი.

თავისი შინაარსით კაპიტალური ბიუჯეტი საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტია. კაპიტალურ ბიუჯეტში მოცემული ყველა პროექტი ბიუჯეტითა და პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრულ რომელიმე პროგრამას ან მის შემადგენელ ნაწილს (ქვეპროგრამას, ღონისძიებას) წარმოადგენს. ბიუჯეტის პროექტის ამ დანართში თავს მოიყრის ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა პროექტი, რომელიც კაპიტალური ხასიათისაა.

კაპიტალური ბიუჯეტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ ყველა ის თანხა, რომელიც ბიუჯეტში წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით, არ წარმოადგენს კაპიტალურ პროექტს და პირიქით, შესაძლებელია კაპიტალური პროექტის შემადგენელი ნაწილი იყოს ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები. ბიუჯეტში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით

წარმოდგენილი ასიგნებები ასევე, შესაძლებელია იყოს კაპიტალური პროექტი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მუხლიდან რიგ შემთხვევაში ასიგნებები მიემართება მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი საწარმოების დაკრედიტების ან/და კაპიტალის ზრდისთვის და ეს საწარმოები ახორციელებენ კაპიტალურ პროექტებს.

ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალური პროექტები განხორციელდეს კერძო სექტორთან ერთობლივი დაფინანსებით. ამ შემთხვევაში წლიურ ბიუჯეტში წარმოდგენილი იქნება ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება, ხოლო პრიორიტეტების დოკუმენტის კაპიტალური ბიუჯეტის ნაწილში მიეთითება პროექტის ჯამური თანხა კერძო და მუნიციპალური დაფინანსების გამოყოფით.

ისეთი კაპიტალური პროექტები, რომელთათვისაც წლიური საბიუჯეტით დაფინანსება გამოყოფილი არ არის, არ უნდა იყოს წარმოდგენილი არც ამ დანართში.

კაპიტალური ბიუჯეტის დანართში პროექტების დაფინანსების ნაწილში უნდა მიეთითოს დაფინანსების წყაროც. პროექტის დაფინანსებში უნდა გამოიყოს შემდეგი წყაროები: მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები, კაპიტალური ან სპეციალური ტრანსფერი, დონორი ორგანიზაციის კრედიტი/გრანტი და კერძო სექტორი.

წლიურ ბიუჯეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემული პროექტები და მათი დაფინანსების ჯამური ცხრილი, მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი სტრუქტურით:

კაპიტალური პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მშენებლობა-რეაბილიტაციის შემთხვევაში მისი ღირებულება არ უნდა იყოს 50,0 ათას ლარზე ნაკლები და შექმნილი პროდუქტის გამოყენების ვადა 5 წელზე ნაკლები;

- მანქანა-დანადგარების და სხვა აღჭურვილობის (გარდა სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობისა), ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის შემთხვევაში, ერთეულის ან მთლიანი პროექტის ღირებულება არ უნდა იყოს 150,0 ათას ლარზე ნაკლები, ხოლო მათი გამოყენების ვადა 3 წელზე ნაკლები;

- პროექტის ღირებულება უნდა მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, პროექტირების, მოსამზადებელი სამუშაოების, ტრანპორტირების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ხარჯებს.

შესაძლებელია მსგავსი შინაარსის რამდენიმე მცირე კაპიტალური პროექტი და თითოეული მათგანი არ აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს, ამ შემთხვევაში აღნიშნული პროექტები შინაარსობრივად უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ერთი პროექტის სახით და შედარებით მცირე პროექტები სახელმწიფო ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი იქნება მისი ქვეპროექტების სახით.

შესაძლებელია არსებობდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს



ზემოთ მოცემულ პირობებს, მაგრამ, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი იყოს კაპიტალური პროექტის სახით.

წლიური ბიუჯეტის კაპიტალური დანართი დაყოფილი იქნება ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა პროექტის დაფინანსების მოცულობა. დაფინანსების მოცულობა უნდა მოიცავდეს პროექტის მთლიან ღირებულებაზე ბიუჯეტიდან გაწეულ და დაგეგმილ ხარჯს და წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

| კოდი | დასახელება      | პროექტის<br>სავარაუდო<br>ღირებულება | ფაქტი<br>გასული<br>წლის<br>ჩათვლით | მიმდინარე<br>წლის<br>გეგმა | დასაგეგმი<br>წლის<br>პროექტი | დასაგეგმი<br>+1 წელი<br>პროგნოზი | დასაგეგმი<br>+2 წელი<br>პროგნოზი | დასაგეგმი<br>+3 წელი<br>პროგნოზი |
|------|-----------------|-------------------------------------|------------------------------------|----------------------------|------------------------------|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
|      | პროექტი №1      |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №1   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №2   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №... |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | პროექტი №2      |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №1   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №2   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №... |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | პროექტი №...    |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №1   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |
|      | ქვეპროექტი №2   |                                     |                                    |                            |                              |                                  |                                  |                                  |

დანართის მეორე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროექტის და ქვეპროექტის აღწერა და შემდეგი ინფორმაცია:

- პროექტის განმახორციელებელი;
- რა შედეგს უნდა ველოდოთ პროექტის დასრულების შემდგომ;
- პროექტის მთლიანი ღირებულება;
- პროექტის დაფინანსების წყაროები, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი წყაროები;
- დასაგეგმი წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები.

|   |  |
|---|--|
| <b>პროექტის დასახელება</b>  |  |
| პროექტის პროგრამული კოდი  |  |
| პროგრამის კოდი და დასახელება,<br>რომელსაც წარმოადგენს პროექტი<br>პროგრამულ კლასიფიკაციაში |  |

|                                       |  |
|---------------------------------------|--|
| პროექტის განმახორციელებელი            |  |
| პროექტის დაწყების თარიღი              |  |
| პროექტის დასრულების თარიღი            |  |
| პროექტის აღწერა და მიზანი             |  |
| დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ  |  |
| პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი |  |
| პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი   |  |

ვინაიდან კაპიტალური პროექტები თავის მხრივ პროგრამული ბიუჯეტის ნაწილია და შესაბამისად მათი შესრულების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერაში, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი შესრულების შეფასების ინდიკატორების ნაწილს აღარ ითვალისწინებს.

თანხა ათას ლარებში

| კოდი                   | პროექტის დასახელება | დაფინანსება* |                   |                      | დასაგებ მი წელი | შემდეგი 1 წელი | შემდეგი 2 წელი | შემდეგი 3 წელი |
|------------------------|---------------------|--------------|-------------------|----------------------|-----------------|----------------|----------------|----------------|
|                        |                     | სულ**        | საკუთარი სახსრები | კაპიტალური ტრანსფერი |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
|                        |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |
| სულ კაპიტალური ბიუჯეტი |                     |              |                   |                      |                 |                |                |                |

\* არსებობის შემთხვევაში დაფინანსების წყაროში ასევე უნდა მიეთითოს კრედიტი, გრანტი ან კერძო სექტორი

\*\* სულ დაფინანსებაში მოცემულ უნდა იყოს პროექტზე უკვე გაწეული ხარჯიც, რაზეც უნდა გაკეთდეს შესაბამისი კომენტარიც

### 8. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დაფუძნებული სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური ბიუჯეტის პროექტს, საკრებულოში წარდგენისას, თან უნდა დაერთოს ინფორმაცია მუნიციპალური სსიპ-ების, ააიპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების (მათ შორის, წლის დასაწყისში არსებულ და წლის ბოლოს პროგნოზირებად ნაშთებზე) შესახებ. ეს ფისკალური ინფორმაცია უნდა დაიყოს საკუთარ და ბიუჯეტიდან მიღებულ

სახსრებად. თავის მხრივ, მოცემული ინფორმაცია უნდა გაიშალოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „შემოსავლების“, „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“, „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების“ მეორე თანრიგის მიხედვით.

ინფორმაცია მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი სტრუქტურით:

თანხა ათას ლარებში

| დასახელება                               | სულ წლის გეგმა * | მ.შ. საკუთარი სახსრები | მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი |
|--|------------------|------------------------|---------------------------|
| შემოსულობები                             |                  |                        |                           |
| შემოსულობები სხვა შემოსავლებიდან         |                  |                        |                           |
| გრანტები                                 |                  |                        |                           |
| შემოსულობები არაფინანსური აქტივებიდან    |                  |                        |                           |
| შემოსულობები ფინანსური აქტივებიდან       |                  |                        |                           |
| ვალდებულებების ზრდა                      |                  |                        |                           |
| გადასახდელები                            |                  |                        |                           |
| ხარჯები                                  |                  |                        |                           |
| შრომის ანაზღაურება                       |                  |                        |                           |
| საქონელი და მომსახურება                  |                  |                        |                           |
| პროცენტი                                 |                  |                        |                           |
| სუბსიდიები                               |                  |                        |                           |
| გრანტები                                 |                  |                        |                           |
| სოციალური უზრუნველყოფა                   |                  |                        |                           |
| სხვა ხარჯები                             |                  |                        |                           |
| არაფინანსური აქტივების ზრდა              |                  |                        |                           |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე) |                  |                        |                           |
| ვალდებულებების კლება                     |                  |                        |                           |
| ნაშთის ცვლილება                          |                  |                        |                           |

\* თუ არსებობს დაფინანსების სხვა წყარო (მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტი, კრედიტი, კერძო სექტორი) ინფორმაცია უნდა მიეთითოს ცალკე სვეტად

თუ, თვითმმართველობაში ერთზე მეტი მუნიციპალური იურიდიული პირია, მაშინ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს როგორც ჯამურად, ასევე, ცალ-ცალკე თითოეულზე.

### 9. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და კვარტალური მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის

კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით. ხოლო, საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარედგინება გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

კვარტალურ ანგარიშებში სრულყოფილად უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ, ამ ფისკალური მაჩვენებლების ფაქტიური შესრულების შედარება გეგმიურ მაჩვენებელთან. მათ შორის, ნაზარდი ჯამით მოცემული უნდა იყოს იმ პერიოდისათვის შემოსულობების და გადასახდელების ყველა ის გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებელი რაც მოცემულია დამტკიცებულ ბიუჯეტში (მათ შორის, ბიუჯეტის ბალანსის მიხედვით).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვებისგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში, ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოცემული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტიური შესრულების შედარება წლიურ გეგმიურ მაჩვენებლებთან;
- გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთები წლის დასაწყისისათვის და წლის ბოლოსათვის;
- დ) პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და ფაქტიურ თანხებს შორის სხვაობის განმარტებას, თუ ეს სხვაობა აღემატება 30%-ს;
- ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან ასიგნებების გამოყოფის შესახებ;
- ვ) პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგს;
- ზ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების და სსიპ-ების ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლები.

ყველა ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები მიზანშეწონილია დამატებით მოიცავდეს ქვემოთ მოყვანილ მაჩვენებლებსაც და წარმოდგენილი იყოს შემდეგი სტრუქტურით:

## I თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

პირველ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში მოცემული უნდა იყოს კლასიფიკაციის მუხლების გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები; ასევე, პირველი თავი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მთლიანი მაჩვენებლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ, ეს ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი გეგმიურ და ფაქტიურ მაჩვენებლებში.

ამავე თავში ცალ-ცალკე ცხრილის სახით მოცემული უნდა იყოს გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით და ეს ინფორმაცია უნდა ჩაიშალოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის არანაკლებ იმ დონეზე რაც მოცემულია დამტკიცებულ ბიუჯეტში. მაგ: ბიუჯეტის შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლები მოცემული უნდა იყოს გადასახადის სახეების მიხედვით; ვალდებულებების ცვლილების მუხლი უნდა ჩაიშალოს საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდისა და კლების ქვემუხლებად და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ იქნება მნიშვნელოვანი განსხვავებები (როგორც გადაჭარბება ასევე დანაკლისი) საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემოსულობების მუხლების გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლებში, შესაბამისი ცხრილის ბოლოს უნდა გაკეთდეს განმარტება თუ რითი არის აღნიშნული სხვაობები გამოწვეული.

გრანტების მაჩვენებლების შესრულების ცხრილს უნდა დაერთოს განმარტება გრანტის წარმომავლობისა და საფუძვლის შესახებ. მაგ: უცხოური გრანტის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს დონორი, შესაბამისი ხელშეკრულება, გრანტის მთლიანი მოცულობა და მიზნობრიობა. სხვა დონის ბიუჯეტიდან მიღებული გრანტის შემთხვევაში - ტრანსფერის სახე, ტრანსფერის გამოყოფის თარიღი, მიზნობრიობა და მისი გამოყოფის საფუძველი (მაგ. მთავრობის დადგენილება, პრეზიდენტის განკარგულება ან სხვა).

ფინანსური აქტივების შესაბამის ცხრილს უნდა დაერთოს განმარტება თუ რამ გამოიწვია ეს ცვლილებები, კერძოდ: იყო ეს სესხთან დაკავშირებული ოპერაციები თუ იყო ნაშთის დაგროვება/გამოყენება. უნდა განმარტოს სესხის აღების/გაცემის მიზნობრიობა, წარმომავლობა. ხოლო ნაშთის შემთხვევაში - უნდა მიეთითოს ინფორმაცია წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტის ანგარიზე არსებული მთლიანი ნაშთის შესახებ, მიზნობრივი და თავისუფალი ნაშთის გამიჯვნით.

ვალდებულებების ცვლილების ცხრილს განმარტების სახით უნდა დაერთოს ინფორმაცია თუ რამ გამოიწვია ვალდებულებების ზრდა ან შემცირება. კერძოდ: რომელი დონორისგან, რა პირობებით მოხდა ვალის აღება, ან პირიქით ვისი ვალი დაიფარება და რა მოცულობით. აქვე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მთლიანი ვალდებულებების შესახებ (ვალის ნაშთი) საანგარიშო

წლის 31 დეკემბრისათვის. უნდა მოხდეს ამ მაჩვენებლის შედარება საპროგნოზო მაჩვენებელთან.

ამავე თავის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს წლიური ბიუჯეტის შესრულება ხარჯების და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით. ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესრულების ცხრილშიც ფაქტიურ მაჩვენებლებთან ერთად მოცემული უნდა იყოს შესაბამისი მუხლების გეგმიური მაჩვენებლებიც.

## **II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება**

ბიუჯეტის წლიური შესრულების ამ თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის (ღონისძიებებისათვის) გამოყოფილი ასიგნებების გეგმიურ და ფაქტიურ მაჩვენებლებზე. ინფორმაციაში ასევე მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი გადასახდელების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი.

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს გეგმიურ და ფაქტიურ ასიგნებებს ყველა იმ პროგრამული კოდსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლზე რომელიც მოცემულია დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში.

მთლიანი ასიგნებების წარმოდგენის შემდგომ ცალკე ცხრილის სახით მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების გეგმიური და ფაქტიური ხარჯების შესახებ (პროცენტული შესრულება), რომლებიც ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან.

## **მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების დანართი - ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება**

ამ თავის შესავალ ნაწილში მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს მოკლე ინფორმაცია იმ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა დაფინანსებაც განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ეს ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნას მუნიციპალიტეტის შემდგომი წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მე-2 თავის იმ ნაწილში სადაც საუბარია გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად საკითხებზე.

შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ბიუჯეტში მოცემული თითოეული პროგრამის, ქვეპროგრამისა და ღონისძიების (იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება წარმოდგენილია ცალკე ორგანიზაციული კოდით) მიხედვით. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების პროგრამულ კოდს, მასზე დაგეგმილ და გაწეულ ფაქტიურ ხარჯს, აღწერას, მიზანს, მიღწეულ შედეგს, შედეგის შეფასების საბაზისო, მიზნობრივ და მიღწეულ ინდიკატორებს, ასევე, განმარტებებს

მიღწეულ შედეგთან, ინდიკატორებთან დაკავშირებით.

აღნიშნული ინფორმაცია მიზანშეწონილი წარმოდგენილი იყოს ქვემოთ მოყვანილი სტრუქტურით.

დაფინანსების გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლები თვითოეულ პრიორიტეტზე, მასში შემავალი პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით, მოცემული უნდა იყოს ცალ-ცალკე. მაგ. პრიორიტეტი „05 00 - კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი“:

თანხა ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება  | წლიური გეგმა | წლიური ფაქტი | შესრულება %-ში |
|-----------------|---|--------------|--------------|----------------|
| 05 00           | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი                       |              |              |                |
| 05 01           | სპორტის სფეროს განვითარება                            |              |              |                |
| 05 01 01        | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა                   |              |              |                |
| 05 01 02        | სპორტული ღონისძიებები                                 |              |              |                |
| 05 01 03        | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა |              |              |                |
| 05 02           | კულტურის სფეროს განვითარება                           |              |              |                |
| 05 02 01        | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა            |              |              |                |
| 05 02 02        | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა |              |              |                |
| 05 02 03        | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა                   |              |              |                |
| 05 03           | ახალგაზრდობის მხარდაჭერა                              |              |              |                |

ამის შემდეგ თითოეულ პროგრამაზე, ქვეპროგრამაზე და ღონისძინებაზე (თუ ღონისძიება მოცემულია ცალკე პროგრამულ კოდად) წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შემდეგი სტრუქტურით:

|  |                      |                                       |                      |            |
|--|----------------------|---------------------------------------|----------------------|------------|
| პროგრამის დასახელება<br>(პროგრამული კოდი)      |                      |                                       |                      |            |
| პროგრამის განმახორციელებელი                    |                      |                                       |                      |            |
| პროგრამის აღწერა და მიზანი                     |                      |                                       |                      |            |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი                       |                      | მიღწეული შედეგი                       |                      |            |
| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი |                      | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი |                      | განმარტება |
| №  | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი                 | მიღწეული მაჩვენებელი |            |

|  |  |  |  |            |  |
|--|--|--|--|------------|--|
|  |  |  |  | (%/აღწერა) |  |
| 1.   |  |  |  |            |  |
| 2.   |  |  |  |            |  |
| 3.   |  |  |  |            |  |
| 4.   |  |  |  |            |  |
| 5.<br>(გენდერული,<br>ასეთის<br>არსებობის<br>შემთხვევაში) |  |  |  |            |  |

|  |                      |                       |                                       |                                   |            |
|--|----------------------|-----------------------|---------------------------------------|-----------------------------------|------------|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)    |                      |                       |                                       |                                   |            |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი               |                      |                       |                                       |                                   |            |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი                |                      |                       |                                       |                                   |            |
| დაგეგმილი შუალედური შედეგი                               |                      |                       |                                       | მიღწეული შედეგი                   |            |
| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი         |                      |                       | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი |                                   | განმარტება |
| №  | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი                  | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) |            |
| 1.   |                      |                       |                                       |                                   |            |
| 2.   |                      |                       |                                       |                                   |            |
| 3.   |                      |                       |                                       |                                   |            |
| 4.   |                      |                       |                                       |                                   |            |
| 5.<br>(გენდერული,<br>ასეთის<br>არსებობის<br>შემთხვევაში) |                      |                       |                                       |                                   |            |



პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერაში სხვა ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაფინანსების წყაროს შესახებ. კერძოდ, არის ეს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები თუ არის ტრანსფერი (მათ შორის, მიეთითოს თუ რომელი სახის სტრანსფერია), გრანტი ან სხვა სახის დაფინანსების წყარო. განმარტება უნდა გაკეთდეს ასევე, იმ შემთხვევაშიც, როცა დაფინანსების განხორციელდა 2 ან მეტი სხვადასხვა წყაროდან.

თუ მნიშვნელოვანია (30%-ზე მეტი) სხვაობა ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის, განმარტებების გრაფაში მოცემული უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთება თუ რამ გამოიწვია აღნიშნული.

ამ თავის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სარეზერვო ფონდიდან და წინა წლების დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფონდებიდან გამოყოფილი თანხის მოცულობას (გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლები), მიზნობრიობას და თანხის გამოყოფის თარიღს.

**მუნიციპალიტეტის კაპიტალური ბიუჯეტის შესრულების დანართი**

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მე-4-ე თავში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ.

ამ თავში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ყველა იმ პროექტის ფაქტიურ შესრულებაზე, რომელი პროექტიც შეესაბამება ამ მთოდოლოგიით განსაზღვრულ კაპიტალური პროექტის დეფინიციას და მისი დაფინანსება განხორციელდა საანგარიშო წლის ბიუჯეტიდან.

კაპიტალური ბიუჯეტის ჯამური ცხრილი, მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი სტრუქტურით:

*თანხა ათას ლარებში*

| პროგრამული კოდი | დასახელება      | პროექტის მთლიანი დაფინანსება | საანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარდა) | საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული თანხა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | შემდგომი წლების პროგნოზი | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები, საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულები ს ბოლომდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | პროექტის დაწყების ფაქტობრივი თარიღი | პროექტის დასრულების თარიღი |
|-----------------|-----------------|------------------------------|--|---|--------------------------------------|--------------------------|--|--|-------------------------------------|----------------------------|
|                 | პროექტი №1      |                              |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                            |
|                 | ქვეპროექტი №1   |                              |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                            |
|                 | ქვეპროექტი №2   |                              |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                            |
|                 | ქვეპროექტი №... |                              |  |   |                                      |                          |  |  |                                     |                            |

|                              |  |  |  |  |  |  |  |  |  |
|------------------------------|--|--|--|--|--|--|--|--|--|
| პროექტი №2                   |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №1                |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №2                |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| პროექტი №...                 |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №1                |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| ქვეპროექტი №2                |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| სულ<br>კაპიტალური<br>ბიუჯეტი |  |  |  |  |  |  |  |  |  |

არსებობის შემთხვევაში ცალკე სვეტად უნდა მიეთითოს კრედიტი, გრანტი ან კერძო სექტორი

### ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულება

მე-5-ე თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მუნიციპალური სსიპ-ების, ააიპ-ების და შპს-ების შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს გეგმიური და ფაქტიური მონაცემებს საანგარიშო წლისათვის, შესაბამისი იურიდიული პირის შემოსულობების, გადასახდებლების და ნაშთის ცვლილების (მათ შორის, წლის დასაწყისში და წლის ბოლოს არსებული ნაშთებზე) მიხედვით. ეს ფისკალური ინფორმაცია უნდა დაიყოს საკუთარ და მუნიციპალურ ბიუჯეტიდან მიღებულ სახსრებად. თავის მხრივ, მოცემული ინფორმაცია უნდა გაიშალოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის „შემოსავლები“, „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“, „არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების“ და „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების“ მეორე თანრიგის მიხედვით.

აღნიშნული ინფორმაცია მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს შემდეგი სტრუქტურით:

თანხა ათას ლარებში

| იურიდიული პირის დასახელება                | სულ წლის ფაქტი * | მ.შ. საკუთარი სახსრები | მ.შ. მუნიციპალური ბიუჯეტი |
|---|------------------|------------------------|---------------------------|
| შემოსულობები                              |                  |                        |                           |
| შემოსავლები                               |                  |                        |                           |
| სხვა შემოსავლები                          |                  |                        |                           |
| _____ (მიეთითოს შემოსავლის სახეობა)       |                  |                        |                           |
| გრანტები                                  |                  |                        |                           |
| არაფინანსური აქტივების კლება              |                  |                        |                           |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე) |                  |                        |                           |
| ვალდებულებების ზრდა                       |                  |                        |                           |
| საშინაო                                   |                  |                        |                           |
| საგარეო                                   |                  |                        |                           |

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
| გადასახდელები                            |  |  |  |
| ხარჯები                                  |  |  |  |
| შრომის ანაზღაურება                       |  |  |  |
| საქონელი და მომსახურება                  |  |  |  |
| პროცენტი                                 |  |  |  |
| სუბსიდიები                               |  |  |  |
| გრანტები                                 |  |  |  |
| სოციალური უზრუნველყოფა                   |  |  |  |
| სხვა ხარჯები                             |  |  |  |
| არაფინანსური აქტივების ზრდა              |  |  |  |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე) |  |  |  |
| ვალდებულებების კლება                     |  |  |  |
| საშინაო                                  |  |  |  |
| საგარეო                                  |  |  |  |
| ნაშთის ცვლილება                          |  |  |  |

\* თუ არსებობს დაფინანსების სხვა წყარო (მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტი, კრედიტი, კერძო სექტორი) ინფორმაცია უნდა მიეთითოს ცალკე სვეტად

თუ მუნიციპალიტეტში ერთზე მეტი ასეთი იურიდიული პირია, მაშინ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს როგორც ჯამურად, ასევე, ცალ-ცალკე თითოეულზე.

## ორგანიზაციული სტრუქტურიდან პროგრამულ ბიუჯეტზე გარდამავალი ეტაპი

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასასვლელად აუცილებელია რამდენიმე ეტაპის გავლა, რათა მხარჯავმა დაწესებულებამ შეძლოს მისთვის დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურიდან ძირითადი ღონისძიებების გამოტანა და მათი პროგრამებად გადაჯგუფება. პროგრამების დაგეგმვის დროს მხარჯავმა დაწესებულებამ უნდა გაიაროს რამდენიმე ეტაპი:

- დებულებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბოს მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები;
- განიხილოს მისი მიზნები და ამოცანები ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტებთან მიმართებაში და პირიქით, პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გამოავლინოს მის მიერ განსახორციელებელი შესაძლო ამოცანები;
- ორგანიზაციული სტრუქტურიდან უნდა გამოიტანოს ის ძირითადი ღონისძიებები, რასაც მის კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ;
- მოახდინოს განსახორციელებელი ღონისძიებების და დაწესებულების ძირითადი ფუნქციების და ამოცანების ერთმანეთთან დაკავშირება;
- მსგავსი ფუნქციის ან მიზნების მიხედვით დააჯგუფოს ღონისძიებები, მათი განმახორციელებლების მიუხედავად;
- დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთება, თუ რამდენი პროგრამა უნდა ქონდეს კონკრეტულ მხარჯავ დაწესებულებას;
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამის მიმართება არსებულ პრიორიტეტებთან;
- უნდა განისაზღვროს პროგრამის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევითაც პროგრამა პრიორიტეტით დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება;
- პროგრამების გამოვლენის შემდეგ მხარჯავი დაწესებულება იწყებს უკუპროცესს, მის დაშლას ქვეპროგრამებად და ღონისძიებებად;
- უნდა მოხდეს თითოეული ქვეპროგრამის მიერ მისაღწევი შუალედური შედეგების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების დადგენა, დაფინანსების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის გათვალისწინებით;
- უნდა გამოიკვეთოს არსებული მდგომარეობის ამსახველი მონაცემების ბაზა და დადგინდეს ის ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც მოხდება შედეგების შესრულების შეფასება;
- თითოეული ქვეპროგრამისთვის/ღონისძიებისთვის უნდა დაითვალოს შედეგების მისაღწევად საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა (საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა);
- მხარჯავი დაწესებულებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში განახორციელოს ასიგნებების პროგრამებზე გადანაწილება.



**საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგია**


**საინვესტიციო პროექტების მართვა**

**საინვესტიციო პროექტების მართვის ძირითადი არსი**

**1. ზოგადი დებულებები**

საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგია შემუშავებულია „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილების საფუძველზე. მეთოდოლოგია ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრავს მათი მართვის წესებს და პროცედურებს, მონაწილე მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე. მეთოდოლოგიაში განხილულია პროექტების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპი: პროექტების წინასწარი შერჩევა, პროექტის შეფასება, პროექტის შერჩევა/ბიუჯეტის შედგენა, პროექტის განხორციელება, პროექტის მონიტორინგი და პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება.

**სურათი 1: სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ძირითადი კომპონენტები**



მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვადასხვა შემოთავაზებული კაპიტალური ინვესტიციები თანმიმდევრულად და დადგინდეს პროექტების პრიორიტეტულობა სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში, როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკის, ისე დარგობრივი და რეგიონული მიმართულებებით.

საინვესტიციო პროექტი წარმოადგენს ფინანსურად მნიშვნელოვან საინვესტიციო პროექტს, რომელიც ფინანსდება (მეთოდოლოგიით განსაზღვრულ შემთხვევებში თანადაფინანსება ხორციელდება) შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით და ამგვარად მიჩნეული ყველა პროექტი, რომელთა მთლიანი საპროგნოზო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 მილიონ ლარს. ამასთან, რატიფიცირებული ხელშეკრულებების ფარგლებში დონორის მიერ, საინვესტიციო პროექტების მართვის ძირითადი პრინციპების დაცვით დაფინანსებული პროექტების შემთხვევაში, პროექტების მიმართ არ გავრცელდეს ამ გზამკვლევით დადგენილი რეგულაციები.

საინვესტიციო პროექტი გულისხმობს ისეთ კაპიტალურ ხარჯებს, რომელიც გაწეულია პროექტის განსახორციელებლად ცენტრალური ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ან ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ან/და მათი ბიუჯეტების სახსრებით.

იმ პროექტებთან მიმართებაში, რომლებიც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდება კერძო სექტორთან თანამშრომლობით, მეთოდოლოგია ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 მილიონ ლარს, ხოლო შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით თანადაფინანსება შეადგენს ან აღემატება მთლიანი ღირებულების 30%-ს.

ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებული რეგულაციები არ ვრცელდება პროექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციასთან.

## 2. ტერმინთა განმარტება

მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტი** წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მქონე აქტივობების ერთობლიობას, რომელიც ფიქსირებული გრაფიკის მიხედვით ხორციელდება, ზოგჯერ დროებითი „ორგანიზაციული სტრუქტურის“ მეშვეობით და ქმნის აქტივს, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა კონკრეტული ჯგუფისათვის სარგებელს ან/და მიღებული სარგებელის გამოყენების შესაძლებლობას.

საინვესტიციო პროექტებში იგულისხმება ისეთი მსხვილი პროექტები, რომელთაც საინვესტიციო ხასიათი გააჩნიათ, ანუ პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი თავად უნდა გახდეს ეკონომიკური აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალური პროექტები გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას.

საინვესტიციო პროექტის განსაზღვრისას აუცილებელია, რომ პროექტი უკავშირდებოდეს წინასწარ განზრახულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას, რომელიც არ უკავშირდება მხოლოდ აქტივის ფიზიკურ მდგომარეობას. პროექტი მნიშვნელოვნად უნდა ზრდიდეს არსებული აქტივის შესაძლებლობებს ან წარმადობას, ან სიცოცხლის ხანგრძლივობას და აქტივის ფასს. არსებული აქტივების მოვლა-შენახვა, შეკეთება და რეაბილიტაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტს. სრულად ამორტიზებული აქტივის რეაბილიტაციაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს საინვესტიციო პროექტს;

ბ) **კაპიტალური ხარჯები** წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც მიიმართება აქტივის შესაქმნელად. იგულისხმება როგორც მატერიალური აქტივები (შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები), ისე არამატერიალური აქტივები (საინფორმაციო, საკომუნიკაციო, IT სისტემები). კაპიტალური ხარჯები მოიცავს არსებული აქტივის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას (განახლება, რეკონსტრუქცია, გაფართოება). ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია კაპიტალური ხარჯების გამიჯვნა შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯებისგან, ვინაიდან საინვესტიციო პროექტისათვის საჭიროა წინასწარ განზრახული საინვესტიციო გადაწყვეტილება, რომელიც არ უკავშირდება აქტივის ფიზიკურ მდგომარეობას. ასეთი ხარჯები მნიშვნელოვნად ზრდის არსებული აქტივის შესაძლებლობებს ან წარმადობას, ან მნიშვნელოვნად ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას და აქტივის ფასს. სრულად ამორტიზებული აქტივის რეაბილიტაცია წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯს;

გ) **პროექტის მთლიანი ღირებულება** – საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტისთვის საჭირო ყველა ხარჯი, საინვესტიციო პროექტის დაგეგმილი შედეგების/პროდუქტის მისაღებად საჭირო მთლიანი ფინანსური რესურსი, დაფინანსების წყაროს (სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორის დაფინანსება, სესხები და/ან ბენეფიციარის თანადაფინანსება) მიუხედავად;



**დ) საბოლოო ბენეფიციარი** – საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული ან გაუმჯობესებული პროდუქტის ან/და მომსახურების საბოლოო მომხმარებელი.

**ე) პროექტების წინასწარი შერჩევა** – პროექტის სტრატეგიული ამოცანის, ლოგიკური დასაბუთების, ბიუჯეტზე ზემოქმედების, ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სოციალური გავლენის წინასწარი შეფასების პროცესი. სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობს პროექტის კონცეფციის ბარათის შემუშავებას, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.

**ვ) პროექტის შეფასება** – პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მაღალი სოციალური და ეკონომიკური შედეგების მომტანი პროექტის გამოვლენას (მოქმედების მიზანშეწონილობის გადაწყვეტილების (არსებული სიტუაციის შენარჩუნების) ჩათვლით). ასევე მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შეფასება.

**ზ) პროექტის პრიორიტეტულობის განსაზღვრა/შერჩევა** - ყოველმხრივი ანალიზის გზით ყველაზე მიზანშეწონილი ვარიანტის შერჩევისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად რეკომენდაციების შემუშავების პროცესი.

**თ) პროექტის კონცეფციის ბარათი** – პროექტის მოკლე აღწერა, რომელიც მზადდება პროექტის იდენტიფიკაციის შემდეგ წინასწარი შერჩევის ეტაპზე, პროექტის სიღრმისეული ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

**ი) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა (Feasibility Study)** - ანალიტიკური კვლევა, რომელიც ხორციელდება შეფასების ეტაპზე, მოიცავს შემოთავაზებული პროექტის ტექნიკურ, ეკონომიკურ შეფასებას, ასევე შეიძლება მოიცავდეს ეკოლოგიურ და სოციალურ შეფასებებს და ხორციელდება კაპიტალური საინვესტიციო პროექტის საერთო მიზანშეწონილობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად.

**კ) ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA - Cost-Benefit Analysis)** - ფულად გამოსახულებაში პროექტის ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობრივი შეფასება ალტერნატიული ღირებულების შეფასების საფუძველზე.

**ლ) ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA - Cost-Effectiveness Analysis)** – პროექტის საპროგნოზო შედეგების განსაზღვრა და ამ შედეგების მისაღწევად პროექტის განხორციელების იმგვარი სტრატეგიის შერჩევა, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს მთლიანი დისკონტირებული კაპიტალი და მიმდინარე ხარჯები. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც სარგებლის ფულადი ღირებულების შეფასება ძნელია ან ძვირი, ან იმისთვის, რომ არჩევანი გაკეთდეს ერთსა და იმავე ან ძალიან მსგავსი შედეგების მომტან ალტერნატივებს შორის. მოცემული ანალიზი შესაძლებელია განხორციელდეს პროდუქციის ერთეულის (ანუ არაფულადი სარგებლის) თვითღირებულების გაანგარიშების ფორმით;

**მ) წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV – Net Present Value)** – პროექტის წმინდა სარგებლის დისკონტირებული წლიური სიდიდეების ჯამი (სარგებელს გამოკლებული ხარჯები).

ნ) შიდა უკუგების დონე (IRR – Internal Rate of Return) – დისკონტირების ნორმა, რომლის დროსაც კონკრეტული წლიური სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება ნულის ტოლია. ეს ის ნორმაა, რომელიც ათანაბრებს დისკონტირებული ხარჯების ჯამსა და დისკონტირებული სარგებლის ჯამს.

ო) ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (Benefit cost ratio) – პროექტის სიცოცხლის ხანგრძლივობის მთელი პერიოდის მანძილზე მთლიანი დისკონტირებული სარგებლის თანაფარდობა მთლიან დისკონტირებულ ხარჯებთან.

პ) გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომში – გზშ) – შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ განმარტებას და მზადდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჟ) სოციალური ზემოქმედების შეფასება – პროექტის პოტენციური უარყოფითი და დადებითი სოციალური შედეგების შეფასება, როგორებიცაა: შემოსავლის გადანაწილება, სიღარიბე, უმუშევრობა, გენდერული თანასწორობა და სხვა. სოციალური ზემოქმედების შეფასების დროს კეთდება არა მთელი საზოგადოების ზარალისა და სარგებლის სიდიდის ანალიზი, არამედ ანალიზი იმისა, თუ ვინ ზარალდება და ვინ იღებს სარგებელს პროექტის შედეგად (ამ უკანასკნელთა შეფასება ხდება ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის დროს).

რ) ალტერნატიული ღირებულება – რესურსის ღირებულება საუკეთესო ალტერნატიული ვარიანტის გამოყენების შემთხვევაში. ეკონომიკური ანალიზის დროს პროექტის შეძენილი რესურსის ალტერნატიული ღირებულება არის მისი ზღვრული სოციალური ღირებულება საუკეთესო ალტერნატიული გამოყენების (რომელიც პროექტს არ უკავშირდება) ან ამჟამინდელი გამოყენების შემთხვევაში (იზომება გადახდის მზადყოფნის საფუძველზე), თუ ეს საბოლოო პროდუქტი ან მომსახურებაა.

ს) ფარული ფასი/ჩრდილოვანი ფასი – პროდუქტის ან მომსახურების ალტერნატიული ღირებულება, რომელიც შეიძლება საბაზრო ფასისგან ან რეგულირებადი ტარიფისგან განსხვავდებოდეს. ეკონომიკურ ანალიზში ფარული ფასები გამოიყენება საზოგადოებისათვის რესურსის რეალური ღირებულების და პროდუქტის რეალური სარგებლის უკეთესად ასახვისთვის.

ტ) რესურსების ღირებულება (Resource Cost) – საქონლის ან მომსახურების რეალური ეკონომიკური ღირებულება. იგი განსხვავდება „ხარჯებისაგან“, ვინაიდან ისეთი ხარჯები, როგორცაა გადასახადები ან მოსაკრებლები, მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით წარმოადგენს არა ხარჯს, არამედ რესურსის ტრანსფერს საზოგადოების ერთი ჯგუფიდან მეორეში.

უ) გარე ფაქტორები – ხარჯი ან სარგებელი, რომელიც პირდაპირ არ აკუმულირდება პროექტის განმახორციელებელი სუბიექტის ანგარიშებზე (ანუ ის არ შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშებში, რადგანაც საბაზრო ფასი არ აქვს) და რომელიც ფინანსური ნაკადების თვალსაზრისით პროექტს პირდაპირ ვერ დაუკავშირდება. შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური.

ფ) პროექტის შესრულება – პროექტის შესრულება ფასდება მისი ეკონომიურობის, ხარჯთსარგებლიანობის და ეფექტიანობის მიხედვით. „ეკონომიურობა“ ნიშნავს, რომ

პროექტში გამოყენებული რესურსების ხარისხი მისაღებია, ღირებულება კი - ყველაზე დაბალი. „პროდუქტიულობა“ ნიშნავს, პროექტის შედეგების/პროდუქტების შექმნას რესურსების და დროის მინიმალური რაოდენობის გამოყენებით. „ეფექტიანობა“ ნიშნავს, რომ პროექტის შედეგები/პროდუქტები ხელს შეუწყობს პროექტის ამოცანის (შესაბამისად მიზნის) წარმატებულ მიღწევას. პროექტის ეფექტიანობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების მიღებას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს.

ქ) **დისკონტირება** - პროცესი, რომლის დროსაც ხარჯებისა და სარგებლის მომავალ სიდიდეებს ამცირებენ იმისთვის, რომ ასახონ ის ღირებულება, რომელიც ენიჭება მომავალ ხარჯებსა და სარგებელს არსებულ ღირებულებასთან შედარებით. „დისკონტირების განაკვეთი“ არის უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის ანალოგიური წლიური განაკვეთი, რომლითაც მომავალ ხარჯებსა და სარგებელს ამცირებენ შესადარებელი მიმდინარე ღირებულებების დასადგენად.

### 3. პროექტის წინასწარი შერჩევა

3.1 პროექტის წინასწარი შერჩევის არსი, მიზანი და ახალი პროექტის გამოვლენის მექანიზმები

პროექტების წინასწარი შერჩევა არის პროექტის სტრატეგიული ამოცანის, ლოგიკური დასაბუთების, ბიუჯეტზე ზემოქმედების და ეკონომიკური ეფექტიანობის (მიზანშეწონილობის) ასევე, სოციალური ეფექტის წინასწარი ზოგადი შეფასების პროცესი. პროექტის წინასწარი შერჩევის მიზანია უზრუნველყოს, ისეთი პროექტების შერჩევა, რომელთა განხორციელება:

- შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, მთავრობის ან კონკრეტული სექტორის, რეგიონისა თუ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, განსაკუთრებით არსებული ბიუჯეტის გათვალისწინებით;
- არის ეკონომიკურად სარგებლიანი.

წინასწარი შერჩევის ეტაპი უზრუნველყოფს პროექტის რაციონალურობის დადგენას ლოჯისტიკის, რისკების და მდგრადობის თვალსაზრისით და პროექტის შეუფერებელი ალტერნატივების გამორიცხვას/უარყოფას და შემდგომი განხილვისთვის შესაფერისი ალტერნატივების იდენტიფიცირებას.

ახალი პროექტის გამოვლენის შესაძლო მექანიზმებია:

ა) აქტივების მართვის სისტემების არსებობის შემთხვევაში კონკრეტული სახელმწიფო აქტივების მდგომარეობისა და დარჩენილი სასიცოცხლო ციკლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და იმ აქტივების იდენტიფიცირება, რომლებიც უახლოეს მომავალში საჭიროებს გარკვეულ ჩანაცვლებას/ცვლილებას.

ბ) სხვადასხვა დარგობრივი და რეგიონული სტრატეგიული გეგმის საშუალებით გამოიკვეთება სახელმწიფო ინვესტიციების პრიორიტეტული სფეროები, რაც პროექტის იდენტიფიკაციას ხელს შეუწყობს.

გ) ინფრასტრუქტურის ძირითადი დარგებისთვის შემუშავებული გენერალური გეგმების საშუალებით შესაძლებელია კონკრეტული პროექტებისა და მათი პრიორიტეტული თანმიმდევრობის იდენტიფიცირება.

დ) შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა.

წინასწარი შერჩევის პროცესი გულისხმობს პროექტის სტრატეგიულობის, დასაბუთებულობის, სოციალურ გარემოზე და ბიუჯეტზე გავლენის წინასწარ შეფასებას.

წინასწარი შერჩევის ეტაპი საშუალებას იძლევა განხილული იქნეს პრობლემის/საკითხის გადაჭრის ალტერნატიული შესაძლებლობები და საბოლოო შეჯერება მოხდეს რამდენიმე ვარიანტზე, რომელთაგან ერთ-ერთია იმის განხილვა რა შედეგი დადგება, იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ განხორციელდება.

### 3.2 პროექტის კონცეფციის ბარათი

„პროექტის კონცეფციის ბარათში“ ინფორმაცია შეიტანება შიდა ანალიზისა და მსჯელობის საფუძველზე. ის გულისხმობს პროექტის შესახებ კონსენსუსის მიღწევას და მის შემუშავებაში სასურველია მონაწილეობდნენ, კონკრეტული სფეროს ტექნიკური სპეციალისტები, ასევე პროექტების პროფესიონალი ანალიტიკოსები. პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, პროექტის შესახებ კონსენსუსის მიღწევა აგრეთვე შეიძლება გულისხმობდეს შესაბამისი გარეშე დაინტერესებული მხარეების და სამთავრობო უწყებების მონაწილეობას. ეს ყველაფერი აისახება „პროექტის კონცეფციის ბარათის“ მომზადების პროცესზე.

„პროექტის კონცეფციის ბარათის“ მომზადების პროცესში შეიძლება უარი ითქვას პროექტის ან მისი ზოგიერთი ალტერნატივის კონცეფციაზე (კონცეფციის ბარათის მომზადება დაიწყო და არ დასრულდეს), თუ მომზადების პროცესშივე ცხადი გახდა, რომ ის წინასწარი შერჩევის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს და პროექტის შემდგომი დამუშავება მიზანშეწონილი არ არის. ეს არ უნდა ჩაითვალოს რესურსების უქმად ხარჯვად, პირიქით წარმოადგენს მომავალში ხარჯების დაზოგვას.

პროექტის „კონცეფციის ბარათში“ უნდა განისაზღვროს რომელი მეთოდების გამოყენება იქნება აუცილებელი პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისას, თუ პროექტი გადავა შეფასების ეტაპზე.

წინასწარი შერჩევის პროცედურის განხორციელების მიზნით, პროექტის თითოეულ ალტერნატივაზე უნდა მომზადდეს „პროექტის კონცეფციის ბარათი“, რომელიც მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ ინფორმაციას:

**ა) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია – პროექტის სახელწოდება, კონცეფციის ბარათის მომზადებაში ჩართული პირები და პასუხისმგებელი პირები და სხვა;**

**ბ) პროექტის არსის განსაზღვრა და საჭიროებათა შეფასება**

**ბ.ა) ინტერვენციების ლოგიკა**

პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს განსახილველი პროექტის არსის განმარტებას და შესაძლო ალტერნატიულ მიდგომებს. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- იმ კონკრეტული პრობლემის/მდგომარეობის აღწერა, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი და აღნიშნული პრობლემის/მდგომარეობის სიმძიმის განსაზღვრა;
- განმარტება იმისა, თუ როგორ მოახერხებს პროექტი განსაზღვრული პრობლემის/მდგომარეობის გადაჭრას/შემსუბუქებას;
- პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზე გამართლებულია სახელმწიფოს ინტერვენცია, ანუ, საბაზრო ჩავარდნა ან კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

- პრობლემის აღმოფხვრის შესაძლო ალტერნატიული გზების აღწერა, მათ შორის, ახალი პოლიტიკის გატარება.

აუცილებელია განსაზღვრული პრობლემის სიმძიმის მაჩვენებლის მითითება და სასურველია, გაკეთდეს მისი რაოდენობრივი შეფასება (მაგალითად: ჩამდინარე წყლების ჩაშვების მოცულობა; წყლის ობიექტებში ბაქტერიებისა და დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია; გზის საფარის მდგომარეობა; ან მოძრაობის საშუალო სიჩქარე). ამის შემდეგ, პროექტის ინიციატორებმა მოკლედ უნდა განმარტონ, თუ როგორ აპირებენ იდენტიფიცირებული პრობლემის შედეგ(ებ)ის აღმოფხვრას.

საინვესტიციო შესაძლებლობები მოძიებული უნდა იქნეს იმ დარგებში, სადაც სახელმწიფო სექტორს კარგად განსაზღვრული როლი აქვს. ეს, როგორც წესი ნიშნავს იმას, რომ იქ სადაც საბაზრო ჩავარდნის ან არაეფექტიანობის მტკიცებულება არსებობს, კერძო სექტორი არ აიღებს ან ნაწილობრივ აიღებს საკუთარ თავზე გარკვეული მომსახურების გაწევას. იმ შემთხვევაში, თუ არ არის მკაფიოდ დასაბუთებული სახელმწიფო სექტორის ინტერვენციის აუცილებლობა მსგავსი პროექტი შემდგომ განხილვას, როგორც წესი არ ექვემდებარება.

ალტერნატიული გადაწყვეტილებების<sup>1</sup> შემუშავებისას გასათვალისწინებელია მათ შორის, ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა არ საჭიროებენ ინვესტიციას.

**მაგალითად:**

*წყლის რესურსზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ალტერნატიული გადაწყვეტები შესაძლოა იყოს: ახალი წყალმომარაგების სისტემების შექმნა, წყალმომარაგების გამანაწილებელ ქსელში გაჟონვების დაფიქსირება, გამრიცხველიანება ან/და ტარიფის გაზრდა.*

*საგზაო სექტორში, ქალაქის გზებზე გადატვირთული მოძრაობის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებით ან სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უკეთესი მართვით.*

პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპზე სასურველია წარმოდგენილი იყოს ალტერნატივათა სპექტრი, ხოლო შემდგომი კვლევის ეტაპზე მათი რაოდენობა უნდა შემცირდეს შესაბამისი გამორიცხვის მეთოდით. გადაწყვეტილებების განხილვისას და შემდგომი კვლევისთვის ალტერნატივების შერჩევისას პროექტის განმახორციელებლებმა უნდა გაითვალისწინონ პროექტის საბოლოო ანგარიშში მოცემული შესაბამისი კვლევების შედეგები და მსგავსი პროექტების ეფექტიანობის *შესრულების შემდგომი* შეფასებები. აღნიშნული კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით, რადგან მათ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, შესაძლებელია სხვა ალტერნატივა არ არსებობდეს, გარდა „არაფრის გაკეთების“ ალტერნატივისა.

---

<sup>1</sup> პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ალტერნატივას უნდა წარმოადგენდეს არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა, ან, ზოგჯერ, სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად აუცილებელი მინიმალური ქმედების ალტერნატივა. ყველა დანარჩენი ალტერნატივა განიხილება აღნიშნულ ალტერნატივასთან შედარების გზით. აღნიშნული შედარება ფორმალურად ხორციელდება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე, თუმცა მისი გათვალისწინება აუცილებელია პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპზეც.

## **ბ.ბ) საჭიროებათა შეფასება**

პროექტის კონცეფციის ბარათში იდენტიფიცირებული უნდა იყოს საბოლოო ბენეფიციარები (ანუ, პროექტით გათვალისწინებული მომსახურების საბოლოო მომხმარებლები) და აღნიშნულ მომსახურებაზე მათი მოთხოვნის დაახლოებითი შეფასება. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის განხორციელების შედეგად სარგებელის მიმღები საბოლოო ბენეფიციარების კონკრეტული სამიზნე ჯგუფი;
- პროექტით გათვალისწინებული მომსახურების საბოლოო მომხმარებლების დაახლოებითი რაოდენობა, საზომი ერთეულის მითითებით (მაგ.: ერთ მოსახლეზე, ერთ ოჯახზე, საწარმოზე და სხვა);
- პროექტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე ფიზიკური მოთხოვნის განსაზღვრა და მისი ზრდის ტემპი, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ.: კუბური მეტრი წყალი დღეში, სატრანსპორტო მოძრაობა დღეში და სხვა);
- საპროექტო ობიექტის სიმძლავრე/გამტარიანობა, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ.: კუბური მეტრი წყალი დღეში, სატრანსპორტო მოძრაობა დღეში, ან გამოყენებული სივრცის კვადრატული მეტრი).

სამიზნე ბენეფიციართა გამოვლენის შემდეგ, პროექტის კონცეფციის ბარათში აქცენტი უნდა გაკეთდეს პროექტით გათვალისწინებული მომსახურებით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებლებზე. საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ შემსრულებელ ორგანოებს (და მათი თანამშრომლები) არ წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების საბოლოო ბენეფიციარებს. საბოლოო ბენეფიციარი, ყოველთვის მიზნობრივი ჯგუფია, რომელიც შედგება საზოგადოების სხვადასხვა წევრებისგან.

ახალი პროექტებისთვის შემუშავებულ კონცეფციის ბარათში წარმოდგენილი საბოლოო მომხმარებელთა და მოთხოვნათა რაოდენობრივი შეფასება შესაძლოა არ იყოს ზუსტი წინასწარი შერჩევის ეტაპზე, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე. მიუხედავად ამისა, კონცეფციის ბარათში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი თუნდაც წინასწარი კვლევები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება პროექტის წინასწარი შეფასება. ყველა რაოდენობრივი შეფასებისას მითითებული უნდა იყოს საზომი ერთეული.

პროექტის კონცეფციის ბარათში შეფასებული უნდა იყოს ასევე პროექტის ობიექტის რესურსების მოცულობა, რაც გამოხატული უნდა იყოს მოთხოვნის შეფასებისას გამოყენებული საზომი ერთეულით, რათა შესაძლებელი იყოს შედარებითი ანალიზის განხორციელება. აღნიშნული კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება წინასწარ შეფასდეს, თუ რამდენად შეესაბამება არსებულ მოთხოვნას პროექტით გათვალისწინებული მომსახურების

მიწოდება. აღნიშნული ინფორმაციის სიღრმისეული კვლევა აუცილებელია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე, პროექტის წინასწარი შერჩევის შემთხვევაში.

### **ბ.გ) პროექტის განხორციელების სფერო**

პროექტის არსი, მისი შემადგენელი კომპონენტები და დაგეგმილი საქმიანობა საკმარისად მკაფიოდ უნდა იყოს წარმოჩენილი, რათა შესაძლებელი იყოს პროექტის მიზნის მისაღწევად აუცილებელი ხარჯების ასახვა. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს პროექტისა და მისი კომპონენტების აღწერას. მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა.

წინასწარი შერჩევის ეტაპზე, პროექტის ინიციატორები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროექტის არსი შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს და რომ ყველა კრიტიკული კომპონენტი თუ საქმიანობა გათვალისწინებულია.

### **გ) პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა**

პროექტის კონცეფციის ბარათის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და წინასწარი შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი არის პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის განსაზღვრა. პროექტის კონცეფციის ბარათში ნათლად უნდა იყოს წარმოჩენილი პროექტის მთავრობის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და შესაბამისი სექტორის სტრატეგიულ მიმართულებებთან შესაბამისობა. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა, რომელიც უნდა შესრულდეს მაშინაც კი თუ პროექტში დასაბუთებულია ინტერვენციის აუცილებლობა და შესაბამისი მოთხოვნა. პროექტის უფრო ფართო კონტექსტში განხილვის მიზნით, კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- მთავრობის სტრატეგიულ მიზნებთან პროექტის შესაბამისობა და მისი წვლილი პროექტის განმახორციელებლის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.
- პროექტის შესრულების ვადები შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის განსაზღვრულ ვადებთან.

მთავრობის მიერ დასახული მიზნები ასახულია მთავრობის სტრატეგიულ გეგმაში. სამინისტროს/უწყებების მიერ დასახული მიზნები და ამოცანები ასახულია სამინისტროს/უწყების სტრატეგიულ გეგმაში. საინვესტიციო პროექტების განხორციელებით ჩნდება მატერიალური აქტივები, რომელთაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სამინისტროების/უწყებების მიერ დასახული მიზნების მიღწევაში. პროექტის კონცეფციის ბარათში მკაფიოდ უნდა იყოს ასახული, თუ რა წვლილი შეიძლება ჰქონდეს პროექტის განხორციელებას სამინისტროს/უწყების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. იმ პროექტების შემთხვევაში, რომელთა შემუშავებისა და განხორციელების ვადა სცდება სამინისტროს/უწყების საშუალოვადიანი სტრატეგიული მიზნებისთვის განსაზღვრულ ვადას, აქცენტი უნდა გაკეთდეს მთავრობის პოლიტიკით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან ან სექტორის გრძელვადიან გეგმებთან შესაბამისობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;



## დ) პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობის წინასწარი შეფასება და ალტერნატივების ანალიზი

### დ.ა) პროექტის ღირებულება

პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს პროექტის და შესაბამისი ალტერნატივების განხორციელებისთვის საჭირო საინვესტიციო ხარჯების შეფასებას. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს მაღალი ხარჯების გამო უარყოფილ ალტერნატივებს და ასევე იმ ალტერნატივებს, რომლებიც შემდგომი კვლევებისთვის შესაფერისად იქნა მიჩნეული. მითითებული უნდა იყოს ასევე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯები. პროექტის კონცეფციის ბარათი ხარჯებთან დაკავშირებით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის და პროექტის ალტერნატიული ვარიანტების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების ძირითადი კომპონენტები;
- პროექტის და შესაბამისი ალტერნატიული ვარიანტების საერთო სავარაუდო ღირებულება მიმდინარე ფასებში.
- პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის სავარაუდო ხარჯები, მაშინაც კი თუ აღნიშნული ხარჯები მაღალი ცდომილებით არის გაანგარიშებული<sup>2</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ ეტაპზე ხარჯების მხოლოდ მიახლოებითი შეფასება არის შესაძლებელი. შეფერხებული პროექტების დასრულებისთვის საჭირო ხარჯები (განახლებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით) აუცილებლად უნდა აისახოს პროექტის კონცეფციის ბარათში. კონცეფციის ბარათში მითითებული უნდა იყოს ხარჯთაღრიცხვის საფუძველი და უნდა განსხვავდებოდეს პროექტის განვითარების ეტაპების მიხედვით.

პროექტის ალტერნატივები შესაძლოა დაიყოს ორი ტიპად, განსაზღვრული პრობლემის ტექნიკური გადაწყვეტილების ალტერნატივად და მოცემული გადაწყვეტილების ტექნიკურ ვარიანტებად. ტექნიკური ვარიანტი შეიძლება მოიცავდეს სპეციფიკაციის ცვლილებას (მაგალითად, პროექტის სასიცოცხლო ციკლის შეცვლა) ან სხვადასხვა კომპონენტების ეტაპებად დაყოფას. მაგალითად, გზის სხვადასხვა შესაძლო (ჰორიზონტალური) დაგეგმარება აღქმული უნდა იყოს, როგორც ალტერნატიული ტექნიკური გადაწყვეტილებები (ისევე როგორც ახალი ინფრასტრუქტურის ინვესტირების ნაცვლად სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მართვის გაუმჯობესების შესახებ მიღებული ალტერნატიული გადაწყვეტილება), ხოლო გზის გრძივი პროფილის და გზის საფარის მოწყობასთან დაკავშირებული არჩევანი მიჩნეული უნდა იქნეს ვარიანტებად. ტექნიკური ვარიანტების განხილვა არ ხდება წინასწარი შერჩევის ეტაპზე, რადგან მათი მიახლოებული ხარჯების გაანგარიშებაც კი შეუძლებელია ამ ეტაპზე, თუმცა პოტენციური ვარიანტები საფუძვლიანად უნდა შეფასდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე;

---

<sup>2</sup> იმ პროექტების შემთხვევაში, რომელთა დოკუმენტაცია სახელმწიფო ინვესტიციების მართვის რეფორმებამდე მომზადდა, უკვე არსებული ხარჯთაღრიცხვა არსებულ ფასებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს.

## დ.ბ) პროექტის სარგებელი

წინასწარი შერჩევის ეტაპზე მნიშვნელოვანია პოტენციური სარგებელის დადგენა და მათი მნიშვნელობის წინასწარი ხარისხობრივი შეფასება. ამ ეტაპზე მათი რაოდენობრივი შეფასება არ არის საჭირო.<sup>3</sup> პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შექმნილი აქტივებით საბოლოო მომხმარებლების ძირითადი სარგებელი;
- ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარე სარგებელი და უარყოფითი ეფექტი<sup>4</sup>; და
- ალტერნატივებს შორის სარგებელის მხრივ ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოკლე განმარტებებით.

პროექტის სარგებელი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ადრეულ ეტაპზე (ინტერვენციის ლოგიკა) გამოვლენილ პრობლემასთან და განსაზღვრული უნდა იყოს ბენეფიციარები. მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაშიც კი მომხმარებელმა შესაძლოა მიიღოს სარგებელი, მაგალითად, გზის მომხმარებლები დაზოგავენ დროსა და ავტომობილის საოპერაციო ხარჯებს, ხოლო პარკის მომხმარებლები სიამოვნების სახით მიიღებენ სარგებელს. ყოველივე ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დოკუმენტში. პროექტის განმახორციელებლის გარე სარგებელი და ხარჯები, მაგალითად როგორცაა სატრანსპორტო პროექტების შედეგად ხმაურის გავრცელებისა და ჰაერის დაბინძურების ზრდა და კლება ასახული უნდა იყოს კონცეფციის ბარათში. სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასება შესაძლოა საჭირო იყოს მომზადების პროცესში გარე ფაქტორების რაოდენობრივი შეფასების მიზნით. პროექტის კონცეფციის ბარათში ასახული უნდა იყოს სარგებელის საწყისი მონაცემები, ანუ:

- მატერიალური სარგებელის ღირებულების შეფასება საბაზრო ფასის გამოყენებით;
- არამატერიალური სარგებელის/დანაკარგის ფულადი ღირებულების შეფასება საბაზრო ფასის სიმულაციის გზით;
- არამატერიალური სარგებელი/დანაკარგით გამოწვეული ზემოქმედებების რაოდენობრივი<sup>5</sup> შეფასება, მაშინ, როდესაც გართულებულია ფულადი ღირებულებების შეფასება;
- არამატერიალური სარგებლის ხარისხობრივი შეფასება, მაშინ, როდესაც გართულებულია ზემოქმედებების რაოდენობრივი შეფასება.

<sup>3</sup> გამონაკლისი დაიშვება შეჩერებული პროექტებისთვის ან იმ პროექტებისთვის რომლებმაც სახელმწიფო ინვესტიციების მართვის რეფორმებამდე გაიარეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპი.

<sup>4</sup> დადებითი და უარყოფითი გარე ფაქტორები წარმოადგენს პროექტის იმ სარგებელსა და ხარჯებს, რომლებიც არ არის პროექტის განმახორციელებელი ან განმახორციელებლის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი და შესაბამისად არ არის ასახული პროექტის ფინანსურ ანგარიშებში.

<sup>5</sup> გარემოზე ზემოქმედების რაოდენობრივი შემცირება ან ზრდა, მაგალითად როგორცაა ხმაურის გავრცელება, ჰაერის დაბინძურება;

პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპზე აღნიშნული მეთოდის გამოყენება არ არის სავალდებულო. აღნიშნული ინფორმაცია გარკვეულწილად დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ თუ რა შემდგომი კვლევების განხორციელება იქნება საჭირო დადებითი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფისთვის.

#### **დ.გ) ეკონომიკური ეფექტიანობა**

პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის<sup>6</sup> წინასწარ შეფასებას, რათა დადგინდეს, თუ რამდენად ღირს მასში სახელმწიფო ინვესტიციის ჩადება. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულებამდე შეუძლებელია პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის ზუსტი შეფასება. თუმცა, არსებობს ერთეული ღირებულების გარკვეული მაჩვენებლები, რომლებიც პროექტის ინიციატორებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა განიხილონ იმისათვის, რომ დაადგინონ თუ რამდენად აქვს პროექტს სახელმწიფო ინვესტიციის მიღების პოტენციური და გამორიცხონ მაღალი ხარჯის/დაბალი მოთხოვნის პროექტები. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- აქტივის საორიენტაციო ღირებულება თითო საბოლოო მომხმარებელზე და/ან აქტივის საორიენტაციო ღირებულება საბოლოო მომსახურებაზე მოთხოვნის თითო ერთეულზე;<sup>7</sup>
- ერთეულის ღირებულების მიხედვით შესაძლო ალტერნატივების ან/და სხვა უკვე დასრულებული შესაძლო მსგავსი პროექტების შედარება;
- შეფასება იმისა, თუ რამდენად ღირს მოცემულ პროექტზე სახელმწიფო ხარჯის გაღება, მის ალტერნატივებთან შედარებით (როგორც მინიმუმ „არაფრის გაკეთების“ ალტერნატივა), ხარჯებისა და პოტენციური სარგებელის შესახებ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით;
- პროექტის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედების ძირითადი რისკები და ვარაუდები და ის რისკები, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას;
- პროექტის ის ალტერნატივები, რომლებიც ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით შემდგომ კვლევებს დაექვემდებარება;

მოლოდინი იმისა, რომ პროექტის ინიციატორები წინასწარი შერჩევის ეტაპზე შეძლებენ ეკონომიკური ეფექტიანობის ზუსტ განსაზღვრას ნაკლებია, თუმცა, მინიმუმ მათ

<sup>6</sup> მეთოდოლოგიაში ტერმინი "ეკონომიკური ეფექტიანობა" გამოიყენება როგორც საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანის თვალსაზრისით პროექტის მდგრადობის აღმნიშვნელი შემოკლებული ფორმა: ეს არ გულისხმობს განმახორციელებლის საქმიანობიდან ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ფინანსურ მომგებიანობას.

<sup>7</sup> ეს არის უხეში შეფასებით მიღებული მაჩვენებლები. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროექტის და მისი ალტერნატიული ვარიანტების ხარჯები მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. თუმცა, ერთ მომხმარებელზე ან ერთ წარმოებულ ერთეულზე გაანგარიშებული კაპიტალური ხარჯების მიხედვით შესაძლოა დადგინდეს, რომ პროექტი ძვირადღირებულია და შესაბამისად აზრი აღარ აქვს მის შემდგომ განხილვას.

უნდა გამორიცხონ აშკარად ძვირადღირებული და არასაკმარისად მოთხოვნადი პროექტები და შეარჩიონ შემდგომი განხილვისთვის შესაფერისი ალტერნატივები. იმ შემთხვევაში, თუ შიდა ექსპერტიზის გავლის შედეგად დადგინდება, რომ პროექტისთვის სახელმწიფო სახსრების დახარჯვა არ ღირს, მაშინ მისი კონცეფციის ბარათის შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელთან/საფინანსო ორგანოს ხელმძღვანელთან წარდგენა აღარ მოხდება.<sup>8</sup>

პროექტის ეკონომიკური ეფექტის საბოლოო შეფასებისას პროექტის ინიციატორებმა უნდა გაითვალისწინონ:

- საპროექტო ხარჯების (ერთ მომხმარებელზე, ერთ ერთეულზე) გაწევის საფუძვლიანობა;<sup>9</sup>
- ბენეფიციარების საერთო რაოდენობა და კატეგორია;
- ბენეფიციარების სავარუდო მასშტაბი და ხასიათი;
- საპროექტო ობიექტის რესურსებსა და მის მომსახურებაზე მოთხოვნას შორის ბალანსი;
- თუ რამდენად არის გათვალისწინებული პროექტის დიზაინის სპეციფიკაციაში ხარჯების ეკონომიის საჭიროება;

მნიშვნელოვანი რისკები<sup>10</sup> და ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ პროექტის წარმატებულ განხორციელებაზე გამოვლენილი უნდა იყოს ყველა გათვალისწინებული ალტერნატივისთვის. თუ არსებობს მსგავსი პროექტების *შესრულების შემდგომი* შეფასების ანგარიშები, მათი განხორციელებისას რეალიზებული რისკები უნდა აისახოს მსგავსი პროექტის წინასწარი შეფასებისას კონცეფციის ბარათში. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს შემდგომი კვლევების საფუძველს, როდესაც რისკები გაცილებით დეტალურად უნდა იყოს გაანალიზებული, ხოლო ვარაუდების საიმედოობა მეტად დადასტურებული. იმ შემთხვევაში თუ რისკის არსებობა ნათელია, პროექტის კონცეფციის ბარათში განსაზღვრული უნდა იყოს აღნიშნული რისკის შემცირების ზომები;

### **ე) გავლენა ბიუჯეტზე და ფინანსური თვალსაზრისით პროექტის ხელმისაწვდომობის შეფასება**

პროექტის კონცეფციის ბარათი მოიცავს შემოთავაზებული პროექტის ფინანსური თვალსაზრისით ხელმისაწვდომობის წინასწარ შეფასებას. დადგინდეს ნებისმიერი სახის დაფინანსების ხარვეზები და განისაზღვროს მათი აღმოფხვრის გზები. არასაბიუჯეტო დაფინანსების შემთხვევაში აუცილებელია იდენტიფიცირებული იყოს დაფინანსების წყარო. დაფინანსების ალტერნატიული წყაროების არსებობის შემთხვევაში აუცილებელია მათი

<sup>8</sup> როგორც უკვე აღინიშნა, პროექტის კონცეფციის ბარათის მომზადება პროცესია და არა ადმინისტრაციული ბარიერი.

<sup>9</sup> აქედან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია "მიზნობრივი ჯგუფებისა" და "სავარაუდო ხარჯების" შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება.

<sup>10</sup> რისკის მნიშვნელობა დამოკიდებულია მის ალბათობასა და ზემოქმედებაზე. მაღალი ალბათობის, მაღალი ზემოქმედების რისკები ყველაზე საგულისხმოა, ხოლო დაბალი ალბათობის, დაბალი ზემოქმედების რისკები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

თავდებობის/გარანტიით უზრუნველყოფის ან სხვა მსგავსი პირობებისა და ვადების განსაზღვრა. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის მომზადებისა და განხორციელებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსების გონივრულობა /ადეკვატურობა;
- საბიუჯეტო დაფინანსების გარდა სხვა მოსალოდნელი დაფინანსების წყაროები;
- დამატებითი დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ქმედებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს პროექტის მომზადების და მის შემდგომ პროცესში; და
- ასიგნების საორიენტაციო ოდენობის შესაბამისობა ადგილობრივი მთავრობის ან თვითდაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში.

ფინანსურად მნიშვნელოვანი პროექტების შეფასების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი არის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტთან შესაბამისობა, რადგან მსგავსი პროექტები ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომზადდება და შეფასდება მიმდინარე ან მომავალი ბიუჯეტის შესრულებამდე. მნიშვნელოვანი პროექტების<sup>11</sup> განხორციელება, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის საჭირო დროის გამო, სავარაუდოდ, ვერ დაიწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტით განსაზღვრული ვადების ფარგლებში. მსგავსი პროექტის განხორციელებას ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტით განსაზღვრულ ვადაზე მეტი დრო დასჭირდება. მსგავს შემთხვევებში, მნიშვნელოვანია, პროექტის მომზადების ხარჯების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული დაფინანსების ზღვრულ მოცულობებთან შესაბამისობის წარმოჩენა. შეთანხმებული გრძელვადიანი, ფინანსური თვალსაზრისით შეზღუდული ინფრასტრუქტურის მოწყობის გეგმის არარსებობის შემთხვევაში, ფინანსური თვალსაზრისით, პროექტის ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ მნიშვნელოვანი პროექტების შემთხვევაში, რომელთა განხორციელება სავარაუდოდ დაიწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. ამ მიზნით აუცილებელია პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების მიმდინარე წლის ბიუჯეტის/ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) ასიგნებებთან შესაბამისობის ან ფისკალური პასუხისმგებლობის პრინციპების დარღვევის რისკის გარეშე ასიგნებების გაზრდის შესაძლებლობის დამტკიცება. მიზანშეწონილია პროექტის ინიციატორებმა, კონცეფციის ბარათის წარდგენამდე, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განიხილონ თუ რამდენად გამართლებულია ფინანსური თვალსაზრისით ძირითადი პროექტის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) განსაზღვრული ვადების ფარგლებს გარეთ განხორციელება. წინასწარი შერჩევის ეტაპზე

---

<sup>11</sup> სავარაუდოდ, ესენია მნიშვნელოვანი და დიდი პროექტები, რომელთა ფინანსური თვალსაზრისით მნიშვნელობა დადგენილ ზღვარზე - 5.0 მილიონ ლარზე მეტია.

ფინანსთა სამინისტრო მოსაზრებას გამოთქვამს პროექტის მხოლოდ პოტენციურ ხელმისაწვდომობაზე და არ იღებს ვალდებულებას დაფინანსებაზე;

**ვ) პროექტის განხორციელების გზები**

**ვ.ა) შესყიდვები, სახელმწიფო შესყიდვები და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი**

წინასწარი შერჩევის ეტაპზე ვერ მოხერხდება პროექტისთვის შესყიდვის სასურველი მოდელის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (მაგ. ინფრასტრუქტურის ტრადიციულ შესყიდვასა და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას შორის არჩევანის გაკეთება). თუმცა, აღნიშნულ ეტაპზე შესაძლებელია იმ მახასიათებლების გამოვლენა, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი შესაძლოა განიხილებოდეს შესყიდვის ვარიანტად. ეს უნდა მოიცავდეს სახელმწიფო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების სათანადოდ გადანაწილების შესაძლებლობას, ან კერძო სექტორის ინოვაციურ საპროექტო გადაწყვეტილებებს ან საოპერაციო პრაქტიკებს. ასევე უნდა იყოს სათანადო გრძელვადიანი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელისთვის შესაფერისად არის მიჩნეული ისეთი კომპლექსური პროექტები, რომელთა დაგეგმვისა და მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ კერძო ერთეულებს, რადგან:

- შესაძლებელია შედეგების ზუსტი განსაზღვრა და ხარისხის მონიტორინგი;
- მომხმარებლის საჭიროებები სტაბილურია;
- პროექტი მდგრადია პოლიტიკური ცვლილებებისადმი;
- ისეთი სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რაც პროექტის მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს;

პროექტის კონცეფციის ბარათში პოტენციური შესყიდვის პირობებთან დაკავშირებული საკითხები განხილულ უნდა იყოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის და მისი სასურველი პირობების შესახებ არსებული მთავრობის პოლიტიკის მიხედვით;

**ვ.ბ) განხორციელების ღონისძიებები და შესაძლო შეზღუდვები**

პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს განხორციელების ღონისძიებების პირველად აღწერას და სხვა პროექტებზე უარყოფითი ზემოქმედების ან რაიმე შეზღუდვების შესაძლებლობის შეფასებას. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს პროექტის მართვის და ზედამხედველობის მექანიზმების მოკლე მიმოხილვას. არ არის სავალდებულო, რომ კონცეფციის ბარათში მოცემული ინფორმაცია იყოს საბოლოო ან დეტალური. პროექტის კონცეფციის ბარათისთვის აღნიშნული ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უკვე დასრულებული მსგავსი პროექტების ანგარიშის შედეგები. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის განხორციელების ზედამხედველობის და/ან მართვისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები;<sup>12</sup>
- შემოთავაზებული პროექტის მასშტაბის და ტიპის პროექტების განსახორციელებლად საკმარისი ადამიანური რესურსი და საკმარისი რესურსის უზრუნველყოფისთვის საჭირო დამატებითი ზომები;
- ამავე სექტორში განხორციელებული მიმდინარე პროექტების შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება პროექტის განხორციელებაზე და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები;
- შესაძლო გადასალახი ზემოქმედებები ან პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი ზომები.

პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას პროექტის ხელმძღვანელობის და პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის პერსონალის შესახებ. მაგალითად, თანამშრომელთა რაოდენობა, კვალიფიკაცია და გამოცდილება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროექტი ოპერატიული მართვისა და ზედამხედველობისთვის იყენებს გარე რესურსებს, პროექტის კონცეფციის ბარათში სასურველია გათვალისწინებული იყოს კომპენტენციები პროექტის მენეჯერებთან და კონსულტანტებთან ურთიერთობის მართვისა და ზედამხედველობისთვის. დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების პორტფელის შესახებ ზოგად შემაჯამებელ ინფორმაციას, რაც ერთგვარი მტკიცებულება იქნება იმისა, რომ შესაძლებელია შემოთავაზებული პროექტის არსებული რესურსებით განხორციელება.

რესურსების გარდა, პროექტის კონცეფციის ბარათში უნდა აისახოს პროექტის განხორციელების სხვა მოსალოდნელი ხელის შემშლელი ფაქტორები და დამატებითი ზომები, რომელთა განსაზღვრა შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე. ეს შესაძლოა გულისხმობდეს მიწის შესყიდვასთან, მოსახლეობის განსახლებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. კონცეფციის ბარათში ასევე უნდა იყოს განსაზღვრული პროექტის ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო დამატებითი ღონისძიებები, როგორცაა სამართლებრივი და მარეგულირებელი ცვლილებები. გარდა ამისა, კონცეფციის ბარათში განსაზღვრული უნდა იყოს ნებისმიერ დამატებით ზომების განხორციელებისთვის საჭირო საორიენტაციო ვადები;

### **ზ) მდგრადი განვითარების საკითხები**

საბოლოო მომხმარებლისთვის გრძელვადიანი სარგებლის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ინვესტიციის ჩადება არ კმარა. ასევე აუცილებელია, რომ ობიექტის ფუნქციონირებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას გააჩნდეს შექმნილი აქტივის ეფექტიანი გამოყენებისთვის საკმარისი მმართველობითი და ფინანსური რესურსები. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს საოპერაციო ხარჯების დაფინანსების/თვითდაფინანსების წინასწარ გეგმებს. ხარჯების გაწევის შესაძლებლობა

<sup>12</sup> ერთ-ერთი ვარიანტია ოპერატიული მართვისა და ზედამხედველობისთვის გარე რესურსის გამოყენება; თუმცა, ამ შემთხვევაში პროექტის წარმდგენი ვალდებულია მიუთითოს გარე პროექტის მენეჯერებთან და კონსულტანტებთან ურთიერთობის და მათი ზედამხედველობის შიდა ღონისძიებები.

შესაძლოა მოიცავდეს საბიუჯეტო დაფინანსებას ან გადასახადის მომხმარებელზე დაკისრებას. მომსახურების გაწევის გადასახადის მომხმარებელზე დაკისრების შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილი იყოს გარკვეული წინასწარი მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებლები მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ აღნიშნული გადასახადების დაფარვა და რომ აღნიშნული გადასახადები საკმარისი იქნება საოპერაციო და სარემონტო ხარჯების დასაფარად. საბიუჯეტო დაფინანსების შემთხვევაში, ხარჯების გაწევის შესაძლებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს მიმდინარე საბიუჯეტო ასიგნებებთან მიმართებაში. პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივის მფლობელი ან განმახორციელებელი ორგანიზაცი(ებ)ი;
- აქტივის ფუნქციონირებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ტექნიკური, მენეჯერული და ფინანსური რესურსების შესაბამისობა და აუცილებელი რესურსების შექმნისთვის საჭირო ნებისმიერი დამატებითი ზომები;
- პროექტის დასრულების შემდეგ საექსპლუატაციო და სარემონტო ხარჯების დაფარვა, მათ შორის, ამ ხარჯების მომხმარებელზე დაკისრების (ტარიფის, საფასურის და სხვა სახით) ჩათვლით.

გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა უნდა წარმოადგენდეს პროექტის კონცეფციის ბარათის შემადგენელ ნაწილს. ზემოქმედებების საფუძვლიანი კვლევა არ არის ამ ეტაპზე სავალდებულო, თუმცა განსაზღვრული უნდა იყოს ძირითადი პრობლემატური საკითხები, იმ მწვავე ზემოქმედებებთან ერთად, რომელთა გამოც შესაძლოა საფრთხე შეექმნას პროექტის გრძელვადიან წარმატებას. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მსგავსი ზემოქმედებები, აუცილებელია განისაზღვროს შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებები;

### **თ) შემდგომი კვლევები და კონსულტაციები**

წინასწარი შერჩევის ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება არის შემდგომი კვლევების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, პროექტის კონცეფციის ბარათში განსაზღვრული უნდა იყოს საჭირო შემდგომი კვლევები და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი ხარჯები. პროექტის კონცეფციის ბარათში მოცემული აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე და შესაბამისი ანალიზის შედეგად, შესაძლებელი უნდა იყოს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისთვის თანმიმდევრული ტექნიკური დავალების შედგენა, რაც შემდეგი ეტაპის – პროექტის შეფასების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

პროექტის კონცეფციის ბარათის აღნიშნული ნაწილი მიეთითება პროექტის შერჩეული ალტერნატივების ჩამონათვალით და შემოთავაზებული პროექტის განხორციელების ძირითადი მოტივის/საფუძვლის შეჯამებით. შერჩეული ალტერნატივა შესაბამისობაში უნდა იყოს შემოთავაზებული პროექტის ეკონომიკურ ეფექტიანობასთან, მასთან დაკავშირებულ რისკებთან, მის განხორციელებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან და საოპერაციო ხარჯებთან. ამ ეტაპზე გამორიცხული ალტერნატივის შემთხვევაში აუცილებელია გამორიცხვის მიზეზის მოკლე აღწერა. მიზეზი შესაძლოა იყოს შემოთავაზებულ პროექტთან შედარებით მაღალი ხარჯები და/ან დაბალი მოგება, მნიშვნელოვნად მაღალი რისკი



საოპერაციო ხარჯების თვითდაფინანსებასთან დაკავშირებით. პროექტის კონცეფციის ბარათში უნდა განისაზღვროს ეკონომიკურ ეფექტიანობასთან დაკავშირებული ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე. ეს შესაძლოა მოიცავდეს პროექტის ალტერნატივების შესწავლას, ტექნოლოგიის ან არასაბაზრო ხარჯების და სარგებელის შეფასებისთვის შესაფერისი მიდგომის შერჩევას.

პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდგომი კვლევებისა და კონსულტაციების განსახორციელებლად საჭირო მიდგომას, რაც აუცილებელია პროექტის შემდგომ, შეფასების ეტაპზე გადასასვლელად. ამისათვის პროექტის კონცეფციის ბარათი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- წინასწარი შერჩევის შედეგად შერჩეული ალტერნატივების ჩამონათვალი, უარყოფილი ალტერნატივების და მათი უარყოფის მიზეზების ჩათვლით;
- შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო შემდგომი კვლევები;
- შემდგომი კვლევების სავარაუდო ღირებულება;
- კვლევების განხორციელებისთვის და შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ნებისმიერი სახის, ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაცია;
- ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს შემდეგი კვლევების დროს, მსგავსი პროექტების შესრულების შემდგომი კვლევების შედეგად მიღებული შედეგების ჩათვლით;
- წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩასატარებლად საჭირო ნებისმიერი მოთხოვნა;
- სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნები და ძირითადი პრობლემატური საკითხები;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესრულების სამართლებრივი საფუძველი და აღნიშნული მინიმალურ მოთხოვნების შეუსრულებლობის მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შემდგომი კვლევები უნდა მოიცავდეს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, ეკონომიკური ანალიზის ჩათვლით. გარდა ამისა, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნა კვლევებს, რაც არასაბაზრო ხარჯებისა და სარგებელის გაანგარიშების საშუალებას იძლევა. პროექტის საოპერაციო ხარჯების თვითდაფინანსების გათვალისწინებით, რაც შესაძლოა გულისხმობდეს მომხმარებლებისთვის ახალი გადასახადების დაწესებას ან უკვე არსებული გადასახადების გაზრდას, აუცილებელია მომხმარებელთა სურვილისა და გადახდისუნარიანობის შეფასება. წინასწარი ტექნიკური კვლევები უნდა განხორციელდეს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე, ხოლო დეტალური ტექნიკური კვლევები უნდა განხორციელდეს შეფასების ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. პროექტის კონცეფციის ბარათში უნდა განისაზღვროს პროექტთან დაკავშირებული ყველა ის სპეციფიკური საკითხი, რომელზეც აუცილებელია ყურადღების გამახვილება.

მასშტაბური, კომპლექსური და ინოვაციური პროექტებისთვის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ზოგჯერ საჭიროა იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რამდენად ღირს ფულის დახარჯვა ხშირ შემთხვევაში ძალზე მაღალ ხარჯებთან დაკავშირებულ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებაზე. წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლით ხშირად დგინდება პროექტის სასურველი ალტერნატივა, თუმცა, როგორც წესი, ზოგიერთი სხვა ალტერნატივაც განიხილება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე (ყველაზე ნაკლებად შესაფერისი ალტერნატივა გამოირიცხება წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე). ფინანსური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროექტების შემთხვევაში, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა არ წარმოადგენს სავალდებულო ეტაპს, თუმცა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის უკეთ განხორციელების უზრუნველსაყოფად.<sup>13</sup>

პროექტის კონცეფციის ბარათში გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი შეფასების ან სოციალური ზემოქმედების შეფასების ნებისმიერი მოთხოვნა. მნიშვნელოვანია გარემოზე ზემოქმედების შეფასების მინიმალური სამართლებრივი მოთხოვნების განსაზღვრა და მათი შემდგომ კვლევებში გათვალისწინება. აღნიშნული მინიმალური მოთხოვნები შესაძლოა გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ გარემოზე გარკვეული უარყოფითი თუ დადებითი ზემოქმედება ექვეყნე აყენებს პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობას. აღნიშნული შემთხვევები განისაზღვრება პროექტის კონცეფციის ბარათის იმ ნაწილში, რომელშიც შეფასებულია და განსაზღვრულია პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი. აუცილებელია გარემოზე ნებისმიერი მნიშვნელოვანი ზემოქმედების შეფასებისთვის საჭირო კვლევების გათვალისწინება.

პროექტის კონცეფციის ბარათში მითითებული უნდა იყოს აღნიშნული კვლევების განხორციელების ვადები, რათა დროულად შეგროვდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ინფორმაცია.

### 3.3 პროექტის წინასწარი შერჩევის კრიტერიუმები და გადაწყვეტილება

წინასწარი შერჩევის ეტაპზე დადებითი გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს. გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს პროექტის კონცეფციის ბარათში მოყვანილი ინფორმაცია აღნიშნულ კრიტერიუმებს. პროექტის კონცეფციის ბარათის შესაბამის მხარჯავ დაწესებულების ხელმძღვანელთან/საფინანსო ორგანოსთან წარდგენამდე ეკონომიკური ერთეულების მიერ უნდა განხორციელდეს კონცეფციის ბარათის შიდა მიმოხილვა, რათა დარწმუნდნენ, რომ ის აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს. იმისათვის, რომ პროექტმა გაიაროს წინასწარი შერჩევის ეტაპი, ის უნდა აკმაყოფილებდეს №1 ცხრილში მოცემულ კრიტერიუმებს. შეფასება განხორციელდება პროექტის კონცეფციის ბარათში

<sup>13</sup> ფინანსური თვალსაზრისით უმნიშვნელო პროექტებისთვის, რომლებიც არ საჭიროებენ სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, არც წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელება სავალდებულო.

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. კონცეფციის ბარათში კრიტერიუმები დადებითად უნდა შეფასდეს.

**ცხრილი №1: წინასწარი შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები**

| შეფასების კრიტერიუმები  | დიახ | არა |
|---|------|-----|
| <b>ა) ზოგადი</b>  |      |     |
| 1. პროექტის კონცეფციის ბარათში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისია წინასწარი შერჩევის ეტაპზე გადაწვეტილების მისაღებად.   |      |     |
| 2. განსაზღვრულია, თუ ვინ უნდა განახორციელოს პროექტი და ვინ არის საბოლოო პასუხისმგებელი პროექტის დროულად დასრულებაზე.  |      |     |
| <b>ბ) პროექტის არსი და მისი განხორციელების საჭიროების შეფასება</b>  |      |     |
| 3. მკაფიოდ არის განსაზღვრული პრობლემა ან აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საშუალება და აღწერილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელება განსაზღვრული პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით.   |      |     |
| 4. პროექტის არსი, წინასწარი შეფასების ეტაპისთვის საკმარისად დეტალურად არის აღწერილი და არცერთი ძირითადი კომპონენტი არ არის გამოტოვებული, რომელიც სავარაუდოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს პროექტის მიზნის მიღწევას.   |      |     |
| 5. მომდევნო 3 წლის განმავლობაში პროექტის რომელიმე ან რამდენიმე ქვემთ მოყვანილი მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობა: <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ ან ექსპლუატაციის ვადის ზღვრზე მყოფ ობიექტზე არსებული მოთხოვნა;</li> <li>• არსებულ ობიექტებში რესურსების მკაცრი შეზღუდვა, რაც იწვევს არსებულ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას;</li> <li>• მზარდი მოთხოვნა, რომელიც უახლოეს მომავალში სავარაუდოდ გადააჭარბებს არსებულ ობიექტების შესაძლებლობებს; ან</li> <li>• მოთხოვნა ახალ მომსახურებაზე.</li> </ul> |      |     |
| <b>გ) პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა</b>  |      |     |
| 6. პროექტი ხელს შეუწყობს და საკუთარ წვლილს შეიტანს ქვეყნის ან სამინისტროს/უწყების სტრატეგიულ გეგმებსა და სხვა მსგავს დოკუმენტებში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.   |      |     |

| შეფასების კრიტერიუმები   | დიახ | არა |
|--|------|-----|
| 7. საბაზრო ჩავარდნის საფუძველზე საჭიროებს სახელმწიფო სექტორის ინტერვენციას, რაც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს კერძო სექტორის ინიციატივების ჩახშობის საშიშროებას.  |      |     |
| <b>დ) პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობის წინასწარი შეფასება და ალტერნატივების ანალიზი</b>   |      |     |
| 8. შემოთავაზებული ტექნიკური გადაწყვეტა მიზანშეწონილია გამოვლენილი პრობლემისთვის (ანუ შემოთავაზებული ტექნოლოგია არ არის ინოვაციური/თანამედროვეა და ძალიან გართულებული / ზედმეტად მრავალფუნქციური).  |      |     |
| 9. პროექტის სარგებელი დამაჯერებელია და მიზნობრივი ჯგუფები წარმოადგენენ მთავრობის პრიორიტეტს  |      |     |
| 10. მისაღები დანახარჯების შედეგად საბოლოო მომხმარებელი მიიღებს სარგებელს (მაგალითად, კაპიტალური ხარჯები ახალ ერთ მომხმარებელზე ან წარმოების ერთ ერთეულზე შესაბამისობაშია მსგავს პროექტებთან და / ან საერთაშორისო გამოცდილებასთან).                                   |      |     |
| 11. საერთო ჯამში, არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ პროექტის ხარჯებს გადააჭარბებს პროექტის პოტენციური სარგებელი.   |      |     |
| 12. განხილულია ალტერნატიული გადაწყვეტილებები და გამოვლენილია მათ შორის, ყველაზე პერსპექტიული ალტერნატივები, რომელთა სიღრმისეული ანალიზი განხორციელდება შეფასების ეტაპზე.   |      |     |
| <b>ე) ფისკალური და ფინანსური ხელმისაწვდომობა</b>   |      |     |
| 13. ბიუჯეტზე მოსალოდნელი საშუალოვადიანიდან-გრძელვადიანი ზემოქმედება, პროექტის განმახორციელებლის ვალდებულებების გათვალისწინებით შეესაბამება საბიუჯეტო პროგნოზებსა და ტენდენციებს.   |      |     |
| 14. გამოვლინდა თანადაფინანსების მოთხოვნები, რაც დიდი ალბათობით უზრუნველყოფილი იქნება.  |      |     |
| 15. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება და ფუნქციონირება მოხდება საკუთარ დაფინანსებაზე მყოფი უწყების მიერ, მისი ფინანსური პოზიცია ფულადი სახსრების მოძრაობისა და გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით საკმაოდ კარგად არის დასაბუთებული და სავარაუდოდ არ შეიცვლება. |      |     |
| <b>ვ) განხორციელების ღონისძიებები</b>  |      |     |

| შეფასების კრიტერიუმები  | დიახ | არა |
|---|------|-----|
| 16. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას გააჩნია პროექტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.   |      |     |
| <b>ზ) მდგრადი განვითარების საკითხები</b>  |      |     |
| 17. პროექტის მდგრად განვითარებას საფრთხე არ ემუქრება ისეთი მიზეზის გამო, როგორცაა: <ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპლუატაციის და / ან ტექნიკური გამართულობისთვის საჭირო ფინანსების არარსებობის გამო;</li> <li>• განმახორციელებლის არასაკმარისი რესურსის გამო, რომელიც სავარაუდოდ ვერ მოგვარდება პროექტის დასრულებამდე.</li> </ul> |      |     |
| 18. შემარბილებელი ღონისძიებები გათვალისწინებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნებისმიერი პოტენციური ზემოქმედებისთვის.  |      |     |
| <b>თ) შემდგომი კვლევებისადმი მიდგომა</b>  |      |     |
| 19. შემდგომი კვლევებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისად ყოვლისმომცველი მოთხოვნები, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩათვლით.   |      |     |

3.4 პროექტის წინასწარი შერჩევის პროცესში გადანაწილებული როლები, პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღება

პროექტის წინასწარი შერჩევის ეტაპზე საპროექტო წინადადების ინიციატორი და განმხილველი არის შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება და მისი ის სტრუქტურული ერთეული ან საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამის სფეროში იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის საკითხებზე. მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს „პროექტის კონცეფციის ბარათის“ მომზადების პროცესს, რომელშიც პროექტის პარამეტრები იქნება აღწერილი. კონცეფციის ბარათი მზადდება მხარჯავი დაწესებულების საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის<sup>14</sup> აქტიური ჩართულობით. მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელმა შესაძლოა კონცეფციის ბარათის მომზადებაზე პასუხისმგებლობის დელეგირება განახორციელოს მის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულის ან საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელზე.

მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელს წარედგინება იმ პროექტების ჩამონათვალი, რომლებმაც გაიარეს შიდა შეფასება საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების მიერ.

<sup>14</sup> საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად

შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელი აფასებს პროექტების კონცეფციის ბარათებს და, პროექტის სავარაუდო ხარჯებისა და სათანადო პერიოდში განხორციელების შესაძლებლობების გათვალისწინებით, გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას.

პროექტის კონცეფციის ბარათებს მხარჯავი დაწესებულება წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამასთან, მუნიციპალიტეტების მიერ, საკუთარი სახსრებით განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში, კონცეფციის ბარათები წარედგინება შესაბამისი მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების მხარჯავი დაწესებულებების მიერ საკუთარი სახსრებით განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში მომზადებული კონცეფციის ბარათები წარედგინება ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თავის მოსაზრებებს აწვდის კონცეფციის ბარათის წარმდგენს, რომელიც ასახავს პროექტის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობის არსებული პროგნოზებით განსაზღვრული ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პირობებში. მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სავარაუდო ფინანსური ხელმისაწვდომობის შესახებ მოსაზრებებს ინიციატორს წარუდგენს შესაბამისი საფინანსო ორგანო, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელი პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი და ფინანსურად ხელმისაწვდომი პროექტების სიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს მიერ მიწოდებული მოსაზრებების გათვალისწინებით, განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას, რომელი პროექტები უნდა გადავიდეს შეფასების სტადიაზე.

გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს მიერ მომზადებულ დასკვნას იხილავს მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელი, თუმცა შესაძლოა პროექტი დამატებითი არგუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გადავიდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული დასკვნა დადებითად არ აფასებს პროექტის პერსპექტივას.

მოსალოდნელი გადაწყვეტილებებია: „მიღებული“, „უარყოფილი“ ან „საჭიროებს განსახილველად ხელმეორედ წარდგენას“.

პროექტის წინასწარი შერჩევის სტადია დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარჯავი დაწესებულების გადაწყვეტილებით ის გადადის შეფასების სტადიაზე.

წინასწარი შერჩევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამასთან, მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება შესაბამის საფინანსო ორგანოს

და საკრებულოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების შემთხვევაში გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობება ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს.

პროექტის წინასწარი შერჩევის გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია საბიუჯეტო კალენდრის ნებისმიერ დროს.

#### 4. პროექტის შეფასება

##### 4.1 პროექტის შეფასების არსი და მიზანი

პროექტის შეფასების ეტაპზე ფასდება შემოთავაზებული პროექტის პოტენციური სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი და ბიუჯეტზე გავლენა, ასევე პროექტის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია შეფასდეს სოციალური და გარემოზე ზემოქმედება.

პროექტის შეფასების ეტაპზე მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომი მონაცემების და რესურსების გათვალისწინებით, დაზუსტდეს/განისაზღვროს:

- ა) შემოთავაზებული პროექტის მიზანი;
- ბ) ხომ არ არსებობს შემოთავაზებულ პროექტთან შედარებით მოცემული მიზნის მიღწევის უკეთესი გზები;
- გ) ხომ არ არსებობს პროექტში გამოსაყენებელი რესურსების უკეთესი გამოყენების გზები.

პროექტის შეფასების ეტაპზე ხდება საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებული ყველა შედეგის იდენტიფიკაცია და შეძლებისდაგვარად ხარჯებისა და სარგებლის ფულადი შეფასება, იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში მთავრობის მიერ დაფინანსებისთვის შერჩეული პროექტების განხორციელების შედეგად საზოგადოებამ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს.

##### 4.2 პროექტის შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომის საფეხურები

**პროექტის შეფასების ეტაპი მოიცავს 7 საფეხურს:**

- ეტაპი 1: პროექტის მიზნებისა და სფეროს განსაზღვრა
- ეტაპი 2: შეფასების მიზნებისათვის პროექტის ალტერნატივების იდენტიფიცირება და შერჩევა
- ეტაპი 3: პროექტით უზრუნველყოფილ მომსახურებებზე მოთხოვნის განსაზღვრა
- ეტაპი 4: ეკონომიკური ანალიზის განხორციელება
- ეტაპი 4.1 შესაბამისი სარგებლისა და ხარჯების განსაზღვრა
- ეტაპი 4.2: შესაბამისი სარგებლისა და ხარჯების შეფასება
- ეტაპი 4.3: პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლა
- ეტაპი 5: რისკების ანალიზი და მათი მართვის დაგეგმვა
- ეტაპი 6: ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის ანალიზი



ეტაპი 7: პროექტის საუკეთესო ალტერნატივის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის რეკომენდაციების მომზადება

აღნიშნული საფეხურები დაკავშირებულია თანმიმდევრულ ანალიტიკურ სამუშაოსთან, რის შედეგადაც ხდება კაპიტალური ინვესტირების პროექტის სოციალურ ღირებულებასთან და მის გრძელვადიან მდგრადობასთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. დაბალანსებული და თანმიმდევრული გადაწყვეტილების მიღების პროცესი დამოკიდებულია პროექტის შეფასებისას ამ მიდგომების სისტემატურ გამოყენებაზე, ამასთან, პროექტის შეფასების ძირითად ტექნიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. თუმცა შესაძლოა დეტალური ინფორმაცია და ნებისმიერი დამხმარე კვლევა კონკრეტული პროექტისთვის ან სექტორისთვის იყოს დამახიათებელი, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ზოგად ანალიტიკურ მიდგომაში ასახული უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეტაპი. ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მასშტაბის განსაზღვრისას და მისი დასრულებული ვარიანტის განხილვისას, პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა უზრუნველყოს ზემოთ განხილული პრინციპების დაცვა. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა/საფინანსო ორგანომ სწორედ იგივე მიდგომა უნდა გამოიყენოს შესწავლის შედეგების დამოუკიდებელი განხილვისას. მეთოდოლოგიის №3 დანართში სახელმძღვანელოდ წარმოდგენილია შაბლონი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის განხორციელების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ მე-7 ეტაპის განსაზღვრა მიზნად ისახავს სისტემატური და თანმიმდევრული პროცესის უზრუნველყოფას, კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს გარკვეულ ეტაპებზე დაბრუნება. მაგალითად, მე-4-დან მე-6 ეტაპამდე რომელიმე ეტაპზე გამოვლენილმა სისუსტეებმა შეიძლება განაპირობოს პროექტის ალტერნატივების თავიდან განხილვა (მე-2 ეტაპი) ხარჯების შემცირების ან სარგებლების გაზრდის მიზნით. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს შემდგომ ეტაპებზე დაბრუნებას. შესაბამისად, ეტაპების გამოყენებისას გარკვეული მოქნილობაა საჭირო.

ეკონომიკური ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA) წარმოადგენს სახელმძღვანელოში განხილული პროექტის შეფასების მეთოდოლოგიის განუყოფელ ნაწილს. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA) მოიცავს საზოგადოებისათვის პროექტის ხარჯებისა და საზოგადოების მიერ პროექტიდან მიღებული სარგებლების გამოთვლას მონეტარულ ერთეულებში. აღნიშნული ხორციელდება დისკონტირების საშუალებით, წმინდა სარგებლის (ან ხარჯების) დღევანდელი ღირებულების განსაზღვრით. ამ ფორმით გამოხატული წმინდა სარგებლები/ხარჯები შეიძლება გამოყენებული იქნეს შემოთავაზებულ პროექტსა და ალტერნატივებს შორის, მათ შორის, „არაფრის გაკეთების“ ალტერნატივის ჩათვლით არჩევანის გაკეთებისას.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის (CBA) გამოყენება ფინანსურად მნიშვნელოვანი ხასიათის პროექტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პროექტის სარგებლისა და ხარჯების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენებაც ან სხვა ინსტრუმენტებით მისი ჩანაცვლება. იმ შემთხვევაში,

როდესაც არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი ხასიათის დამატებითი სარგებელი ან ხარჯები, რომელთა ღირებულების შეფასება შეუძლებელია, მათი თვისობრივი შეფასების საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული. ეს შეიძლება განხორციელდეს იმის თვისობრივად განსაზღვრით, არის თუ არა დამატებითი სარგებლები საკმარისზე მეტი პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის, იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ამგვარი დასკვნის გაკეთების მტკიცე და სანდო მტკიცებულებები; ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო სისტემატური თვისობრივი ინსტრუმენტები, როგორცაა მრავალი კრიტერიუმის მიხედვით ანალიზი (იხილეთ ქვემოთ). თუ პროექტის სარგებლების ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA), სასურველია, მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის შეფასების სისტემასთან ერთად.

ეკონომიკური ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA) ხორციელდება ფულადი ღირებულებების გამოყენებით, თუმცა ეს არ არის ფინანსური ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA). №2 ცხრილში შეჯამებულია ამ ორ ანალიზს შორის არსებული განსხვავებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ანალიზი პროექტს განიხილავს საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანის პოზიციიდან, მაშინ როცა ფინანსური ანალიზი პროექტს უფრო ვიწრო, პროექტის განმახორციელებელი ერთეულის პოზიციიდან განიხილავს. ეს შედეგად გვამღევს ანალიზში შეყვანილ/ანალიზიდან ამოღებულ ფაქტორებსა და შეფასებისადმი მიდგომებს შორის განსხვავებებს. თუმცა ეკონომიკური ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA) წარმოადგენს პროექტის შეფასების ძირითად ინსტრუმენტს, ფინანსური ანალიზი მაინც უნდა ჩატარდეს შემოსავლიანი პროექტების ფინანსური მდგრადობისა და მომგებიანობის შესაფასებლად (რაც მე-6 ეტაპზე ხორციელდება).

**ცხრილი №2: ძირითადი განსხვავებები ფინანსურ და ეკონომიკურ ხარჯებისარგებლების ანალიზებს შორის**

|                    | ფინანსური ანალიზი  | ეკონომიკური ანალიზი  |
|--------------------|--|--|
| <b>პერსპექტივა</b> | განმახორციელებელი სააგენტო/ ორგანიზაცია/ კომპანია                            | ეკონომიკა/ საზოგადოება   |
| <b>მიზანი</b>      | განმახორციელებელ ორგანიზაციაზე წინადადების წმინდა ფინანსური გავლენის ანალიზი | გამოყენებულ ეკონომიკურ რესურსებზე სოციალური ამონაგების (სარგებლების) მაქსიმუმამდე გაზრდა |
| <b>ფასები</b>      | საბაზრო ფასები   | ალტერნატიული ხარჯი/ შეფასებითი ფასები  |

|                             |   |  |
|-----------------------------|---|--|
| გადასახადები და სუბსიდიები  | გათვალისწინებულია   | არ არის გათვალისწინებული   |
| აქტივი/გადანაწილების ეფექტი | არ არის გათვალისწინებული  | შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, ჩვეულებრივ ხდება თვისობრივი შეფასება |
| გარემო ფაქტორები            | არ არის გათვალისწინებული  | გათვალისწინებულია  |
| ცვეთა                       | არ არის გათვალისწინებული (დისკონტირებული ფულადი სახსრების მიმოქცევის ანალიზში, მაგრამ გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშებში) | არ არის გათვალისწინებული   |

პროექტების შეფასება არ შემოიფარგლება რაოდენობრივი ეკონომიკური ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზით. შეიძლება არსებობდეს ისეთი სარგებლები და ხარჯები, რომელთა ღირებულების შეფასება არ იყოს მარტივი. ხშირად ასეთი სარგებლები და ხარჯები უკავშირდება გარემოზე ზემოქმედებას. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ასევე აინტერესებთ, საზოგადოების რა ნაწილს ეხება სარგებლები და ხარჯები, და არის თუ არა ამგვარი განაწილება სამართლიანი. ეკონომიკურ შესწავლასთან ერთად შეიძლება საჭირო იყოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება, რაც ასევეა გათვალისწინებული ქვემოთ (მე-6 ეტაპი).

**პროექტის შეფასების საფეხურებია:**

ა) პროექტის მიზნებისა და სფეროს დაზუსტება/განსაზღვრა – I ეტაპი:

„პროექტის კონცეფციის ბარათის“ განხილვა და დადასტურება ხდება იმავე გზით, როგორც პროექტის წინასწარი შერჩევის სტადიაზე. ეს გულისხმობს პროექტის ლოგიკური დასაბუთების, სტრატეგიული მნიშვნელობის, ძირითადი მიზნის, მთავარი ამოცანის, შედეგების/პროდუქტების და აქტივობების (შედეგების მისაღწევად/პროდუქტების შესაქმნელად საჭირო აქტივობების) აღწერას.

პროექტის სტრატეგიული დასაბუთება „პროექტის კონცეფციის ბარათის“ ძირითადი კომპონენტი და წინასწარი შერჩევის გადაწყვეტილების მიღების მთავარი კრიტერიუმია. მნიშვნელოვანია დარწმუნება პროექტის ხანგრძლივ სტრატეგიულ მნიშვნელობაში იმის

გათვალისწინებით, რომ მთავრობის, მხარჯავი დაწესებულების ან მუნიციპალიტეტის მიერ დასახული პოლიტიკური მიმართულება შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. შესაბამისად, პროექტის კონცეფციის დამტკიცებულ ბარათში მოცემული სტრატეგიული დასაბუთება შესაძლოა გადაისინჯოს.

პრობლემისა და მოქმედების აუცილებლობის დასაბუთების შემდეგ, მნიშვნელოვანია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პროექტის ამოცანები, რათა შესაძლებელი იყოს დასახული მიზნების მიღწევის ალტერნატიული გზების გაანალიზება.

შეფასების პროცესში აუცილებელია განხილული იქნეს და უფრო დეტალურად ჩამოყალიბდეს პროექტის მოცულობა, რომელიც პროექტის კონცეფციის ბარათშია აღწერილი. ეს ნიშნავს, რომ უნდა განისაზღვროს პროექტის პროდუქტები/შედეგები (რას მივიღებთ პროექტის დასრულების შედეგად) და აღნიშნული შედეგების მისაღებად გასატარებელი აქტივობები.

#### ა.ა) პრობლემისა და ინტერვენციის ლოგიკის განსაზღვრა

პროექტის კონცეფციის ბარათში განსაზღვრულია გადასაჭრელი პრობლემა, პროექტის დასაბუთება და სახელმწიფო სექტორის ჩარევის/ინტერვენციის დასაბუთება. პროექტის ინიციატორებმა პროექტის შეფასების პროცესი უნდა დაიწყონ დამტკიცებული პროექტის კონცეფციის ბარათში წარმოდგენილი ჩარევის/ინტერვენციის ლოგიკის განხილვით. ეს განხილვა მოიცავს შემდეგს:

- კონკრეტული პრობლემის ან იმ შესაძლებლობის აღწერის დაზუსტება, რომელსაც ეხება პროექტი და იმის უზრუნველყოფა, რომ იგი ზუსტად არის წარმოდგენილი და პრობლემა კვლავ აქტუალური და მწვავეა და მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩარევას.
- იმის ვრცელი განმარტების დადასტურება, თუ როგორ მოახდენს პროექტი განსაზღვრული პრობლემის აღმოფხვრას ან როგორ მოახდენს რეაგირებას იდენტიფიცირებული შესაძლებლობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში (მიზეზ- შედეგობრივი ლოგიკა), ამ განმარტების კიდევ უფრო გაღრმავება.
- საბაზრო კრახის ან კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემების გამო მთავრობის ჩარევის ვალიდურობის გადამოწმება (თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროექტს, რომელიც არ არის შესაბამისი ამ ეტაპამდე მიეღწია)<sup>15</sup>;

#### ა.ბ) პროექტის პრეზენტაცია ეროვნული განვითარების სტრატეგიისა და სამინისტროს სტრატეგიული გეგმების კონტექსტში

პროექტის სტრატეგიული შესაბამისობა წარმოადგენს პროექტის კონცეფციის ბარათის ძირითად კომპონენტს და წინასწარი შერჩევის გადაწყვეტილების ძირითად კრიტერიუმს. მნიშვნელოვანია იმის დადასტურება, რომ პროექტი ისევ არის არსებული პოლიტიკის პირობებში სტრატეგიულად აქტუალური იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც

<sup>15</sup> ეკვივალენტური მიდგომაა, იმის განსაზღვრა, თუ რა მოხდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციის არარსებობის შემთხვევაში.

შეიძლება ადგილი ჰქონოდა მთავრობის ან მხარჯავი დაწესებულების/ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალიტეტის დონეზე. შესაბამისად, პროექტის ინიციატორებმა უნდა განიხილონ პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა, რაც უკვე წარმოდგენილი იქნა დამტკიცებულ პროექტის კონცეფციის ბარათში. მათ კიდევ ერთხელ უნდა დაადასტურონ, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის შემთხვევა კარგად არის განსაზღვრული და პროექტი:

- ხელს შეუწყობს მთავრობის იმ ამოცანებს, რომლებიც ყოვლისმომცველ სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) არის განსაზღვრული;
- ხელს შეუწყობს მხარჯავი დაწესებულების/უწყების/მუნიციპალიტეტის ამოცანებს.

#### ა.გ) პრობლემისა და ინტერვენციის ლოგიკის განსაზღვრა

პრობლემისა და მთავრობის ინტერვენციის მიზანშეწონილობის დასაბუთების შემდეგ მნიშვნელოვანია, არსებობდეს პროექტის მიზნების ნათელი ფორმულირებები, რათა შესაძლებელი იყოს მეორე ეტაპზე ამ მიზნების მიღწევის შესატყვისი ალტერნატივების განხილვა. პროექტის შეფასების ძირითად ასპექტს წარმოადგენს „საბაზისო“ პროექტის ტესტირება იგივე მიზნების მიღწევის ალტერნატიული გზების სანაცვლოდ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პროექტის მიზნების იერარქია შემდეგი გზით უნდა განისაზღვროს:

- **საერთო მიზანი:** ზოგადი მიზნები, როგორცაა შემოსავლების ზრდა, ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება, სიღარიბის შემცირება, ბუნებრივი რესურსების დაცვა და ა.შ., რომელთა მიღწევაშიც წვლილს შეიტანს პროექტი.
- **პროექტის დანიშნულება<sup>16</sup>:** პროექტის ძირითადი მიზანი, რომელიც გამოხატულია მიზნობრივი ჯგუფისთვის კონკრეტული მდგრადი სარგებლების შექმნის ფორმით.
- **პროექტის შედეგები:** პროექტის ის შედეგებია, რომელიც მიღწევითაც, ხდება პროექტის დანიშნულების შესაბამისი მომსახურებების ან საშუალებების შექმნა.

ზემოთ წარმოდგენილი მიზნები აღწერილი უნდა იქნეს SMART<sup>17</sup> ტერმინოლოგიის გამოყენებით; შესაძლებელი უნდა იყოს მათი მონიტორინგი და შესაძლებელი უნდა იყოს იმის განსაზღვრა, თუ როდის მოხდა მათი მიღწევა. ეს თეორიული განსაზღვრებები ილუსტრირებულია №3 ცხრილში განხილულ მაგალითში, სადაც წარმოდგენილია გზის მშენებლობის პროექტის მიზნების იერარქია. ამ მაგალითში პროექტს საერთო მიზნად განსაზღვრული აქვს ეკონომიკური აქტივობის ზრდა. ძალზედ რთულია საერთო მიზნის მიღწევაში პროექტის ზუსტი წვლილის განსაზღვრა, რადგან სხვა მრავალ ზემოქმედებას ექნება ადგილი.

სწორედ პროექტის დანიშნულების დონეზე შეიძლება მოხდეს ალტერნატიული მიდგომების იდენტიფიცირება. №3 ცხრილში მოცემულ მაგალითში, მაგალითად, ახალი გზის

<sup>16</sup> ზოგადად უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი დანიშნულება: თუკი არსებობს ერთზე მეტი დანიშნულება, რეკომენდირებულია მათი გადახედვა და კორექტირება.

<sup>17</sup> კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში გაწერილი.

მშენებლობა არ წარმოადგენს მგზავრობის ხარჯების შემცირებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების ერთადერთ გზას. არსებობს პროექტის დანიშნულების განხორციელების სხვა გზებიც, როგორცაა, ტრანსპორტის ნაკადის გაუმჯობესებული მართვა, საცობების შექმნაზე გადასახადის დაწესება და სიჩქარეების დამაფიქსირებელი კამერების დამონტაჟება. ზოგიერთ ამ ალტერნატივას არ ესაჭიროება კაპიტალური ინვესტიციების განხორციელება.

პროექტის შედეგები<sup>18</sup> არის, ის რაც უნდა შესრულდეს პროექტის მთავარი დანიშნულების განსახორციელებლად. რადიკალურად განსხვავებული ალტერნატივების შედეგები შეიძლება სრულად განსხვავდებოდეს გზის მშენებლობის საბაზისო პროექტის შედეგებისგან ან არ განსხვავდებოდეს ალტერნატიული მარშრუტების შემთხვევაში.

პროექტის ალტერნატივების განსაზღვრაში მიზნების კარგი აღწერა არსებითია პროექტის მონიტორინგის განხორციელების პროცესში და პროექტის დასრულების შემდეგ მისი შედეგების შესაფასებლად. №3 ცხრილში წარმოდგენილი ინდიკატორები მოცემული კონკრეტული პროექტის შემთხვევაში წარმოადგენენ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველს.

---

<sup>18</sup> პროექტის შედეგები განსხვავდება საბიუჯეტო შედეგებისგან, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საჯარო მომსახურებების მიწოდებას. საბიუჯეტო შედეგები ჩვეულებრივ შესაბამისობაშია პროექტის დანიშნულებასთან.

**ცხრილი №3: მიზნების იერარქიის მაგალითი, გზის მშენებლობის პროექტი**

| დასახელება  | აღწერა   | ინდიკატორები  |
|---|--|---|
| საერთო მიზნები – პროექტის ზემოქმედების თვალსაზრისით                                   | გაზრდილი სოციალურ-ეკონომიკური აქტივობა   | <ul style="list-style-type: none"> <li>- ახალი აქტივობები/ახალი სამსახურები</li> <li>- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა</li> <li>- ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ზრდა</li> </ul>                             |
| პროექტის დანიშნულება - მიზნობრივი ჯგუფისთვის მდგრადი სარგებლების შექმნის თვალსაზრისით | <p>მგზავრობის დროისა და მგზავრობის ხარჯების შემცირება</p> <p>გაზრდილი უსაფრთხოება</p> <p>გაზრდილი ნაკადები: პირები და საქონელი</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელმისაწვდომობა</li> <li>- დროის დანაზოგი (წუთი/სთ)</li> <li>- დანაზოგები ხარჯებში (%)</li> <li>- უბედური შემთხვევების რაოდენობა</li> <li>- სატრანსპორტო ნაკადების დონე</li> </ul> |
| შედეგები - პროექტის შედეგების თვალსაზრისით  | გზის მშენებლობა  | <ul style="list-style-type: none"> <li>- განხორციელება:</li> <li>ფიზიკური ინდიკატორი: აშენებული კმ</li> </ul>   |

**ა.დ) პროექტის გამოყენების სფეროს განსაზღვრა**

პროექტის გამოყენების სფეროები ფართო გაგებით უკვე განსაზღვრული უნდა იყოს პროექტის კონცეფციის ბარათში. შეფასებისათვის უნდა მოხდეს პროექტის კონცეფციის ბარათში აღწერილი პროექტის გამოყენების სფეროს განხილვა და დამატებითი დეტალების განსაზღვრა. დეტალების განსაზღვრა მოიცავს პროექტის შედეგების დადგენას, მაგ. რა შედეგები უნდა მოგვცეს პროექტმა დასრულებისათვის და რა სამუშაოების განხორციელება არის საჭირო ამ შედეგების მისაღებად. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს იმის დემონსტრირება, რომ განსაზღვრული იქნა ყველა აუცილებელი აქტივობა და დაგეგმილი შედეგები საკმარისია პროექტის მთავარი დანიშნულების განსახორციელებლად.

ძირითად/უშუალო შედეგებს წარმოადგენს კონკრეტული აქტივები (მატერიალური ან არამატერიალური), მაგრამ შესაძლოა ასევე საჭირო იყოს დამატებითი/დამხმარე შედეგების მიღწევა, როგორცაა, მაგალითად, დატრენინგებული თანამშრომლები დაგეგმილი სარგებლის შექმნის უზრუნველყოფის მიზნით. ეს შედეგები ასევე შეყვანილი უნდა იქნეს პროექტის გამოყენების სფეროების ნაწილშიც. ანალიზის მიზნებისათვის, პროექტის საზღვრები უნდა მოიცავდეს ყველა იმ აქტივობასა და შედეგს, რომელიც საჭიროა დაგეგმილი სარგებლის შესაქმნელად, მაშინაც კი, თუ ასეთი აქტივობები სხვა ეკონომიკური ერთეულის კომპეტენციაშია. სხვა ეკონომიკური ერთეულების მიერ განხორციელებული მისასვლელი გზების მშენებლობა, კომუნალური კავშირების მონტაჟი ან თანამშრომლების ტრენინგი წარმოადგენს პროექტის ისეთი კომპონენტების მაგალითებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მაშინაც კი, როდესაც ხარჯების გაწევას არ ახორციელებს პროექტის ინიციატორი მხარჯავი დაწესებულება/უწყება.

საბოლოო ჯამში, პროექტის გამოყენების სფეროების განსაზღვრა საკმარისი უნდა იყოს იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა პროექტი იმ საკითხის/პრობლემის საკმარისად ამომწურავ გადაწყვეტას, რომლის გადაჭრის მიზნით მოხდა პროექტის ინიცირება.

ბ) შეფასების მიზნებისათვის პროექტის ალტერნატივების იდენტიფიცირება და შერჩევა - II ეტაპი:

პროექტის შეფასებისას უნდა მოხდეს პროექტის ალტერნატიული ვარიანტ(ებ)ის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) შეფასება, პროექტის განხორციელების შემთხვევაში მისი ხარჯებისა და სარგებლის გაანალიზების მიზნით, პროექტის არსებობის მთელი ციკლის მანძილზე. პროექტის ინიციატორებმა უფრო დეტალურად უნდა მიმოიხილონ ის ალტერნატიული ვარიანტ(ებ)ი, რომლ(ებ)იც წინასწარი შერჩევის სტადიაზე გამოვლინდა. აგრეთვე შესაძლებელია განხილულ იქნეს ახალი ალტერნატიული ვარიანტების დამატების შესაძლებლობა, რომლებიც წინასწარი შერჩევის სტადიაზე განხილული არ იყო. აღნიშნული ვარიანტები შეიძლება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში შემდგომი ანალიზის საგანი გახდეს. აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ თუ რა ხანგრძლივობის პერიოდის გაანალიზებაა საჭირო ძირითადი პროექტის ხარჯებისა და სარგებლის შესაფასებლად. ჩვეულებრივ, გასაანალიზებელი პერიოდი პროექტის შედეგად შექმნილი ძირითადი საშუალების ვარგისიანობის პერიოდს ემთხვევა.

პროექტის შეფასება მოიცავს საბაზისო პროექტისა და პროექტის განხორციელებადი ალტერნატივების სიცოცხლის ციკლის ხარჯებისა და სარგებლების შედარებას. პროექტის ინიციატორებმა უნდა მოახდინონ იმ ალტერნატივების დახვეწა, რომელთა შერჩევა მოხდა წინასწარი შერჩევის სტადიაზე და უნდა გაითვალისწინონ იმ ახალი ალტერნატივების წარმოდგენაც, რომელთა გათვალისწინება არ მომხდარა წინასწარი შერჩევის საფეხურზე. ამ ეტაპს მაინც ახასიათებს საკმაოდ დიდი მოქნილობა იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია იმ ახალი ალტერნატივების წარმოდგენა, რომლის საპირისპიროდ მოხდება საბაზისო პროექტის ტესტირება.

პროექტის ალტერნატივები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გულისხმობს სახელმწიფო სექტორის ახალ კაპიტალურ აქტივებში დანახარჯებს, ასევე მომსახურებების უშუალოდ საჯარო ერთეულების მიერ მიწოდებას, როგორცაა მაგალითად, გაუმჯობესებული მარეგულირებელი კონტროლი ან სუბსიდიები კერძო სექტორის მომსახურებების მომწოდებლებისათვის. ქვემოთ წარმოდგენილია ალტერნატივების ზოგიერთი მაგალითები:

- განსხვავებული ტექნოლოგიური მიდგომების ან განსხვავებული ტექნოლოგიების გამოყენება;
- კაპიტალური ინვესტიციის დროში განაწილების, ეტაპების და მასშტაბების შეცვლა;
- ობიექტების იჯარით აღება, მშენებლობა ან შესყიდვა;
- არსებული საჯარო ობიექტების რემონტი ახალი ობიექტების მშენებლობის ნაცვლად;
- კაპიტალურ და მიმდინარე ხარჯებს შორის თანაფარდობის შეცვლა, მაგ., მეტად ან ნაკლებად კაპიტალიზაციური მომსახურებების შერჩევა;
- ობიექტების სხვა სააგენტოებთან გაზიარება;
- მდებარეობის ან ობიექტების შეცვლა;
- ინვესტიციების განხორციელების ნაცვლად არსებული ღონისძიებების ან ინიციატივების გაუმჯობესებული განხორციელება.

პროექტის ალტერნატივების განსაზღვრისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს მრავალმხრივი კვლევისა და კონსულტაციების ჩატარება. რაც უფრო დიდ დანახარჯებს



ეხება გადაწყვეტილება, მით უფრო მეტად მიზანშეწონილია მეტი დროის დახარჯვა ალტერნატიული გადაწყვეტების კარგად გააზრებაში.

ალტერნატიული ინტერვენციების განსაზღვრისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული „საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში“ ალტერნატივაც, ამ ვარიანტთან უნდა მოხდეს საბაზისო პროექტისა და შერჩეული ალტერნატივების შედარება. „საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში“ ალტერნატივა ჩვეულებრივ ნიშნავს არაფრის კეთებას („არაფრის კეთების“ ალტერნატივა), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ვარიანტი უკიდურესად არარეალისტურია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს „მინიმუმის გაკეთების“ ალტერნატივა<sup>19</sup>.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს გასაანალიზებელი პერიოდი. საბაზისო პროექტისა და ალტერნატიული გადაწყვეტების სარგებლები და ხარჯები ამ პერიოდის განმავლობაში იქნება შეფასებული. გასაანალიზებელი პერიოდი ჩვეულებრივ უნდა შეესაბამებოდეს შექმნილი ფიქსირებული აქტივების სასარგებლო გამოყენების პერიოდს და ერთი და იგივე უნდა იყოს ყველა ალტერნატივისთვის. რეალობაში, ზოგიერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული აქტივის არსებობის ვადა უსასრულოა დაგეგმილი რუტინული და პერიოდული ტექნიკური მომსახურების პროგრამის გათვალისწინებისა და განხორციელების შემთხვევაში. საერთაშორისო გამოცდილებით მიღებულია ანალიზის პერიოდის შემცირება და ნარჩენი ღირებულების,<sup>20</sup> როგორც შერჩეული გასაანალიზებელი პერიოდის ბოლო წლის სარგებლის განსაზღვრა, თუმცა ამგვარი მიდგომა შესაძლოა პოტენციურად ზედმეტად უხეში აღმოჩნდეს, რაც დამოკიდებულია მომავალი ღირებულებების დისკონტირების ხარისხზე. №4 ცხრილში მოცემულია ევროპის კომისიის მიერ რეკომენდებული საანალიზო პერიოდები სექტორების მიხედვით.

**ცხრილი №4: პროექტების საანალიზო პერიოდები სექტორების მიხედვით**

| სექტორი                                  | წელი  |
|--|-------|
| რკინიგზა                                 | 30    |
| გზები                                    | 25-30 |
| პორტები და აეროპორტები                   | 25    |
| საქალაქო ტრანსპორტი                      | 25-30 |
| წყლის მოწოდებისა და კანალიზაციის სისტემა | 30    |
| ნარჩენების მართვა                        | 25-30 |
| ენერჯია                                  | 15-25 |
| ფართოდაპაზონიანი გადაცემა                | 15-20 |
| ბიზნესინფრასტრუქტურა                     | 10-15 |
| სხვა სექტორები                           | 10-15 |

№4 ცხრილში მოცემული ყველაზე ხანგრძლივი საანალიზო პერიოდია 30 წელი; ამასთან, უფრო მოკლე პერიოდებია განსაზღვრული უფრო მოკლე სასარგებლო ვადის მქონე აქტივებისთვის. ევროპის კომისიის მითითებების შესაბამისად, ნარჩენი

<sup>19</sup> ეს ალტერნატივა გულისხმობს სტატუს ქვო-ს შესანარჩუნებლად საჭირო მინიმალური დანახარჯების გაწევას ან პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში საჯარო მომსახურებების მიუღებელი გაუარესების თავიდან აცილებას.

<sup>20</sup>ასახავს იმ ფიქსირებული აქტივის ფუნქციონირების დარჩენილ პოტენციალს, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია ეკონომიკური სიცოცხლის დასასრულისთვის.

ღირებულება გამოყენებული უნდა იქნეს იმ აქტივებისთვის, რომელთა სასარგებლო ვადა აღემატება 30 წელს. კარგი პრაქტიკის მქონე ქვეყნების მიდგომების გათვალისწინებით, მეთოდოლოგიაში რეკომენდირებული მიდგომით, ნაკლები წონა უნდა მიენიჭოს ნარჩენ ღირებულებას და გამოყენებული უნდა იქნეს ის საანალიზო პერიოდი, რომელიც ყველაზე ახლოსაა გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო ვადასთან. ამიტომ იმ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების საანალიზო პერიოდი, რომლებშიც გათვალისწინებულია მსხვილმასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები, მაგალითად, გზების ან პორტების მშენებლობა, შეიძლება გაგრძელდეს 30 წელზე ხანგრძლივ პერიოდზე, 60 წელზეც კი. მნიშვნელოვანი გარემოს დაცვითი სარგებლებისა და ხარჯების მქონე პროექტებისთვის, რომლებიც შესაძლოა თაობებზე გავრცელდეს, შესაძლოა უფრო დიდი საანალიზო პერიოდი იქნეს გამოყენებული.

გ) პროექტით უზრუნველყოფილ მომსახურებებზე მოთხოვნის განსაზღვრა - III ეტაპი:

პროექტების შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია მოთხოვნის ანალიზი. მოთხოვნის ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაპიტალურ აქტივებზე სათანადო საინჟინრო თუ სხვა ტიპის გადაწყვეტილების შესამუშავებლად, იმისათვის, რომ კაპიტალური აქტივების სიმძლავრე (შესაძლებლობები) საკმარისი იყოს არსებული და მომავალი მომხმარებლებისთვის და პროექტის ხარჯებისა და მომგებიანობის პროგნოზების საიმედოდ შეფასებისთვის.

პროექტის კარგი შეფასების ერთ-ერთი წინაპირობაა მოთხოვნის დეტალური ანალიზი, ამასთან ამგვარი ანალიზი მნიშვნელოვანია:

- შესატყვისი მოცულობის/წარმადობის კაპიტალური აქტივების დასაპროექტებლად, მიმდინარე და მომავალ მომხმარებლებზე გათვლილი აუცილებელი წარმადობით;
- ხარჯების ზუსტი შეფასებისთვის;
- პროექტის სარგებლების ზუსტი განსაზღვრისთვის;
- პროექტის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით კეთილგონიერი დასკვნისთვის.

პროექტის შეფასების პროცესში, ინიციატორებმა უნდა შეიმუშაონ პროექტის შედეგად მიღებულ კონკრეტულ მომსახურებებზე მოთხოვნის პროგნოზები, გამოსახული ციფრებში, მათ შორის, პროექტის პერიოდში ამ მოთხოვნის ზრდის პროგნოზი. იმის მიხედვით, თუ რა სახის პროექტთან გვაქვს საქმე, ასეთი საპროგნოზო მაჩვენებლები შეიძლება იყოს: სკოლაში ბავშვების მიღების მაჩვენებელი, საავადმყოფოს დატვირთულობა, საგზაო მოძრაობის ინტენსივობა, წყლის მოხმარება, მყარი ნარჩენების წარმოქმნა და სხვა.

მოთხოვნაზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნეს პროგნოზებში. ასეთი ფაქტორებია:

- ფონური ეკონომიკური ზრდა;
- ცვლილება პოტენციური მიზნობრივი მომხმარებლების შემოსავლებში;

- დემოგრაფიული ცვლილებები – მოსახლეობის და მისი გარკვეული ჯგუფების ბუნებრივი ზრდა ან კლება; პროექტის ტერიტორიაზე ან პროექტის ტერიტორიიდან მიგრაცია;
- პროექტის ტერიტორიაზე ახალი სამრეწველო, ბიზნეს ან სასოფლო-სამეურნეო ტიპის განვითარება;
- მიწოდებული მომსახურებების ხარჯი – მაშინაც კი, თუ ამ მომსახურებების მიწოდება უფასოა, მათთან შესაძლოა დაკავშირებული იყოს მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ხარჯები;
- გრძელვადიანი ტექნოლოგიური ცვლილებები და ცვლილებები საზოგადოების უპირატესობებში.

მოთხოვნის პროგნოზების დეტალიზაციის დონე შეიძლება განსხვავებული იყოს, პროექტის მასშტაბის მიხედვით ან რამდენად ახალია პროექტი შინაარსობრივად. დიდი ან ძლიერ ინოვაციური პროექტებისთვის მოთხოვნის ანალიზი დეტალური უნდა იყოს, რაც დაკავშირებულია გამოკითხვებისა და ეკონომიკური ანალიზის გზით („დ“ პუნქტი) პირველადი მონაცემების შეგროვებასთან და მოდელირების მეთოდების გამოყენებასთან (თუ ეს შესაძლებელია). მარტივი და დაბალი ღირებულების მქონე პროექტების შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უფრო მარტივი მიდგომა, რომელიც ეფუძნება ტენდენციების ანალიზს. თუმცა, მიმდინარე ტენდენციების უბრალო ექსტრაპოლაცია ჯეროვანი შესწავლის გარეშე არ არის მისაღები.<sup>21</sup> უნდა მოხდეს ტენდენციების კრიტიკულად შემოწმება, რათა მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ადგილი არ ექნება ტენდენციების საფუძველში არსებული ფაქტორების მნიშვნელოვან ცვლილებებს. ნებისმიერი მიდგომის შემთხვევაში მოთხოვნის პროგნოზირებისას მნიშვნელოვანია მოხდეს წინა ტენდენციების ისტორიული მტკიცებულებების წარმოდგენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რათა პროგნოზები გარკვეულ კონტექსტში იქნეს წარმოდგენილი.

მოთხოვნის მასტიმულირებელ ფაქტორებში სხვაობების გამო, უფრო ზუსტი პროგნოზების მომზადება იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება სხვადასხვა მომხმარებლების ჯგუფებისვის ცალ-ცალკე საპროგნოზო მაჩვენებლების მომზადება (და შემდეგ მათი კომბინირება) და არა პირდაპირ საერთო პროგნოზების მომზადება. მაგალითად, სხვაობები საქმიანი და დასვენების მიზნით მოგზაურობაზე ან წყალზე მოთხოვნის ზრდაში მომხმარებლის ტიპის მიხედვით (სამრეწველო, ბიზნეს, ინსტიტუციონალური ან საოჯახო მოხმარება).

მოთხოვნის პროგნოზებში, შეძლებისდაგვარად, გამოყოფილი უნდა იყოს ნორმალური ზრდა და ზრდა, რომელიც გამოწვეულია მომსახურების ეფექტიანი ხარჯის შემცირებით, რასაც შექმნილ მოთხოვნას უწოდებენ. ამგვარი გამოყოფა მნიშვნელოვანია, რადგან შექმნილი მოთხოვნის სარგებლების შეფასება სხვა მიდგომით ხორციელდება.

მოთხოვნის მეტისმეტად ოპტიმისტური პროგნოზები სახელმწიფო ინვესტიციების შესახებ ცუდი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ხდება. მაქსიმალურად უნდა მოხდეს მიკერძოებულობისგან თავის არიდება. მიზანშეწონილია მოთხოვნის პროგნოზები

<sup>21</sup> მრავალ ქვეყანაში ეს ხშირად წარმოადგენს ნაკლების ან ზედმეტის ინვესტირების მიზეზს.

შემოწმდეს დამოუკიდებელი გარეშე პირების მიერ, განსაკუთრებით მასშტაბური პროექტების შემთხვევაში.

დ) ეკონომიკური ანალიზის განხორციელება - IV ეტაპი:

ეკონომიკური ანალიზი პროექტის შეფასების ძირითადი ელემენტია, რადგანაც ის რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით იძლევა პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობის და პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შეფასების შესაძლებლობას.

ანალიზის დროს ხდება საინვესტიციო პროექტის ხარჯებისა და სარგებლიანობის შეფასება ეკონომიკურ ჭრილში და სცდება განმახორციელებელი უწყების ფინანსური მაჩვენებლების ვიწრო სპექტრს და მოიცავს ხარჯებისა და სარგებლის შეფასებას მთელი საზოგადოების ჭრილში, მათ შორის, ისეთი ხარჯებისა და სარგებლის ჩათვლით, რომელთა საბაზრო ფასებზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. ანალიზი მოიცავს ფასებისა და სარგებლის იდენტიფიკაციას, შეფასებას, ანალიზს და რანჟირებას წმინდა ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით. ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ნიმუშია მეთოდოლოგიის მე-3 დანართშია მოცემული.

ეკონომიკური ანალიზისთვის გამოიყენება ორი ძირითადი საშუალება – ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი<sup>22</sup> და ხარჯთეფექტიანობის ანალიზი.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი განსაკუთრებით საჭიროა ისეთი პროექტების შემთხვევაში, რომლებსაც თემის ან სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მიზნები გააჩნიათ, რადგანაც ამგვარი მიზნების ფულადი გამოსახულებით შეფასება შეუძლებელია ადგილობრივად. ამ სახის ანალიზის დროს სარგებელი გამოხატულია ფიზიკურ და არაფულად ერთეულებში (თუ პროექტის პროდუქტის ფულადი ღირებულების შეფასება შეუძლებელია).

ეკონომიკური ხარჯთსარგებლიანობის ანალიზში გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოების ყველა სარგებელი და ხარჯი, ფულადი თუ სხვა სახის, ამასთან ანალიზი უნდა გასცდეს ინდივიდუალურად განმახორციელებელ ერთეულზე ზემოქმედების ვიწრო პერსპექტივას. სარგებლებსა და ხარჯებს უნდა ახასიათებდეთ ეკონომიკური ანალიზისთვის მათი შესაბამისობა და მატერიალური ბუნება. შესაბამისობა ნიშნავს, რომ შესაძლებელი უნდა იყოს მათი, როგორც პროექტის ზემოქმედების, გარკვევით დაფიქსირება, ანუ სარგებელს ან ხარჯს არ ექნებოდა ადგილი პროექტის გარეშე. ამასთან, ხარჯების გაწევას უნდა ახორციელებდნენ და სარგებლებს უნდა იღებდნენ ის მხარეები, რომლებიც საინტერესონი არიან გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის. მატერიალური ხასიათი ნიშნავს, რომ მათი ზეგავლენა ანალიზზე საკმარისად მნიშვნელოვანია, რათა ზემოქმედება მოახდინოს განხილულ, შერჩეულ ალტერნატივებს შორის საბოლოო არჩევანის გაკეთების პროცესზე. შესაბამისი და მატერიალური ხარჯებისა და სარგებლების განსაზღვრა უკვე განხორციელებული უნდა იყოს წინასწარ შერჩევაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპისთვის და დაფიქსირებული უნდა იყოს პროექტის კონცეფციის ბარათში. მიუხედავად ამისა, პროექტის შეფასების ეტაპზე განსაზღვრული

<sup>22</sup> ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც ხარჯების სოციალური ეფექტიანობის ანალიზი, ტერმინის უფრო ფართო გამოყენების ხაზგასასმელად.

ხარჯები და სარგებლები არ უნდა იქნეს აღებული პროექტის კონცეფციის ბარათიდან მათი დეტალური შემოწმების გარეშე, რათა რომელიმე შესაბამისი და მატერიალური ხარჯი ან სარგებელი არ დარჩეს ანალიზის მიღმა.

ზოგადად ხარჯებისა და სარგებლის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ეროვნული პერსპექტივა, ანუ გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს მოსახლეობის სარგებლები და ხარჯები. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს უფრო ფართო, რეგიონული ან საერთაშორისო ზემოქმედების გათვალისწინებაც. უფრო ფართო პერსპექტივის გათვალისწინების მაგალითები მოიცავს მსხვილ სატრანსპორტო ან ენერგეტიკის პროექტებს, რომლებიც დიდ ზემოქმედებას ახდენენ ახლო მეზობელ ქვეყნებზე ან გააჩნიათ მნიშვნელოვანი გლობალური ზემოქმედება გარემოზე, როგორცაა მაგალითად, ცვლილებები ნახშირბადის ემისიებში.

ეკონომიკურ სარგებელს წარმოადგენს პროექტის მიერ გამოწვეული საზოგადოების ან საზოგადოების შემადგენელი ერთეულის, ინდივიდის კეთილდღეობის ნებისმიერი ზრდა. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკურ სარგებლის გამოთვლისას ხდება სახელმწიფო, არასამთავრობო სექტორის (კერძო ბიზნესები, საზოგადოებრივი და სათემო სექტორები) და კერძო პირების მიერ მიღებული სარგებლების გათვალისწინება. ჩვეულებრივ, საჯარო სექტორის ნებისმიერი ქმედებებიდან სარგებლის საბოლოო მიმღებები არიან კერძო პირები.

არის შემთხვევები, როცა შესაძლებელია ზოგიერთი პროექტის ეკონომიკური სარგებლების ღირებულების შეფასება საბაზრო ფასების გამოყენებით. ჩვეულებრივ ასეთ სარგებლებს მატერიალურ სარგებლებს უწოდებენ. ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია საჯარო სექტორის ზოგიერთი სარგებლის (და ზოგი ხარჯის) ღირებულების დადგენა საბაზრო ფასების გამოყენებით ასეთ ფასებზე ინფორმაციის არარსებობის გამო. ასეთ სარგებლებს ჩვეულებრივ არამატერიალურ სარგებლებს უწოდებენ. ზოგიერთი არამატერიალური სარგებლის შემთხვევაში სარგებლების ღირებულების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციალურად შემუშავებული მეთოდები (ეტაპი 4.2 შესაბამისი სარგებლისა და ხარჯებისა შეფასება), სხვა შემთხვევებში შესაძლოა მიზანშეწონილი არ იყოს ამგვარი მეთოდების გამოყენება. ზოგიერთი ისეთი არამატერიალური სარგებლის, რომლის ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია, რაოდენობრივი განსაზღვრა სხვა გზებით არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ხდება ზემოქმედების მასშტაბისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინდივიდების/ოჯახების/ბიზნესების არსის დადგენა, მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სარგებლების აღწერა შესაძლებელია მხოლოდ თვისობრივი ცნებებით, ყველა შემთხვევაში, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი და მატერიალური სარგებლის გათვალისწინება, რათა მოხდეს ამომწურავ შეფასებაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება მაშინაც კი, როდესაც ასეთი სარგებლები არ არის შეყვანილი ხარჯთსარგებლიანობის რაოდენობრივ ანალიზში (მე-7 ეტაპი, საუკეთესო ალტერნატივის განსაზღვრა). ჩვეულებრივ სარგებლების იდენტიფიცირება და მათი ღირებულების განსაზღვრა შეფასების ყველაზე რთული და ხანგრძლივი ნაწილია. ამასთან, ეს ნაწილი ხასიათდება შეცდომების ყველაზე ხშირად დაშვებით. ამდენად, სარგებლების იდენტიფიცირებისა და მათი ღირებულების დადგენისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო.

ნებისმიერი სახელმწიფო კაპიტალური ინვესტიციის (და ზოგადად სახელმწიფო დანახარჯების) საბოლოო მიზანია საზოგადოებისთვის უკეთესი შედეგების მიღწევა, სადაც შედეგი განისაზღვრება, როგორც საზოგადოებაში კეთილდღეობის ზოგად მდგომარეობაში ცვლილება, როგორცაა:

- ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევების შემცირება;
- მოსახლეობის საშუალო განათლების დონის გაუმჯობესება;
- ცხოვრების სტანდარტების ამაღლება.

შესაბამისად, პროექტის სარგებლები სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს. ამასთან, შესაძლებელია მოხდეს მათი სხვადასხვა გზით შეფასება, გაზომვა ან აღწერა:

- პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ეფექტიანობაზე პირდაპირი ზემოქმედება უფრო დაბალი საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯების მიღწევის გზით, რაც შედეგად სახელმწიფოსთვის ფულად დანახოგებს იძლევა (ეს დანახოგები შეიძლება შემდეგ გადაეცეს საზოგადოებას - თუ ადგილი აქვს მომხმარებლებისთვის გადასახადების დაწესებას ხარჯების ამოღების მიზნით. შეიძლება მოხდეს დანახოგების ხელახალი გამოყენება სახელმწიფო დანახარჯების სახით სხვა სფეროებში ან მოხდეს მისი გამოყენება ფინანსური სახსრების კონსოლიდაციისას);
- სახელმწიფოს მიერ შედეგების მიღწევაში სახელმწიფო მომსახურებების მიწოდების გზით შესაძლო წვლილი, რასაც შედეგად მოყვება მომსახურებების მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდა. მაგალითად, გაუმჯობესებული გზის მომხმარებლების მიერ დროის დაზოგვა.
- პოზიტიური ხასიათის გარე ფაქტორები, როგორცაა ჭარბი სარგებლები, რომელიც დადებითად ზემოქმედებს მესამე მხარეებზე, საზოგადოების ჩათვლით, და არა იმდენად განმახორციელებელ ერთეულზე ან პროექტის მიზნობრივ ბენეფიციარებზე. მაგალითად: წყალსაცავის შექმნით გამოწვეული კომფორტი/დასვენების საშუალება, რომლის პირველადი მიზანი ირიგაცია ან წყლის მიწოდებაა. საცობების შემცირება არა უშუალოდ მომხმარებლებისთვის, როდესაც მომხმარებლები გადაერთვებიან ახალ ან გაუმჯობესებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

№2 დანართში წარმოდგენილია მნიშვნელოვან სექტორებში სახელმწიფოს ინტერვენციით განხორციელებული პროექტების ტიპური ეკონომიკური სარგებლები. რეკომენდებულია, პროექტის ინიციატორებმა მათ მიერ შემოთავაზებული პროექტების სარგებლების განსაზღვრისას გადახედონ მითითებულ ბმულებს.

თუ შერჩეული საანალიზო პერიოდი (მე-2 ეტაპი, შეფასების მიზნებისთვის პროექტის ალტერნატივების იდენტიფიცირება და შერჩევა) კაპიტალური აქტივის დაგეგმვით ექსპლუატაციის პერიოდზე უფრო ხანმოკლეა, მაშინ აქტივს გადაწყვეტილების მიღების პერიოდის ბოლოს შეიძლება გააჩნდეს გარკვეული ნარჩენი ღირებულება. ნარჩენი ღირებულება განხილული უნდა იქნეს, როგორც საანალიზო პერიოდის ბოლო წლის სარგებელი. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც აქტივის სასარგებლო ვადა ამოწურულია ან აქტივმა თავისი დანიშნულება შეასრულა, მას მაინც შეიძლება გააჩნდეს ჯართის ღირებულება ან ალტერნატიული გამოყენება, რაც ასევე შეიძლება განხილულ იქნეს

როგორც სარგებელი. მაგრამ ძალზედ რთულია აქტივების ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა მომავალში.

დ.ა) ეკონომიკური ანალიზი სამი ეტაპისგან შედგება:

დ.ე.ა) შესაბამისი სარგებლისა და ხარჯების განსაზღვრა:

საჭიროა მოხდეს შესაბამისი ხარჯებისა და სარგებლის ძირითადი ტიპების იდენტიფიკაცია. შეფასებები უნდა მოხდეს ბიუჯეტის მიერ ამ კონკრეტული პროექტისთვის დამატებით გასაწევ ხარჯებზე დაყრდნობით. ისეთი ხარჯები, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა გაღებული, უნდა გამოირიცხოს. ხარჯების ნაკადი შემოთავაზებული ინვესტიციის მთლიანი პერიოდისთვის უნდა შეფასდეს.

ხარჯების იდენტიფიკაციის სიზუსტე განსხვავებული იქნება პროექტის მნიშვნელობისა და მონაცემთა ხელმისაწვდომობის მიხედვით. ნათელი უნდა იყოს ყველა საპროგნოზო კაპიტალური და მიმდინარე ხარჯის შეფასება, მათ შორის, მითითებული უნდა იყოს გამოყენებული დაშვებები, როგორცაა მაგ.: მომუშავეთა ფაქტობრივი ხარჯები, ენერჯის მოხმარების ფაქტობრივი ხარჯები, მოთხოვნილების ზრდა ან ფაქტობრივი გადასახდელები/განაკვეთები.

ხარჯების შეფასება უნდა იყოს თანმიმდევრული და სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების შედარების საშუალებას იძლეოდეს. ამასთან ერთად, ხარჯების შეფასებისა და სარგებლის შეფასების საფუძველი ერთი და იგივე უნდა იყოს. ყოველთვის, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს, სარგებელი ფულადი გამოსახულებით, ანუ რეალური საბაზრო ფასების გამოყენებით უნდა დადგინდეს. ხშირად შესაძლებელია სხვადასხვა პირობითი ფინანსური ზომების მიღება, თუმცა ზოგ შემთხვევაში ასეთი შეფასება შეიძლება უკიდურესად ძვირი აღმოჩნდეს. შესაბამისად, მხარჯავი დაწესებულების მიერ პროექტის მასშტაბისა და შინაარსის გათვალისწინებით უნდა მოხდეს განსაზღვრა რა სირთულის ანალიზი ჩატარდება.

მულტიპლიკატორი კოეფიციენტები, რომლებიც პროექტის მიერ ეკონომიკაზე მეორად ან არაპირდაპირი ზემოქმედების მომხდენ ინდიკატორებს ზომავენ, ეკონომიკური ანალიზის დროს სარგებელში არ უნდა იქნეს შეტანილი.

ეკოლოგიური და სოციალური ანალიზის/ზემოქმედების შეფასების საჭიროებები წინასწარი შერჩევის სტადიაზე უნდა იყოს იდენტიფიცირებული. ყოველთვის, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს, ეკონომიკური ანალიზის დროს სასურველია ეკოლოგიური და სოციალური ხარჯებისა და სარგებლის იდენტიფიკაცია, შეფასება და ხარჯებისა და სარგებლის გაანგარიშებებში შეტანა. თუ ეს შეუძლებელია, ეს ხარჯები და სარგებელი რაოდენობრივად უნდა შეფასდეს (მათი მასშტაბურობისა და ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით) და ანალიზში ხარისხობრივი მახასიათებლების სახით იქნეს შეტანილი.

პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია ეკოლოგიური და სოციალური ანალიზის კიდევ ერთი ასპექტი გულისხმობდეს პროექტის დიფერენცირებული ზემოქმედების შეფასებას გარკვეულ ეკოსისტემებზე/ტერიტორიებზე ან სოციალურ ჯგუფებზე, რომლებიც ერთმანეთისგან გეოგრაფიული მდებარეობით, სოციალური სტატუსით, შემოსავლებით, ეთნიკური წარმომავლობით, გენდერული ასპექტით და სხვა მსგავსი ფაქტორებით განსხვავდებიან. პროექტისა და მისი

ალტერნატიული ვარიანტების შეფასების დროს ეს დიფერენციალური ზემოქმედებები მთელ საზოგადოებაზე პოტენციური ზემოქმედებისაგან განცალკევებით უნდა იყოს განხილული, რადგანაც ისინი შეიძლება სხვადასხვა ჯგუფებს შორის არაპროპორციულად განაწილდნენ, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.

თუ გარკვეული ეკოლოგიური და სოციალური ხარჯები/დანაკარგები რომელიმე კონკრეტული ეკოსისტემის ან ჯგუფის შემთხვევაში დაუშვებლად მაღალია, შეიძლება აუცილებელი გახდეს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა, რომ პროექტი ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი იყოს. შემარბილებელი ღონისძიებების ხარჯები, ისევე როგორც მათთან დაკავშირებით განსახორციელებელი გაუმჯობესებების ხარჯები, ეკონომიკურ ანალიზში უნდა იყოს შეტანილი.

არსებობს სარგებლების იდენტიფიცირებისას ხშირად დაშვებული შეცდომები, ასეთი შეცდომები მაქსიმალურად უნდა ავიცილოთ თავიდან. ეს შეცდომებია:

სარგებლების ორმაგი დათვლა: ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს ზემოქმედების განხილვის ორი გზა და შესაბამისად ორივე პოზიციის სარგებლად ჩათვლის საშიშროება, რაც ერთი და იგივე სარგებლის ორჯერ გათვალისწინებას იწვევს. მაგალითად, ირიგაციის პროექტის სარგებლები შეიძლება გაიზომოს ფერმერების გაზრდილი მომავალი შემოსავლების დღევანდელი ღირებულებით ან ფერმერების მიერ დამუშავებული მიწის ღირებულების გაზრდით, მაგრამ არა ორივე გზით, რადგან მიწის ღირებულება ასახავს მომავალში შემოსავლების მიღების პოტენციალს. მსგავსად ამისა, წყლის მიწოდების ან საკანალიზაციო სისტემის პროექტში არასწორი იქნება მომხმარებელთა მიერ გადახდილი გადასახადებისა და მომხმარებელთა სარგებლების ჯამურად ჩათვლა გადახდის მზაობის შეფასების საფუძველზე, რადგან მომხმარებლის გადასახადი წარმოადგენს მომხმარებლის მხრიდან გადახდის მზაობის მხოლოდ ფინანსურ გამოხატულებას.

„სამუშაო ადგილების შექმნის სარგებლების“ დათვლა: მუშახელისთვის გადახდილი ხელფასები წარმოადგენს პროექტის ხარჯს და არა სარგებელს. ხშირად სამუშაო ადგილების შექმნა და ხელფასების შექმნა შეცდომით სარგებლად არის ჩათვლილი. თუ არსებობს იმის ფიქრის მიზეზი, რომ მუშახელის საბაზრო ფასი გადააჭარბებს ალტერნატიულ ხარჯს ეროვნულ დონეზე ან კონკრეტულ ადგილას, მაშინ ეს შეიძლება ასახული იქნეს ხელფასების მაჩვენებლის კორექტირებით (შემცირებით), რის შედეგადაც მივიღებთ, ეგრეთ წოდებულ, „ჩრდილოვან ხელფასს“ („shadow wage“) (ეტაპი 4.2 - ეკონომიკური სარგებლისა და ხარჯების განსაზღვრა). დასაქმების სოციალური სარგებლები ამ შემთხვევაში აისახება მუშახელის ხარჯი უფრო დაბალ ფულად ღირებულებაში. ალტერნატიულად, პროექტის ზემოქმედება ადგილობრივი მუშახელის ბაზარზე შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სოციალური ზემოქმედების შეფასების ნაწილი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამომწურავი შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ინიციატორებმა გაითვალისწინონ, რომ მუშახელის ხარჯები არ მიიჩნევა სარგებლად.

გადანაცვლების ზემოქმედებების უგულებელყოფა: ზოგჯერ პროექტის გარშემო შექმნილი დამატებითი ეკონომიკური აქტივობა, მაგალითად ეკონომიკური აქტივობა ახალი გზის გასწვრივ ან ახალ სატრანსპორტო ცენტრებში განხილდება, როგორც პროექტის მეორადი სარგებელი. ამ შემთხვევაში ხდება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ ხშირად



ადგილი აქვს ეკონომიკური აქტივობის სხვა წერტილიდან გადმონაცვლებას. მხოლოდ წმინდა დამატებითი ეკონომიკური აქტივობა უნდა იქნეს განხილული პროექტის სარგებლად და ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალ აქტივობებთან დაკავშირებული ნებისმიერი დამატებითი საინვესტიციო ხარჯები.

მულტიპლიკაციის შედეგების დათვლა: ეროვნულ დონეზე შეცდომაა მულტიპლიკაციის ან „მეორე რაუნდის“ გავლენით შექმნილი შემოსავლების სარგებლებად განხილვა, რადგან იგივე ფინანსური რესურსების ალტერნატიული გზით გამოყენებაც იგივე შედეგებს გამოიწვევდა. ზოგჯერ არსებობს მულტიპლიკაციის შედეგების შემოწმების საჭიროება, მაგალითად, როდესაც პროექტის მიზნობრივ არეალს წარმოადგენს კონკრეტული, ეკონომიკურად სუსტი ადგილი. ამ შემთხვევაში, შეიძლება საინტერესო იყოს ადგილობრივ ეკონომიკაზე მეორე რაუნდის შედეგების წმინდა ზემოქმედების განსაზღვრა, მაგრამ ეს არ უნდა იქნეს მიჩნეული ეროვნული პოზიციიდან პროექტის სარგებლებად.

შესაბამისი ეკონომიკური ხარჯების განსაზღვრისას ორი მნიშვნელოვანი პრინციპია გასათვალისწინებელი:

- ხარჯები დაკავშირებული უნდა იყოს ეკონომიკური რესურსების ფაქტობრივ გამოყენებასთან;
- ხარჯები უნდა ასახავდეს ალტერნატიულ გამოყენებაზე უარის თქმის ხარჯებს, სადაც შესაძლოა მომხდარიყო რესურსების ჩადება.

რესურსების ფაქტობრივ გამოყენებაზე აქცენტი ასახავს ფაქტს, რომ საბუღალტრო კუთხით აღრიცხული ხარჯები ზოგჯერ წარმოადგენს მხოლოდ საბუღალტრო გატარებებს ან შეიძლება მოიცავდეს ელემენტებს, რომლებიც უბრალოდ წარმოადგენს ეკონომიკის შიგნით რესურსების ტრანსფერს. ამიტომ ხარჯები ბუღალტრული თვალსაზრისით ყოველთვის არ არის დაკავშირებული რესურსების ფაქტობრივ გამოყენებასთან, რაც განაპირობებს მნიშვნელოვან სხვაობებს ეკონომიკურ ხარჯებთან შედარებით.

ეკონომიკური ანალიზის მეორე ძირითადი პრინციპი წარმოადგენს ალტერნატიული გამოყენების ხარჯის კონცეფციას, რაც ნიშნავს რესურსის ღირებულების შემდეგ ყველაზე საუკეთესო ალტერნატივის (არა პროექტში) გამოყენებას. უკვე სახელმწიფო სექტორის საკუთრებაში არსებული აქტივები, როგორცაა მიწა ან შენობები, წარმოადგენს ალტერნატიული გამოყენების ხარჯის კონცეფციის მნიშვნელოვან მაგალითს, რადგან ზოგადად მათ ახასიათებთ ალტერნატიული გამოყენება, კერძო სექტორში მათი გამოყენების ჩათვლით. შესაბამისად მათ ახასიათებთ ეკონომიკური ხარჯი, მაშინაც კი, როდესაც ადგილი არ აქვს პირდაპირ ფინანსურ ხარჯს.

პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის პერიოდზე პროექტის სარგებლების განსაზღვრის მსგავსად, კაპიტალურ პროექტში ასევე უნდა მოხდეს საციცოცხლო ციკლის ხარჯების განსაზღვრაც; საოპერაციო და ექსპლუატაციის ხარჯები გათვალისწინებული უნდა იქნეს საწყის კაპიტალთან ინვესტიციასთან ერთად. აღნიშნული მნიშვნელოვანია წმინდა სარგებლების განსაზღვრავად და პროექტის ალტერნატივების ერთმანეთთან შესადარებლად.

ქვემოთ წარმოდგენილია ტიპური ხარჯების ჩამონათვალი, რაც ხარჯების იდენტიფიცირებისას მნიშვნელოვანია გასათვალისწინებლად:

საწყისი კაპიტალური ხარჯები:

- მიწისა და შენობების შეძენა;
- ინფრასტრუქტურა და სამუშაოები;
- დანადგარების, ავეჯის, მანქანების, კომპიუტერების და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა;
- მონტაჟისა და დანერგვის ხარჯები;
- განვითარების ხარჯები, თანამშრომლების ხარჯებისა და საკონსულტაციო მომსახურებისა და სხვა პროფესიული მომსახურებების ხარჯების ჩათვლით;
- ტესტირება;
- ტრენინგი;
- გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ფიზიკური გაუთვალისწინებელი ხარჯები წარმოადგენს დარეზერვებულ თანხას, საიდანაც მოხდება პროექტის განხორციელების პროცესში ან ფუნქციონირებისას გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვა, როგორცაა გაზრდილი სამშენებლო ხარჯები, რაც გამოწვეულია ნიადაგის მოულოდნელად რთული მდგომარეობით. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გაუთვალისწინებელი ხარჯები პროექტის ხარჯების ნაწილია, ასეთი ხარჯები ასევე შეტანილი უნდა იქნეს ეკონომიკურ ხარჯებში.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კაპიტალური აქტივების ალტერნატიული ხარჯები, როგორცაა პროექტში გამოყენებული მიწა, შენობები, დანადგარები და მანქანები.

წყვეტა მშენებლობის პროცესში: ეს ხარჯი არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ მსხვილ პროექტებში.

ნებისმიერი იმ კაპიტალური აქტივის ჩანაცვლების ხარჯი, რომელთა სასარგებლო პერიოდი სრულდება საანალიზო პერიოდის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის იმ ალტერნატივების განხილვისას, რომლებიც ითვალისწინებს არსებული აქტივების საექსპლუატაციო ვადის გაგრძელებას ან უფრო დაბალი სპეციფიკაციის აქტივების გამოყენებას.

პერსონალის ხარჯი, რომელსაც ადგილი აქვს მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში. ეს წარმოადგენს დამსაქმებლისთვის დასაქმებულთა დროის ხარჯს და უნდა მოიცავდეს პერსონალის ხელფასს, სოციალურ გარანტიებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დამატებით გამოყოფილ თანხებს. პერსონალი მოიცავს ყველა იმ პირს, ვინც მონაწილეობს შემდეგ აქტივობებში:

- მართვა;
- ყოველდღიური საქმიანობა;
- მხარდაჭერის მომსახურებები;
- მიმდინარე ტრენინგი.

საოპერაციო ხარჯები, რომელთა გაწევა ხდება მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში და მოიცავს შემდეგი ტიპის ხარჯებს:

- ტექნიკური მომსახურების ხარჯები (მიმდინარე და პერიოდული);
- პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზირებისა და მხარდაჭერის ხარჯები;

- მონაცემების დამუშავებისა და ონლაინ მომსახურებების ხარჯები;
- იჯარისა და ქირის ხარჯები (რომლებიც მნიშვნელოვანი ხასიათისაა ახალი მშენებლობებისა და საკუთრების პროექტის ალტერნატივებისთვის);
- მიმდინარე გაუთვალისწინებელი ხარჯები;
- კომუნალური ხარჯები და მომსახურებები.

მიკუთვნებადი ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯები: ზოგიერთი ზედნადები ხარჯი შეიძლება იყოს გამოწვეული პროექტის განხორციელებით, მაგრამ გარკვევით უნდა იყოს შესაძლებელი მათი პროექტისთვის მიკუთვნება. აქ არ შედის ხარჯები, რომლებიც უცვლელი იქნებოდა პროექტის პირობებში ან პროექტის განხორციელების გარეშე.

ნეგატიური ხასიათის გარემო ფაქტორები: ეს არის ნეგატიური ზემოქმედება მესამე პირებზე, რაც ზემოქმედებას არ ახდენს პროექტის განმახორციელებელ ერთეულზე ან პირდაპირ ბენეფიციარებზე; ასეთი ფაქტორებია: გაზრდილი ხმაური ან ჰაერის დაბინძურება, რომელიც გამოწვეულია ტრანსპორტის მიერ ახალი გზის გამოყენებით, ან ლანდშაფტის დეგრადაცია არასწორ ადგილზე მშენებლობის გამო.

შემამსუბუქებელი ღონისძიებების ხარჯები: ნეგატიური გარე ფაქტორების შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს შემამსუბუქებელი ღონისძიებების შეყვანა პროექტში, ეს განსაკუთრებით ეხება გარემოზე მძიმე უარყოფით ზემოქმედებას ან უარყოფით სოციალურ ზემოქმედებას.

***ხარჯები, რომლებიც არ გაითვალისწინება ეკონომიკური ანალიზის დროს***

ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება მუდმივ ფასებში გამოხატული სიდიდეების გამოყენებით, ინფლაციის გათვალისწინების გარეშე, შესაბამისად ეკონომიკური ანალიზის დროს აშესაბამისად ის განსხვავდება საბიუჯეტო ანალიზის დროს გამოყენებული ფასებისგან.

ცვეთა წარმოადგენს ფიზიკური აქტივის ხარჯის მისი ექსპლუატაციის პერიოდზე განაწილების საბუღალტრო მეთოდს. იგი არ გამოხატავს რესურსის ფაქტობრივ გამოყენებას, რადგან რესურსი უკვე გამოყენებული იქნა აქტივის შექმნისას - შესაბამისად არ უნდა მოხდეს მისი გათვალისწინება.

აქტივის ფლობიდან გამომდინარე ან საპროცენტო ხარჯები წარმოადგენს საბუღალტრო ცნებებს და არ უნდა იქნეს შეყვანილი ხარჯებად ეკონომიკური ანალიზის განხორციელებისას. ეს ხარჯები გამოიყენება აქტივის საკუთრებაში შენარჩუნების ფინანსური შედეგების დასადგენად და არ უნდა იქნეს გათვალისწინებული აქტივის შესყიდვაზე გადაწყვეტილების მიღებისას. საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს ფინანსური ხასიათის მოძრაობას ეკონომიკაში (მსესხებელიდან გამსესხებელზე) და ეს ხარჯი არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ეკონომიკურ ანალიზში, რადგან ამ შემთხვევაში არ ხდება რესურსის ფაქტობრივი გამოყენება.

წარსული დაუბრუნებადი ხარჯები (sunk costs) იგნორირებული უნდა იქნეს ეკონომიკურ ანალიზში. ეს არის საანალიზო პერიოდამდე გაწეული ხარჯი. ამ შემთხვევაში რესურსები უკვე გამოყოფილია და ვერ მოხდება მისი ალტერნატიული გამოყენება (ან ალტერნატიული ხარჯი, როგორც ეს ზემოთ იქნა განსაზღვრული). წარსული დაუბრუნებადი ხარჯები წარმოქმნილია წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების

შედეგად და, შესაბამისად, არ უნდა ახდენდეს გავლენას მომავალი გადაწყვეტილებების მიღების ნაწილზე. წარსული ხარჯები პრობლემურ საკითხს წარმოადგენს რეკომენდაციის მომზადებისას იმ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უკვე დაწყებულია ან როდესაც ხდება პროექტის ხელახალი გაანალიზება განხორციელების პროცესში ხარჯების სერიოზული ზრდის გამო. ორივე შემთხვევაში, უკვე გაწეული ხარჯები არ უნდა იქნეს გათვალისწინებული *პროექტის შესრულების შემდგომი შეფასების დროს* პროექტის ეკონომიკური ანალიზისას.

#### **დ.ე.ბ) შესაბამისი ხარჯებისა და სარგებლის შეფასება**

შესაბამისი ხარჯებისა და სარგებლის სიდიდე უნდა შეფასდეს რეალური გამოსახულებით. ხარჯებისა და სარგებლის სიდიდეების შეფასების ძირითადი პრინციპებია:

**პროპორციულობა:** კონკრეტული პროექტის მიხედვით ხარჯებისა და სარგებლის სიდიდეების შეფასებისთვის შეიძლება საჭირო იყოს დიდი რესურსის გამოყენება, კვლევების ჩატარება და სიღრმისეული ანალიტიკური სამუშაოს შესრულება. ამის გამო, ზოგადად არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ მაგალითად პროექტისთვის რომლის ღირებულებაც 5 მლნ ლარია, ისეთივე სიღრმისეული კვლევა და ანალიზი ჩატარდეს, როგორც მაგალითად 50 მილიონის ღირებულების პროექტისთვის.

მნიშვნელოვანი პროექტების შემთხვევაში შესაბამისი და მატერიალური სარგებლების შესწავლაზე და მათი ღირებულების განსაზღვრაზე გონივრული ძალისხმევის მიმართვა სავალდებულოა, მაგრამ ძალისხმევა უნდა იყოს პროექტის ზომის პროპორციული. ზოგადად მოსალოდნელია, რომ იგივე სიღრმისეული კვლევა და ანალიზი უნდა იქნეს განხორციელებული პროექტის ხარჯებისთვისაც. ამ პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი პროექტები, რომლებიც ფინანსურად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებით ინოვაციურულია და მაგალითად დაკავშირებულია ახალ ან ჯერ კიდევ გამოუცდელ ტექნოლოგიებთან ან დაკავშირებულია ისეთ დანახარჯებთან, რომლებიც უკვე იდენტიფიცირებული იქნა, როგორც მაღალ რისკებთან დაკავშირებული, მაგალითად ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

**მზარდი სარგებელი დახარჯები:** ხარჯები და სარგებელი უნდა შეფასდეს პროექტის განუხორციელებლობის ალტერნატივასთან. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი ხარჯები არის ის თანხა, რომლითაც გაიზრდება გასაწევი ხარჯები, თუ კონკრეტული პროექტი არ განხორციელდება, ხოლო შესაბამისი სარგებელი ის სარგებელია, რომელსაც დამატებით მივიღებთ იმ სარგებელთან ერთად, რომელსაც პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში მივიღებდით.

**საბაზრო ფასების გამოყენება:** იმის მიუხედავად, რომ შესწორებების შეტანის საჭიროება შეიძლება ხშირად გაჩნდეს, სტანდარტულად იგულისხმება, რომ საბაზრო ფასები საუკეთესო საწყისი ათვლის წერტილია ხარჯებისა და სარგებლის სიდიდეების შეფასების დროს.

**ფაქტობრივი/რეალური ფასების გამოყენება:** ხარჯები და სარგებელი მოცემული უნდა იყოს რეალურ გამოსახულებაში. ხარჯები და სარგებელი შეფასებული უნდა იყოს ჩვეულებრივი საბაზისო წლის ფასებით, რომლის შესახებაც ყველა ანალიტიკოსსა და

გადაწყვეტილების მიმღებ პირს წინასწარ უნდა ეცნობოს. როგორც წესი საბაზისო წლად მიმდინარე წელს იღებენ.

სარგებლები და ხარჯები რეალური სიდიდეებით უნდა იქნეს გამოხატული (მათში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ზოგადი ინფლაციის გავლენა). სარგებლებისა და ხარჯების ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს ჩვეულებრივი საბაზისო წლის ფასებში. ამასთან, ეს ინფორმაცია წინასწარ უნდა მიეწოდოს ყველა პირს, ვინც აღნიშნულ ანალიზს აკეთებს და გადაწყვეტილების მიმღებს. საბაზისო წელიწადი ჩვეულებრივ მიმდინარე წელიწადია. უნდა მოხდეს საბაზისოდ განსაზღვრული წლის წინა წლებში არსებული ფასების კორექტირება, მათი აწევა საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო ფასების ინდექსის (Consumer Price Index) შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მყარი არგუმენტები, რომ მოსალოდნელია პროექტისთვის მნიშვნელოვანი ხარჯების ან სარგებლის რეალური ფასების (არ არის დაკავშირებული ფასების ზოგადი დონის ცვლილებასთან) ცვლილება, მისი გათვალისწინება შესაძლებელია ეკონომიკური ანალიზის დროს, მაგალითად:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების რეალური ხარჯების შემცირება;
- განახლებადი ენერჯის რეალური ხარჯების შემცირება;
- ქირის, მაგალითად, ოფისის ქირის რეალური ფასების ზრდა.

საერთაშორისო ბაზრებზე არსებული საქონელის რეალურ ფასებში მომავალი მოძრაობის პროგნოზირება უნდა განხორციელდეს ეროვნულ დონეზე. პროექტის ინიციატორებმა უნდა გამოიყენონ ოფიციალური საშუალოვადიან მაკროეკონომიკური პროგნოზები ან/და დაშვებების განსაზღვრისას გაირონ კონსულტაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. რეალური ფასების ტენდენციებთან დაკავშირებული ნებისმიერი დაშვება გარკვევით უნდა იქნეს წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში.

**შესწორებების შეტანა იმ გადასახადების, სუბსიდიების და ტრანსფერების გათვალისწინებით, რომლებიც სავარაუდოდ ზემოქმედებას მოახდენენ უპირატესად მიჩნეულ ალტერნატივაზე:** არაპირდაპირი გადასახადები (მაგ., დღგ), სუბსიდიები და სოციალური ტრანსფერები (მაგ., სოციალური დახმარებები) ეკონომიკური რესურსების მოხმარებას ან შექმნას არ იწვევენ. ისინი უბრალოდ ასახავენ რესურსების გადანაწილებას საზოგადოების ერთი ნაწილიდან მეორეში (შინამეურნეობებისაგან მთავრობაში და მთავრობიდან შინამეურნეობებში). ამრიგად, თეორიულად, ისინი გათვალისწინებული არ უნდა იყოს ხარჯებისა და სარგებლის შეფასებაში.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ქმნის მნიშვნელოვან დამატებით მოთხოვნას მომსახურების წვდომის ხარჯის მნიშვნელოვნად შემცირების გამო<sup>23</sup>, ახალი მომხმარებლების მიერ მიღებული სარგებლების განხილვა უნდა მოხდეს არსებული მომხმარებლების სარგებლებისგან განსხვავებით. ამის მიზეზს ის წარმოადგენს, რომ მოთხოვნის მრუდეები დადამავალი მიმართულებით არის დახრილი და ახალი მომხმარებლების მიერ მიღებული სამომხმარებლო სარგებლის ზრდა (სხვაობა

<sup>23</sup> აღნიშნული არ წარმოადგენს მომსახურების პირდაპირი გადასახადის შემცირებას, აქ ასევე შეიძლება იყოს საუბარი სხვა არაპირდაპირ ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების გამოყენებასთან, როგორცაა მგზავრობისთვის საჭირო დრო.

მომხმარებლისთვის მისაღებ ფასსა და რეალურად გადახდილ ფასს შორის)<sup>24</sup> საშუალოდ ნაკლებია არსებული მომხმარებლების მიერ მიღებულ ჭარბ სარგებელზე. რეალობაში, ახალი მომხმარებელი არ იღებს არანაირ სამომხმარებლო სარგებლის ზრდას, რადგან მომსახურების ფასი ზუსტად შეესაბამება იმ თანხას, რომლის გადახდისთვისაც მზადაა მომხმარებელი. ჩვეულებრივ ხდება ამ ეფექტის გათანასწოლება შემდეგი გზით: შექმნილი მოთხოვნის შედეგად მიღებული სარგებელი განიხილება, როგორც არსებული მომხმარებლის მიერ მიღებული საშუალო სარგებლის ნახევარი (ნახევრის წესი). ნახევრის წესი ყველაზე ხშირად სატრანსპორტო პროექტებში გამოიყენება, სადაც ხარჯების შემცირებამ, დროის დაზოგვის ჩათვლით, შეიძლება განაპირობოს დამატებითი მოთხოვნის შექმნა.

### ***ეკონომიკური სარგებლების ღირებულების განსაზღვრა***

სარგებლის ღირებულების განსაზღვრა შეიძლება იყოს პროექტის შეფასების ყველაზე რთული და, რესურსების თავლსაზრისით, ინტენსიური ნაწილი. კაპიტალური ინვესტიციით შექმნილი მომსახურებებით<sup>25</sup> განპირობებული მოთხოვნის პროგნოზი (პირველი ეტაპი, პროექტის მიზნებისა და გამოყენების სფეროების განსაზღვრა) წარმოადგენს სარგებლების ღირებულების განსაზღვრის პირველ ეტაპს. ახალი მომსახურების სავარაუდო მომხმარებელი ადამიანების, ოჯახების ან ბიზნესების რაოდენობის სწორად განსაზღვრის გარეშე, შეუძლებელია შესაბამისი სარგებლების სწორად შეფასება.

სარგებლების ღირებულების შეფასება უნდა მოხდეს პროექტის მიერ შექმნილი მომსახურებების რეალური ან შეფასებული საბაზრო ფასების საფუძველზე<sup>26</sup>, თუ შესაძლებელია ასეთი ფასების განსაზღვრა. თუმცა, შესაძლებელია საჭირო გახდეს კორექტირებები გადასახადის და/ან სუბსიდიების გათვალისწინების მიზნით, რაც ზემოთ წარმოდგენილი ღირებულების განსაზღვრის პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს. თუ კაპიტალური ინვესტიციის პროექტის დანიშნულებაა არსებული საქონელის ან მომსახურებების უფრო ეფექტიანად წარმოება, მაშინ სარგებლების ღირებულების დადგენა შეიძლება მოხდეს სასიცოცხლო ციკლის ხარჯებში ნაზარდი ცვლილებების საფუძველზე და შემდეგ მოხდეს პროექტის არსებობის და არ არსებობის მდგომარეობების ერთმანეთთან შედარება. ამ შემთხვევაში, სარგებლები იზომება დაზოგილი ხარჯების სახით, ამისთვის კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაზრო ღირებულებები (შესაბამისი

---

<sup>24</sup> სამომხმარებლო სარგებლის ზრდა (Consumer surplus) ზომავს სხვაობას საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის მისაღებ ფასსა და რეალურად გადასახდელ ფასს შორის. როდესაც საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება უფასოდ, ამ საქონელის ან მომსახურების მთელი ღირებულება წარმოადგენს სამომხმარებლო სარგებლის ზრდას.

<sup>25</sup> მისი საციცოცხლო ციკლის განმავლობაში მიმდინარე დანახარჯებთან კომბინაციაში.

<sup>26</sup> ეკონომიკურ ტექსტებში „საქონელი“ ჩვეულებრივ გამოიყენება პროექტის მიერ შექმნილი როგორც ფიზიკური საქონლის ასევე მომსახურებებისთვის. დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, მეთოდოლოგიაში გამოყენებული იქნება „მომსახურება“, რადგან კაპიტალური აქტივების მიერ (აუცილებელ მიმდინარე დანახარჯებთან კომბინაციაში) შექმნილი შედეგები ჩვეულებრივ სახელმწიფო მომსახურებებია და იშვიათად - ფიზიკური საქონელი. აღნიშნული აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

აუცილებელი კორექტირებებით) ქვემოთ წარმოდგენილი ეკონომიკური ხარჯების ღირებულების განსაზღვრის მითითებების შესაბამისად.

თავისი ბუნებით, მრავალი სახელმწიფო მომსახურება არის უფასო, იმის გამო, რომ მაგალითად საზოგადოებრივი საქონელის შემთხვევაში რთულია საფასურის დადგენა<sup>27</sup>, ან დაკავშირებულია შესაბამისი დარგის კონკრეტულ პოლიტიკასთან (მაგალითად საკუთრებასთან ან სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის დაცვასთან, განათლებასთან, ოჯახისა და თემის სტაბილურობასა და გარემოსდაცვასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები შესაძლოა უკავშირდებოდეს ისეთ არამატერიალური ხასიათის შედეგებს, რომლისთვისაც საბაზრო ღირებულების უშუალო მაჩვენებლები არ არსებობს). განსაზღვრების შესაბამისად, ისეთი მომსახურებების ღირებულების დასადგენად, რომელთაც გააჩნიათ პოზიტიური გარე ზემოქმედება, საზოგადოებას უფასოდ მიეწოდება და არ არსებობს შესაბამისი ბაზარი, გამოყენებული უნდა იქნეს სარგებლების ღირებულების განსაზღვრის ალტერნატიული გზები. ბაზარზე დამყარებული მიდგომები დამოკიდებულია მომხმარებლების პოტენციურ მზადყოფნაზე გადაიხადონ პროექტის სარგებლის საფასური. მომხმარებლის მიერ სახელმწიფო მომსახურებაზე გადახდილი მაქსიმალური ზღვარის ოდენობა (Willingness To Pay – WTP) – ეს არის ის მაქსიმალური საფასური, რომლის გადახდის მზაობა ექნება ბენეფიციარს სახელმწიფო მომსახურების მიღებაში<sup>28</sup> და შესაბამისად წარმოადგენს იმ სარგებელს, რომლის მიღებასაც ელის მომხმარებელი.

მაქსიმალური გადახდის ზღვარი შეზღუდულია გადახდის შესაძლებლობით, რაც შემოსავალზეა დამოკიდებული. შეზღუდვის გასათვალისწინებლად, უნდა მოხდეს გადახდაზე საშუალო მზაობის დადგენა სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებისთვის. იმ პროექტებისთვის, რომლებიც იყენებენ მაქსიმალური გადახდის ზღვარს სარგებლების ღირებულების განსაზღვრავად და სადაც მომხმარებლისთვის საფასურის დაწესება მაინც არის გათვალისწინებული,<sup>29</sup> ძალიან მნიშვნელოვანია მოხდეს გადახდის მზაობისა და გადახდის შესაძლებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი მომსახურებების დაბალი მოთხოვნის დაფიქსირების შემთხვევაში პროექტის

---

<sup>27</sup> წმინდა საზოგადოებრივი საქონელი (ან მომსახურება) არის ისეთი საქონელი, რომლის შემთხვევაშიც შეუძლებელია მომხმარებლების გამორიცხვა საქონელის (მომსახურების) გამოყენებისას და ერთი მომხმარებლის მიერ საქონლის გამოყენება არ იწვევს სხვებისთვის ხელმისაწვდომი საქონლის (მომსახურების) შემცირებას. ეს მახასიათებლები მიუთითებს იმაზე, რომ კერძო სექტორს არ გააჩნია საქონლის (მომსახურების) მიწოდების მოტივაცია, რადგან შეუძლებელია შემოსავლებისა და მოგების მიღება.

<sup>28</sup> მიღების მზაობა (WTA) წარმოადგენს მასთან ახლო კავშირში მყოფ საზომს, რომელიც გამოიყენება უარყოფითი ზემოქმედების შესაფასებლად. ეს არის ის მინიმალური კომპენსაცია, რომელიც უნდა მიიღოს ბენეფიციარმა სარგებლის დასათმობად ან ნეგატიური ზემოქმედების მისაღებად.

<sup>29</sup> ამას ხშირად აქვს ადგილი ქსელური ტიპის მომსახურებებში, რომელთაც გააჩნიათ ბუნებრივი მონოპოლიის მახასიათებლები. ჩვეულებრივ ხდება ტარიფების ადმინისტრირება (ან საჯარო სექტორის მიერ კერძო სექტორის რეგულირებით ან საჯარო საკუთრებაში მყოფი მომწოდებლის ფასების ადმინისტრირებით). ასეთ შემთხვევებში მომხმარებლებისთვის დაწესებულ გადასახადსა და გადახდის მზაობას შორის შეიძლება არსებობდეს სხვაობა. ჩვეულებრივ უკანასკნელი უფრო მაღალია პირველზე, მაგრამ როდესაც ახალი პროექტი სავარაუდოდ დაკავშირებული არის მომხმარებელთა მიერ გადასახდელი საფასურის მნიშვნელოვან გაზრდასთან, პროექტის დამგეგმავებმა უნდა უზრუნველყონ ამ გადასახადი შესაბამისობა მომხმარებლის მზაობასთან და გადახდის შესაძლებლობასთან.

ფინანსურ მდგრადობა ექვექვეშ დადგება. (მე-6 ეტაპი, ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის შეფასება)<sup>30</sup>.

გადახდის მაქსიმალური საფასურის ზღვარის განსაზღვრის ორი მეთოდი არსებობს. ეს მეთოდებია გამოვლენილი უპირატესობის მეთოდი და გაცხადებული უპირატესობის მეთოდი. გამოვლენილი უპირატესობის მეთოდი ზოგადად უფრო სანდო მეთოდად განიხილება და მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. გაცხადებული უპირატესობების მეთოდი საჭიროებს ფრთხილ მომზადებას, რაც მოიცავს მაღალი დონის კვლევის მეთოდებს, რათა მოხდეს მისაღები შედეგების გენერირება. შესაბამისად ეს მეთოდი კეთილგონივრულად უნდა იქნეს გამოყენებული. პროექტის ინიციატორებმა მეთოდის შერჩევა უნდა მოახდინონ კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, ჩვეულებრივ არჩევანი ექსპერტებთან გავლილ კონსულტაციებს უნდა ემყარებოდეს. ზოგჯერ შესაძლებელია მოხდეს ორივე მეთოდის გამოყენება და შემდეგ განხორციელდეს შედეგების შედარება მათი თანმიმდევრული ხასიათის შემოწმების მიზნით.

გამოვლენილი უპირატესობის მეთოდი დაკავშირებულია გადახდაზე მზაობასთან დაკავშირებით დასკვნის გაკეთებასთან, რომელიც ეფუძნება პოტენციური მომხმარებლების წარსული ქცევის შესწავლას მსგავს ან დაკავშირებულ ბაზრებში. მსგავს კონტექსტში წარსულში ხარჯებსა და სარგებლებს შორის გაკეთებული კომპრომისის შესახებ ინფორმაცია შეიძლება აჩვენებდეს პროექტის მიერ შექმნილი სარგებლების მსგავსი სარგებლებისთვის თანხის გადახდის მზაობას. ხშირად გამოყენებული გამოვლენილი უპირატესობის ორი მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოდგეს სარგებლების ბუნებიდან გამომდინარე, ქვემოთ არის წარმოდგენილი:

- ფასების ჰედონისტური განსაზღვრა: ღირებულების გამოყვანა ხდება ფაქტობრივი საბაზრო ფასის დანაწევრებით მის შემადგენელ მახასიათებლებად, იმის დასადგენად თუ რა სარგებლებისთვის (რომლებისთვისაც არ არსებობს პირდაპირ დაკვირვებადი ბაზარი) არსებობს გადახდის მზაობა. მაგალითად: გარე დასვენების ადგილიდან (პარკი, ტბა და სხვა) დაშორების მანძილის მიხედვით, საცხოვრებელი სახლების ფასებს შორის სხვაობების გამოყენება ამგვარი ბუნებრივი დასვენების ობიექტის შიდა „სარგებლობის“<sup>31</sup> დასადგენად, შესაბამისად სარგებლის განსაზღვრისა და მსგავსი ახალი დასასვენებელი ადგილის შექმნის მიზნით.
- მგზავრობის ხარჯების ანალიზი: იყენებს იმ ჯამური ხარჯების სიდიდეს, რომლის გადახდის მზაობა გააჩნიათ ადამიანებს უფასო ობიექტებზე მისასვლელად, რითაც ხდება იმის დადგენა, თუ მინიმუმ რისი გადახდის მზაობა აქვს მოსახლეობას. მაგალითად, მგზავრობის ხარჯები, რაც მოიცავს მგზავრობის დროის ფულად ღირებულებას, რომელსაც ხარჯავს მოსახლეობა პარკში ან დასასვენებელ ობიექტზე მისასვლელად, გვაძლევს იმის მაჩვენებელს, თუ რა ღირებულებისაა მოსახლეობისთვის ეს ობიექტები. აღნიშნული შეიძლება გამოყენებული იქნეს მსგავსი ახალი ობიექტების შექმნის შედეგად გაზრდილი კეთილდღეობის ღირებულების განსაზღვრისთვის. აღნიშნული წარმოადგენს მინიმალურ დაშვებას,

<sup>30</sup> ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა ასევე მნიშვნელოვნად ზარალდება WTP -ს ზედმეტად ოპტიმისტური შეფასებით, რაც აღემატება მომხმარებელთა გადახდის უნარიანობას.

<sup>31</sup> მოსალოდნელია, რომ ობიექტთან ახლოს სიდიდე უფრო მაღალი იქნება.



რადგან მომხმარებლები მიიღებენ კეთილდღეობის ზრდას, რომელიც აღემატება მათი მგზავრობის ხარჯებს (სხვა შემთხვევაში მათ არ ექნებოდათ ობიექტზე მგზავრობისა და ობიექტის გამოყენების სურვილი)<sup>32</sup>. ამ მეთოდის გამოყენებისას საჭიროა სწორი მონაცემების (გამოკითხვით) შეგროვება პროექტით შემოთავაზებული ობიექტის მსგავს ობიექტამდე მგზავრობის მანძილზე, მგზავრობის ხანგრძლივობაზე, ტრანსპორტის ტიპზე, გამოყენების სიხშირეზე და მომხმარებლების წარმომადგენლობითი ხასიათის შერჩევის (ჯგუფის) შემოსავლებზე.

გაცხადებული უპირატესობის მეთოდში ხდება ბაზრის სიმულაცია სპეციალურად შემუშავებული ინტერვიუების ან კითხვარების გამოყენებით, რათა მომხმარებლებმა უშუალოდ განაცხადონ თავიანთ მზაობაზე, გადაიხადონ მომსახურების საფასური ან გააკეთონ ჰიპოთეტური არჩევანი, რის საფუძველზეც შემდეგ მოხდება გადახდილი მაქსიმალური ზღვარის განსაზღვრა. დიდი ალბათობით, პროექტის ინიციატორებს დასჭირდებათ გაცხადებული უპირატესობის მეთოდთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიღება გარე სპეციალისტებისგან, ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა სიმულაციის შერჩევა. ქვემოთ წარმოდგენილია ორი ზოგადი მეთოდი, რომელიც პოტენციურად შესაძლოა იქნეს გამოყენებული, ესენია:


- პირობითი შეფასების კვლევები - ღია ტიპის კითხვები, რომლებიც ეხება პოტენციური მომხმარებლისთვის მისაღებ მაქსიმალურ თანხას, რომლის გადახდის მზაობა აქვს მას პროექტის საშუალებით მიწოდებულ მომსახურებებში ან შეზღუდული რაოდენობის ასარჩევი სიდიდეების მომზადება და რესპონდენტმა უნდა აირჩიოს შესაბამისი სიდიდე.
- არჩევანის მოდელირება - პოტენციური მომხმარებლებისთვის ალტერნატივების წარდგენა, რომლებიც დაკავშირებულია ხარჯებსა და სარგებლებს შორის გარკვეულ კომპრომისებთან, რესპონდენტმა უნდა მიუთითოს, თუ რომელ ალტერნატივას ანიჭებს უპირატესობას. ეს მეთოდი უკეთესია მომსახურების კონკრეტული მახასიათებლების შესაფასებლად და არა მთლიანად მომსახურების შესაფასებლად. ამ მეთოდით ნაცადია პოტენციური სუბიექტურობის თავიდან აცილება, რაც შეიძლება წარმოიშვას ჰიპოთეტური გადახდების შესახებ პირდაპირი კითხვების დასმისას, მაგრამ ამ მიდგომით მეთოდი რთულდება.

კონკრეტულ სექტორებს ახასიათებს სპეციფიკური სარგებლები და მათი ღირებულების შეფასების მეთოდები. პროექტის ინიციატორებისთვის დამატებითი მითითებების მისაწოდებლად მეთოდოლოგიის №2 დანართში მოცემულია საჯარო სექტორის ინტერვენციის უფრო მნიშვნელოვან სექტორებში ტიპური პროექტების სარგებლების ღირებულების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდის მიმოხილვა.

---

<sup>32</sup> აღნიშნულ ზრდას ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში 'მომხმარებელთა სარგებლის ზრდას' ('consumer surplus') უწოდებენ. უფრო რთულ მიდგომაში ხდება მგზავრობის ხარჯების საფუძველზე მოთხოვნის მრუდის განსაზღვრა და შემდეგ გადახდილი მაქსიმალური საფასურის ზღვარის გამოყვანა.

## არაფულადი ხარჯებისა და სარგებლის შეფასება



**ეკონომიკური ხარჯების ღირებულების განსაზღვრა უფრო მარტივია ეკონომიკური სარგებლების ღირებულების განსაზღვრასთან შედარებით**, მაგრამ მაინც საჭიროებს შესაბამისი ტექნიკური ექსპერტიზის გამოყენებას. პროექტის კაპიტალური ხარჯების მიღება ხდება წინასწარი საპროექტო დოკუმენტაციიდან, რომელიც მომზადებულია და მათში ხარჯები გაწერილია საინჟინრო სფეროში აუცილებელი ექსპერტიზის მქონე სპეციალისტების მიერ. ამის მსგავსად ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურებების ხარჯების გამოთვლა უნდა მოხდეს საინჟინრო საკითხებში კონსულტაციების მიღებისა და გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე. რაც შეეხება სარგებლებს, ყველა ხარჯი არ იქნება ასახული ფინანსურ ტრანზაქციებში და ამდენად, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნეს ყველა ტიპის ეკონომიკური ხარჯი.

სახელმწიფო აქტივების ალტერნატიული გამოყენების ხარჯი (Opportunity cost): ალტერნატიული გამოყენების ხარჯის ცნება ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ხარჯების ღირებულების განსაზღვრისას. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები, როგორც პროექტის საწარმოო საშუალებები შეფასებული უნდა იქნეს საბაზრო ღირებულების გამოყენებით, მაშინაც კი, როდესაცარ ხდება არანაირ ფინანსურ ტრანზაქცია. მაგალითად: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა უნდა შეფასდეს იმ ღირებულებით, რა ფასადაც გაიყიდებოდა მიწა ღია ბაზარზე და არ უნდა მოხდეს მისი, როგორც ნულოვანი ღირებულების მქონე აქტივის განხილვა. ნებისმიერი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დანადგარის ან შენობის ღირებულება, რომლებიც პროექტში იქნება გამოყენებული უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა ფასში მოხდებოდა მათი გაყიდვა ღია ბაზარზე. პროექტის ინიციატორებს შეიძლება დასჭირდეთ სპეციალისტების ექსპერტიზა მსხვილი ერთეულების, განსაკუთრებით კი მიწის ღირებულებების დასადგენად.

მუშახელის სოციალური ალტერნატიული გამოყენების ხარჯი: როდესაც მუშახელის ბაზრები ეფექტიანად მუშაობს და ადგილი არ აქვს სტრუქტურულ უმუშევრობას, საბაზრო ხელფასის განაკვეთი წარმოადგენს მუშახელის სოციალური ალტერნატიული გამოყენების ხარჯის საუკეთესო საზომს, რაც წარმოადგენს მუშახელის ერთეულის ზღვრულ ღირებულებას მისი საუკეთესო ალტერნატიული გამოყენებისას. მუშახელის ბაზრების ფუნქციონირების ნაკლოვანებებისას, როგორცაა, მაგალითად, მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებული კანონმდებლობა - ან მაკროეკონომიკური დისბალანსის გამო, მუშახელის ალტერნატიული გამოყენების ხარჯი შესაძლოა ნაკლები აღმოჩნდეს საბაზრო განაკვეთზე. ასეთ შემთხვევებში, შეიძლება გამოყენებული იქნეს კორექტირების ფაქტორი, ე.წ. ჩრდილოვანი ხელფასის განაკვეთის განსაზღვრის მიზნით.

ჩრდილოვანი ხელფასების განაკვეთი შეიძლება განისაზღვროს როგორც შემდეგი მაჩვენებლების შეწონილი საშუალო:

- იმ კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშახელის ჩრდილოვანი ხელფასები, რომელიც წარსულში იყო დასაქმებული მსგავს საქმიანობებში: შეიძლება დავუშვათ, რომ ასეთი ხელფასები საბაზრო ხელფასთან ახლოს დგას ან მას უტოლდება;

- იმ არაკვალიფიციური მუშახელის ჩრდილოვანი ხელფასი, რომელიც პროექტში დასაქმდა უმუშევრობის შედეგად: შეიძლება დაეუშვათ, რომ ამ ტიპის ხელფასი არის უმუშევრობის სარგებლის (დახმარების) მნიშვნელობის ტოლი ან მასზე ნაკლები;
- იმ არაკვალიფიციური მუშახელის ჩრდილოვანი ხელფასი, რომელიც პროექტში დასაქმდა არაფორმალური საქმიანობებიდან: ამ ტიპის ხელფასი უტოლდება მოცემულ საქმიანობებიდან ადრე გამომუშავებულ სიდიდეს.

მინიჭებული წონები უნდა იყოს პროექტში გამოყენებული თითოეული მუშახელის რესურსის დადგენილი სიდიდის პროპორციული.

ჩრდილოვანი ხელფასის გამოთვლა ტექნიკური თვალსაზრისით შრომატევადი და ძვირადღირებული იქნება. შესაბამისად, ეს მეთოდი მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც შედეგად მიღებული კორექტირებები დიდი ალბათობით მნიშვნელოვანია საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილებისთვის. ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როდესაც, მაგალითად პროექტის ერთ-ერთი ალტერნატივა მუშახელის თავსაზრისით ძალზედ ინტენსიურია ან როდესაც პროექტი ისეთ ადგილას უნდა განხორციელდეს, რომელიც უმუშევრობის ან დაბალი დონის დასაქმების მწვავე პრობლემის წინაშე დგას.

სარგებლის ღირებულების დადგენისას მითითებული „გამოვლენილი უპირატესობისა“ და „გაცხადებული უპირატესობის“ მეთოდები შეიძლება ასევე იქნეს გამოყენებული იმ ხარჯების ეკონომიკური ღირებულების დასადგენად, რომელთათვისაც არ არსებობს საბაზრო განაკვეთები, მაგ: ნეგატიური ზემოქმედების გარე ფაქტორები. ამ შემთხვევაში, მეთოდები გამოიყენება მიმღებლობის მზაობის (Willingness To Accept - WTA) დასადგენად, რაც ნიშნავს იმ მინიმალურ კომპენსაციას, რომლის მიღებაზეც თანახმაა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, რათა შეეგუოს ნეგატიური ხასიათის ეკონომიკურ შედეგებს, გაზრდილ ხმაურს ან დაბინძურებას.

დ.ე.გ) წმინდა მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა

წმინდა მიმდინარე ღირებულება წარმოადგენს პროექტის ხარჯებსა და მოგებას შორის სხვაობას, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე. წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლის მეთოდი გამოიყენება პროექტის ალტერნატივებს შორის შედარების განსახორციელებლად ხარჯებთან და სარგებელთან მიმართებაში. ხარჯთეფექტიანობის ანალიზში მიმდინარე ღირებულება საჭიროა მხოლოდ ხარჯებისთვის.

პროექტის სარგებლები და ხარჯები დროის ერთი და იგივე მომენტში არ იქნეს თავს, ვერ მოხდება მათი პირდაპირ დამატება და უნდა მოხდეს მათი კორექტირება საზოგადოების მიერ საქონელისა და მომსახურებების ადრე თუ გვიან გამოყენებისთვის უპირატესობის მინიჭების გათვალისწინების მიზნით. მაგალითად, მშენებლობის ხარჯების გაწევა ჩვეულებრივ ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში ხდება. საოპერაციო ხარჯები კი თავს იჩენს კაპიტალური აქტივის შექმნის შემდეგ. სარგებლების მიღება ხდება აქტივის დაგეგმილი სასარგებლო ვადის განმავლობაში და ტექნიკური მომსახურების ხარჯების გაწევა საჭიროა რუტინულად და პერიოდულად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს აქტივის ფუნქციონირება. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი

დაკავშირებულია სარგებლებისა და ხარჯების იმ ნაკადების შედარებასთან, რასაც ადგილი აქვს პროექტის (და მისი ალტერნატივების) სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. შედარების მიზანია იმის განსაზღვრა, ადგილი აქვს თუ არა საზოგადოების მიერ კეთილდღეობის წმინდა მატებას. ამ ტიპის კორექტირებას ეწოდება დისკონტირება და იგი ასახავს იმ ფაქტს, რომ ინფლაციის გათვალისწინებითაც კი, წელს მიღებული ერთი ლარის ღირებულება უფრო მაღალია ვიდრე მომდევნო წელს მიღებული ერთი ლარი, რადგან, როგორც ინდივიდი, ისევე მთელი საზოგადოება, როგორც წესი ირჩევს არსებული რესურსის დღესვე გამოყენების შესაძლებლობას.

დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს საზოგადოების მიერ დროისთვის მინიჭებული უპირატესობის განაკვეთს და წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც გამოიყენება როგორც მომავალი ღირებულებების დღევანდელი ღირებულებების ეკვივალენტებში კონვერტირების ინსტრუმენტი<sup>33</sup>. მომავალში, სხვადასხვა წლებში მიღებული სარგებლებისა და გაწეული ხარჯების დღევანდელი ღირებულებებით გამოხატვა ერთმანეთის შესაბამისს ხდის ამ სიდიდეებს და შესაძლებელს ხდის მათ დაჯამებასა და შედარებას. ეკონომიკური კუთხით, დროის სხვადასხვა მომენტში მიღებული და გაწეული სარგებლებისა და ხარჯების უბრალო შეკრება კორექტირებების გარეშე ისეთივე აზრს მოკლებული იქნებოდა, როგორც ლარებისა და აშშ დოლარების შეკრება მათი ერთ საბაზისო ვალუტაში სავალუტო გაცვლის კურსის გამოყენებით კონვერტაციის გარეშე. ამ ანალოგიის საფუძველზე, დისკონტირების განაკვეთი შეიძლება განისაზღვროს როგორც „სავალუტო გაცვლითი კურსის“ საფუძველი დღევანდელ სიდიდეებსა და მომავლის სიდიდეებს შორის. იმ პრინციპის დაცვით, რომ ყველა სარგებელი და ხარჯი გამოხატული უნდა იქნეს რეალურ სიდიდეებში, დღევანდელი ღირებულებისთვის გამოყენებული კონკრეტული დისკონტირების განაკვეთი ასევე წარმოადგენს რეალურ განაკვეთს, ანუ იგი არ ითვალისწინებს ინფლაციას.

*მაგალითი:*

*1 ლარის ღირებულების სარგებელს ან ხარჯს ერთი წლის ვადაში გააჩნია დღევანდელი ღირებულება*

$$1/(1+r)$$

*სადაც:*

*r- წარმოადგენს დისკონტირების განაკვეთს.*

*მაშასადამე, თუ დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 5%-ს, ერთი წლის შემდეგ ღირებულება იქნება 0.952 ლარის ტოლი. რთული პროცენტის პრინციპისა და იგივე*

---

<sup>33</sup> დროის სხვადასხვა მომენტისთვის უპირატესობის მინიჭების სოციალური განაკვეთი რამდენიმე ფაქტორს ასახავს: დროის მომენტისთვის წმინდა უპირატესობის მინიჭება, ანუ ინდივიდების მოუთმენლობა, გამოიყენონ ახლა და არ მოიცადონ; ამასთან, დაშვებულია თითო მოსახლეზე შემოსავლის უცვლელი დროის განმავლობაში; კატასტროფების რისკი, რაც აქრობს პროექტის ყველა ამონაგებს. მისი დათვლა რთულია, მაგრამ ნულის ტოლი არ არის; ის ფაქტი, რომ არსებობს დროში ეკონომიკების ზრდის ტენდენცია და მოხმარების თითოეული დამატებითი ერთეული ფასდება წინასთან შედარებით ნაკლებად (ეს წარმოადგენს მოხმარების შემცირებადი მარგინალური სასარგებლოების ეკონომიკურ კონცეფციას), რაც გულისხმობს, რომ მომავალი (უფრო მდიდარი) თაობების მიერ მოხმარება დღეს (უფრო ღარიბი თაობის მიერ) უნდა შეფასდეს ნაკლებ. ქვემოთ აღწერილია საქართველოსთვის დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრის საფუძველი.

დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ორი წლის შემდეგ მიღებულ ერთ ლარს ექნება უფრო დაბალი დღევანდელი ღირებულება  $1/(1+0.05)^2$  ანუ იქნება 0.907 ლარის ტოლი.

რთული დისკონტირების ფაქტორი - განზოგადებულია ფორმულაში:

$$1/(1+r)^t$$

სადაც:

$t$  - წარმოადგენს საბაზისო წლიდან წლების რაოდენობას - შეიძლება გამოყენებული იქნეს მომავალი წლიური სარგებლებისა და ხარჯების ნაკადებისთვის ან კონკრეტულ საანალიზო პერიოდში წმინდა სარგებლებისთვის თავსებადი დღევანდელი ღირებულებების მისაღებად, რომელთა შეკრება შესაძლებელია ერთი სიდიდის მიღების მიზნით.

რაც უფრო მაღალია დისკონტირების განაკვეთი, მით უფრო დიდია დღევანდელ დღეს მოხმარებისთვის უპირატესობის მინიჭება ხვალინდელ დღეს გამოყენებასთან შედარებით და შესაბამისად უფრო დაბალია მოცემული მომავალი სარგებლის დღევანდელი ღირებულება.

შესაბამისად 10%-იანი დისკონტირების განაკვეთის შემთხვევაში ერთი ლარის ღირებულების სარგებელს ერთი წლის ვადაში ექნება მხოლოდ 0.909 ლარის დღევანდელი ღირებულება, რაც ნაკლებია 0.952 ლარზე, რომელიც 5%-იანი დისკონტირების განაკვეთით არის დათვლილი.

სამთავრობო სექტორის (ცენტრალური ან ადგილობრივი) საინვესტიციო პროექტების ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული უნდა იქნეს საერთო დისკონტირების განაკვეთი პროექტების თანმიმდევრული/თავსებადი შედარების უზრუნველყოფის მიზნით<sup>34</sup>.

### **წლიური ფულადი სახსრების მიმოქცევის პროგნოზები**

დისკონტირების გამოყენებისა და დღევანდელი ღირებულებების დაანგარიშების მიზანია პროექტის „ფულადი სახსრების მიმოქცევის” პროგნოზების განსაზღვრა. ეს ამოცანა მოითხოვს მე-4 ეტაპზე განსაზღვრული სარგებლებისა და ხარჯების თავმოყრას და მათთვის პროექტის საანალიზო პერიოდის შესაბამისი წლისთვის მინიჭებას.

აუცილებელია, მოხდეს სათანადო საანალიზო პერიოდის განსაზღვრა. ზოგადად, საანალიზო პერიოდი უნდა მოიცავდეს პროექტის მიერ შექმნილი აქტივის სასარგებლო ვადას. ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება 20-30 წლიანი საანალიზო პერიოდი. მოკლე სასარგებლო ვადის მქონე აღჭურვილობისთვის ან

<sup>34</sup> ევროკომისიის მითითებების შესაბამისად შესაძლოა გამოყენებული იქნეს 5.0% რეალური დისკონტირების განაკვეთი, ამასთან მგრძობელობის ტესტირება უნდა ჩატარდეს დისკონტირების განაკვეთის ორივე მხარეს, მაგ: 4.0%-ზე და 6.0%-ზე. 5.0% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც განსაზღვრულია (შემოთავაზებულია) ევროკომისიის სახელმძღვანელოში იმ ევრო კავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის და რეგიონებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ კოჰესიის ფონდიდან და სხვა ფონდებიდან სარგებლის მიღების კრიტერიუმებს, ეს ფონდები მიზნად ისახავს ნაკლები შემოსავლების მქონე რეგიონების დახმარებას. ევრო კომისიის მიერ განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 'საინვესტიციო პროექტების ხარჯები-სარგებლების ანალიზის სახელმძღვანელო: ეკონომიკური შეფასების ინსტრუმენტი კოჰესიის პოლიტიკისთვის, 2014-2020', ევრო კომისიის რეგიონული და ურბანული პოლიტიკის გენერალური საბჭო, 2014.

საინფორმაციო კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების (ICT) შემთხვევაში მნიშვნელოვნად ნაკლები საანალიზო პერიოდი უნდა იქნეს გამოყენებული. ალტერნატივების შედარება მნიშვნელოვანია განხორციელდეს ერთი და იგივე პერიოდზე.

№5 ცხრილში მოცემულია ჰიპოთეტური გზის გაუმჯობესების პროექტი, რომელიც გაანალიზებულია 20 წლიან პერიოდზე. ფულადი სახსრების გადინებაში მოცემულია პროექტის ხარჯები (შენახვის და კაპიტალური ხარჯები), ხოლო ფულადი სახსრების შემოდინება გულისხმობს სარგებელს (დროის დანაზოგი, მანქანების შენახვის ხარჯების შემცირება და სხვა). ფულადი სახსრების შემოდინებებისა და გადინებების სხვაობა გვაძლევს წმინდა სარგებელს პროექტის თითოეული წლისთვის, ეს სიდიდე შეიძლება იყოს უარყოფითი ან დადებითი, რაც დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ წელს სარგებლებსა და ხარჯებს შორის სხვაობაზე.

**ცხრილი №5: ეკონომიკური ანალიზში ფულადი სახსრების მიმოქცევის მაგალითი, გზის პროექტი**

**მლნ ლარი**

| წელი | ფულადი სახსრების გადინება / ხარჯები (C) |                       | ფულადი სახსრების შემოდინება / სარგებლები (B) |                                      |                                | სუფთა სარგებლები (B-C) |
|------|---|-----------------------|--|--------------------------------------|--------------------------------|------------------------|
|      | კაპიტალური ხარჯები                      | ექსპლუატაციის ხარჯები | დროის დაზოგვა                                | მანქანის ოპერირების ხარჯის შემცირება | უბედური შემთხვევების შემცირება |                        |
| 1    | ლარი 10.0                               | -                     | -  | -                                    | -                              | -ლარი 10.0             |
| 2    | ლარი 30.0                               | -                     | -  | -                                    | -                              | -ლარი 30.0             |
| 3    | ლარი 20.0                               | -                     | -  | -                                    | -                              | -ლარი 20.0             |
| 4    | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 4.0                                     | ლარი 2.0                             | ლარი 0.5                       | ლარი 6.0               |
| 5    | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 4.2                                     | ლარი 2.1                             | ლარი 0.5                       | ლარი 6.3               |
| 6    | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 4.4                                     | ლარი 2.2                             | ლარი 0.5                       | ლარი 6.6               |
| 7    | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 4.6                                     | ლარი 2.3                             | ლარი 0.5                       | ლარი 7.0               |
| 8    | -                                       | ლარი 4.0              | ლარი 4.9                                     | ლარი 2.4                             | ლარი 0.6                       | ლარი 3.8               |
| 9    | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 5.1                                     | ლარი 2.6                             | ლარი 0.6                       | ლარი 7.7               |
| 10   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 5.4                                     | ლარი 2.7                             | ლარი 0.6                       | ლარი 8.1               |
| 11   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 5.6                                     | ლარი 2.8                             | ლარი 0.6                       | ლარი 8.5               |
| 12   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 5.9                                     | ლარი 3.0                             | ლარი 0.6                       | ლარი 9.0               |
| 13   | -                                       | ლარი 4.0              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.6                       | ლარი 5.9               |
| 14   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.6                       | ლარი 9.4               |
| 15   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.7                       | ლარი 9.5               |
| 16   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.7                       | ლარი 9.5               |
| 17   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.7                       | ლარი 9.5               |
| 18   | -                                       | ლარი 4.0              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.7                       | ლარი 6.0               |
| 19   | -                                       | ლარი 0.5              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.7                       | ლარი 9.5               |
| 20   | -ლარი 10.0                              | ლარი 0.5              | ლარი 6.2                                     | ლარი 3.1                             | ლარი 0.7                       | ლარი 19.6              |

კომერციული პროექტის ფინანსური ანალიზის შემთხვევაში ფულადი სახსრების შემოდინებები და გადინებები ასახავდა პროექტის განმახორციელებლების ფინანსურ ტრანზაქციებს. თუმცა, როგორც ეს ცხრილში წარმოდგენილ ჰიპოთეტურ მაგალითშია მოცემული, ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული ფულადი სახსრების მიმოქცევა არ წარმოადგენს ფაქტობრივ ფინანსურ ტრანზაქციებს: გზის მომხმარებლები არ უხდიან გზების სამმართველოს კონკრეტული გზის პროექტის განხორციელებით მიღწეული დანაზოგების საფასურს (გამონაკლისს წარმოადგენს ფასიანი გზა). გზის ზედაპირს შესაძლოა ჰქონდეს

20 წლიანი ექსპლუატაციის პერიოდი, მაგრამ სტრუქტურები უფრო დიდ ხანს იმუშავებს. აღნიშნულის გათვალისწინების მიზნით, ნარჩენი ღირებულება შეტანილია უარყოფითი ფულადი სახსრების გადინების სახით პროექტის ბოლო წელს. ამ შემთხვევაშიც ფინანსურ ტრანზაქციას ადგილი არ ექნება.

წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) წარმოადგენს შერჩეული საანალიზო პერიოდის განმავლობაში დისკონტირებული ფულადი სახსრების მიმოქცევის ჯამს. დადებითი NPV მიუთითებს, რომ სხვადასხვა წლების პროექტის ჯამური სარგებლები აღემატება პროექტის ჯამურ ხარჯებს, რომლებიც გამოხატულია თავსებადი სიდიდეებით, ზემოთ აღწერილი დისკონტირების მეთოდის გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების პოზიციიდან პროექტი კარგად იყენებს სახელმწიფო სახსრებს. უარყოფითი წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) მიუთითებს საპირისპიროს.

წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) წარმოადგენს იმ პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმს, რომლის ყველა მატერიალური ხასიათის სარგებლებისა და ხარჯების ღირებულების დადგენაც შესაძლებელია.

წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) კალკულაცია მარტივია და შეიძლება განხორციელდეს ავტომატურად ექსელის ცხრილებისა და შესაბამისი ფორმულის გამოყენებით. ეკონომიკურ ანალიზში მთავარი სამუშაო დაკავშირებულია სარგებლებისა და ხარჯების ღირებულებების განსაზღვრასთან, მე-4 ეტაპზე განხორციელებულის შესაბამისად.

წარმოდგენილ მაგალითში თითოეული წლისთვის დისკონტირების ფაქტორების გათვალისწინებისა და წმინდა სარგებლების დღევანდელი ღირებულებების მისაღებად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 5%-ს. მიღებული დღევანდელი ღირებულებების შეკრებით ვიღებთ წმინდა მიმდინარე ღირებულებას (NPV), პროექტის სოციალური ღირებულების საზომს<sup>35</sup>. წარმოდგენილ მაგალითში გზის პროექტს აქვს დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV), რომელიც 22.9 მილიონი ლარის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ პროექტი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია, თუ დავეუშვებთ, რომ მოხდა ყველა მნიშვნელოვანი ხარჯების და სარგებლების რაოდენობრივი განსაზღვრა.

წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ფორმულა შემდეგი სახისაა:

<sup>35</sup> არსებობს NPV-ს გამოთვლის სხვა გზაც, რომელიც ზემოთ განხილულის ეკვივალენტურია. ამ შემთხვევაში ხდება თითოეული წლისთვის სარგებლებისა და ხარჯების დღევანდელი ღირებულებების ცალ-ცალკე გამოთვლა, ხდება შემდეგ მათი ცალ-ცალკე შეკრება, შედეგად ვიღებთ წმინდა დღევანდელ ხარჯებს (NPC) და წმინდა დღევანდელ სარგებლებს (NPB), შემდეგ ხდება NPB-დან NPC-ს გამოკლება, შედეგად ვიღებთ NPV-ს.



მეთოდის შერჩევა წმინდად პრეზენტაციის საკითხთან არის დაკავშირებული.

$$NPV = \sum_{t=0}^t \frac{(B_t - C_t)}{(1+r)^t}$$

სადაც:

B = სარგებელი (ან ფულადი სახსრების შემოდინება)

C = ხარჯი (ან ფულადი სახსრების გადინება)

B-C = წმინდა სარგებელი (ან წმინდა ფულადი სახსრების მიმოქცევა)

t = დრო წლებში

ეკონომიკური ანალიზის მიზნებისთვის იდენტიფიცირებული პროექტის თითოეული ალტერნატივის, თავდაპირველი პროექტის კონცეფციის ჩათვლით, NPV-ები უნდა დაითვალოს №6 ცხრილში წარმოდგენილი მიდგომის გამოყენებით<sup>36</sup>. სხვა ელემენტების ტოლობის პირობებში, ყველაზე მაღალი დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) მქონე პროექტი ალტერნატივა წარმოადგენს სახელმწიფო სახსრების საუკეთესო გამოყენებას და მას სხვა ალტერნატივებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს. რადგან ხშირად სარგებლებისა და ხარჯების დათვლა ხდება მინიმუმის გაკეთების ალტერნატივასთან შედარებული ნაზარდის სახით (ეტაპი 4.2), ამ ალტერნატივისთვის არ მოხდება წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) დათვლა, რადგან ნაგულისხმევია, რომ იგი ნულის ტოლია<sup>37</sup>. ამ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულებები (NPV) უარყოფითია, სხვა პირობების ტოლობის შემთხვევაში, მინიმუმის გაკეთების ალტერნატივას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

სახელმწიფო სექტორის მრავალი პროექტისთვის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) დათვლა არ წარმოადგენს პროცესის დასასრულს. ფრაზა - „სხვა თანაბარ პირობებში“ მნიშვნელოვანია, რადგან პირობები ხშირად არ არის თანაბარი. ყველაზე მაღალი დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) შესაძლოა ყოველთვის არ წარმოადგენდეს გადამწყვეტ ფაქტორს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში. ყველაზე მაღალი დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) მქონე პროექტი შეიძლება არ წარმოადგენდეს საუკეთესო ალტერნატივას, თუ სხვა ალტერნატივებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ხასიათის არამატერიალური სარგებლები, რომელთა ღირებულების განსაზღვრა რთულია/შეუძლებელია. №5 ცხრილში წარმოდგენილ ჰიპოთეტურ მაგალითში, სადაც მაგალითად, არ არის გათვალისწინებული გაზრდილი ტრანსპორტის ნაკადის შედეგად გამოწვეული ხმაურით განპირობებული დისკომფორტის ხარჯი ან სხვა უარყოფითი ზემოქმედება.<sup>38</sup> უარყოფითი წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) მქონე პროექტი შეიძლება შეფასდეს როგორც სახელმწიფო სახსრების კარგი გამოყენება, იმ არამატერიალური ხასიათის სარგებლების

გათვალისწინების შემდეგ, რომლებიც წმინდა მიმდინარე ღირებულებაში (NPV) არ არის

<sup>36</sup> რა თქმა უნდა, ხარჯებისა და სარგებლების ხასიათი განსხვავებული იქნება სხვადასხვა პროექტებში და

სექტორებში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ დანართი 2.

<sup>37</sup> ეს არ არის სავალდებულო და ყველა ალტერნატივის, მინიმუმის კეთების ალტერნატივის ჩათვლით, NPV-ის განსაზღვრა შესაძლებელია მოხდეს არაფრის კეთებასთან შედარების გზით.

<sup>38</sup> მე-5 ეტაპზე განხილულია მოცემულის მსგავსი არამატერიალური ზემოქმედების ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, მაგრამ შესაძლოა ამ მეთოდების გამოყენება მიზანშეწონილი არ აღმოჩნდეს.

შეყვანილი. შესაბამისად, პროექტის ინიციატორებმა წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) უნდა განიხილონ როგორც უფრო რთული და ამომწურავი გადაწყვეტილების მიღების პროცესის, რომელიც მე-7 ეტაპზეა განხილული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი – თუმცა ეს ყველაზე ობიექტური ხასიათის ელემენტია. ქვემოთ განხილულია შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) დათვლა, რადგან არც ერთი პროექტის არამატერიალური სარგებელის ღირებულების განსაზღვრა არ არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ხარჯთეფექტიანობის ანალიზი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო მეთოდს.

მაშინაც კი, როდესაც წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) ითვალისწინებს ყველაზე მნიშვნელოვან ხარჯებსა და სარგებლებს, რისკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლადს, რომელიც გავლენას ახდენს პროექტის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე და ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებაზე. აღნიშნული საკითხი მე-5 ეტაპზეა განხილული.

**ცხრილი №6: ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულების კალკულაციის მაგალითი, გზის პროექტი**

| წელი | ფულადი სახსრების გადინება/ ხარჯები (C) |                       | ფულადი სახსრების შემოდინება/ სარგებლები (B) |                                      |                                | წმინდა სარგებლები (B-C) | დისკონტირების ფაქტორი (DF) r = 5% | დისკონტირებული წმინდა სარგებლები (B-C)*DF |
|------|--|-----------------------|---|--------------------------------------|--------------------------------|-------------------------|-----------------------------------|---|
|      | კაპიტალური ხარჯები                     | ექსპლუატაციის ხარჯები | დროის დაზოგვა                               | მანქანის ოპერირების ხარჯის შემცირება | უზედური შემთხვევების შემცირება |                         |                                   |   |
| 1    | ლარი 10.0                              | -                     | -   | -                                    | -                              | -ლარი 10.0              | 0.952                             | -ლარი 9.5                                 |
| 2    | ლარი 30.0                              | -                     | -   | -                                    | -                              | -ლარი 30.0              | 0.907                             | -ლარი 27.2                                |
| 3    | ლარი 20.0                              | -                     | -   | -                                    | -                              | -ლარი 20.0              | 0.864                             | -ლარი 17.3                                |
| 4    | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 4.0                                    | ლარი 2.0                             | ლარი 0.5                       | ლარი 6.0                | 0.823                             | ლარი 4.9                                  |
| 5    | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 4.2                                    | ლარი 2.1                             | ლარი 0.5                       | ლარი 6.3                | 0.784                             | ლარი 4.9                                  |
| 6    | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 4.4                                    | ლარი 2.2                             | ლარი 0.5                       | ლარი 6.6                | 0.746                             | ლარი 5.0                                  |
| 7    | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 4.6                                    | ლარი 2.3                             | ლარი 0.5                       | ლარი 7.0                | 0.711                             | ლარი 5.0                                  |
| 8    | -                                      | ლარი 4.0              | ლარი 4.9                                    | ლარი 2.4                             | ლარი 0.6                       | ლარი 3.8                | 0.677                             | ლარი 2.6                                  |
| 9    | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 5.1                                    | ლარი 2.6                             | ლარი 0.6                       | ლარი 7.7                | 0.645                             | ლარი 5.0                                  |
| 10   | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 5.4                                    | ლარი 2.7                             | ლარი 0.6                       | ლარი 8.1                | 0.614                             | ლარი 5.0                                  |
| 11   | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 5.6                                    | ლარი 2.8                             | ლარი 0.6                       | ლარი 8.5                | 0.585                             | ლარი 5.0                                  |
| 12   | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 5.9                                    | ლარი 3.0                             | ლარი 0.6                       | ლარი 9.0                | 0.557                             | ლარი 5.0                                  |
| 13   | -                                      | ლარი 4.0              | ლარი 6.2                                    | ლარი 3.1                             | ლარი 0.6                       | ლარი 5.9                | 0.530                             | ლარი 3.1                                  |
| 14   | -                                      | ლარი 0.5              | ლარი 6.2                                    | ლარი 3.1                             | ლარი 0.6                       | ლარი 9.4                | 0.505                             | ლარი 4.8                                  |

|    |            |          |          |          |          |           |       |           |
|----|------------|----------|----------|----------|----------|-----------|-------|-----------|
| 16 | -          | ლარი 0.5 | ლარი 6.2 | ლარი 3.1 | ლარი 0.7 | ლარი 9.5  | 0.458 | ლარი 4.3  |
| 17 | -          | ლარი 0.5 | ლარი 6.2 | ლარი 3.1 | ლარი 0.7 | ლარი 9.5  | 0.436 | ლარი 4.1  |
| 18 | -          | ლარი 4.0 | ლარი 6.2 | ლარი 3.1 | ლარი 0.7 | ლარი 6.0  | 0.416 | ლარი 2.5  |
| 19 | -          | ლარი 0.5 | ლარი 6.2 | ლარი 3.1 | ლარი 0.7 | ლარი 9.5  | 0.396 | ლარი 3.8  |
| 20 | -ლარი 10.0 | ლარი 0.5 | ლარი 6.2 | ლარი 3.1 | ლარი 0.7 | ლარი 19.6 | 0.377 | ლარი 7.4  |
|    |            |          |          |          |          |           | NPV   | ლარი 22.9 |
|    |            |          |          |          |          |           | EIR   | 9.1%      |
|    |            |          |          |          |          |           | BCR   | 1.4       |

დისკონტირება ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საწყისი საინვესტიციო ხარჯების გაწევა ხდება თავიდანვე, ხოლო სარგებელი და/ან ოპერაციული ხარჯები შეიძლება განაწილდეს დროში. დისკონტირება ასახავს ფულის დროებით სოციალურ უპირატესობას, რომელიც შესაბამისია ინფლაციის არარსებობის პირობებშიც კი. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა მოითხოვს დისკონტის განაკვეთის გამოყენებას.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზში გადაწყვეტილების მიღების უპირატეს კრიტერიუმს წარმოადგენს წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV). პროექტი სიცოცხლისუნარიანია თუ წმინდა მიმდინარე ღირებულება ნულზე მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ სარგებლის მთლიანი დისკონტირებული ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანი დისკონტირებული ხარჯი. ხარჯთეფექტიანობის ანალიზისთვის წმინდა მიმდინარე ხარჯები (Net Present Cost - NPC) არის გადაწყვეტილების მიღების ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენება პროექტების შესაფასებლად ყველაზე ნაკლები ხარჯის ალტერნატივის გამოსავლენად.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი ფოკუსირებულია პროექტის მასშტაბზე, რომლებიც შეიძლება გამოხატულ იქნეს მონეტარული სახით. შესაძლებელია არსებობდეს მნიშვნელოვანი ხარჯები/დანაკარგები და მოგება, რომლის მონეტიზაცია არ არის შესაძლებელი. ხშირად ესენია ეკონომიკური საქმიანობის ეკოლოგიური შედეგების სოციალური ზემოქმედება.

გარდა წმინდა მიმდინარე ღირებულებისა (NPV) ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გამოთვლა შესაძლებელია სხვა საშუალებებით, როგორებიცაა:

**ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (Economic Internal Rate of Return-EIRR)** არის დისკონტირების განაკვეთი, რომელიც პროექტის ფულადი ნაკადების პროგნოზების გათვალისწინებით ნულოვან წმინდა მიმდინარე ღირებულებას (NPV) გვაძლევს. თუ EIRR აღემატება ოფიციალური დისკონტირების განაკვეთს, პროექტს დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) ექნება და უნდა აღიქმებოდეს როგორც საზოგადოებრივი ფულის გონივრული გამოყენება. ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) გზის მაგალითში (ცხრილი №6) უდრის 9.1%<sup>39</sup>, რაც ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე პროგნოზირებული დისკონტირების განაკვეთი, ანუ 5%, რაც პროექტის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს. ეს მიგნება ისეთივეა, როგორც წმინდა მიმდინარე

<sup>39</sup> შიდა მომგებიანობის კოეფიციენტი IRR მარტივი გამოსათვლელია შესაბამისი Excel ფორმულის გამოყენებით.

ღირებულების (NPV) ინდიკატორის გამოყენება. ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) ზოგჯერ იმ დროს გამოიყენება, როდესაც არ არის დადგენილი დისკონტირების განაკვეთი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დასადასტურებლად<sup>40</sup> და ალტერნატივების შესაფასებლად. ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) ასევე სასარგებლო საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებაში ანალიზის დროს, რადგანაც შედარებით კვლევებში ეკონომიკური მაჩვენებლები როგორც წესი, EIRR-ის მიხედვით არის ნაჩვენები. უმეტეს შემთხვევაში, ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) ხელშესახებ

შედეგებს იძლევა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ:

- ზოგ კონკრეტულ შემთხვევაში, შეუძლებელია ეკონომიკური შიდა უკუგების დონის (EIRR) პოვნა, ანუ, არ არის დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ნულოვან წმინდა მიმდინარე ღირებულებას (NPV) მოგვცემს.
- ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც არსებობს ერთზე მეტი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ნულოვან წმინდა მიმდინარე ღირებულებას (NPV) მოგვცემს<sup>41</sup>.
- ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) არ არის მასშტაბისადმი მგრძობიარე, ასე რომ პატარა პროექტმა მაღალი ეკონომიკური შიდა უკუგების დონით (EIRR) მაგრამ შედარებით დაბალი წმინდა მიმდინარე ღირებულებით (NPV) შეიძლება აჯობოს ბევრად უფრო დიდ პროექტს, რომელსაც დაბალი ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR), მაგრამ საგრძობლად მაღალი წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) გააჩნია. უფრო საიმედო წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) მაჩვენებელი დიდი პროექტისთვის იქნება ხელსაყრელი. თუმცა, იგი უფრო რელევანტურია ურთიერთგამომრიცხავ პროექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, ვიდრე ინდივიდუალური პროექტის და მისი ალტერნატივების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შეფასებისას;
- ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) ასევე გულისხმობს, რომ პროექტის შემოსავლები იმავე პროექტში (ან ანალოგიურ პროექტში) რეინვესტირდება იმავე უკუგების დონით, თუმცა შეიძლება ასე არ მოხდეს. ასე რომ უკუგების დონე გაზვიადებულად არის წარმოდგენილი<sup>42</sup>.

**ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) სასარგებლო დამხმარე ინდიკატორია, მაგრამ უპირატესობა წმინდა მიმდინარე ღირებულებას (NPV) უნდა მიენიჭოს.**

**ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (Benefit Cost Ratio - BCR)** კიდევ ერთი გზაა ბალანსის გამოსახატავად სარგებლის მიმდინარე ღირებულებასა და ხარჯების მიმდინარე ღირებულებას შორის:

<sup>40</sup> მიუხედავად იმისა, რომ დისკონტირების განაკვეთი შეიძლება არ იყოს დადგენილი, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა ივარაუდება, თუ EIRR აღემატება რომელიმე გონივრულ სიდიდეს, რომელიც დისკონტირების განაკვეთს შეიძლება ჰქონდეს.

<sup>41</sup> ეს შესაძლებელია იმ პროექტებისთვის, სადაც წმინდა სარგებელი იცვლის ნიშანს ერთზე მეტად გადახდის ნაკადში.

<sup>42</sup> მეორე ინდიკატორი, მოდიფიცირებული შიდა უკუგების დონე (MIRR) შეიქმნა ამ პრობლემის გვერდის ასავლელად. თუმცა, იგი უფრო რელევანტურია კომერციული საწარმოების ფინანსური ანალიზისთვის, ვიდრე ეკონომიკური ანალიზისთვის.

სარგებლის მიმდინარე ღირებულებათა ჯამი (ფულადი ნაკადების შემოდინება)

BCR=

ხარჯების მიმდინარე ღირებულებათა ჯამი (ფულადი ნაკადების გადინება)

როდესაც ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (BCR) ერთზე მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) ნულზე მეტია. მაგალითში (ცხრილი №6), ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (BCR) უდრის 1.4-ს, რაც ადასტურებს, რომ პროექტი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია. რადგან ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტი (BCR) და წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გამოსათვლელად ერთი და იგივე ინფორმაციაა საჭირო, ეს მაჩვენებელი ნამდვილად ბევრს არაფერს შემატებს ინდივიდუალური პროექტის და მისი ალტერნატივების ანალიზს. თუმცა იგი შეიძლება სასარგებლო იყოს განსხვავებული პროექტების შეფასებისთვის (და არა პროექტის ალტერნატივების) იგივე სექტორში (მაგ.: გზები) შეზღუდული ბიუჯეტის ფარგლებში. უმაღლესი ხარჯთსარგებლიანობის კოეფიციენტის (BCR) მქონე პროექტების არჩევა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ფულის მაქსიმალური ეკონომიკური ღირებულების უზრუნველყოფას<sup>43</sup>.

**ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (Cost-Effectiveness Analysis – CEA)** ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ პროექტის ძირითად სარგებელში არ მოიცავს ფულად ღირებულებას. ამის ნაცვლად, სარგებელი გამოიხატება ფიზიკური ერთეულით, და არაფულადი ერთეულებით. ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) ადარებს ანალოგიური, ან ძალიან მსგავსი გამოსავლის ან შედეგების მიღების ალტერნატიული გზების ღირებულებას. შედეგების გამოსახვა შეიძლება ერთეული გამოსავლის/შედეგების ღირებულების სახით (ლარებში), ან გამოსავალი/შედეგების სახით ერთ ლარზე. ისევე, როგორც ხარჯების და სარგებლის ანალიზისას, პროექტის მთელი ციკლის ხარჯები დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებების და პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების მისაღწევად. ეს უკანასკნელი შეიძლება გაიყოს გამოსავალი/შედეგების მოცულობის ზომაზე ერთეულის ღირებულების მისაღებად (ან პირიქით). იგი ხშირად გამოიყენება ალტერნატივების სპექტრიდან იმ ერთის გამოსავლენად, რომელიც აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ მიზანს მინიმალური ღირებულებით.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) იძლევა ალტერნატიული პროექტების ფარდობითი ეფექტიანობის ზომას მოცემული მიზნის მისაღწევად. იგი მაშინ გამოიყენება, როდესაც სარგებლის იდენტიფიცირება უფრო მარტივია, ვიდრე მათი შეფასება. ამრიგად იგი უფრო ფართოდ გამოიყენება ჯანდაცვის, განათლების და უსაფრთხოების სფეროში, სადაც გარკვეული სირთულეები არსებობს ფულადი ღირებულებების მინიჭებისას სარგებლისთვის, როგორცაა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ავადობის შემცირება და განათლების ხარისხის ამაღლება. ხარჯთეფექტიანობის ანალიზის (CEA) შეზღუდვა არ იძლევა პროექტის მიღების ან უარყოფის კრიტერიუმს, რადგან უშუალოდ ხარჯების და სარგებლის შედარება შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება გარკვეული ხარჯების გაწევის თაობაზე, მაგალითად საჯარო

<sup>43</sup> უფრო კომპლექსური მეთოდებიც არსებობს ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი პროექტების ჯამური NPV-ს ოპტიმიზაციისთვის, შეზღუდული ბიუჯეტის ფარგლებში, მაგრამ ისინი კომპლექსურ მოდელირებას საჭიროებენ.

სიკეთეებზე, მაშინ ხარჯთეფექტიანობის ანალიზის (CEA) გამოყენება შეიძლება იმისათვის, რომ მომსახურების გაწევა ყველაზე ეფექტიანი გზით განხორციელდეს. ამ შემთხვევაში, სარგებლის სიდიდე აღარ არის მნიშვნელოვანი, რადგან პოლიტიკური გადაწყვეტილება ისედაც მიღებულია მათ უზრუნველსაყოფად.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) ილუსტრირებულია მარტივი მაგალითით (ცხრილი №7). ამ მაგალითში საჭიროა აღჭურვილობის – სახელმწიფო შენობის გათბობის სისტემის ნაწილის გამოცვლა. არსებობს ორი ალტერნატივა, ამათგან ერთი უფრო ძვირია ვიდრე მეორე. უფრო ძვირი ალტერნატივის უპირატესობაა ის, რომ მისი საოპერაციო ხარჯები უფრო დაბალია. ორივე ნაწილს ერთნაირი მწარმოებლურობა აქვს სითბოს გამოყოფის კუთხით და სავარაუდო ვარგისიანობის ვადა – 10 წელი. ისევე როგორც წინა მაგალითში, გამოიყენება დისკონტირების კოეფიციენტები ფულადი ნაკადების გადინების (ხარჯების) შესაჯამებლად. ფულადი ნაკადების შემოდინებას არ აქვს ადგილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში წმინდა მიმდინარე ხარჯის (NPC) გამოთვლა ორივე ალტერნატივისთვის გვიჩვენებს, რომ A ალტერნატივა, რომელსაც უფრო დაბალი კაპიტალის ღირებულება, მაგრამ უფრო მაღალი საოპერაციო ხარჯები აქვს, ეკონომიკურად უფრო ხარჯთ-ეფექტიანი გადაწყვეტილებაა, რომლის წმინდა მიმდინარე ხარჯი (NPC) შეადგემს 8.1 მილიონ ლარს, ვიდრე 8.5 მილიონი ლარის ღირებულების B ალტერნატივა.

ცხრილი №7: გათბობის სისტემის ორი ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ხარჯის შედარება (მლნ ლარი)

| წელი | A ალტერნატივა    |                               |               |                |                       | B ალტერნატივა    |                               |               |                |                       |
|------|------------------|-------------------------------|---------------|----------------|-----------------------|------------------|-------------------------------|---------------|----------------|-----------------------|
|      | კაპიტალის ღირებ. | საექსპლუატ. სარემონტო ხარჯები | საერთო ღირებ. | დისკონტ. კოეფ. | ხარჯების მიმდ. ღირებ. | კაპიტალის ღირებ. | საექსპლუატ. სარემონტო ხარჯები | საერთო ღირებ. | დისკონტ. კოეფ. | ხარჯების მიმდ. ღირებ. |
| 1    | ლარი 5.0         |                               | ლარი 5.0      | ლარი 1.0       | 4.8                   | ლარი 7.5         |                               | ლარი 7.5      | ლარი 1.0       | 7.1                   |
| 2    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.9       | 0.5                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.9       | 0.2                   |
| 3    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.9       | 0.4                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.9       | 0.2                   |
| 4    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.8       | 0.4                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.8       | 0.2                   |
| 5    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.8       | 0.4                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.8       | 0.2                   |
| 6    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.7       | 0.4                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.7       | 0.1                   |
| 7    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.7       | 0.4                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.7       | 0.1                   |
| 8    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.7       | 0.3                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.7       | 0.1                   |
| 9    |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.6       | 0.3                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.6       | 0.1                   |
| 10   |                  | ლარი 0.5                      | ლარი 0.5      | ლარი 0.6       | 0.3                   |                  | ლარი 0.2                      | ლარი 0.2      | ლარი 0.6       | 0.1                   |
|      |                  |                               |               | NPC            | 8.1                   |                  |                               |               | NPC            | 8.5                   |

ე) რისკების ანალიზი და მათი მართვის დაგეგმვა - V ეტაპი :

რისკი გაურკვეველი მოვლენა ან მდგომარეობაა, რომელიც რეალობად ქცევის შემთხვევაში, დადებით ან უარყოფით გავლენას მოახდენს პროექტზე. რისკები არსებობს, როგორც პროექტის ძირითად პარამეტრებთან დაკავშირებული გაურკვეველობის შედეგი (მაგ. ხარჯები, განხორციელების დრო, მოთხოვნა მომსახურებაზე და ა.შ.).

რისკის ანალიზი დაიწყება წინასწარი შერჩევის სტადიაზე პროექტის კონცეფციის ბარათის შემუშავებით, მაგრამ ის გავრცელდება რისკის რაოდენობრივ ანალიზზე, როგორც პროექტის შეფასების ნაწილზე. რისკის რაოდენობრივი ანალიზი, შეიძლება მოიცავდეს მგრძობელობის ანალიზს და/ან კრიტიკული მნიშვნელობების გამოთვლას. ძირითადი პროექტებისთვის ან მეტად ინოვაციური პროექტებისთვის შედარებით უფრო მაღალი დონის რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებაა საჭირო, რაც გულისხმობს კრიტიკულ პარამეტრებთან დაკავშირებული გაურკვეველობის შეფასებას (მაგალითად როგორიცაა, ხარჯის, დროის და მოთხოვნის შეფასება) და ინდივიდუალური გაურკვეველობების სავარაუდო კომბინაციას პროექტის მოსალოდნელი შედეგის მისაღებად.

რისკის მართვა მოიცავს ძირითად რისკებზე მენეჯმენტის რეაგირების ფორმულირებას. დაუყოვნებელი რეაგირების შედეგად უნდა შეიცვალოს პროექტის გეგმა ისე, რომ იდენტიფიცირებული რისკები შერბილდეს ან აღმოფხვრას. რეაგირება გაუთვალისწინებელ გარემოებებში გულისხმობს პროექტის გეგმაში ღონისძიებების ჩართვას, რომლებიც განხორციელდება მხოლოდ ნებისმიერი იდენტიფიცირებული უარყოფითი რისკის მატერიალიზაციის შემთხვევაში.

რისკების ანალიზის მასშტაბი და ტიპი უნდა იყოს პროექტთან დაკავშირებული საკითხების შესაბამისი. წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გამოთვლა ეკონომიკური ანალიზის დროს ხორციელდება ისე, რომ მიღებული სარგებლის და გაწეული ხარჯების მნიშვნელობები ცნობილია. რეალობაში ეს მნიშვნელობები გაურკვეველია შეფასების გარდაუვალი ცდომილების და იმ დაშვებების გამო, რომლებიც არ მართლდება. ამგვარად, რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზი არ არის სრული, პროექტის მიღმა არსებული რისკების სისტემატური ანალიზის, მათი აღბათობის და ზემოქმედების შეფასების გარეშე.

ე.ა) რისკების კატეგორები

**რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:**

- **სამშენებლო რისკი** - დროულად დაუსრულებელი აქტივი ბიუჯეტის ან სპეციფიკაციის გამო;
- **მოთხოვნის რისკი** - მომსახურებაზე არსებული მოთხოვნის შეუსაბამობა პროგნოზთან;
- **დაგეგმვის რისკი** - დაგეგმვა არ იძლევა მომსახურების საჭირო დონეზე ან ხარისხის სტანდარტების შესაბამისად გაწევის შესაძლებლობას;
- **ეკონომიკური რისკი** - პროექტის ხარჯებზე ან მოგებაზე გავლენას ახდენს ეკონომიკური მოვლენები, მაგ.: ინფლაცია ან უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება;
- **გარემოზე ზემოქმედების რისკი** - გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება იწვევს საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვან პროტესტს;



- **დაფინანსების რისკი** - თუ დაფინანსება არ არის ხელმისაწვდომი, შესაძლებელია პროექტი გადავადდეს ან შეიცვალოს მისი მასშტაბი;
- **სამართლებრივი რისკი** - კანონმდებლობის ცვლილება ზრდის ხარჯებს, მაგ.: გარემოს დაცვის სტანდარტების გამკაცრება;
- **ოპერაციული და ტექნიკური მომსახურების რისკი** - ახალი ობიექტის ფუნქციონირების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები განსხვავდება დაგეგმილი ბიუჯეტისგან;
- **შესყიდვებთან დაკავშირებული რისკი** - კონტრაქტორების არასაკმარისი შესაძლებლობები ან სახელშეკრულებო დავები;
- **ტექნოლოგიური რისკი** - მომსახურების გაწევა არაოპტიმალური ტექნოლოგიით სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილების გამო.

მგრძნობელობის ანალიზი აწესებს რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის შედეგების (წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV), ან ხარჯთეფექტიანობის ანალიზის(CEA) შემთხვევაში წმინდა მიმდინარე ხარჯის (NPC)) მგრძნობელობის ხარისხს საკვანძო საწყისი პარამეტრების ღირებულებების ცვლილებისადმი, როგორცაა კაპიტალური ხარჯები, მომავალი მოთხოვნა ან განხორციელების პერიოდის ხანგრძლივობა. წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) ხელახლა გამოითვლება მნიშვნელოვანი ცვლადებისთვის ნაკლებად ოპტიმისტური<sup>44</sup> ღირებულებების მნიშვნელობის საფუძველზე ან ნაკლებად კრიტიკული ვარაუდების გამოყენებით.

როგორც წესი, აღნიშნული მოიცავს ხარჯების მნიშვნელოვანი ელემენტების გაზრდას, ან მნიშვნელოვანი სარგებლის შემცირებას განსაზღვრული პროცენტების და წმინდა მიმდინარე ღირებულებაზე (NPV) ზემოქმედების მიხედვით. აგრეთვე, წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) შეფასების საიმედოობის შემოწმება ხელს უწყობს მგრძნობიარობის ანალიზში იმ ცვლადების იდენტიფიცირებას, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისთვის.

პრაქტიკაში ეკონომიკური ანალიზის საწყისი პარამეტრების სიდიდეები შეიძლება ურთიერთდამოკიდებული იყოს ან შეფასების სისტემურ გადახრებს შეიცავდნენ. ამ მიზნისთვის, გონივრულია სცენარის ანალიზის ჩატარება, სადაც რაოდენობრივ ეკონომიკურ ანალიზში ადგილი აქვს ძირითადი საწყისი პარამეტრების ერთდროულ ცვლილებებს შედეგების მგრძნობელობის შესამოწმებლად. მთელი რიგი განსხვავებული "რა მოხდება, თუ" სცენარები შეიძლება ჩამოყალიბდეს, ძირითადი საწყისი ცვლადების ან/და დაშვებების სხვადასხვა კომბინაციებით. ყოველთვის უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ორი სცენარი, ესენია „პესიმისტური“ ('worst-case') და „ოპტიმისტური“ ('best-case') სცენარები. ეს სცენარები გულისხმობენ პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გამოცდას (სტრეს-ტესტებს) ძირითადი საწყისი პარამეტრების ყველაზე პესიმისტური და ოპტიმისტური კომბინაციების მიმართ<sup>45</sup>.

<sup>44</sup> თუ მთავარი ანალიზი ტარდება ცვლადების საუკეთესო გათვლის საფუძველზე, როგორც წესი არც თუ ისე საინტერესოა უფრო ოპტიმისტური დაშვებების გამოყენება. თუ საუკეთესო გათვლები გვიჩვენებს რომ პროექტის განხორციელება არ ღირს, მაშინ როგორც წესი არ არის საჭირო უფრო ხელსახრელი სიდიდეების გამოყენების კვლევა, განსაკუთრებით მაშინ როდესაც პოტენციური ოპტიმიზმის გადახრა იქნება გათვალისწინებული. თუ მთავარმა ანალიზმა უკვე გვიჩვენა, რომ განხორციელება ღირს, მაშინ ნაკლებად მნიშვნელოვანია მისი უფრო კარგად წარმოჩენა.

<sup>45</sup> რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზი ჩატარდება ხარჯები/სარგებლის საუკეთესო შეფასებების და ძირითადი პარამეტრების გამოყენებით (მოთხოვნის პროგნოზები, მაგალითად). ეს ცნობილია როგორც საბაზისო სცენარი.

შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი სახის ტესტები, რომლებშიც წარმოდგენილია ხარჯების და სარგებლის ნაკლებად ოპტიმისტური შედეგები:

- წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ხელმეორედ გამოთვლა, ჯამური კაპიტალური ხარჯების 10%-იანი ზრდის დაშვებით;
- წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ხელმეორედ გამოთვლა, ჯამური კაპიტალური ხარჯების 25%-იანი ზრდის დაშვებით;
- წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ხელმეორედ გამოთვლა, ჯამური კაპიტალური სარგებლის 10%-იანი შემცირების დაშვებით;
- წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ხელმეორედ გამოთვლა, ჯამური კაპიტალური სარგებლის 25%-იანი შემცირების დაშვებით;
- წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ხელმეორედ გამოთვლა, ერთდროულად კაპიტალური ხარჯების 10%-იანი ზრდის და სარგებლის 10%-იანი შემცირების დაშვებით - საბაზისო პესიმისტური სცენარი
- წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ხელმეორედ გამოთვლა, ერთდროულად კაპიტალური ხარჯების 25%-იანი ზრდის და სარგებლის 25%-იანი შემცირების დაშვებით - საბაზისო უარესი-შემთხვევის სცენარი.

ოპტიმისტური გადახრა სისტემური რისკის დაგეგმვის მაგალითია, რომელსაც პროექტების უმრავლესობა განიცდის. მას განსაზღვრავენ როგორც პროექტის დამგეგმავების სისტემურ ტენდენციას – ხარჯების შეუფასებლობას და სარგებლის გადამეტებულ შეფასებას. ამ რისკისგან დაცვა არც თუ ისე იოლია. რისკისგან დაცვის ერთ–ერთი გზაა დამოუკიდებელი გარე შემფასებლების მოწვევა პროექტის შეფასების პროცესში. მეორე გზაა ანალოგიური ხასიათის წინა პროექტებისკენ მობრუნება და შემოწმება, თუ რა ხარისხით არ მოხდა ხარჯების შეფასება და სარგებლის გადამეტებულად შეფასება, და ამ შეფასებების შესწორება, რომლებიც წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გაანგარიშებისას გამოიყენეს.

#### ე.ბ) ძირითადი რისკების მართვის გეგმის და შერბილების ღონისძიებები

რისკის მართვა მოიცავს მთავარ რისკებზე მანეჯმენტის რეაგირების ფორმულირებას. სწრაფი რეაგირება გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის გეგმის შეცვლას იდენტიფიცირებული რისკების შესარბილებლად ან მოსახსნელად. გაუთვალისწინებელი გარემოებაზე რეაგირება გულისხმობს პროექტის გეგმაში დებულების შეტანას იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს მხოლოდ რისკის უარყოფითი მატერიალიზაციის დროს. რისკების მართვის რეაგირება შესაძლებელია მოიცავდეს პროექტის ეტაპობრივი განხორციელებას, დიზაინის ან/და ტექნოლოგიის ცვლილებას;

რისკის მართვა გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს გაუთვალისწინებელი გარემოების მართვის გეგმის შედგენის შესაძლებლობა რისკებთან გასამკლავებლად ასეთის წარმოშობის შემთხვევაში. შესაძლებელია მოხდეს შემდგომი კვლევის ინიცირება გაურკვევლობის შესამცირებლად, მაგალითად, პილოტური პროექტები; რისკის სხვა მხარეებისთვის გადაცემის შესაძლებლობის განხილვა, მაგალითად, შესყიდვის მეთოდის არჩევის და ხელშეკრულების დიზაინის მემუგობით; გაუთვალისწინებელი გარემოებების ხარჯთაღრიცხვასა და ბიუჯეტში ადეკვატური ასახვის შესაძლებლობა ან/და რისკის მიღების შესაძლებლობა თუ კი რისკის

მიღების მოსალოდნელი სარგებელი გადაწონის შესაძლო უარყოფით ზემოქმედებებს (და არ იკვეთება სხვა შესაძლებელი ქმედების ვარიანტები).

რისკის მართვის გეგმა განსაზღვრავს ყველაზე მნიშვნელოვან რისკებს და მათ ალბათობას, ადგენს მათი მართვის პასუხისმგებლობას, აღწერს, როგორ უნდა მოხდეს მათი მონიტორინგი და ადგენს დაგეგმილ რეაგირებას როდესაც რისკები მატერიალიზდება. ყველა ფინანსურად მნიშვნელოვან პროექტს უნდა ჰქონდეს რისკის მართვის გეგმა. აღნიშნული შეიძლება იყოს მარტივი გეგმა-მონახაზი მცირე პროექტებისთვის, მაგრამ მსხვილი პროექტებისთვის ეს უნდა იყოს სრულად განვითარებული გეგმა.

### ვ) ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის ანალიზი - VI ეტაპი

უპირატესი პროექტის ვარიანტის საწყისი იდენტიფიკაცია განხორციელდება ეკონომიკური ანალიზის შედეგების საფუძველზე წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) ან წმინდა მიმდინარე ხარჯის (ხარჯების ეფექტიანობისთვის) გამოყენებით. სხვა თანაბარ პირობებში ყველაზე მაღალი წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) მქონე პროექტს (ყველაზე დაბალი წმინდა მიმდინარე ხარჯის (NPC) მაჩვენებლით) უნდა მიენიჭოს უპირატესობა. თუმცა მხოლოდ რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზი არ არის საკმარისი, რადგან ის არ მოიცავს პოტენციურად მნიშვნელოვან ხარჯებს და სარგებელს, რომელთა მონეტიზაცია შეუძლებელია და არ ითვალისწინებს პროექტის მდგრადობის მნიშვნელოვან საკითხს. შესაბამისად, უპირატესი ვარიანტის შერჩევასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უნდა განხორციელდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა შემდეგი ეტაპების გამოყენებით:

ვ.ა) პროექტის ფინანსური ანალიზის განხორციელება ფინანსური მომგებიანობის და მდგრადობის განსაზღვრის მიზნით:

უნდა განისაზღვრება დადებით გავლენას მოახდენს თუ არა პროექტი ფინანსურ ამოცანებზე და რამდენად მდგრადი იქნება ის გრძელვადიან პერიოდში.

პროექტის ფინანსური ანალიზი განხორციელდება სასურველია რამდენიმე მიზეზის გამო:

- იმის შესამოწმებლად, რომ პროექტი ფინანსურად მდგრადია და პროექტის ყოველ ეტაპზე არსებული ვალდებულებების შესრულებისთვის იარსებებს შესაბამისი ფინანსურის სახსრები.
- იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ არის ფინანსურად მდგრადი, უნდა მოხდეს იმის დადგენა საჭიროა თუ არა სატარიფო რეჟიმებში ცვლილებების იდენტიფიცირება ან საბიუჯეტო სუბსიდიების უზრუნველყოფა;
- კომერციული მიზნების მქონე სახელმწიფო საწარმოებისათვის იმის დასადგენად, არის თუ არა ინვესტიცია მომგებიანი და ამით ხელს უწყობს თუ არა საერთო მომგებიანობის გაუმჯობესებას (ან დანაკარგების შემცირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირებული ორგანიზაციების შემთხვევაში).
- თუ პროექტი პოტენციურად მომგებიანია, შესაძლო ალტერნატიული დაფინანსების პირობების მათ შორის, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პირობების განსაზღვრა.

ფინანსური ანალიზი გამოიყენება შემოსავლიანი პროექტებისთვის, მაგალითად: სახელმწიფო სექტორის ენერჯო და წყალმომარაგების კომპანიების ან სახელმწიფო სატრანსპორტო კომპანიების ინვესტიციებისთვის. არაშემოსავლიანი პროექტებისთვის, მაგალითად: ჯანდაცვის, განათლების, მართლმსაჯულების და საგზაო სექტორებში შეუძლებელია სრულყოფილი ფინანსური ანალიზის განხორციელება და შესაძლოა არც განხორციელდეს. თუმცა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხი უნდა იქნეს შესწავლილი არაშემოსავლიანი პროექტებისთვის, როგორცაა დაფინანსების ადეკვატურობა პროექტის ოპერირების ხარჯებთან მიმართებაში.

ინდივიდუალური პროექტის ფინანსური მომგებიანობის შეფასება გულისხმობს წმინდა ფულადი ნაკადების განხილვას და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის გამოყენებას. ეს არის იგივე მეთოდი, რომელიც ეკონომიკური ანალიზის №5 ცხრილშია ილუსტრირებული. ფულადი ნაკადები წარმოადგენს განმახორციელებელი ორგანიზაციის ფაქტობრივ ფინანსურ ტრანზაქციებს და არა ფართო ეკონომიკურ ეფექტს.

ფინანსების ალტერნატიული გამოყენების შესაძლებლობის გამოთვლა შეიძლება პრობლემატური იყოს. ხშირ შემთხვევაში, პროექტის შიდა უკუგების დონე (IRR) განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის ფასდება ფინანსური შიდა უკუგების დონის (FIRR) გამოყენებით, რომელიც გამოითვლება პროგნოზირებული წმინდა ფულადი ნაკადიდან. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფინანსური შიდა უკუგების დონე (FIRR) აღემატება განმახორციელებელი ორგანიზაციის კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას (WACC), პროექტი ითვლება ფინანსურად სიცოცხლისუნარიანად.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) წარმოადგენს კაპიტალის მოზიდვის ღირებულებას (რეალურ გამოსახულებაში) ინვესტიციისთვის და რადგან იგი შეიძლება რამდენიმე წყაროდან მოვიდეს სხვადასხვა ღირებულებით (მაგალითად სესხების კომბინაცია სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან), საშუალო შეწონილ ღირებულებას შესაძლოა გამოანგარიშება დასჭირდეს. თუ პროექტი მთელ საინვესტიციო კაპიტალს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს, მაშინ კაპიტალის ღირებულება ეკვივალენტურია ცენტრალური ხელისუფლების სესხის ადების ღირებულებისა (რეალურ გამოსახულებაში). როდესაც ფინანსური შიდა უკუგების დონე (FIRR) კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე (WACC) ნაკლებია (და პროექტი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია), გარკვეული ფორმის სუბსიდიას საჭირო. შეიძლება ასევე განხილულ იქნეს მომხმარებლებისათვის მოსაკრებლების, ტარიფის ან საფასურის გაზრდა.

ვ.ბ) განმახორციელებელი ორგანიზაციის ფინანსური ანალიზი მისი ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად

განიხილება პროექტის მიზანშეწონილობა იმ ხარჯთან მიმართებაში (მათ შორის, ბიუჯეტიდან საჭირო დაფინანსების მასშტაბთან) და დროსთან მიმართებაში, რომელიც საჭირო იქნება პროექტის განხორციელების შემდეგ მისი ფუნქციონირებისა და შენახვისათვის. აღნიშნული მნიშვნელოვანია, იმ შემთხვევაში როდესაც პროექტის განმახორციელებელს წარმოადგენს სახელმწიფო ან მუნიციპალური საწარმო ან განხორციელების შემდგომ მოხდება პროექტის კერძო სექტორისთვის გადაცემა. განმახორციელებელი ორგანიზაციის ფინანსური

ანალიზი ყურადღებას ამახვილებს მის ფინანსურ სიძლიერეზე მთლიანობაში და შესაძლებლობებზე დააკმაყოფილოს პროექტის საჭიროება ფინანსური სახსრების ხარჯვის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ირიბად ამახვილებს ყურადღებას ბიუჯეტიდან სუბსიდიების საჭიროების მასშტაბზე და დროზე.

ჩვეულებრივ საინვესტიციო პროექტი ხორციელდება არსებული ორგანიზაციების მიერ, რომლებიც დაკავებული არიან სხვა მიმდინარე ოპერაციებით. ასეთ შემთხვევებში, შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფინანსური კუთხით ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც პროექტს ახორციელებენ სახელმწიფო საწარმოები). ზოგჯერ პროექტი ხორციელდება იზოლაციაში და იქმნება ახალი ორგანიზაცია (მაგ: სახელმწიფო საწარმო) მისი ფუნქციონირებისთვის, ასეთ შემთხვევებში ფინანსური ანალიზის ორი სხვადასხვა მხარე ეფექტიანად ერთიანდება.

კომერციალიზებული ოპერატორის (უწყების) ფინანსური მდგრადობის შეფასებისას უნდა მომზადდეს შემდეგი ფინანსური ანგარიშები:

- შემოსავლების და ხარჯების ანგარიში;
- ბალანსი;
- ფულადი ნაკადის განაცხადი.

ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ფასებში მზადდება, და არა მუდმივ ფასებში. ვარაუდები ინფლაციის შესახებ მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული, იმისათვის რომ განაცხადები შეეკრდეს პროექტის დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზზე, რომელიც მუდმივ ფასებშია. განაცხადები უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული, აგროვებდეს განმახორციელებლის მომავალი ფინანსური მდგომარეობის პროგნოზებს, მათ შორის, უნდა მომზადდეს შემოთავაზებული პროექტის პროგნოზის ზემოქმედება შემოსავლებზე და ხარჯებზე. აღნიშნული, როგორც წესი, არ კეთდება მთელი პროექტის ვადისთვის, არამედ პროექტის მშენებლობის დასრულებიდან ხუთ წლამდე ვადისთვის.

### ვ.გ) პროექტის ბიუჯეტის ანალიზი

განისაზღვრება ბიუჯეტზე ზემოქმედება ასიგნებების ზღვრულ მოცულობებთან მიმართებაში. ბიუჯეტის ანალიზი უნდა განხორციელდეს ყველა პროექტისთვის, რათა განისაზღვროს ფუნქციონირების განმავლობაში პროექტის განხორციელების გავლენა შესაბამის ბიუჯეტზე და ფისკალური თვალსაზრისით ინვესტიციების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. ბიუჯეტის ანალიზი შესაძლებელს ხდის შეფასდეს პროექტისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი ხარჯების ზღვრული მოცულობის პროგნოზთან და ბიუჯეტის მომზადების პროცესში ხელმისაწვდომ ფისკალურ სივრცესთან დაკავშირებით.

ბიუჯეტზე გავლენის შესაფასებლად წარმოსადგენი ინფორმაციის საორიენტაციო ფორმატი ნაჩვენებია ცხრილში, რომელიც განსაზღვრავს მთლიან საბიუჯეტო ხარჯებს, პროგნოზირებულ შემოსავლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წმინდა ზემოქმედებას. ბიუჯეტზე ზემოქმედების ანალიზისთვის ხარჯები გამოსახული უნდა იყოს მიმდინარე ფასებით. ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს, უნდა გამოიყენონ საშუალოვადიანი პერიოდისათვის არსებული მაკრო-ფისკალური პარამეტრების პროგნოზები, ან საჭიროების და

პროექტის ხანგრძლივობის გათვალისწინებით კონსულტაციები აწარმოონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლებთან დაკავშირებით. წლიური ოპერაციული და ტექნიკური მომსახურების ხარჯები შესაძლებელია იყოს მსგავსი, ამ შემთხვევაში პროექტის განხორციელების შემდგომი ანალიზის პერიოდი შეიძლება შეიკვეცოს და პროგნოზირებული წლიური საშუალო მაჩვენებლები წარმოდგენილ იქნეს „X წლის შემდეგ“ როგორც ნაჩვენებია ცხრილში.

**ცხრილი №8**

|  | 1-ლი წელი | მე-2 წელი | ... წელი | X წელი | X წლის შემდეგ |
|--|-----------|-----------|----------|--------|---------------|
| <b>საბიუჯეტო ხარჯები</b>   |           |           |          |        |               |
| კაპიტალური ხარჯები   |           |           |          |        |               |
| წმინდა მიმდინარე ხარჯები* (Net Recurrent Costs)                                  |           |           |          |        |               |
| საოპერაციო ხარჯები   |           |           |          |        |               |
| ტექნიკური მომსახურების ხარჯები   |           |           |          |        |               |
| <b>მთლიანი ხარჯები</b>   |           |           |          |        |               |
| პროგნოზირებული პირდაპირი ** საბიუჯეტო შემოსავლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |           |           |          |        |               |
| <b>ბიუჯეტზე წმინდა ზემოქმედება</b>   |           |           |          |        |               |

შენიშვნა: \*მაგ: გადასახადები.

**ცხრილი №9: მოსალოდნელი დაფინანსების წყაროები პროექტის განსახორციელებლად**

|   | წელი 1 | წელი 2 | წელი 3 | წელი 4 | და ა.შ. |
|---|--------|--------|--------|--------|---------|
| დონორების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით              |        |        |        |        |         |
| საბიუჯეტო დაფინანსება   |        |        |        |        |         |
| კერძო კაპიტალი  |        |        |        |        |         |
| სხვა წყაროები   |        |        |        |        |         |
| <b>საერთო წყაროები მოსალოდნელი დაფინანსება ყველა წყაროდან</b> |        |        |        |        |         |

ბიუჯეტის სრული ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანი ბიუჯეტზე ზემოქმედების შესაფასებლად მიმდინარე ღირებულების თვალსაზრისით (დადებითია თუ არა ის მთლიანობაში). აღნიშნული უფრო ფართო ვიდრე ფინანსური ანალიზი (მაგრამ არც ისეთი ფართომასშტაბიანი, როგორც ეკონომიკური ანალიზი), რადგან ის ითვალისწინებს ყველა

პირდაპირ და არაპირდაპირ ფინანსურ ნაკადს, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ფინანსებზე და არა მარტო იმ ნაკადებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციაზე. ბიუჯეტზე ზემოქმედების სრული ანალიზი უნდა მომზადდეს მხოლოდ ძირითადი პროექტებისთვის, რომლებიც გამოირჩევა პირდაპირი შემოსავლების გენერაციის მნიშვნელოვანი პოტენციალით ან არსებითი საგადასახადო ეფექტით. ფინანსთა სამინისტრომ/საფინანსო ორგანომ შესაძლებელია გააკეთოს რეკომენდაცია საბიუჯეტო ანალიზის მასშტაბის თაობაზე, პროექტის კონცეფციის ბარათზე მოსაზრებების წარდგენისას.

ცხრილი №10 არის მაგალითი იმ ტიპის ინფორმაციისა, რომელიც შეტანილი უნდა იყოს ძირითადი პროექტის სრულ საბიუჯეტო ანალიზში. ანალიზის პერიოდი შემოკლებულია სივრცის გამო, მაგრამ, როგორც წესი უნდა გაგრძელდეს პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში და იყოს იმ ხანგრძლივობის, რომელიც ეკონომიკური და ფინანსური ანალიზისთვის იყო შერჩეული. №10 ცხრილის ანალიზით შეიძლება დადგინდეს, აქვს თუ არა პროექტს დადებითი ან უარყოფითი წმინდა ზემოქმედება საჯარო სექტორის ფინანსებზე მიმდინარე ღირებულებებში. წმინდა ფისკალური ზემოქმედება ყოველწლიურად გამოიხატება მიმდინარე ღირებულებაში დისკონტირების ფაქტორის გამოყენებით და შეჯამებულია პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების მისაღებად ბიუჯეტისთვის. აღსანიშნავია, რომ №10 ცხრილი შეიცავს პროგნოზირებულ გადასახადებს, რომლებიც გენერირდება პროექტის ფარგლებში. ეს შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი საგადასახადო ეფექტი, მაგრამ ამ უკანასკნელის შეფასება შეიძლება რთული იყოს, ამიტომ რეკომენდებულია ფრთხილი მიდგომა და გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ დამატებითი საგადასახადო შემოსავლები, რომლის მიღებაც არ მოხდებოდა პროექტის გარეშე.

**ცხრილი №10: საჯარო სექტორის საბიუჯეტო ანალიზის ფორმატი - წმინდა ფულადი ნაკადების ანალიზი**

|   | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | ---- |
|---|------|------|------|------|------|
| შემოსავლები დაკისრებული გადასახდელებისგან     |      |      |      |      |      |
| სხვა  |      |      |      |      |      |
| <b>სულ შემოდინება</b>                         |      |      |      |      |      |
| საბიუჯეტო სუბსიდიები / გრანტები               |      |      |      |      |      |
| საოპერაციო ხარჯები                            |      |      |      |      |      |
| საინვესტიციო ხარჯები                          |      |      |      |      |      |
| ექსპლუატაციის ვადის გასვლის/ჩამოწერის ხარჯები |      |      |      |      |      |
| <b>სულ გადინება</b>                           |      |      |      |      |      |

|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|
| არაპირდაპირი გადასახადები (მაგ.: საბაჟო და აქციზის),                         |  |  |  |  |  |
| პირდაპირი გადასახადები (მაგ.:<br>საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი) |  |  |  |  |  |
| <b>საერთო საგადასახადო ზემოქმედება</b>                                       |  |  |  |  |  |
| <b>ჯამური სხვა ნაკადები</b>  |  |  |  |  |  |
| <b>საჯარო ფინანსების წმინდა ფულადი ნაკადი</b>                                |  |  |  |  |  |
| <b>დისკონტირებული წმინდა ფულადი ნაკადი</b>                                   |  |  |  |  |  |

ვ.დ) პროექტის ინსტიტუციური/მენეჯერული მდგრადობის შეფასება

პროექტის ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭიროა, რომ არსებობდეს განმახორციელებელი ადეკვატური მექანიზმები, რომელიც პასუხისმგებელია:

- შემოთავაზებული პროექტის სხვადასხვა ეტაპის მართვაზე, გადასაჭრელი საკითხების იდენტიფიკაციასა და მათი გადაჭრის უზრუნველყოფაზე;
- საჭირო ნებართვების და მიმართულების მიღების უზრუნველყოფაზე ყოველ ეტაპზე;
- უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციის ნაკადი დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- უზრუნველყოს საჭირო პოლიტიკისა და პროცედურების დაცვა.

პროექტის ინსტიტუციური შეფასება უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- პროექტის განხორციელებასა და/ან ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცი(ებ)ის შესაძლებლობების შეფასება, კერძოდ, რამდენად ადეკვატურია ადამიანური რესურსები განსაზღვრული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად განხორციელებისა და ფუნქციონირების დროს. შეფერხებების იდენტიფიცირება და შესაძლებლობების გაძლიერების შეთავაზება საჭიროებისამებრ.
- პროექტის განხორციელების გეგმისა და გრაფიკის მონახაზის მომზადება, დეტალური დაგეგმვის, დამტკიცებისა და მშენებლობის ძირითადი ეტაპების მითითებით. ეს უნდა მოიცავდეს საფეხურებს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამტკიცებიდან მშენებლობის დაწყებამდე, ანუ, დეტალური დიზაინი, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, შესყიდვის ღონისძიებები, გარემოსდაცვით და სივრცითი დაგეგმარების შეფასებები და მიწის შეძენა.
- პროექტის მართვის მექანიზმების დაგეგმვა, მათ შორის, ორგანიზაციული მოწყობა და პასუხისმგებლობის განაწილება სხვადასხვა მხარეებს შორის.
- საორგანიზაციო მექანიზმებისა და პასუხისმგებლობის განაწილების მონახაზის შეფასება პროექტის ფუნქციონირებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის პროექტის დასრულების შემდეგ, პასუხისმგებელი ორგანიზაციის შესაძლებლობების შეფასების და მათი გაძლიერების საჭიროებების იდენტიფიკაციის ჩათვლით.



ვ.ე) პროექტის გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მდგრადობის შეფასება

პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია განხორციელდეს პროექტის გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მდგრადობის განსაზღვრა და ნებისმიერი რისკის იდენტიფიცირება, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მდგრადობას.

მდგრადობის ცნება სცილდება ფინანსურ და საბიუჯეტო მდგრადობას. პროექტის შეფასება უნდა ადასტურებდეს პროექტების მდგრადობას მთლიანობაში გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რათა ისინი არ ახდენდნენ არასათანადო დაუბალანსებელ ზემოქმედებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე, რასაც შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს მათი სოციალური მდგრადობა. ამგვარად, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკმარისი მტკიცებულება პროექტის გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მდგრადობის შესაფასებლად და ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკების გასარკვევად, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მდგრადობას.

ინფრასტრუქტურული პროექტები ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოზე და სოციალური ზემოქმედებით გამოირჩევიან, რაც გამომდინარეობს მშენებლობიდან და სხვა საქმიანობიდან. პროექტის მასშტაბიდან, ტიპიდან და აღნიშნული ზემოქმედების სავარაუდო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება აუცილებელი გახდეს გარემოზე ზემოქმედების ოფიციალური შეფასება და/ან სოციალური ზემოქმედების შეფასება.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში მზადდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და პროცედურების დაცვით.

წინაწარი შეფასებების<sup>46</sup> განხორციელება საჭირო იქნება შეფასების ადრეულ ეტაპზე და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულებამდე, იმისათვის რომ შედეგების გათვალისწინება შესაძლებელი იყოს რაოდენობრივ ეკონომიკურ ანალიზში და უფრო ფართო ეკონომიკურ შეფასებაში. იდენტიფიკაციის შემდეგ, მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებელი და ხარჯები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მონეტარული თვალსაზრისით ეკონომიკური ანალიზის ეტაპზე. აღნიშნულის განუხორციელებლობა რაოდენობრივი ან ხარისხობრივი თვალსაზრისით მაინც უნდა იქნეს იდენტიფიცირებული და მათი ფარდობითი მნიშვნელობა შეუდარდეს მონეტიზებულ სარგებელს და ხარჯებს, რომლებიც შეფასებულია ეკონომიკური ანალიზის ეტაპზე.

შესაძლებელია, რომ უწყებებმა, რომლებიც პროექტებს ახორციელებენ, გამოიყენონ მოწვეული ექსპერტების მომსახურება ასეთი შეფასებების განსახორციელებლად (რომლებიც მოთხოვნილია კანონით ან მითითებულია განხორციელდეს მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების გამო). მნიშვნელოვანია სათანადო კონსულტაცია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

---

<sup>46</sup> შეფასებების დასრულება საჭირო იქნება იმ დროისთვის, როდესაც დამთავრდება პროექტის დეტალური გეგმა შეფასების დადებითი დასკვნის შემდეგ.

ზ) პროექტის საუკეთესო ალტერნატივის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის რეკომენდაციების მომზადება - VII ეტაპი

აღნიშნული ეტაპი მოიცავს პროექტის მიზანშეწონილობის განსაზღვრას რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე ხარჯებისა და სარგებლის ფარდობითი მნიშვნელობის გათვალისწინებით.

დასკვნითი ეტაპი მოიცავს პროექტის ალტერნატივის იდენტიფიკაციას ყველა ფაქტორის ყოვლისმომცველი შეფასების საფუძველზე და გადაწყვეტილების მიღებას საპროექტო წინადადების შემდგომი განხორციელების საჭიროების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ზემოაღნიშნულ სხვადასხვა ანალიზის შედეგების დაბალანსებულ შეფასებას.

რაოდენობრივ ეკონომიკურ ანალიზთან ერთად პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრა, ასევე უნდა ითვალისწინებდეს არამატერიალურ სარგებელს და ხარჯებს, რომელთა მონეტიზაცია შეუძლებელია. გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება ხარჯ-სარგებლიანობის თვალსაზრისით ეკოსისტემებთან ან საზოგადოების ჯგუფებთან დაკავშირებით. პროექტის მდგრადობა ასევე საჭიროებს დადასტურებას, როგორც განხორციელების, ისე ფუნქციონირების პერიოდში.

ზ.ა) სასურველი ალტერნატივის იდენტიფიცირება ეკონომიკური ანალიზის მიხედვით

პროექტის ინიციატორებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, კერძოდ უნდა განიხილონ მიიჩნევა თუ არა პროექტი უპირატესად სხვა ალტერნატივასთან შედარებით და უმჯობესი ხომ არ იქნება, რომ ის საერთოდ არ განხორციელდეს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის სიძლიერე.

ისეთი პროექტების შემთხვევაში, რომლებიც დანახარჯების ეფექტიანობის ანალიზს ექვემდებარებიან, გადაწყვეტილება ეფუძნება იმას, თუ რომელი პროექტის ალტერნატივაა სავარაუდოდ ყველაზე პროდუქტიული, ანუ რომელი იძლევა ერთეულ გამოსავალს უდაბლეს მოსალოდნელ ფასად. თუ ეს შესაძლებელია, ეს გადაწყვეტილება უნდა გაკეთდეს მოსალოდნელი წმინდა მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, სადაც ეს არ არის შესაძლებელი, უნდა ჩატარდეს ხარჯთაღრიცხვების მგრძობიარობის ანალიზი ძირითად პარამეტრებზე.

თუ რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროექტის ერთ-ერთი ალტერნატივა უფრო მიმზიდველია, ვიდრე მითითებული პროექტი, მაშინ პროექტის ინიციატორებმა უნდა იფიქრონ ამ ალტერნატივის უფრო სიღრმისეულ კვლევაზე.

ზ.ბ) არამონეტიზებული სარგებლის და ხარჯების, ხელმისაწვდომობის და მდგრადობის გათვალისწინება

მოცემულ ეტაპზე ჩატარებული სიღრმისეული შეფასება მოიცავს ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებიც ფინანსური ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის შეფასების დროს გაანალიზდა, ასევე რაიმე არსებითი არამატერიალური სარგებლის და ხარჯის მნიშვნელობის შეფასებას, რომელთა მონეტიზაცია ფინანსური ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის შეფასების დროს არ იყო მიზანშეწონილი.

სასურველი ალტერნატივა, რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღმოჩნდეს „არაფერის კეთების“ ალტერნატივა. სხვა თანაბარ პირობებში, ეს იმაზე მიუთითებდა, რომ პროექტი არ არის ეკონომიკურად ეფექტიანი; თუმცა, თუ არაფულადი შეღავათები მნიშვნელოვანია, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ალტერნატივის შერჩევაზე. აქედან გამომდინარე, ამ სარგებლის მნიშვნელობის ხარისხობრივი შეფასება აუცილებელია, როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ასევე, პროექტის რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის დადებითი შედეგის შემთხვევაშიც, არამონეტიზებული გავლენების ანალიზმა (უარყოფითი გარე ეფექტი) შეიძლება შეცვლოს გადაწყვეტილება ალტერნატივის უპირატესობასთან დაკავშირებით. იმ პროექტებისთვის, რომელთა ფულადი სარგებელი შეფასებულია და ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) იქნა გამოყენებული, გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მთლიანად სარგებლის ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე.<sup>47</sup>

თუ გამოვლინდა, რომ პროექტი ფინანსურად არამდგრადია ან მიუწვდომელია მიმდინარე საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, მაშინ იგი არ შეიძლება გაგრძელდეს იმ სახით როგორც გათვალისწინებული იყო. პროექტის შემდგომი განვითარება უნდა შეჩერდეს, ან ხარჯების შემცირების გზები, როგორცაა სპეციფიკაციების ფაზებად დაყოფა ან შემცირება უნდა იყოს განხილული. პროექტის ინიციატორები მზად უნდა იყვნენ გაითვალისწინონ პროექტის შეფასების პროცესის მთელი რიგი გამეორებები, მათ შორის, ახალი პროექტის ალტერნატივების/ ვარიანტების შემოტანა, ხელმისაწვდომი გადაწყვეტის მისაგნებად.

ზ.დ) პროექტის საუკეთესო ალტერნატივის შეფასება

რეკომენდებულია ორსაფეხურიანი შეფასების პროცესის განხორციელება პროექტისთვის, რომლისთვისაც შესაძლებელია წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) განსაზღვრა:

- პოზიციის დაკავება პროექტის ეკონომიკურ მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე;
- პოზიციის კორექტირება იმის მიხედვით, თუ რამდენად უწყობს ხელს ხელმისაწვდომობის და მდგრადობის ფაქტორები პროექტის განხორციელებას და ასევე ხარჯების და სარგებლის ფარდობითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც შესაძლოა არ ყოფილიყო ასახული მონეტარული თვალსაზრისით, მაგრამ ხარისხობრივად იქნა გაანალიზებული პროექტის გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მდგრადობის შეფასების ეტაპზე.

ზემოაღნიშნული ანალიზის დასკვნები და რეკომენდაციები წარმოდგენილ უნდა იქნეს პროექტის შეფასების შემაჯამებელ ცხრილში, როგორც დამხმარე საშუალება გადაწყვეტილების მისაღებად. ცხრილი ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის რეკომენდაციების საფუძვლების გასაცნობად.

ყველა ზემოაღნიშნული ანალიზის ჩატარების შემდეგ, უნდა მომზადდეს რეკომენდაცია ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის საფუძველზე რისკის, ხელმისაწვდომობის, მდგრადობის და არამონეტიზებული შედეგების გათვალისწინებით. როცა ეკონომიკური

<sup>47</sup> ასევე იქნება შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და პროექტის შეფასებას მიმართავენ მხოლოდ ამ გადაწყვეტილების ნაკლებად ხარჯიანი განხორციელების გზის მოსაძებნად.

ანალიზის და ხელმისაწვდომობის და მდგრადობის/არამატერიალური სარგებლის ანალიზის ყველა შედეგი მიუთითებს ერთ მიმართულებას, რეკომენდაციის წარმოდგენა უფრო მარტივად შეიძლება. თუ რისკის, ხელმისაწვდომობის და მდგრადობის ანალიზი და ეკონომიკური ანალიზი მიუთითებს სხვადასხვა მიმართულებას, მაშინ რეკომენდაციის წარმოდგენისას მეტი სიფრთხილეა საჭირო წარმოდგენილი დასაბუთების და სხვადასხვა ფაქტორების ფარდობითი წონების სრული განმარტებით, საბოლოო დასკვნის გამოსატანად.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზს (CBA) დაქვემდებარებული პროექტების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს იმის მიხედვით, თუ პროექტის რომელი ალტერნატივა იქნება სავარაუდოდ ყველაზე ეფექტიანი, ეს უკანასკნელი იძლევა პროდუქციის ერთეულის წარმოების შესაძლებლობას ყველაზე დაბალი მოსალოდნელი ხარჯით. უპირატესი ალტერნატივის განხორციელებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ინფორმირებული პოზიციის დაკავება მისაღები სარგებლის მასშტაბიდან გამომდინარე ირიბად, ან პირდაპირ, როდესაც ფორმირებულია მოსაზრება ხარისხობრივად შეფასებული არამონეტოზებული სარგებლის ფარდობითი მნიშვნელობის შესახებ. გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად ნიშნავს ყველაზე ნაკლები ხარჯის მქონე პროექტის განხორციელება სახელმწიფო ფინანსების უკეთეს გამოყენებას, პროექტის საერთოდ განუხორციელებლობასთან შედარებით.

როდესაც წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გამოთვლა შეუძლებელია და ამიტომ ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) სრულდება, პროექტის შემფასებლებს მაინც შეუძლიათ პროექტის შეფასების შემაჯამებელი ცხრილის გამოყენება სხვადასხვა ზემოქმედების ყოვლისმომცველი შეფასების ჩასატარებლად. გარდა ამისა, შესაძლებელია უფრო სტრუქტურირებული მიდგომის გამოყენება, რომელიც ცნობილია როგორც მრავალი კრიტერიუმის ანალიზი (MCA), პროექტის ეფექტების შესაფასებლად და ხარჯებთან შესადარებლად ხარჯთეფექტიანობის ანალიზის (CEA) მეშვეობით. შემდეგ, მრავალი კრიტერიუმის ანალიზის (MCA) შედეგების წარმოდგენა შეიძლება შეფასების შემაჯამებელ ცხრილში პროექტის მთელი პერიოდის ხარჯებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლებიც მრავალი კრიტერიუმის ანალიზში (MCA) არ შევიდა.

მრავალი კრიტერიუმის ანალიზი (MCA) სასარგებლო ინსტრუმენტია სხვადასხვა ფაქტორების უფრო სისტემური შეფასების ჩასატარებლად, რომლებიც ზემოქმედებან პროექტის განხორციელებაზე სუბიექტური გადაწყვეტილების მისაღწევად პროექტის იმ ალტერნატივის თაობაზე, რომელიც ყველაზე ღირსეულია. მრავალი კრიტერიუმის ანალიზის (MCA) მრავალჯერადი არამონეტოზებული სარგებელი და ხარჯების მნიშვნელობის, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის ფაქტორების გამოყენებით შეიძლება თვისებრივად შეფასდეს პროექტის სხვადასხვა ალტერნატივა. იგი მოიცავს კრიტერიუმის – პროექტის ეფექტების - იდენტიფიკაციას რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებისა და მათი ინდივიდუალური და შედარებითი მნიშვნელობების სტრუქტურირებული შეფასებისთვის, ქულების და წონების მინიჭების შეთანხმებული სისტემის მივიდეს გამოყენებით

აგრეგირებული ქულების მისაღებად პროექტის თითოეული ალტერნატივისთვის<sup>48</sup>. შემდეგ, პროექტის ალტერნატივების რანჟირება ხდება საუკეთესოს აღმოსაჩენად. ბოლოს, კრიტიკული ფაქტორების იდენტიფიცირება, წონების შეთანხმება, ქულების გადაწყვეტა და კონსენსუსის მიღწევის პროცესი შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც საბოლოო შედეგი. უფრო ფორმალურად, მრავალი კრიტერიუმის ანალიზი (MCA) მოიცავს შემდეგს:

- პროექტის ეფექტების (არამონეტიზებული) იდენტიფიკაცია, რომლებიც საკმარისად მნიშვნელოვანად მიიჩნევა იმისათვის რომ გადაწყვეტილების კრიტერიუმებად იქცნენ.
- პროექტის ალტერნატივებისთვის ქულების მინიჭება ამ კრიტერიუმების მიხედვით - ეფექტების რაოდენობრივი ზომების გამოყენებით, რომლებსაც დაეფუძნება ქულები სადაც შესაძლებელია.
- კრიტერიუმების ფარდობითი მნიშვნელობის ამსახველი წონების დადგენა.
- თითოეული ალტერნატივის წონების და ქულების კომბინირება საერთო სიდიდის მისაღებად - თითოეულ კრიტერიუმზე ქულების მნიშვნელობის გამრავლებით ამ კრიტერიუმის წონაზე, და შემდეგ ყველა შეწონილი ქულის შეკრებით.
- პროექტის თითოეული ალტერნატივის შეწონილი, აგრეგირებული ქულების შედარება გამოიყენება სასურველი ალტერნატივის დადგინდეს.
- მგრძობელობის ანალიზის ჩატარება შედეგების მგრძობელობის შესამოწმებლად ქულებისა და წონების ცვლილებებისადმი.

№12 ცხრილში წარმოდგენილია მარტივი მატრიცის მაგალითი პროექტის ორი ალტერნატივის ფორმალური მრავალი კრიტერიუმის ანალიზისთვის (MCA). ამ შემთხვევაში არსებობს სამი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ფასდება პროექტები; B პროექტი უკეთეს ალტერნატივად მიიჩნევა შეწონილი საერთო ზემოქმედების საფუძველზე. ანალიზი შეიძლება გაფართოვდეს რამდენიმე პროექტისთვის ან პროექტის ალტერნატივისთვის. შეიძლება განსხვავებული და მეტი კრიტერიუმების დამატება, მათ შორის ტექნიკური შესრულების, ან მომსახურების გაწევის ხარისხის კრიტერიუმისა.

**ცხრილი №12: მრავალი კრიტერიუმის ანალიზის მარტივი მაგალითი 2 პროექტის ალტერნატივისთვის**

| კრიტერიუმი <sup>49</sup> | ქულა | წონა | ზემოქმედება |
|--------------------------|------|------|-------------|
| <b>პროექტი A</b>         |      |      |             |
| ზემოქმედება სიღარიბეზე   | 2    | 0.6  | 1.2         |

<sup>48</sup> ნაკლებად ფორმალიზებული მრავალი კრიტერიუმების ანალიზი უბრალოდ მოიცავს: პროექტის მნიშვნელოვანი ეფექტების ჩამოთვალს; სადაც შესაძლებელია მათი რაოდენობრივი შეფასება (ჩვეულებრივ სხვა ზომებში, გარდა ფულადი გამოსახულებისა, რადგან ანალიზი ზოგადად ეხება ისეთ ეფექტებს, რომელიც ვერ მონეტიზდება); მათი მნიშვნელობის ხარისხობრივი შეფასების ჩატარება; და მათი მხედველობაში მიღება გადაწყვეტილების მიღებისას პროექტის მიზანშეწონილობის შესახებ. ასეთია პროექტის შეფასების შემაჯამებელი ფორმის მიდგომა.

<sup>49</sup> ეს კრიტერიუმები მოცემულია მხოლოდ მაგალითის სახით. კრიტერიუმები უნდა განისაზღვროს ცალკეული პროექტებისთვის დაინტერესებულ მხარეებთან და ექსპერტებთან კონსულტაციით.

|                                 |   |     |     |
|---------------------------------|---|-----|-----|
| ბიზნეს ინვესტიციაზე ზემოქმედება | 1 | 0.2 | 0.2 |
| გარემოს ხარისხზე ზემოქმედება    | 4 | 0.2 | 0.8 |
| შეწონილი საერთო ზემოქმედება     |   |     | 2.2 |
| <b>პროექტი B</b>                |   |     |     |
| ზემოქმედება სიღარიბეზე          | 4 | 0.6 | 2.4 |
| ბიზნეს ინვესტიციაზე ზემოქმედება | 1 | 0.2 | 0.2 |
| გარემოს ხარისხზე ზემოქმედება    | 2 | 0.2 | 0.4 |
| შეწონილი საერთო ზემოქმედება     |   |     | 3.0 |

საშუალო შეწონილი ქულების გამოყენება, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითშია, დამოკიდებულია პრეფერენციების ორმხრივი დამოუკიდებლობის დაშვებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი კრიტერიუმისთვის მოცემული სარეიტინგო ქულა უნდა იყოს დამოუკიდებელი იმ ქულისაგან, რომელიც მეორეს მიენიჭა. თუ ასე არ მოხდა, არსებობს რისკი ეფექტის ორჯერადი დათვლისა, რაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ქულის მინიჭება და შეწონვა აუცილებლად მოიცავს სუბიექტურ მსჯელობას, მაგრამ ეს ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეიზღუდოს სუბიექტურობის ხარისხი. ამ მიზნით, სადაც შესაძლებელია, ქულები დაკავშირებული უნდა იყოს კრიტერიუმების რაოდენობრივ ზომებთან.

საუკეთესო ალტერნატივის შესახებ საბოლოო რეკომენდაცია მოითხოვს მრავალი კრიტერიუმის ანალიზის (MCA) და ხარჯთეფექტიანობის ანალიზის (CEA) შედეგების შეჯერებას. აღნიშნული გულისხმობს ხარჯებთან მიმართებაში სარგებლის მასშტაბის გათვალისწინებას. მნიშვნელოვანია ხარჯებთან მიმართებაში ალტერნატივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება (მინიმალური ღირებულების მქონე ალტერნატივა)<sup>50</sup>, ალტერნატივების ანალიზი შესაძლებელია დასაბუთდეს MCA შედეგების და მდგრადობის იმ ფაქტორების მიხედვით, რომლებიც არ მოხვდა მრავალი კრიტერიუმის ანალიზში (MCA).

იმ შემთხვევაში, თუ პროექტისათვის სხვადასხვა ალტერნატივის სარგებელი ერთნაირია, ან მსგავსია, საუკეთესო ალტერნატივის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს უმცირესი სავარაუდო წმინდა მიმდინარე ხარჯის (NPC) მიხედვით ხარჯთეფექტიანობის ანალიზის (CEA) მეშვეობით.

ზ.ე) საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით

პროექტის შეფასების ბოლოს, რეკომენდაციების გაცემამდე, პროექტის ინიციატორები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეთავაზებული პროექტი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

<sup>50</sup> დისკონტირებული ხარჯები პროექტის მთელი პერიოდისთვის, და არა არადისკონტირებული კაპიტალური ხარჯები.

- პროექტის ლოგიკა დამაჯერებელია და სტრატეგიულად შესატყვისი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შესაბამისობა მთავრობის საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებთან კიდევ ერთხელ დადასტურდა;
- პროექტის საინჟინრო/ტექნიკური მიზანშეწონილობა დამტკიცდა და რეალისტური ხარჯთაღრიცხვები მომზადებულია;
- პროექტის მიერ გაწეული სახელმწიფო მომსახურებების მოთხოვნის რეალისტური შეფასება მომზადებულია;
- პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დადასტურდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წმინდა სარგებელი, სავარაუდოდ, დადებითი იქნება, არ არსებობს უკეთესი გზა პროექტის მიზნის მისაღწევად და პროექტის მიზნებისთვის საჯარო ფინანსები ოპტიმალურად არის გამოყენებული;
- პროექტი ფინანსურად ხელმისაწვდომია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაფინანსების ყველა წყარო გარანტირებულია, და იგი ფინანსურად და ფისკალურად მდგრადი იქნება;
- გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება მისაღებია, ან, იქ სადაც უარყოფითი ზემოქმედებაა მოსალოდნელი, ადეკვატური შემარბილებელი ღონისძიებებია შემოთავაზებული;
- ამუშავდება დამაკმაყოფილებელი პროექტის მართვის მექანიზმები, პროექტის სპეციფიკაციების, დროის და ბიუჯეტის გათვალისწინებით;
- შემოთავაზებულია პროექტის ფუნქციონირებისთვის ადეკვატური მართვის მექანიზმები შესაბამისი მომსახურების მდგრადი მიწოდების უზრუნველსაყოფად;
- შეფასებულია განხორციელების და ოპერირების რისკები და გათვალისწინებულია აუცილებელი შემარბილებელი ღონისძიებები ყველაზე მნიშვნელოვანი რისკებისთვის;
- შემუშავებულია შესყიდვებისადმი შემოთავაზებული მიდგომა საჯარო ფინანსების საუკეთესო ღირებულების უზრუნველსაყოფად, და განსაზღვრულია ძირითადი სახელშეკრულებო საკითხები;
- განსაზღვრულია პროექტის მიმდინარეობის და შესრულების შესაბამისი ინდიკატორები, მომზადებულია შესაფერისი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

#### 4.3 პროექტის შეფასების შედეგები

ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი პროექტის შეფასების ძირითად ანალიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. ამ დოკუმენტთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი ტექნიკური კვლევები და ზემოქმედების შეფასებები (ჩვეულებრივ თან ერთვის ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზს). ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი უნდა მომზადდეს ყველა ფინანსურად მნიშვნელოვანი პროექტისთვის. ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის მონახაზის ნიმუში მეთოდოლოგიის მე-3 დანართშია მოცემული.

ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზი საკმაოდ დეტალური დოკუმენტია გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის. სასურველია მომზადდეს პროექტის შეფასების ანგარიში, რაც დაეფუძნება ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ძირითად ფაქტებს და დასკვნებს და უნდა პასუხობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. პროექტის შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს ნათელ რეკომენდაციას პროექტის განხორციელების საჭიროების თაობაზე, რომელიც განმარტებული

იქნება ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, როგორც ფორმულირებულია შეფასების ცხრილში. პროექტის შეფასების ნიმუში მოცემულია მეთოდოლოგიის მე-4 დანართში.

4.4 პროექტის შეფასების დამატებითი ეტაპი სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობის შემთხვევაში

პროექტის შეფასების შემდეგ, რომელიც ხორციელდება ზემოაღნიშნული 7-ეტაპიანი პროცედურის საშუალებით, განმახორციელებელი უწყება განსაზღვრავს შესყიდვის ყველაზე მეტად მიზანშეწონილ მეთოდს, რაც მათ შორის, შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობას (PPP) თუ პროექტს გააჩნია შესყიდვის ამ მიდგომისთვის ხელსაყრელი მახასიათებლები.

თუ ეკონომიკური სუბიექტი განიხილავს შესყიდვის ვარიანტს სახელმწიფო-კერძო სექტორის (PPP) პარტნიორობის შემთხვევაში, შეფასების ეტაპზე შემდგომი ნაბიჯები უნდა გადაიდგას სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) ვარიანტის მიზანშეწონილობის გასარკვევად. ამ მიზნისათვის განმახორციელებელმა უწყებებმა, რომლებიც სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) შესყიდვის ვარიანტს განიხილავენ, უნდა განახორციელონ შესყიდვის ვარიანტის წინასწარი ტესტირება, შეარჩიონ სათანადო სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პროექტი და შემდეგ განახორციელონ ხარისხის ფასთან ფარდობის ანალიზი სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) ვარიანტის მიზანშეწონილობის შესაფასებლად, შესყიდვის ტრადიციულ სახელმწიფო ვარიანტთან შედარებით.

შესყიდვის შესაძლო ვარიანტთან მიმართებაში სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პროექტების კანდიდატისთვის წინასწარი ტესტირების დროს სხვა ელემენტებთან ერთად უნდა შემოწმდეს შემდეგი:

- ა) ფინანსური, სამშენებლო და ოპერაციული ხარჯების შეფასება შესყიდვების თითოეული ალტერნატიული მეთოდისთვის პროექტის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში;
- ბ) პოტენციური კერძო ინვესტორების მხრიდან მომსახურების მიწოდებაზე საკმარისი ინტერესის არსებობა და ბაზარზე არსებული კონკურენციის დონე;
- გ) პროექტთან დაკავშირებული რისკების მკაფიო განსაზღვრა, იდენტიფიკაცია, შეფასება და სათანადო ტიპის რისკის გადაცემის შესაძლებლობა კერძო პარტნიორისთვის;
- დ) კერძო სექტორის პარტნიორისთვის სახელმწიფო-კერძო გადახდების ნაწილის დაფარვის შესაძლებლობა საბოლოო მომხმარებლის გადახდილი თანხებიდან;
- ე) პროექტის მასშტაბის შეფასება სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პროექტთან დაკავშირებული ოპერაციული ხარჯების გასასამართლებლად.

თუ შესყიდვების ვარიანტის წინასწარი ტესტის შედეგები მიუთითებს, რომ მიზანშეწონილია სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) შესყიდვის ვარიანტის განხორციელება, მაშინ განხილულ უნდა იქნეს სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) მოდალობის არჩევანი (PPP კონტრაქტის ტიპი).

შემდეგ ეტაპზე, როცა განმახორციელებელი უწყება მიიღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) მოდალობის გამოყენების შესახებ, უნდა განხორციელდეს ხარისხის ფასთან ფარდობის ანალიზი. ამ შეფასებისას სახელმწიფო სექტორის შესადარებელი ინსტრუმენტი გამოიყენება იმის განსაზღვრად პროექტი სახელმწიფო-კერძო



სექტორის პარტნიორობის (PPP) განხორციელების გზით უფრო რენტაბელური იქნება თუ ტრადიციული სახელმწიფო ინვესტიციის შემთხვევაში. ხდება სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) ვარიანტის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) და ტრადიციული სახელმწიფო ინვესტიციის უპირატესი ვარიანტის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) შედარება. პროექტის განხორციელებას სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) საშუალებით უკეთესი შედეგი მოაქვს დახარჯული სახსრების სანაცვლოდ თუ მას მოჰყვება სახელმწიფოსთვის წმინდა დადებითი მოგება, რომელიც აღემატება იმ შედეგს, რომლის მიღწევაც შეიძლება უპირატესი ვარიანტის, როგორც ტრადიციული სახელმწიფო ინვესტიციის, განხორციელების საშუალებით.

განმახორციელებელმა უწყებებმა უნდა განიხილონ ხარისხის ფასთან ფარდობის ანალიზის შედეგები და შემოთავაზებული სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) ვარიანტი წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) შესყიდვის მეთოდი შერჩეული იქნება თუ ხარისხის ფასთან ფარდობის შეფასება დადებითია (თუ პროექტის განხორციელებას PPP-ის საშუალებით უკეთესი შედეგი მოაქვს).

გასათვალისწინებელია, რომ თუ პროექტის განხორციელებას სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) საშუალებით უკეთესი შედეგი მოაქვს, განსაზღვრული პროექტის რისკებიდან ის რისკები, რომლის მართვა კერძო სექტორის მიერ უფრო ეფექტიანად არის შესაძლებელი, სრულად წარმოადგენს კერძო პარტნიორობის პასუხისმგებლობას.

სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პროექტების მართვასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიისა და რეგულაციების განსაზღვრის შემთხვევაში, ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საერთო რეგულაციასთან.

4.5 პროექტის შეფასების პროცესში გადანაწილებული როლები, პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღება

წინასწარი შერჩევის დროს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულება იწყებს პროექტის შეფასების განხორციელებას.

შეფასების ეტაპზე ხორციელდება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება, წინასწარი საინჟინრო გადაწყვეტის შემუშავება და სხვა დამხმარე კვლევების განხორციელება (პროექტის შინაარსიდან გამომდინარე), როგორებიცაა, მაგალითად, გარემოზე ზემოქმედების და სოციალური ზემოქმედების კვლევები (საჭიროების შემთხვევაში).

პროექტის მასშტაბიდან და სირთულიდან გამომდინარე და სპეციალური ტექნიკური ცოდნის საჭიროების გათვალისწინებით, ეს სამუშაოები შეიძლება საკუთარი ძალებით ან დაქირავებული ექსპერტების დახმარებით განხორციელდეს.

შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებები და დასკვნა განხილული უნდა იყოს შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების შიგნით.

მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელმა პირებმა პროექტის მიზანშეწონილობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

პროექტის შეფასების ანგარიში, შეფასების შედეგად მიღებულ დადებით გადაწყვეტილებასთან ერთად, უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში შეფასების ანგარიში და გადაწყვეტილება წარედგინება საფინანსო ორგანოს და შესაბამის საკრებულოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში შეფასების ანგარიშები და ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ წარედგინება ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანოს, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას პროექტის შესახებ წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს, პროექტის ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებას, მისი დაფინანსებისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრებთან მიმართებაში და შესაბამისი დასკვნებით წარმოდგენილ პროექტს წარუდგენს საქართველოს ეკონომიკურ საბჭოს განსახილველად.

ეკონომიკური საბჭო განსაზღვრავს იმ პროექტების სიას, რომელთა შემდგომ ეტაპზე გადასვლა ეკონომიკურ საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში, პროექტების შემდგომ ეტაპზე გადაყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო მუნიციპალიტეტების ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი იმ პროექტების ნუსხა, რომლებზეც შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის წარდგენისას.

## 5. პროექტის შერჩევა და ბიუჯეტირება

### 5.1 პროექტის შერჩევისა და ბიუჯეტირების არსი და მიზანი

პროექტების შერჩევისა და ბიუჯეტირების ეტაპის მიზანია იმ პროექტების შერჩევა, რომლებიც დაფინანსდება კონკრეტული საშუალოვადიანი პერიოდის შესაბამისი ბიუჯეტიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტისათვის იმ პროექტების ჩამონათვალი, რომლებიც აკმაყოფილებენ დაფინანსების მოთხოვნებს, შეიძლება პერიოდულად განახლდეს წლის განმავლობაში შეფასების და განხილვის პროცესის შესაბამისად, მაგრამ საბოლოო ვერსია მზადდება ყოველი წლის 1 მარტამდე. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) უნდა აისახოს სწორედ ის საინვესტიციო პროექტები, რომლებსაც გავლილი აქვთ შერჩევის ყველა ეტაპი. მათ შორის, აღნიშნული ინფორმაცია ასახული უნდა იყოს მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში. მხოლოდ ის პროექტები, რომლებიც შეტანილია დაზუსტებულ სიაში, აკმაყოფილებს მოთხოვნებს მოსამზადებელ ეტაპზე ბიუჯეტში გათვალისწინების განსახილველად. ამ თარიღის შემდეგ სიაში შეტანილი პროექტები უნდა შეეცოდეს მომდევნო წლის საბიუჯეტო პროცესში განსახილველად. პროექტების ჩამონათვალზე ინფორმაციის წარდგენის ფორმის ნიმუში მოცემულია მეთოდოლოგიის მე-5 დანართში.

პროექტის შერჩევის სტადიაზე ხორციელდება იმ ახალი პროექტების იდენტიფიკაცია, რომელთა დაფინანსება უნდა აისახოს შესაბამისი წლის ბიუჯეტში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების, საშუალოვადიან პერიოდში ხელმისაწვდომი ფისკალური რესურსის და პროექტის განხორციელებისათვის მზადყოფნის გათვალისწინებით.

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაფინანსების უწყვეტობა მიმდინარე პროექტების განსახორციელებლად და შესაძლოა დაისვას იმ პროექტების ხელახალი შეფასების საკითხი, რომელთა ეფექტიანობა ნაკლებია.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში საბოლოო ვარიანტში ასევე აისახება ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტები (იგულისხმება პროექტები, რომელიც დაფინანსდება, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მეშვეობით).

### 5.2 საინვესტიციო განაცხადის ფორმა

საინვესტიციო განაცხადის ფორმა წარმოადგენს ახალი პროექტების წინადადებებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამის ბიუჯეტში. საინვესტიციო წინადადების ფორმაში შეტანილ ყოველ ფინანსურად მნიშვნელოვან პროექტზე, ცალკე საპროექტო წინადადების ფორმა უნდა შეივსოს და თან დაერთოს მხარჯავი დაწესებულებების შემთხვევაში საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას. კონკრეტული პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საპროექტო წინადადების ფორმა მოიცავს პროექტის პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობის

დასკვნების და შეფასების შედეგების შეჯამებას. საპროექტო წინადადების ფორმები აისახება შესაბამის საბიუჯეტო დოკუმენტაციაში.

საინვესტიციო განაცხადის ფორმა მოიცავს პერსპექტიული დანახარჯების ხარჯთაღრიცხვას სამინისტროს საინვესტიციო გეგმებისთვის, საშუალოვადიანი პერიოდისთვის. ხარჯთაღრიცხვის მომზადებისას, მხარჯავმა დაწესებულებებმა პირველ რიგში უნდა უზრუნველყონ მრავალწლიანი მიმდინარე პროექტების ეფექტიანი დასრულებისთვის შესაბამისი ხარჯების დაფარვა, ვიდრე ახალი პროექტების დასაფინანსებლად წარმოადგენენ შესაბამის წინადადებებს.

საინვესტიციო წინადადების ფორმის (და თანდართული დანართები) წარდგენა ხდება საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტთან ერთად და განიხილება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის მომზადების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი წესით. საინვესტიციო წინადადებამ შესაძლოა ცვლილება განიცადოს და შესაბამისად აისახოს საბიუჯეტო დოკუმენტაციაში.

5.3 პროექტის შერჩევისა და ბიუჯეტირების პროცესში გადანაწილებული როლები, პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღება

შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებები ამზადებენ საინვესტიციო პროექტების განაცხადს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში და ასახავდეს:

- ა) კავშირს პროექტსა და შესაბამის პროგრამას/ქვეპროგრამას შორის;
- ბ) მიმდინარე პროექტებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსს მრავალწლიან პერიოდში;
- გ) ახალი პროექტების დაფინანსების საჭიროებას;
- დ) პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას;

წინადადებები, ახალი ფინანსურად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტებისთვის უნდა იყოს წარდგენილი, როგორც სამოქმედო გეგმის კომპონენტები, ნათლად მიაჩვენებდეს, თუ რომელი პროგრამის და ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი, როგორ შეუწყობს ხელს პროექტი განსაზღვრული ქვეპროგრამის შესრულების გაუმჯობესებას და რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი, რომ მიღწეულ იქნეს მიზანი.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად საქართველოს მთავრობის მიერ ხორციელდება იმ საინვესტიციო პროექტების ნუსხის მოწონება, რომელთა განხორციელებაც მოხდება საშუალოვადიან პერიოდში, შედეგად საქართველოს მთავრობა იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ახალი პროექტის დაფინანსების თაობაზე.

საბიუჯეტო განაცხადის მომზადების და წარდგენის დროს მხარჯავი დაწესებულების მიერ ხდება იმ საინვესტიციო პროექტების ასახვა, რომელთა განხორციელებაზეც დადებითი გადაწყვეტილებაა მიღებული.

მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების მომზადებისას საინვესტიციო პროექტების ბიუჯეტში ასახვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 6. პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

### 6.1 პროექტის განხორციელების ძირითადი დებულებები

საინვესტიციო პროექტები განხორციელდება საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დონორების დაფინანსებული პროექტების ან საერთაშორისო ტენდერის შემთხვევაში პროექტი განხორციელდეს დონორებთან შეთანხმებული პროცედურებით.

### 6.2 პროექტის მონიტორინგი და ამ პროცესში გადანაწილებული როლები და პასუხისმგებლობები

საინვესტიციო პროექტების სტატუსის შესახებ უნდა განხორციელდეს პერიოდული (კვარტალური და წლიური) ანგარიშგება პროექტზე პასუხისმგებელ შესაბამის ორგანოსთან აღნიშნული შესრულების ანგარიშების მიხედვით.

პროექტების შესრულების ანგარიშები უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროექტის დასახელება;

ბ) პროექტის დაწყების თარიღი;

გ) პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღი;

დ) შესრულებული სამუშაოების პროცენტული მაჩვენებელი;

ე) დაფინანსების წყარო;

ვ) დაგეგმილი ბიუჯეტი და გაწეული ხარჯი;

ზ) განმარტებები პროექტის გადავადების, დაგეგმილზე მეტი ან ნაკლები ხარჯის გაწევის, დაფინანსების და მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების და აღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესახებ ანგარიშგება წარმოებს საბიუჯეტო კოდექსით ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებისათვის განსაზღვრულ ვადებში და შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებთან ერთად წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი პროექტების შემთხვევაში კვარტალური და წლიური ანგარიშგება წარმოებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების მიერ მათი ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პრიორიტეტების დოკუმენტების წარდგენისას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, უფლებამოსილია ეკონომიკური საბჭოს წარუდგინოს ინფორმაცია საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

პროექტების შესრულების შესახებ წლიური ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეკონომიკურ საბჭოს წარედგინება ყოველის წლის 1 მარტამდე.

ეკონომიკურმა საბჭომ შესაძლებელია იმსჯელოს და მოამზადოს რეკომენდაცია პროექტის შეჩერების, მოდიფიცირების ან შეწყვეტის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ განხორციელების ეტაპზე

წარმოიქმნა ისეთი გამოწვევები (შესაძლებელია უშუალოდ პროექტისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით), რომელიც არსებითად ცვლის საინვესტიციო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების პროგნოზებს, განხორციელების ვადებს ან/და მისაღები შედეგის ეფექტს პროექტით განხორციელების შედეგად მოსარგებლებზე.

## 7. პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება

### 7.1 შესრულების შემდგომი შეფასების არსი და ძირითადი დებულებები

პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება - ფასდება პროექტის მიზნების მიღწევა გამოყენებული რესურსების და გარემოზე გავლენის კუთხით.

პროექტის შესრულების შემდგომი შეფასების მიზნებია:

ა) გამჭვირვალობის ზრდა იმის ჩვენებით თუ რამდენად ეფექტიანად მოხდა ინვესტირება და სახელმწიფო ფინანსების გამოყენება ფინანსურ, ეკონომიკურ, გარემოს და სოციალურ მიზნებთან მიმართებაში;

ბ) ეფექტიანობის გაზომვა - ფაქტობრივი შედეგების შედარება ხდება პროგნოზებთან ან მიღწევების შედარება ხდება დასახულ მიზნებთან იმისათვის, რომ გაიზომოს პროექტის სარგებელი;

გ) წინასწარი შეფასების გასაუმჯობესებლად გარკვეული ელემენტების შემოღება მომავალში ჩარევისთვის - პროექტის შესრულების შემდგომი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია წინასწარი შეფასების ეტაპზე არსებული ინფორმაციის ანალიზი, იმისათვის, რომ გაირკვეს წინასწარი პროგნოზების დამტკიცებამდე იყო თუ არა პროექტის განხორციელება ადეკვატური ინვესტიციების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული საშუალებას იძლევა, რომ განისაზღვროს სად არის საჭირო მეტი ძალისხმევა პროექტის წინასწარი შეფასების ხარისხის გასაუმჯობესებლად მომდევნო პერიოდის საინვესტიციო პროექტების წარმატებული განხორციელების მიზნით;

დ) მსგავს განხორციელებულ პროექტებზე შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება შესაბამისი პროგნოზების განსაზღვრისთვის და წინასწარი შეფასების უფრო ზუსტი ანალიზის წახალისების უზრუნველყოფა პროექტის რეალური მიღწევების გასაჯაროების გზით.

პროექტის შემდგომი შეფასების არსი არ არის პროექტის დაგეგმილთან შედარებით გადახრების აღმოჩენა. მთავარია გადახრების ძირითადი მიზეზების და პროექტის შემდგომი შეფასების რეალური მიზნების გათვალისწინება. პროექტის შემდგომი შეფასების ეტაპზე იდენტიფიცირებული გადახრები შესაძლებელია მიუთითებდეს იმას, რომ პროექტის სასიცოცხლო ციკლის საწყის ეტაპებზე არ გამახვილდა სათანადო ყურადღება სავარაუდო გაუთვალისწინებელ გავლენებზე (იგულისხმება გარე და ნაწილობრივ შიდა გაუთვალისწინებელი ფაქტორების გავლენა). შესაძლებელია გადახრები გამოწვეული იყოს პროექტის დიზაინთან, არასწორ ინფორმაციასთან, არაეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებასთან და სხვა ზოგად საკითხებთან.

### 7.2 შესრულების შემდგომი შეფასების საფეხურები

პროექტის შემდგომი შეფასების სწორად წარმართვა მოიცავს ხუთ საფეხურს. ამასთან, თითოეული საფეხურისთვის მრავალმხრივი გამოწვევა არსებობს. ეს საფეხურებია:

ა) **დაგეგმვის პროცესის შეფასება** - მნიშვნელოვანია რომ მოხდეს პროექტების წინასწარი შეფასების და დაგეგმვის პროცესის შეფასება. რთულია იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რომელი ანალიზი უწყობს ხელს გადაწყვეტილების მიღებას პროექტის წინასწარი შეფასების დროს. როდესაც პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ან არასრულია, ასევე, წინასწარი შეფასების შედეგებთან და ზოგადად დაგეგმვის დოკუმენტებთან მიმართებაში ოფიციალური დოკუმენტაციის ნაკლებობის შემთხვევაში, რთულდება პროექტის შემდგომი შეფასების გამჭვირვალე ანალიზი.

ბ) **პროექტის საბოლოო შედეგის გაზომვა** - პროექტის შემდგომი შეფასების მიზნით, პროექტის შესრულების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ მნიშვნელოვანია ძირითად ინდიკატორებზე გამახვილდეს ყურადღება და გამოყენებულ იქნეს სტანდარტული მიდგომები. რიგ შემთხვევაში ზოგიერთი პროექტის მნიშვნელოვანი გავლენა შესაძლებელია არ იყოს გათვალისწინებული ამოცანებში და საჭიროა მოხდეს ასეთი საკითხების გათვალისწინება პროექტის შემდგომი შეფასების დროს, თუ არის შესაძლებელი. პროექტის წინასწარ და საბოლოო შეფასებას შორის განსხვავებებზე ინფორმაციის მოპოვების კარგი საშუალებაა შესაბამის ექსპერტებთან ინტერვიუ.

გ) **პროექტის მოსალოდნელ შედეგსა და მიღებულ შედეგს შორის განსხვავებები** - მოსალოდნელ შედეგსა და მიღებულ შედეგს შორის განსხვავების არსებობა და მით უფრო ამ განსხვავებებთან დაკავშირებით მიზეზების გარკვევა ხშირ შემთხვევაში არარეალურია, იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი შედეგი უმეტეს შემთხვევაში ვერ იქნება მიღებული შედეგის იდენტური. იმ შემთხვევაშიც კი როცა განსხვავება ცოტაა არ ნიშნავს, რომ ამის მიზეზი კარგად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტია, არამედ შესაძლებელია პროექტის საბოლოო შედეგს განაპირობებდეს გარე გაუთვალისწინებელი რაიმე ფაქტორი.

დ) **ალტერნატივების ანალიზი** - ანალიზი ეყრდნობა პროექტის შემდგომ შეფასებას, შედეგის დადგომით გამოწვეული მდგომარეობის ანალიზს შედეგის დადგომამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში. წინასწარ შეფასებასა და შემდგომ შეფასებას შორის განსხვავების შესწავლა მნიშვნელოვანია პროექტის სრულყოფილი ანალიზისთვის. შესაძლებელია, რომ ანალიზში არ იყოს წარმოდგენილი ზოგიერთი პროექტი, რომელიც განხორციელდა და პირიქით იყოს განხილული პროექტი, რაც არ განხორციელდა და მოხდეს მისი ანალიზი და შედეგების განხილვა.

ბ) **შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრა** - მნიშვნელოვანია, მოხდეს შესწავლა რა გავლენა მოახდინა შიდა და გარე ფაქტორებმა წინასწარ და შემდგომ შეფასებებს შორის განსხვავებებზე. ხორციელდება შიდა და გარე ფაქტორებით გამოწვეული ეფექტის ანალიზი, რომელიც შესაძლებელია არ დამდგარიყო, რომ არ განხორციელებულიყო პროექტი ან ეფექტი, რომელიც დადგებოდა პროექტის განუხორციელებლობის შედეგად. ამ პროცესში პროექტის შესაფასებლად შესაძლებელია ჩართულ მხარეებთან ინტერვიუების საშუალებით მოხდეს ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების უფრო დეტალურად გარკვევა.

გ) **ხარჯების შეფასება** - პროექტების შემდგომი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურია. ხორციელდება ხარჯების შედგენის მეთოდებისა და მოსალოდნელ და ფაქტობრივ ხარჯს შორის არსებული განსხვავებების მიზეზების შესწავლა. გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: განხორციელების

დაგვიანებული ვადები, პროექტის სპეციფიკაციებისა და დიზაინის, ვალუტის კურსის, რაოდენობისა და ფასების, უსაფრთხოების მოთხოვნების, ასევე გარემო ფაქტორების მოთხოვნების ცვლილება, გეოლოგიური და ტექნოლოგიური რისკები.

დ) **პროექტის შეფასება** – პროექტის წინასწარი შეფასების დროს გადაწყვეტილების მიღებისას განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგსა და დაკვირვების შედეგს შორის განსხვავებების ანალიზი, რაც მოიცავს პროექტის განვითარებისა და განხორციელების ანალიზს, სადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს განხორციელების პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. ამ პროცესში შესაძლებელია გამოიკვეთოს, რომ შედარებით „უკეთესი“ ამოცანები არ განხორციელდა. ასევე, გარემოზე ზემოქმედებასთან მიმართებაში ხორციელდება პროექტის შეფასება, თუ ითამაშა პროექტმა პროაქტიული როლი პროექტის დაწერვის პროცესში დაფინანსების გათვალისწინებით, რაც შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ჩართული მხარეების, ასევე საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად.

ე) **ინვესტიციების ეფექტიანობის გაზომვა** – პროექტის გავლენა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებთან მიმართებაში. ამ საფეხურზე ფაქტობრივი შედეგების და ხარჯების გათვალისწინებით ხელახლა ხდება ფაქტობრივი შესრულების ეკონომიკური ინდიკატორების გამოთვლა (NPV და IRR), რომ მოხდეს მოსალოდნელ შედეგებთან შედარება.

7.3 შესრულების შემდგომი შეფასება, როლები და პასუხისმგებლობების განაწილება

საინვესტიციო პროექტის დასრულების შემდგომ 1 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს შესრულების შემდგომი შეფასების თაობაზე.

მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულ პროექტებთან მიმართებაში შესრულების შემდგომი შეფასების ანგარიში წარედგინება შესაბამის საკრებულოს.

ავტონომიური რესპუბლიკის მიერ განსახორციელებელი პროექტების შესრულების შემდგომი შეფასების ანგარიში წარედგინება შესაბამის საფინანსო ორგანოს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკურ საბჭოს წარუდგენს პროექტის შესრულების შემდგომი შეფასების ანგარიშს.



**დანართი №1 პროექტის კონცეფციის ბარათის ნიმუში**

| საჭირო ინფორმაცია  | პასუხი | მტკიცებულებათა წყარო / დამატებითი კომენტარები |
|--|--------|---|
| <b>A. ძირითადი ინფორმაცია</b>  |        |   |
| 1. პროექტის დასახელება   |        |   |
| 2. პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება   |        |   |
| 3. პროექტზე პასუხისმგებელი პირი  |        |   |
| 4. პროექტზე და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული  |        |   |
| 5. სტრუქტურულ ერთეულში პროექტზე პასუხისმგებელი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)   |        |   |
| <b>B. პროექტის არსი და მისი განხორციელების საჭიროების შეფასება</b>   |        |   |
| <b>a. ინტერვენციის ლოგიკა</b>  |        |   |
| 6. აღწერეთ ის კონკრეტული პრობლემა, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი და განსაზღვრეთ აღნიშნული პრობლემის სიმძიმე.   |        |   |
| 7. განმარტეთ, თუ როგორ მოახერხებს პროექტი განსაზღვრული პრობლემის შემსუბუქებას.   |        |   |
| 8. დაასაბუთეთ სახელმწიფო ინტერვენციის საჭიროება, საბაზრო ჩავარდნის ან კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრით, რომელთა საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი.  |        |   |
| 9. ჩამოთვალეთ პრობლემის აღმოფხვრისთვის შემუშავებული ყველა ალტერნატიული გზა, გარკვეული პოლიტიკის გატარების ჩათვლით, რომლებიც არ საჭიროებენ ინვესტიციებს.  |        |   |
| <b>b. საჭიროებების შეფასება</b>  |        |   |
| 10. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად სარგებელის მიმღები საბოლოო ბენეფიციარების კონკრეტული სამიზნე ჯგუფი.  |        |   |
| 11. განსაზღვრეთ პროექტით გათვალისწინებული მომსახურების საბოლოო მომხმარებლების დაახლოებითი რაოდენობა, საზომი ერთეულის მითითებით (მაგ: ერთ მოსახლეზე, ერთ ოჯახზე, საწარმოზე).                                |        |   |
| 12. განსაზღვრეთ პროექტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე არსებული ფიზიკური მოთხოვნა და მისი ზრდის ტემპი, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ: კუბური მეტრი წყალი დღეში, სატრანსპორტო მოძრაობა დღეში და სხვა). |        |   |
| 13. განსაზღვრეთ საპროექტო ობიექტების ფიზიკურისიმძლავრე/გამტარობა, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ: კუბური მეტრი წყალი დღეში, სატრანსპორტო მოძრაობა დღეში, ან გამოყენებადი სივრცის კვადრატული მეტრი).    |        |   |
| <b>c. პროექტის არსი</b>  |        |   |
| 14. აღწერეთ პროექტი და მისი კომპონენტები და განმარტეთ მათი კომპლექსური გადაწყვეტილება.   |        |   |
| <b>C. პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა</b>   |        |   |
| 15. აღნიშნეთ სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებთან პროექტის   |        |   |

| საჭირო ინფორმაცია   | პასუხი | მტკიცებულებათა წყარო / დამატებითი კომენტარები |
|---|--------|---|
| შესაბამისობა და მისი წვლილი ეკონომიკური ერთეულის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.   |        |   |
| <b>D. პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობის წინასწარი შეფასება და ალტერნატივების ანალიზი</b>  |        |   |
| <b>a. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები</b>  |        |   |
| 16. მიუთითეთ პროექტის და შესაბამისი ალტერნატიული ვარიანტების განხორციელებისთვის საერთო ინდიკაციური სავარაუდო ხარჯები მიმდინარე ფასებში. აღნიშნეთ ნებისმიერი დაგეგმილი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიება. აღწერეთ ხარჯთაღრიცხვების შემუშავების საფუძველი.          |        |   |
| 17. განსაზღვრეთ პროექტის შეფასების ეტაპისთვის საჭირო შემდგომი კვლევების სავარაუდო ხარჯები.  |        |   |
| <b>b. პროექტის სარგებელი</b>  |        |   |
| 18. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივების მომხმარებლების ძირითადი სარგებელი.   |        |   |
| 19. განსაზღვრეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარე ფაქტორები, ანუ ხარჯები და სარგებელი არა მომხმარებელი ერთეულებისთვის.  |        |   |
| 20. განმარტეთ ალტერნატივებს შორის სარგებელის მხრივ ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება.  |        |   |
| 21. განსაზღვრეთ ძირითადი სარგებელი და ხარჯები, რომელთა შეფასება შესაძლებელია მოცემულ ეტაპზე, არამატერიალური სარგებელისა და დადებითი და უარყოფითი გარე ფაქტორების ჩათვლით. განსაზღვრეთ პროექტის რთულად შესაფასებელი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები.                 |        |   |
| <b>c. ეკონომიკური ეფექტიანობა</b>   |        |   |
| 22. წარმოადგინეთ სავარაუდო საინვესტიციო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა ერთ მომხმარებელზე ან საინვესტიციო ხარჯი საბოლოო მომსახურებაზე მოთხოვნის ერთ ერთეულზე.  |        |   |
| 23. აღნიშნული ხარჯები შეადარეთ ალტერნატივების და სხვა უკვე დასრულებული მსგავსი პროექტების ხარჯებს.  |        |   |
| 24. განმარტეთ, თუ რა მიზეზით ღირს მოცემულ პროექტზე სახელმწიფო ხარჯის გაღება, მის ალტერნატივებთან შედარებით (არაქმედების ალტერნატივის ჩათვლით), ხარჯებისა და პოტენციური სარგებელის შესახებ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით. განსაზღვრეთ პერსპექტიული ალტერნატივები. |        |   |
| 25. აღწერეთ პროექტის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედების მოსალოდნელი მნიშვნელოვანი რისკები და ვარაუდები. განსაზღვრეთ პროექტის დაგეგმარების დროს გასათვალისწინებელი ნებისმიერი შემარბილებელი ღონისძიება.   |        |   |
| <b>E. გავლენა ბიუჯეტზე და ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა</b>  |        |   |
| 26. ასახეთ განხორციელებისა და ოპერირების განმავლობაში პროექტის მოსალოდნელი ბიუჯეტზე ზემოქმედება.  |        |   |
| 27. განსაზღვრეთ საბიუჯეტო დაფინანსების გარდა სხვა მოსალოდნელი დაფინანსების წყაროები და მათი სავარაუდო წილი. აღწერეთ დამატებითი დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ქმედებები და გადაწყვეტილებები და მიუთითეთ მათი განხორციელების ვადები.                 |        |   |

| საჭირო ინფორმაცია  | პასუხი | მტკიცებულებათა წყარო / დამატებითი კომენტარები |
|--|--------|---|
| 28. ადგილობრივი მთავრობის ან თვითდაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყავით მათ მიერ განხორციელებული ასიგნების საკმარისობის / შესატყვისობის დამადასტურებელი არგუმენტები.   |        |   |
| <b>F. განხორციელება</b>  |        |   |
| <b>a. შესყიდვები</b>   |        |   |
| 29. განსაზღვრეთ შესყიდვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი საკითხები.  |        |   |
| 30. აღწერეთ პროექტის ის მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის შერჩევა.*   |        |   |
| <b>b. განხორციელების ღონისძიებები და შესაძლო შეზღუდვები</b>  |        |   |
| 31. შეაჯამეთ პროექტის განხორციელების ზედამხედველობის და/ან მართვისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები.  |        |   |
| 32. უზრუნველყავით მტკიცებულება იმისა, რომ პროექტის განხორციელების ზედამხედველობასა და მართვაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას საკმარისი რესურსი გააჩნია შემოთავაზებული პროექტის მასშტაბის და ტიპის პროექტების განსახორციელებლად, ან მიუთითეთ თუ რა დამატებითი ზომები არის მისაღები აღნიშნულის მისაღწევად.          |        |   |
| 33. განსაზღვრეთ ნებისმიერი პოტენციური გადასალახი დაბრკოლება, მაგალითად, გარემოსდაცვითი შეზღუდვები ან მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ან დამატებითი ღონისძიებები, საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით, რომლებიც გადაჭრილ უნდა იქნეს პროექტის წარმატებით დასრულებამდე.                                |        |   |
| <b>G. მდგრადი განვითარების საკითხები</b>   |        |   |
| 34. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივის მფლობელი ორგანიზაცია.   |        |   |
| 35. დაადასტურეთ, რომ აქტივის ოპერირებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას საკმარისი ექნიკური, მენეჯერული და ფინანსური რესურსი აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ არის, მაშინ განსაზღვრეთ საკმარისი რესურსების მოსაპოვებლად საჭირო ზომები.   |        |   |
| 36. აღწერეთ, თუ როგორ მოხდება საექსპლუატაციო და სარემონტო ხარჯების დაფარვა პროექტის დასრულების შემდეგ, გადასახადის მომხმარებელზე დაკისრების ან მომატების ჩათვლით.  |        |   |
| 37. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევებს და განსაზღვრეთ შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებები საჭიროებისამებრ.  |        |   |
| 38. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევებს, განსაკუთრებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ხარჯებისა და სარგებელის გამოყოფასთან დაკავშირებული ზემოქმედებები და განსაზღვრეთ შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებები საჭიროებისამებრ. |        |   |

| საჭირო ინფორმაცია  | პასუხი | მტკიცებულებათა წყარო / დამატებითი კომენტარები |
|--|--------|---|
| <b>H. შემდგომი კვლევებისა და კონსულტაციებისადმი მიდგომა</b>  |        |   |
| 39. განსაზღვრეთ, რომელი ალტერნატივები გადავა პროექტის შეფასების ეტაპზე და რომელი ალტერნატივები გამოირიცხება წინასწარი შერჩევის შედეგად, ეკონომიკური ეფექტიანობისა და ფინანსურად ხელმისაწვდომობის საკითხების ჩათვლით.   |        |   |
| 40. ჩამოთვალეთ შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დამატებითი კვლევები. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული ალტერნატივების ჩამონათვალის შემცირების მიზნით აუცილებელია პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა <sup>4</sup> , ახსენით მიზეზი.  |        |   |
| 41. განსაზღვრეთ ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს შემდეგი კვლევების დროს, მსგავსი პროექტების ექს-პოსტ კვლევების შედეგად მიღებული შედეგების ჩათვლით.  |        |   |
| 42. დაადასტურეთ სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების საჭიროება და განსაზღვრეთ გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები.  |        |   |
| 43. განსაზღვრეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესრულების სამართლებრივი საფუძველი. მსგავსი საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში, განსაზღვრეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი უარყოფითი ან დადებითი ეკოლოგიური ეფექტი, რომელიც მიუხედავად სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისა, შესაძლოა საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. მოკლედ ჩამოთვალეთ გარემოზე ძირითადი ზემოქმედებები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეფასების პროცესში. |        |   |
| 44. განსაზღვრეთ კვლევების განხორციელებისთვის და შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ნებისმიერი სახის, ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაცია.   |        |   |

დანართი №2 პროექტის შეფასების სახელმძღვანელო სფეროების მიხედვით

**მრავალდარგობრივი მაგალითები**

ევროპის საინვესტიციო ბანკი: საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება (მათ შორის წყალმომარაგება და წყალარინება, ელექტროენერჯის გამომუშავება და გადამცემი ხაზები, პორტების და ენერგოეფექტურობა)

<http://www.eib.org/attachments/thematic/economic-appraisal-of-investment-projects-en.pdf>

აზიის განვითარების ბანკი: ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (მათ შორის, წყალმომარაგება და წყალარინება, ელექტროენერჯის გამომუშავება და გადამცემი ხაზები)

<http://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/33788/files/cost-benefit-analysis-development.pdf>

**განათლება**

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO): ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი - განათლების დაგეგმვა

<http://unesdoc.unesco.org/images/0013/001390/139042e.pdf>

**კულტურა**

დიდი ბრიტანეთი: ხელოვნებისა და კულტურის ეკონომიკური სარგებელი

<http://www.artscouncil.org.uk/advice-and-guidance/browse-advice-and-guidance/measuring-economic-benefits-arts-culture>

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა:სახმელეთო ტრანსპორტი**

ახალი ზელანდიის სატრანსპორტო ორგანიზაცია: ეკონომიკური შეფასების სახელმძღვანელო

<http://www.nzta.govt.nz/resources/economic-evaluation-manual/economic-evaluation-manual/eem/>

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა:გზები**

ირლანდია, ეროვნული საავტომობილო გზების ორგანო: პროექტის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები

<http://www.nra.ie/policy-publications/project-appraisal-guideli/>

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა:აეროპორტები**

ამერიკის შეერთებული შტატები: საჰაერო ტრანსპორტის ფედერაციის სახელმძღვანელო აეროპორტების დანახარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზის შესახებ

<https://www.faa.gov/regulations-policies/policy-guidance/benefit-cost/media/1999-FAA-Airport-Benefit-Cost-Analysis-Guidance.pdf>

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: რკინიგზა**

ევროპის საინვესტიციო ბანკი: რკინიგზის პროექტის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები

<http://www.eib.org/attachments/pj/railpag-en.pdf>

### **გარემო**

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია: სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული გარემოსდაცვითი პროექტების შეფასების სახელმძღვანელო

<http://www.oecd.org/env/outreach/handbookforappraisalofenvironmentalprojectsfinancedfrompublicfunds.htm>

### **ენერგეტიკა: მომარაგება**

ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრი: ჭკვიანი ქსელების (Smart Grid) და ჭკვიანი მრიცხველების (Smart meters) მოწყობის შესახებ კოლექტიური შრომითი შეთანხმების სახელმძღვანელო

<http://ses.jrc.ec.europa.eu/smart-grid-cost-benefit-analysis>

### **წყალდიდობებისგანდაცვადასანაპიროეროზია**

ბრიტანეთის გარემოს დაცვის სააგენტო: შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის, წყალდიდობისა და სანაპირო ეროზიის რისკების მართვის შეფასების სახელმძღვანელო

<https://www.gov.uk/flood-and-coastal-defence-appraisal-of-projects>

### **ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები**

ავსტრალიის მთავრობის ინფორმაციის მართვის სამსახური: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს ქეისების გზამკვლევი

<http://www.finance.gov.au/files/2012/04/ICT-Business-Case-Guide.pdf>

## დანართი №3 ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ნიმუში

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შინაარსი იცვლება დარგების მიხედვით. დანართში 2 მოცემულია გარკვეული დარგებისთვის გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები.

### 1. მოკლე მიმოხილვა

- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ძირითადი შედეგების შეჯამება და გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გათვლილი რეკომენდაციები.

### 2. პროექტის არსებული კონტექსტის ანალიზი

- განიხილეთ პროექტის კონტექსტი, ინსტიტუციური ჩარჩოს ჩათვლით.
- აღწერეთ წარმოდგენილ სექტორში/ქვე-სექტორში მთავრობის პოლიტიკა და სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების შესაბამისი ფუნქციები.
- აღწერეთ წარმოდგენილ სექტორში/ქვე-სექტორში ინიციატორის/განმახორციელებლის ფუნქცია და მისი პროექტში ჩართვის საფუძველი.
- შეაჯამეთ ნებისმიერი წინასწარი ან მანამდე განხორციელებული კვლევების შედეგები და დასკვნები, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### 3. პროექტის ალტერნატივების შესწავლა

- შეაფასეთ პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესებული მომსახურების მოსალოდნელი დონე და ხარისხი და განსაზღვრეთ არსებული ნებისმიერი ნაკლოვანება ან ხარვეზი, მაგალითად უხარისხო მომსახურება ან მომსახურების შეფერხებული მიწოდება.
- გაითვალისწინეთ მთავრობის პოლიტიკით განსაზღვრული მომსახურების სავალდებულო დონე და შეადარეთ არსებული მომსახურების დონეს.
- განსაზღვრეთ, სამიზნე ჯგუფები, ანუ ვინ სარგებლობს და ვინ საჭიროებს მომსახურებას, მაგალითად სამიზნე მომხმარებლები შესაძლოა განისაზღვროს გეოგრაფიული მდებარეობის ან სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის მიხედვით.
- განსაზღვრული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით შეისწავლეთ სხვადასხვა ალტერნატივა. ალტერნატივა უნდა მოიცავდეს: მარეგულირებელ ცვლილებებს ან სექტორის მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას; არსებული ობიექტების რეაბილიტაციას; ან სრულიად ახალი შენობების მშენებლობას.

### 4. ბაზრის შეფასება და მოთხოვნის ანალიზი

- უზრუნველყავით განსაზღვრულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე) პროექტის სამიზნე ჯგუფის მოთხოვნის პროგნოზირება და განსაზღვრეთ პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში აღნიშნული მოთხოვნის გაზრდის შესაძლებლობა. შეაფასეთ ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ვერ კმაყოფილდება არასაკმარისი რესურსის ან მომსახურების ხარისხის გამო.
- აღნიშნეთ პოტენციური მომხმარებლის მზადყოფნა და უნარი, გადაიხადოს მომსახურების გადასახადი.
- წარმოაჩინეთ პროგნოზები სცენარის სახით, სხვადასხვა შესაძლო შედეგებით, ყველაზე მეტად სავარაუდო შედეგის და ყველაზე უარესი სცენარის ჩათვლით.

## 5. ტექნიკური კვლევების რეზიუმე და პროექტის ხარჯები

- უზრუნველყავით პროექტის საინჟინრო და არა-საინჟინრო ასპექტების ტექნიკური აღწერა. ეს უნდა იყოს პროექტისა და ალტერნატივების ტექნიკური მიზანშეწონილობის შესწავლისას განხორციელებული ტექნიკური და ტექნოლოგიური კვლევების შედეგების ერთგვარი შეჯამება. დეტალური კვლევები ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების ნაწილია.
- განსაზღვრეთ პროექტის პარამეტრები და ფასები, პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის შრომითი ხარჯების ჩათვლით.
- დეტალურად განიხილეთ საინვესტიციო, საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯები. საინვესტიციო ხარჯების შეფასება მოხდება წინასწარი ტექნიკური პროექტირების საფუძველზე.

## 6. სივრცითი დაგეგმარება

- განიხილეთ სივრცით დაგეგმარებასთან დაკავშირებული საკითხები პროექტთან და მის ადგილმდებარეობასთან მიმართებაში.
- აღწერეთ გეგმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემოთავაზებული ზომები. განსაზღვრეთ პროექტის გაგრძელებისთვის საჭირო მისაღები ოფიციალური ნებართვები.
- განსაზღვრეთ მიწის შესყიდვის მოთხოვნები, პროცედურები და ვადები. მიწის შესყიდვის და ნებართვის მოპოვების საკითხები დეტალურად ასახული უნდა იყოს პროექტის განხორციელების გეგმაში.

## 7. ეკონომიკური ანალიზი

- წარმოადგინეთ ეკონომიკის ანალიზის მიდგომა - დანახარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზის მიდგომა.
- განსაზღვრეთ და შეაფასეთ შესაბამისი მატერიალური ხარჯები და სარგებელი.
- აღწერეთ გამოყენებული მონაცემების შეტანის და შეფასების მეთოდები და დაშვებები
- წარმოადგინეთ შემოთავაზებული პროექტის ეკონომიკური ანალიზის შედეგები პროექტის რეალისტურ ალტერნატივებთან და არაქმედების ალტერნატივებთან შედარების გზით.
- ძირითად ანგარიშს თან დაურთეთ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დროს განხორციელებული დეტალური სამუშაოების და ნებისმიერი ეკონომიკური მოდელირების აღწერა.

## 8. რისკის ანალიზი და მართვა

- განსაზღვრეთ ზემოქმედების წყაროები და შეაფასეთ მათი გავლენა პროექტის ეკონომიკურ და ფინანსურ შესრულებაზე.
- წარმოადგინეთ ძირითადი რისკების მართვის გეგმა, შემარბილებელი ღონისძიებების და რეაქტიული ზომების ჩათვლით.

## 9. ფინანსური და ფისკალური ანალიზი

- წარმოადგინეთ შემოთავაზებული პროექტის ფინანსური ანალიზი და ოპერატორი ერთეულის ფინანსური მდგრადობის შეფასების შედეგები, გაანგარიშებისა და შეფასების დროს გამოყენებული მეთოდებისა და მიდგომების ჩათვლით.
- წარმოადგინეთ შემოთავაზებული პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში სახელმწიფო ფინანსებზე მოსალოდნელი ნეტო ზემოქმედების შეფასება, საგადასახადო შემოსავლების ცვლილებების ჩათვლით.
- ძირითად ანგარიშს თან დაურთეთ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დროს განხორციელებული დეტალური სამუშაოების და ნებისმიერი ეკონომიკური მოდელირების აღწერა.



#### **10. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება**

- შეაჯამეთ პროექტის განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები.
- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშს თან დაურთეთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრული ანგარიში, მსგავსის არსებობის შემთხვევაში.

#### **11. განხორციელების და ოპერირების ღონისძიებები**

- წარმოადგინეთ პროექტის განხორციელებასა და ოპერირებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცი(ებ)ის რესურსების შეფასების ანგარიში.
- შეიმუშავეთ და წარმოაჩინეთ პროექტის განხორციელების გეგმა და გრაფიკი.
- აღწერეთ პროექტის მართვის მექანიზმები, ორგანიზაციული ღონისძიებების და პროექტში ჩართულ სხვადასხვა მხარეებს შორის გადანაწილებული პასუხისმგებლობების მითითებით.
- განსაზღვრეთ საორგანიზაციო ღონისძიებები და პროექტის დასრულების შემდეგ მის ოპერირებასა და ტექნიკურ გამართულობაზე პასუხისმგებლობები.

#### **12. დასკვნები პროექტის მიზანშეწონილობის შესახებ**

- შეაჯამეთ და ინტერპრეტაცია გაუკეთეთ წარმოებული კვლევების შედეგებს, ისე რომ შესაძლებელი იყოს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთება.
- წარმოადგინეთ რეკომენდაციები გადაწყვეტილების მიმღებთათვის.

## დანართი №4 პროექტის შეფასების ანგარიშის ნიმუში

### 1. პროექტის კონტექსტი

#### 1.1 პროექტის რეზიუმე

- მოკლედ აღწერეთ პროექტი და დაასახელეთ პროექტის განხორციელებასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ერთეულები.
- წარმოადგინეთ პროექტზე პასუხისმგებელი პირის სახელი და დაკავებული პოზიცია.

#### 1.2 პროექტის მიზნები და მოქმედების სფერო

##### 1.2.1 ინტერვენციის ლოგიკა

- აღწერეთ ძირითადი პრობლემა, ან პროექტის წამოწყების მთავარი მოტივაცია.
- განმარტეთ, თუ რა წვლილი შეიძლება ქონდეს პროექტს განსაზღვრული პრობლემის აღმოფხვრაში ან როგორ მოახდენს მიღებულ შესაძლებლობაზე რეაგირებას.
- შეაჯამეთ პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, დაინტერესებულ მხარეებთან კონულტაციების ჩათვლით.
- ჩამოაყალიბეთ მიზეზი, რის გამოც კერძო სექტორი ვერ შეძლებს განსაზღვრული პრობლემის მოგვარებას ან სათანადო რეაგირებას, და რატომ არის სახელმწიფო სექტორის ჩარევა აუცილებელი.

##### 1.2.2 სტრატეგიული შესაბამისობა

- განსაზღვრეთ საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში მოყვანილი შესაბამისი მიზნები, რომელთა მიღწევაშიც პროექტი გარკვეულ წვლილს შეიტანს. განმარტეთ განსაზღვრული წვლილი.
- განსაზღვრეთ შესაბამისი სამინისტროს სტრატეგიულ გეგმაში მოყვანილი შესაბამისი მიზნები, რომელთა მიღწევაშიც პროექტი გარკვეულ წვლილს შეიტანს. განმარტეთ განსაზღვრული წვლილი.

##### 1.2.3 პროექტის მიზნები

- განსაზღვრეთ:
  - პროექტის საერთო მიზანი, ზემოთ მოყვანილი მიზნების შესაბამისად;
  - პროექტის მიზანი; და
  - პროექტის შედეგები, რომელთა მიღწევაზე პასუხისმგებელი იქნება პროექტის მენეჯმენტი და უფროსი პასუხისმგებელი პირი.
- ხაზგასმით აღნიშნეთ ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც უნდა მოიხსნას, მათ შორის, სხვა სამთავრობო პროექტებზე ან ქმედებებზე დამოკიდებულება, დაგეგმილი მიზნების მისაღწევად.

##### 1.2.4 პროექტის არსი

- დეტალურად აღწერეთ პროექტი, ჩამოთვალეთ პროექტის ყველა შედეგი და მათი უზრუნველყოფისთვის საჭირო ყველა ძირითადი საქმიანობა. საჭიროებისამებრ, მოიშველიეთ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ტექნიკური ნაწილი და თანმხლები საპროექტო კვლევები.

#### 1.3 პროექტის ალტერნატივები

- მოკლედ შეაჯამეთ წინასწარი შერჩევის ეტაპზე შემუშავებული ალტერნატივები და განსაზღვრეთ შერჩეული ალტერნატივების მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარება შემდგომ განხილვას შეფასების ეტაპზე, მათ შორის, ამ ეტაპზე შემუშავებული სხვა ნებისმიერი ახალი ალტერნატივა.
- აღნიშნეთ ალტერნატივებს შორის არსებული ძირითადი ტექნიკური განსხვავებები.

#### 1.4 პროექტით შემოთავაზებულ მომსახურებაზე მოთხოვნა

- შეაჯამეთ მოთხოვნის ძირითადი მახასიათებლები:
  - მეთოდოლოგიური მიდგომა;
  - საბაზისო წლის მოთხოვნა;
  - ზრდის ტემპები და პროგნოზები;

- პროექტის განხორციელებით წარმოქმნილი მოთხოვნა; და
- მოთხოვნასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და რისკები.

## 2. ეკონომიკური ანალიზი

### 2.1 სარგებელი და ხარჯები

#### 2.1.1 ეკონომიკური სარგებელი

- განსაზღვრეთ პროექტის ძირითადი ეკონომიკური სარგებელი, და განასხვავეთ მატერიალური სარგებელი, ანუ საბაზრო ფასებით შეფასებული და არამატერიალური სარგებელი, ანუ რომლებიც ვერ შეფასდება საბაზრო ფასებით.
- არამატერიალურ სარგებელში ერთმანეთისგან გამოყავით ისეთი სარგებელი, რომლის ღირებულება განსაზღვრულია და ისეთი სარგებელი, რომლის ფასეულობა არ არის დადგენილი. მოკლედ განმარტეთ, თუ რა მიზეზით არ შეფასდა არამატერიალური სარგებელი.
- შემდგომ გამოყავით სარგებელი მათით მოსარგებლე ერთეულების მიხედვით:
  - ოპერატორი ორგანიზაცია;
  - მომსახურების მომხმარებლები; ან
  - გარე მხარეები.
- მიუთითეთ პროექტის ალტერნატივებს შორის ამ მხრივ არსებული რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება.

#### 2.1.2 ეკონომიკური ხარჯები

- განსაზღვრეთ პროექტის ძირითადი ეკონომიკური ხარჯები, როგორცაა:
  - პროექტის პირდაპირი ხარჯები. ცალ-ცალკე განიხილეთ საინვესტიციო ხარჯები და საპროექტო ობიექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე ოპერირებასთან და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები;
  - რესურსების განვითარების ხარჯები
  - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილული ეკოლოგიური ზიანის ან სოციალური დისლოკაციის შემარბილებელი ღონისძიებების ხარჯები.
  - მნიშვნელოვანი შესაძლებლობებისთვის გაწეული ხარჯები, არა საბაზრო ოპერაციები, მაგალითად, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი აქტივების გამოყენება.
  - მესამე მხარის მიერ გამოწვეული პროექტის ნებისმიერი ხარჯი.
- აღრიცხეთ გამორიცხული აუნაზღაურებადი დანახარჯები.
- აღწერეთ ხარჯებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება იმ ალტერნატივებს შორის, რომლებიც განხილულია ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში და/ან ტექნიკურ კვლევებში.

### 2.2 სარგებელისა და ხარჯების შეფასება

- დაასახელეთ შესაფასებლად გამოყენებული საორიენტაციო მონაცემები, როგორცაა ფასების მონაცემთა ბაზა და საბაზისო წელი.
- ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში განხილული ალტერნატივების ხარჯების ასახვის მიზნით შეაჯამეთ კორექტირებული საბაზრო ფასები.
- მოკლედ აღწერეთ არამატერიალური სარგებელის და ხარჯების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები.
- შეაჯამეთ ეკონომიკური შეფასება როგორც წმინდა ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველი.
- განსაზღვრეთ იმ სარგებელისა და ხარჯების ფარდობითი მნიშვნელობა, რომელთა ფულადი ღირებულების შეფასება ვერ მოხერხდა. განსაზღვრეთ ის სარგებელი და ხარჯები, რომელთა რაოდენობრივი შეფასება შესაძლებელია და ისინი, რომელთა განხილვა მხოლოდ ხარისხობრივი თვალსაზრისით არის შესაძლებელი.

### 2.3 წმინდა მიმდინარე ღირებულების შეფასება

- შეაჯამეთ ეკონომიკური ღირებულებების და მოთხოვნის შეფასებით მიღებული ფულადი ნაკადები.
- პროექტის თითოეული ალტერნატივისთვის წარმოადგინეთ ფულადი ნაკადები, წმინდა ფულადი ნაკადები და დისკონტირებული წმინდა ფულადი ნაკადები. (ზევრი კომპლექსური ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში, ფულადი ნაკადები შესაძლოა დანართის სახით იყოს წარმოდგენილი, ხოლო ცხრილის ფორმატში შეჯამებული შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს მთავარ ანგარიშში).
- შიდა უკუგების დონის ანალიზის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ წმინდა მიმდინარე ღირებულების ანგარიშის შედეგები.

## **2.4 რისკების ანალიზი**

- შეაჯამეთ პროექტის თითოეული ალტერნატივისთვის განხორციელებული მგრძნობიარობის ანალიზის მინიმალური მოთხოვნების შედეგები და წარმოადგინეთ რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზის დასკვნები უფრო პესიმისტური ვარაუდების სახით.
- წარმოადგინეთ სხვა დამატებითი მგრძნობიარობის ანალიზის შედეგები.
- განმარტეთ მგრძნობიარობის ანალიზის შედეგად განხორციელებული ნებისმიერი დამატებითი სიღრმისეული რისკის ანალიზი და შეაჯამეთ შედეგები.
- შეაჯამეთ პროექტის ძირითადი რისკები, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინების შემდეგ და განმარტეთ, თუ როგორ მოხდება მათი მონიტორინგი და როგორ და ვის მიერ მოხდება მათი მართვა. საჭიროებისამებრ, უფრო დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ რისკის მართვის გეგმას.

## **3. პროექტის ყოვლისმომცველი შეფასება**

### **3.1 ხელმისაწვდომობა და მდგრადობა**

#### **3.1.1 ფინანსური ანალიზი**

- შეაჯამეთ მომგებიანი პროექტებისთვის განხორციელებული ფინანსური ანალიზი.
- აღწერეთ პროექტის და ოპერატორი ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის ანალიზის შედეგები, სუსტი მხარეების აღნიშვნით.
- კომერციული პროექტის შემთხვევაში წარმოადგინეთ ფინანსური მომგებიანობის შედეგები.

#### **3.1.2 საბიუჯეტო ზემოქმედება**

- განსაზღვრეთ პროექტის მოსალოდნელი წმინდა საბიუჯეტო ზემოქმედება მისი განხორციელების და მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

#### **3.1.3 ინსტიტუციური / მენეჯერული მდგრადობა**

- წარმოადგინეთ განმახორციელებელი და ოპერატორი ორგანიზაციების რესურსების შეფასების შედეგები და გამოვლენილი სუსტი მხარეების გადაჭრის გზები.
- შეაჯამეთ განხორციელების გეგმა, მოსალოდნელი განხორციელების პერიოდის მინიშნებით და პროექტის დასრულებამდე გასავლელი ძირითადი ეტაპები.

#### **3.1.4 გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა**

- აღწერეთ ყველა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება ან პოტენციური ზემოქმედება, გარდა ეკონომიკური ანალიზის დროს განხილული ზემოქმედებებისა, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენონ ან განამტკიცონ პროექტის გრძელვადიანი მდგრადობა. საჭიროების შემთხვევაში, მოიშველიეთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- განსაზღვრეთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მათი მოსალოდნელი ეფექტი.

### **3.2 შედეგების შეჯამება და რეკომენდაციები შერჩეულ პროექტთან დაკავშირებით**

- პროექტის თითოეული ალტერნატივისთვის შეაჯამეთ ყოვლისმომცველი შეფასების ძირითადი ელემენტები:
  - წმინდა მიმდინარე ღირებულება (ან წმინდა მიმდინარე ხარჯი).
  - რაოდენობრივი ეკონომიკური ანალიზი უფრო პესიმისტური ვარაუდების სახით.
  - იმ სარგებელისა და ხარჯების მნიშვნელობა, რომელთა ფულადი ღირებულების შეფასება ვერ მოხერხდა.
  - მდგრადობის ფაქტორები:
    - ფინანსური
    - საბიუჯეტო
    - გარემოსდაცვითი და სოციალური
    - მართვის
- პროექტის შერჩეული ალტერნატივისთვის რეკომენდაციების გაწევა, ყოვლისმომცველი ანალიზის ელემენტების მითითებით.

**დანართი №5 საინვესტიციო განაცხადის ფორმა ნაწილი**

1: შემოთავაზებული პროექტების რეზიუმე

| პროგრამა      | ქვე-პროგრამა   | პროექტი    | პროექტის ბენეფიციარ   | შესრულებაზე / მომსახურებაზე   |  |
|---------------|----------------|------------|---|---|--|
| პროგრამა A    | ქვეპროგრამა 1  | პროექტი a) | პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული აქტივების აღწერა, მაგალითად 100 საწოლიანი სპეციალიზებული საავადმყოფო, ან 2 - | მომსახურების ეფექტიანობაზე, ხარისხზე ან რაოდენობაზე გათვლილი ეფექტის შეჯამება - ახალი მომსახურებების ჩათვლით. მომსახურება შესაძლოა იყოს შიდა ან გარე. |  |
|               |                | პროექტი b) |   |   |  |
|               |                | პროექტი c) |   |   |  |
|               | ქვეპროგრამა 2  | პროექტი d) |   |   |  |
|               |                | პროექტი e) |   |   |  |
|               |                | პროექტი f) |   |   |  |
|               | ქვეპროგრამა n  | პროექტი... |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
| პროგრამა B    | ქვეპროგრამა 1  |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
|               | ქვეპროგრამა 2  |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
| ქვეპროგრამა n |                |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
| პროგრამა...   | ქვეპროგრამა... |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |
|               |                |            |   |   |  |

ნაწილი 2: კაპიტალური ხარჯების შეფასებები

| მიმდინარე პროექტების ხარჯები                                   |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|--|-----------------------------|-----------------|-------------------------------|-------------------------------|--------|----------|----------|----------|----------|-----------|--|
| პროექტის სახელწოდება   | საერთო სავარაუდო ღირებულება | დაწყების თარიღი | საერთო ხარჯები t-2 წლის ბოლოს | დაგეგმილი კაპიტალური ხარჯები* |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               | წელი t-1                      | წელი t | წელი t+1 | წელი t+2 | წელი t+3 | წელი t+4 | წელი t+i# |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| სულ  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| ახალი პროექტების ხარჯები დაფინანსების ლიმიტების ფარგლებში      |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| პროექტის სახელწოდება   | საერთო სავარაუდო ღირებულება | დაწყების თარიღი | საერთო ხარჯები t-2 წლის ბოლოს | დაგეგმილი კაპიტალური ხარჯები* |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               | წელი t-1                      | წელი t | წელი t+1 | წელი t+2 | წელი t+3 | წელი t+4 | წელი t+i# |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| სულ  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| ახალი პროექტების ხარჯები დაფინანსების ლიმიტების ფარგლებს ზევით |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| პროექტის სახელწოდება   | საერთო სავარაუდო ღირებულება | დაწყების თარიღი | საერთო ხარჯები t-2 წლის ბოლოს | დაგეგმილი კაპიტალური ხარჯები* |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               | წელი t-1                      | წელი t | წელი t+1 | წელი t+2 | წელი t+3 | წელი t+4 | წელი t+i# |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
|  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| სულ  |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |
| ჯამი   |                             |                 |                               |                               |        |          |          |          |          |           |  |

\*: სადაც t აღნიშნავს მომზადების პროცესში მყოფ საბიუჯეტო წელს და წლები t+1, t+2 და t+3 არის ფისკალური დაგეგმვის საშუალო ჰორიზონტი

#: ხარჯების პროგნოზირება აუცილებელია ყველა პროექტის განხორციელების საბოლოო ეტაპზე

@: არ უნდა იყოს გათვალისწინებული საშუალოვადიან სტრატეგიულ გეგმაში

**საინვესტიციო განაცხადის ფორმის დანართი: ფინანსური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროექტების განაცხადის ფორმა**

**1. პროექტის ადმინისტრაციული ინფორმაცია**

- პროექტის სახელი:
- პროექტის მენეჯერი:
- პასუხისმგებელი ერთეული:
- ერთეულის წარმომადგენელი უფროსი პასუხისმგებელი პირი:
- პასუხისმგებელი სამინისტრო/საბიუჯეტო ორგანიზაცია:
- სამინისტროს/საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენელი უფროსი პასუხისმგებელი პირი:

**2. პროექტის სტატუსი:**

- როდის დაიწყება განხორციელება და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად:
  - დეტალური პროექტირების დასრულების ვადა; სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების ვადა;
  - შესყიდვების გეგმის შემუშავების ვადის დასრულება;
  - საჭირო ნებართვის მიღების ვადა; მიწის გამოსყიდვის (ექსპროპრიაცია და სხვა) დასრულების ვადა
- სავარაუდოდ როდის დამთავრდება პროექტის მშენებლობა?

**3. პროექტის აღწერა და დასაბუთება:**

- საზოგადოებაში ან საჯარო სექტორში არსებული რა პრობლემის მოგვარებისკენ არის პროექტი მიმართული?
- რა აქტივ(ებ)ი შეიქმნება და რა იქნება მისი მასშტაბი/მოცულობა (რაოდენობრივი მაჩვენებელი)?
- როგორ მოხდება გამოვლენილი პრობლემის ან საკითხის მოგვარება?
- ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები და რა არის მათი მოსალოდნელი მოთხოვნა მომსახურებაზე (რაოდენობითი მაჩვენებელი)?

**4. სტრატეგიული ამოცანა:**

- სახელმწიფოს ან სამინისტროს რომელი სტრატეგიული მიზნის მიღწევაში შეიტანს წვლილს პროექტი და როგორ?
- სად არის აღნიშნული სტრატეგიული მიზნები გადმოცემული (მიუთითეთ დოკუმენტი, გადაწყვეტილება და ა.შ.)?

**5. სისტემური ანალიზი:**

- განხორციელდა თუ არა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სახელმძღვანელოსა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით?
- განხორციელდა თუ არა პროექტის ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობის ანალიზი სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სახელმძღვანელოსა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით? თუ კი, ძალიან მოკლედ შეაჯამეთ შედეგები.
- განხორციელდა თუ არა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით, სახელმწიფო ინვესტიციების მართვის სახელმძღვანელოსა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შესაბამისად? თუ კი, ძალიან მოკლედ შეაჯამეთ შედეგები.
- არის თუ არა მოსალოდნელი რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე? ვინ შეიძლება დაზარალდეს პროექტის განხორციელების შედეგად?

**6. ვარაუდები და რისკები**

- რა არის პროექტის მიზანშეწონილობის ძირითადი საფუძველი?
- რა რისკებმა შეიძლება იქონიონ გავლენა პროექტის დაგეგმილ წმინდა სარგებელზე? რამდენად სავარაუდოა აღნიშნული რისკების გამოვლენა? რა წინასწარი შემარბილებელი ღონისძიებებია

გათვალისწინებული? რა დამატებითი ზომების მიღების შესაძლებლობა არსებობს აღნიშნული რისკების გამოვლენის შემთხვევაში?

- არის თუ არა პროექტის წარმატება დამოკიდებული სხვა რომელიმე პროექტის დასრულებაზე? თუ ასეა, მიუთითეთ რა სტადიაშია აღნიშნული პროექტი.

**7. პროექტის სავარაუდო მიმდინარე ხარჯები**

- პროექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ რა დამატებითი მოთხოვნები იქნება მოსალოდნელი ოპერირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯებთან დაკავშირებით?

პროექტის სახელი:

|  | დასრულების წელი+1 | დასრულების წელი+2 | „გარე წელი“ (საშუალო) |
|--|-------------------|-------------------|-----------------------|
| საოპერაციო ხარჯები (A)                               |                   |                   |                       |
| ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები (B)           |                   |                   |                       |
| სულ მიმდინარე ხარჯები (C = A+B)                      |                   |                   |                       |
| საოპერაციო ხარჯების დანაზოგი (D)                     |                   |                   |                       |
| ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების დანაზოგი (E) |                   |                   |                       |
| წმინდა მიმდინარე ხარჯები (F = C - D - E)             |                   |                   |                       |
| ბიუჯეტის შემოსავლები (G) არსებობის შემთხვევაში       |                   |                   |                       |
| წმინდა საბიუჯეტო მიმდინარე ხარჯები (H = F - G)       |                   |                   |                       |

ზემოთ მოყვანილ ცხრილში:

- “გარე წელი”-ს სვეტი წარმოადგენს საშუალო პოსტ-მშენებლობის / შეძენის წელს. აქედან გამომდინარე, ის საჭიროებს არარეგულარული ტექნიკური (და შესაძლოა ოპერატიული) ხარჯების გასაშუალოებას, რათა შესაძლებელი გახდეს პროექტის გახანგრძლივებული მიმდინარე ხარჯების ადეკვატური შეფასება.
  - მწკრივი A, B და C ეხება შემოთავაზებული პროექტის საოპერაციო და ტექნიკურ ხარჯებს. აღნიშნული მწკრივები უნდა შეივსოს ყველა შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტისთვის.
  - მწკრივები D და E უკავშირდება მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც (1) შეცვლიან სხვა აქტივებს, და რომელთა საოპერაციო და ტექნიკური ხარჯები დარჩება უცვლელად, ან (2) ხარჯების შემამცირებელი ინვესტიციებისთვის, რომლებიც გამოიწვევენ მნიშვნელოვანი საოპერაციო ხარჯების დაზოგვას (მაგ: შრომის დაზოგვის ტექნოლოგია, რომელიც ავტომატიზებული პროცესის შედეგად შეამცირებს სამომავლოდ კადრების აყვანით გაწეულ ხარჯებს).
  - მწკრივი G შეესაბამება მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც ბიუჯეტისთვის გამოიმუშავენ შემოსავლებს, მაგალითად მომხმარებლებზე გადასახადის დაწესებით. აქ გათვალისწინებულია მხოლოდ პირდაპირი შემოსავლები, და არა არაპირდაპირი საგადასახადო შემოსავლები.
- სავარაუდოდ როგორ მოხდება აღნიშნული ხარჯების დაფინანსება?



**8. პროექტის განხორციელების მონიტორინგის ძირითადი მაჩვენებლები**

- რა ღონისძიებებია საჭირო პროექტის განხორციელების მონიტორინგისთვის? (წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ მოკლე მიმოხილვა).

|  | წელი 1 | წელი 2 | წელი 3 | წელი 4 | წელი 5 |
|--|--------|--------|--------|--------|--------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• დაგეგმვისა და განხორციელების ძირითადი ეტაპები (თარიღების მინიშნებით)</li> <li>• ერთ წელიწადში დასასრულებელი ძირითადი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო მოცულობა (რაოდენობების მითითებით); და /ან</li> <li>• ფიზიკური დასრულების %</li> </ul> |        |        |        |        |        |

- გეგმიდან გადაცდომის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ახსნა-განმარტება

**დანართი №6**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანება №283 - ვებგვერდი, 30.07.2018წ.

**მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქცია**

მართვისა და რეგულირების პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ✓ თავდაპირველად გამოიყოფა ის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც შეიმუშავენ შესაბამის სფეროში პოლიტიკას ან/და კოორდინაციას უწევენ მის განხორციელებას (აქ არ იგულისხმება ე.წ. დამხმარე დეპარტამენტები/სტრუქტურული ერთეულები, როგორცაა, მაგალითად: იურიდიული, ეკონომიკური, სამეურნეო, ლოჯისტიკა, შესყიდვები, ადამიანური რესურსები და ა.შ.);
- ✓ გამოითვლება პროგრამის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის რა პროცენტი აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავეთა რიცხოვნობა საშტატო განრიგის მიხედვით;
- ✓ გამოითვლება მიღებული საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურება;
- ✓ დარჩენილი მიმდინარე ხარჯი (ხარჯები ზევით მიღებული შრომის ანაზღაურების გამოკლებით) უნდა გადანაწილდეს პროცენტულად შესაბამის დეპარტამენტზე. ამ შემთხვევაში პროცენტი გამოითვლება აღნიშნული დეპარტამენტების რიცხოვნობების ჯამიდან თითოეულის წილის მიხედვით;

- ✓ გასათვალისწინებელია, რომ, თუ მიმდინარე ხარჯების ფარგლებში გათვალისწინებულია კონკრეტული თანხა, კონკრეტული ერთჯერადი ხასიათის ხარჯებისთვის ეს რესურსი უნდა უნდა დაემატოს შესაბამისი დეპარტამენტისთვის მიღებული ხარჯების მოცულობას, იმ შემთხვევაში, თუ ცალკე ღონისძიებად არ არის გამოყოფილი სამოქმედო გეგმაში ის მიზანი, რისთვისაც აღნიშნული სახსრებია გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში სახსრების გათვალისწინებული იქნება პირდაპირ იმ კონკრეტული ღონისძიების ხარჯთაღრიცხვაში; მათ შორის, თუ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხორციელდება კონსულტანტების დაქირავება, თარგმნის სამუშაოები ან სხვა, რისი გამიჯვნაც შესაძლებელია, სხვა დანარჩენი ხარჯებიდან ემატება კონკრეტულ ღონისძიებას.
- ✓ სტრუქტურული ერთეულების შრომის ანაზღაურებისა და დარჩენილი მიმდინარე ხარჯის ჯამი წარმოადგენს ამ ერთეულების მიმდინარე ხარჯს (ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი);
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული თანხიდან ერთჯერადი ხასიათის ხარჯები, რომელიც უნდა მოხმარდეს კონკრეტულ სტრუქტურული ერთეულს (რომლებიც მონაწილეობენ სამოქმედო გეგმაში), უნდა დაემატოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტს, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი, რომელიც თანაბრად ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებისთვის არის საჭირო, გადანაწილდეს ზემოაღნიშნული პრინციპით (პროცენტულად);

ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული ასიგნება ან ასიგნების ნაწილი შესაძლებელია ცალკე ღონისძიებად იყოს ჩაშლილი ხარჯთაღრიცხვაში (მშენებლობა, რეაბილიტაცია და ა.შ. შინაარსობრივად).

**მიღებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის, ფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების მუხლების ჯამი წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულებისთვის განსაზღვრულ წლიურ ბიუჯეტს (აღნიშნული შეესაბამება შესაბამის პროგრამულ კოდზე წლიური ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ ასიგნებას).**

- ✓ სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტი უნდა გაიყოს რიცხოვნობაზე და წელიწადში დღეების რაოდენობაზე (დაახლოებით 250 დღე შაბათ-კვირისა და სხვა უქმეების გამოკლებით) და მიიღება ერთი თანამშრომლის საშუალო ხარჯი დღეში (კაც/დღე);
- ✓ ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს, თითოეული ქვეპროგრამის/ღონისძიების განხორციელებაში საშტატო რიცხოვნობის მიხედვით რამდენი ადამიანი მონაწილეობს;
- ✓ უნდა განისაზღვროს ასევე თითოეული ქვეპროგრამის/ღონისძიების განხორციელებისთვის საჭირო დღეების რაოდენობა;

თანამშრომელთა რაოდენობის გამრავლებით საშუალო ხარჯზე დღეში და დღეების რაოდენობაზე, მიიღება ქვეპროგრამის/ღონისძიების მიხედვით შესაბამისი ბიუჯეტი.

შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვაში გამოიყოს ცალკე „სხვა მიმდინარე ხარჯი“ (რომელიც არ არის გადანაწილებული ქვეპროგრამების/ღონისძიებების მიხედვით) და განისაზღვროს შესაბამისი თანხა.

**შენიშვნა:**

- მართვისა და რეგულირების პროგრამის ბიუჯეტი (ხარჯთაღრიცხვით მიღებული თანხა) უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წლის წლიურ ბიუჯეტში შესაბამის პროგრამულ კოდზე გათვალისწინებულ ასიგნებას.
- სამინისტროს ბიუჯეტი ჯამურად (ხარჯთაღრიცხვით მიღებული თანხა) უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წლის წლიურ ბიუჯეტში შესაბამის პროგრამულ კოდზე გათვალისწინებულ ასიგნებას (საბიუჯეტო სახსრები და დონორის დაფინანსება, რომელიც ასახულია წლიური ბიუჯეტის კანონში, საკუთარი სახსრები, რომელიც ასახულია ელექტრონული ბიუჯეტის პროგრამაში E-Budget.ge და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით სამინისტროსთვის განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობას (საბიუჯეტო სახსრები და საკუთარი შემოსავლების ნაწილი).
- სამინისტროების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება ქვეპროგრამები და ღონისძიებები დაფინანსების ყველა წყაროს მითითებით.

ქვემოთ იხილეთ მართვისა და რეგულირების პროგრამებისთვის ღონისძიებების განფასების მაგალითი, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა:

**ა) კაც/დღეების და კაც/საათების გაანგარიშება:**

| 1             | 2   | 3           | 4       | 5  |
|---------------|---|-------------|---------|--|
| სტრიქონების N | დასახელება  | რაოდენობა   | ერთეული | მესამე სვეტში ასახული ინფორმაციის განმარტება |
| 1             | პროგრამულ კოდზე ხარჯების წლიური გეგმა                 | 3,000,000.0 | ლარი    |  |
| 2             | მ.შ. შრომის ანაზღაურება                               | 1,718,000.0 | ლარი    |  |
| 3             | მ.შ. სხვა მიმდინარე ხარჯები                           | 1,282,000.0 | ლარი    | 1-2  |
| 4             | პროგრამულ კოდზე ჯამური საშტატო რიცხოვნობა             | 80.0        | ერთეული |  |
| 5             | მ.შ. ძირითადი სტრუქტურული ერთეულის საშტატო რიცხოვნობა | 15.0        | ერთეული |  |

| საათობრივად |                                    |           |         |  |
|-------------|------------------------------------|-----------|---------|--|
|             |                                    | რაოდენობა | ერთეული | ერთეული  |
| 6           | სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში | 40.0      | საათი   | 5 სამუშაო დღე (კვირაში) X 8 სამუშაო საათი (დღეში) = 40 |

|    |  |       |       |  |
|----|--|-------|-------|--|
| 7  | სამუშაო საათების რაოდენობა თვეში   | 160.0 | საათი | 40 სამუშაო საათი (კვირაში) X 4 კვირა (თვეში) = 160 |
| 8  | საშუალო მიმდინარე ხარჯი 1 ერთეულზე საათში (შრომის გარდა)                                   | 8.3   | ლარი  | 3/4/12(თვე)/7                                      |
| 9  | თანამშრომლის საშუალო შრომის ანაზღაურება საათში   | 11.2  | ლარი  | 2/4/12(თვე)/7                                      |
| 10 | სულ ხარჯი 1 ერთეულზე 1 საათში  | 19.5  | ლარი  | 8+9  |
| 11 | პირობითად 1 ადამიანის მთლიანი ხარჯი 1 საათში (მირითადი სტრუქტურული ერთეულის მიზნებისათვის) | 20.0  | ლარი  | სტრიქონი 10 დამრგვალებული                          |

| დღიურად |  |           |         |                           |
|---------|--|-----------|---------|---------------------------|
|         |  | რაოდენობა | ერთეული | ერთეული                   |
| 12      | სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში  | 250.0     | დღე     | 250 დღე წელიწადში         |
| 13      | საშუალო ხარჯი 1 ერთეულზე დღეში (შრომის გარდა)  | 66.8      | ლარი    | 8*8(სამუშაო საათები)      |
| 14      | თანამშრომლის საშუალო შრომის ანაზღაურება დღეში  | 89.5      | ლარი    | 9*8(სამუშაო საათები)      |
| 15      | სულ 1 ერთეულზე ხარჯი დღეში   | 156.3     | ლარი    | 14+15                     |
| 16      | პირობითად აპარატის შემთხვევაში 1 ადამიანის მთლიანი ხარჯი 1 დღეში (მირითადი სტრუქტურული ერთეულის მიზნებისათვის) | 156.0     | ლარი    | სტრიქონი 15 დამრგვალებული |

ბ) სტრუქტურული ერთეულის მიხედვით ხარჯების გაანგარიშება და ღონისძიებების განფასება:

**ცხრილი 1: გაანგარიშებისთვის საჭირო ინფორმაცია კონკრეტული აპარატის პროგრამული კოდზე ბიუჯეტის შესახებ**

|  |           |
|--|-----------|
| პროგრამული კოდის ჯამური ბიუჯეტი (ლარი) | 3,000,000 |
| მომუშავეთა რიცხოვნობა                  | 80        |
| <b>ხარჯები</b>                         | 2,860,000 |
| შრომის ანაზღაურება                     | 1,718,000 |
| საქონელი და მომსახურება                | 950,000   |
| გრანტები                               | 50,000    |
| სოციალური უზრუნველყოფა                 | 80,000    |
| სხვა ხარჯები                           | 62,000    |
| არაფინანსური აქტივების ზრდა            | 140,000   |

გადასახდელი შრომის ანაზღაურების გარდა - 1 282 000 ლარი (3 000 000 – 1 718 000).

**ცხრილი 2: ხარჯთაღრიცხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით**

| დეპარტამენტის დასახელება                                   | რიცხოვნობა | შრომის ანაზღაურება წლიური | მ.შ. თანამდებობრივი სარგო | მ.შ. სხვა (დანამატი, ჯილდო) | დეპარტამენტის რიცხოვნობის % მთლიან რიცხოვნობაში | მთლიან ხარჯებს გამოკლებული შრომის ანაზღაურება გადანაწილებული პროცენტულად | დეპარტამენტების მიხედვით ბიუჯეტი (3+7) | ძირითადი დეპარტამენტების რიცხოვნობის % , ძირითადი დეპარტამენტების ჯამურ რიცხოვნობა სთან | დამხმარე დეპარტამენტის ხარჯი გადანაწილებული პროცენტულად მხოლოდ ძირითად დეპარტამენტებზე | სულ ძირითადი დეპარტამენტების ხარჯი (8+10) | დამრგვალებული |
|--|------------|---------------------------|---------------------------|-----------------------------|---|--|--|---|--|---|---------------|
| 1  | 2          | 3                         | 4                         | 5                           | 6   | 7  | 8                                      | 9   | 10   | 11  |               |
| ეკონომიკური დეპარტამენტი                                   | 10         | 230,000                   | 180,000                   | 50,000                      | 13%   | 160,250.0  | 390,250.0                              |   |  |   |               |
| იურიდიული დეპარტამენტი                                     | 10         | 215,000                   | 180,000                   | 35,000                      | 13%   | 160,250.0  | 375,250.0                              |   |  |   |               |
| ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი                 | 20         | 343,000                   | 288,000                   | 55,000                      | 25%   | 320,500.0  | 663,500.0                              |   |  |   |               |
| I ძირითადი დეპარტამენტი - პოლიტიკის შემუშავება და მართვა   | 15         | 350,000                   | 270,000                   | 80,000                      | 19%   | 240,375.0  | 590,375.0                              | 37.5%   | 535,875.0  | 1,126,250.0                               | 1,126,000.0   |
| II ძირითადი დეპარტამენტი - პოლიტიკის შემუშავება და მართვა  | 15         | 350,000                   | 270,000                   | 80,000                      | 19%   | 240,375.0  | 590,375.0                              | 37.5%   | 535,875.0  | 1,126,250.0                               | 1,126,000.0   |
| III ძირითადი დეპარტამენტი - პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 10         | 230,000                   | 180,000                   | 50,000                      | 13%   | 160,250.0  | 390,250.0                              | 25.0%   | 357,250.0  | 747,500.0                                 | 748,000.0     |
|  | 80         | 1,718,000                 | 1,368,000                 | 350,000                     |   | 1,282,000.0  | 3,000,000.0                            |   | 1,429,000.0  | 3,000,000.0                               | 3,000,000.0   |

*ძირითადი დეპარტამენტების რიცხოვნობის ჯამი - 40*

*საშუალოდ ძირითადი დეპარტამენტის შრომის ანაზღაურება დღეში (დეპარტამენტის ბიუჯეტი/15 ერთეულზე/250 დღეზე) – 300.3*

**ცხრილი 3: ბიუჯეტების გაანგარიშება ღონისძიებების მიხედვით ერთ დეპარტამენტზე (II ძირითადი დეპარტამენტის ღონისძიებების მაგალითზე**

| II ძირითადი დეპარტამენტის -<br>პოლიტიკის შემუშავება და მართვის<br>დეპარტამენტის მიერ<br>განსახორციელებელი ღონისძიებები | დღეების<br>რაოდენობა | საშუალო<br>ხარჯი დღეში<br>(ლარი/დღეში) | ღონისძიების<br>განხორციელებაში<br>მონაწილე<br>თანამშრომელთა<br>რაოდენობა | ხარჯი<br>(დღეების<br>მიხედვით)<br>(2X3X4) |
|--|----------------------|--|--|---|
| 1  | 2                    | 3                                      | 4  | 5   |
| ღონისძიება 1   | 170                  | 300                                    | 15   | 765,000.0                                 |
| ღონისძიება 2   | 40                   | 300                                    | 9  | 108,000.0                                 |
| ღონისძიება 3   | 24                   | 300                                    | 9  | 64,800.0                                  |
| ღონისძიება 4   | 23                   | 300                                    | 10   | 69,000.0                                  |
| ღონისძიება 5   | 40                   | 300                                    | 10   | 120,000.0                                 |
| <b>ჯამი</b>  | <b>297</b>           |  |  | <b>1,126,800.0</b>                        |

**მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის  
მომზადების ინსტრუქცია**

მართვისა და რეგულირების პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ✓ თავდაპირველად გამოიყოფა ის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც შეიმუშვებენ შესაბამის სფეროში პოლიტიკას ან/და კოორდინაციას უწევენ მის განხორციელებას (აქ არ იგულისხმება ე.წ. დამხმარე დეპარტამენტები/სტრუქტურული ერთეულები, როგორცაა მაგალითად: იურიდიული, ეკონომიკური, სამეურნეო, ლოჯისტიკა, შესყიდვები, ადამიანური რესურსები და ა.შ.);
- ✓ გამოითვლება პროგრამის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის რა პროცენტია აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში მომუშავეთა რიცხოვნობა საშტატო განრიგის მიხედვით;
- ✓ გამოითვლება მიღებული საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურება;
- ✓ დარჩენილი მიმდინარე ხარჯი (ხარჯები ზევით მიღებული შრომის ანაზღაურების გამოკლებით) უნდა გადანაწილდეს პროცენტულად შესაბამის დეპარტამენტებზე. ამ შემთხვევაში პროცენტი გამოითვლება აღნიშნული დეპარტამენტების რიცხოვნობების ჯამიდან თითოეულის წილის მიხედვით;
- ✓ გასათვალისწინებელია, რომ თუ მიმდინარე ხარჯების ფარგლებში გათვალისწინებულია კონკრეტული თანხა, კონკრეტული ერთჯერადი ხასიათის ხარჯებისთვის ეს რესურსი უნდა უნდა დაემატოს შესაბამისი დეპარტამენტისთვის მიღებული ხარჯების მოცულობას, იმ შემთხვევაში თუ ცალკე ღონისძიებად არ არის გამოყოფილი სამოქმედო გეგმაში ის მიზანი რისთვისაც აღნიშნული სახსრებია გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში სახსრების გათვალისწინებული იქნება პირდაპირ იმ კონკრეტული ღონისძიების ხარჯთაღრიცხვაში; მათ შორის თუ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხორცილდება კონსულტანტების დაქირავება, თარგმნის სამუშაოები ან სხვა რისი გამიჯვნაც შესაძლებელია სხვა დანარჩენი ხარჯებიდან ემატება კონკრეტულ ღონისძიებას.

- ✓ სტრუქტურული ერთეულების შრომის ანაზღაურებისა და დარჩენილი მიმდინარე ხარჯის ჯამი წარმოადგენს ამ ერთეულების მიმდინარე ხარჯს (ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი);
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული თანხიდან ერთჯერადი ხასიათის ხარჯები, რომელიც უნდა მოხმარდეს კონკრეტულ სტრუქტურული ერთეულებს (რომლებიც მონაწილეობენ სამოქმედო გეგმაში) უნდა დაემატოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტს, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი, რომელიც თანაბრად ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებისთვის არის საჭირო გადანაწილდეს ზემოაღნიშნული პრინციპით (პროცენტულად);

ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული ასიგნება ან ასიგნების ნაწილი შესაძლებელია ცალკე ღონისძიებად იყოს ჩაშლილი ხარჯთაღრიცხვაში (მშენებლობა, რეაბილიტაცია და ა.შ. შინაარსობრივად).

**მიღებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის, ფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების მუხლების ჯამი წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულებისთვის განსაზღვრულ წლიურ ბიუჯეტს (აღნიშნული შეესაბამება შესაბამის პროგრამულ კოდზე წლიური ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ ასიგნებას).**

- ✓ სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტი უნდა გაიყოს რიცხოვნობაზე და წელიწადში დღეების რაოდენობაზე (დაახლოებით 250 დღე შაბათ-კვირისა და სხვა უქმეების გამოკლებით) და მიიღება ერთი თანამშრომლის საშუალო ხარჯი დღეში (კაც/დღე);
- ✓ ამის შემდეგ, უნდა განისაზღვროს თითოეული ქვეპროგრამის/ღონისძიების განხორციელებაში საშტატო რიცხოვნობის მიხედვით რამდენი ადამიანი მონაწილეობს;
- ✓ უნდა განისაზღვროს ასევე თითოეული ქვეპროგრამის/ღონისძიების განხორციელებისთვის საჭირო დღეების რაოდენობა;

თანამშრომელთა რაოდენობის გამრავლებით საშუალო ხარჯზე დღეში და დღეების რაოდენობაზე, მიიღება ქვეპროგრამის/ღონისძიების მიხედვით შესაბამისი ბიუჯეტი.

შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვაში გამოიყოს ცალკე „სხვა მიმდინარე ხარჯი“ (რომელიც არ არის გადანაწილებული ქვეპროგრამების/ღონისძიებების მიხედვით) და განისაზღვროს შესაბამისი თანხა.

**შენიშვნა:**



- მართვისა და რეგულირების პროგრამის ბიუჯეტი (ხარჯთაღრიცხვით მიღებული თანხა) უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წლის წლიურ ბიუჯეტში შესაბამის პროგრამულ კოდზე გათვალისწინებულ ასიგნებას.
- სამინისტროს ბიუჯეტი ჯამურად (ხარჯთაღრიცხვით მიღებული თანხა) უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წლის წლიურ ბიუჯეტში შესაბამის პროგრამულ კოდზე გათვალისწინებულ ასიგნებას (საბიუჯეტო სახსრები და დონორის დაფინანსება, რომელიც ასახულია წლიური ბიუჯეტის კანონში, საკუთარი სახსრები, რომელიც ასახულია ელექტრონული ბიუჯეტის პროგრამაში E-Budget.ge და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით სამინისტროსთვის განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობას (საბიუჯეტო სახსრები და საკუთარი შემოსავლების ნაწილი).
- სამინისტროების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება ქვეპროგრამები და ღონისძიებები დაფინანსების ყველა წყაროს მითითებით.

ქვემოთ იხილეთ მართვისა და რეგულირების პროგრამებისთვის ღონისძიებების განფასების მაგალითი, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა:

ა) კაც/დღეების და კაც/საათების გაანგარიშება:

| 1             | 2   | 3           | 4       | 5   |
|---------------|---|-------------|---------|---|
| სტრიქონების N | დასახელება  | რაოდენობა   | ერთეული | მესამე სვეტში ასახული ინფორმაციისგანმარტება |
| 1             | პროგრამულ კოდზე ხარჯების წლიური გეგმა                 | 3,000,000.0 | ლარი    |   |
| 2             | მ.შ. შრომის ანაზღაურება                               | 1,718,000.0 | ლარი    |   |
| 3             | მ.შ. სხვა მიმდინარე ხარჯები                           | 1,282,000.0 | ლარი    | 1-2   |
| 4             | პროგრამულ კოდზე ჯამური საშტატო რიცხოვნობა             | 80.0        | ერთეული |   |
| 5             | მ.შ. ძირითადი სტრუქტურული ერთეულის საშტატო რიცხოვნობა | 15.0        | ერთეული |   |

| საათობრივად |  |           |         |  |
|-------------|--|-----------|---------|--|
|             |  | რაოდენობა | ერთეული | ერთეული  |
| 6           | სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში                       | 40.0      | საათი   | 5 სამუშაო დღე (კვირაში) X 8 სამუშაო საათი (დღეში) = 40 |
| 7           | სამუშაო საათების რაოდენობა თვეში                         | 160.0     | საათი   | 40 სამუშაო საათი (კვირაში) X 4 კვირა (თვეში) = 160     |
| 8           | საშუალო მიმდინარე ხარჯი 1 ერთეულზე საათში (შრომის გარდა) | 8.3       | ლარი    | 3/4/12(თვე)/7  |

|    |  |      |      |                           |
|----|--|------|------|---------------------------|
| 9  | თანამშრომლის საშუალო შრომის ანაზღაურება საათში   | 11.2 | ლარი | 2/4/12(თვე)/7             |
| 10 | სულ ხარჯი 1 ერთეულზე 1 საათში  | 19.5 | ლარი | 8+9                       |
| 11 | პირობითად 1 ადამიანის მთლიანი ხარჯი 1 საათში (მირითადი სტრუქტურული ერთეულის მიზნებისათვის) | 20.0 | ლარი | სტრიქონი 10 დამრგვალებული |

| დღიურად |   |           |         |                           |
|---------|---|-----------|---------|---------------------------|
|         |   | რაოდენობა | ერთეული | ერთეული                   |
| 12      | სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში   | 250.0     | დღე     | 250 დღე წელიწადში         |
| 13      | საშუალო ხარჯი 1 ერთეულზე დღეში (შრომის გარდა)   | 66.8      | ლარი    | 8*8(სამუშაო საათები)      |
| 14      | თანამშრომლის საშუალო შრომის ანაზღაურება დღეში   | 89.5      | ლარი    | 9*8(სამუშაო საათები)      |
| 15      | სულ 1 ერთეულზე ხარჯი დღეში  | 156.3     | ლარი    | 14+15                     |
| 16      | პირობითად აპარატის შემთხვევაში 1 ადამიანის მთლიანი ხარჯი 1 დღეში (მირითადის სტრუქტურული ერთეულის მიზნებისათვის) | 156.0     | ლარი    | სტრიქონი 15 დამრგვალებული |

ბ) სტრუქტურული ერთეულის მიხედვით ხარჯების გაანგარიშება და ღონისძიებების განფასება:

**ცხრილი 1: გაანგარიშებისთვის საჭირო ინფორმაცია კონკრეტული აპარატის პროგრამული კოდზე ბიუჯეტის შესახებ**

|  |           |
|--|-----------|
| პროგრამული კოდის ჯამური ბიუჯეტი (ლარი) | 3,000,000 |
| მომუშავეთა რიცხოვნობა                  | 80        |
| <b>ხარჯები</b>                         | 2,860,000 |
| შრომის ანაზღაურება                     | 1,718,000 |
| საქონელი და მომსახურება                | 950,000   |
| გრანტები                               | 50,000    |
| სოციალური უზრუნველყოფა                 | 80,000    |
| სხვა ხარჯები                           | 62,000    |
| არაფინანსური აქტივების ზრდა            | 140,000   |

გადასახდელი შრომის ანაზღაურების გარდა - 1 282 000 ლარი (3 000 000 – 1 718 000).

**ცხრილი 2: ხარჯთაღრიცხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით**

| დეპარტამენტის დასახელება                                   | რიცხოვნობა | შრომის ანაზღაურება წლიური | მ.შ. თანამდებობრივი სარგო | მ.შ. სხვა (დანამატი, ჯილდო) | დეპარტამენტის რიცხოვნობის % მთლიან რიცხოვნობაში | მთლიან ხარჯებს გამოვლი შრომის ანაზღაურება გადანაწილებული პროცენტულად | დეპარტამენტების მიხედვით ბიუჯეტი (3+7) | ძირითადი დეპარტამენტების რიცხოვნობის % , ძირითადი დეპარტამენტების ჯამური რიცხოვნობა სთან | დამხმარე დეპარტამენტის ხარჯი გადანაწილებული პროცენტულად მხოლოდ ძირითად დეპარტამენტებზე | სულ ძირითადი დეპარტამენტების ხარჯი (8+10) | დამრგვალებული |
|--|------------|---------------------------|---------------------------|-----------------------------|---|--|--|--|--|---|---------------|
| 1  | 2          | 3                         | 4                         | 5                           | 6   | 7  | 8                                      | 9  | 10   | 11  |               |
| ეკონომიკური დეპარტამენტი                                   | 10         | 230,000                   | 180,000                   | 50,000                      | 13%   | 160,250.0  | 390,250.0                              |  |  |   |               |
| იურიდიული დეპარტამენტი                                     | 10         | 215,000                   | 180,000                   | 35,000                      | 13%   | 160,250.0  | 375,250.0                              |  |  |   |               |
| ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი                 | 20         | 343,000                   | 288,000                   | 55,000                      | 25%   | 320,500.0  | 663,500.0                              |  |  |   |               |
| I ძირითადი დეპარტამენტი - პოლიტიკის შემუშავება და მართვა   | 15         | 350,000                   | 270,000                   | 80,000                      | 19%   | 240,375.0  | 590,375.0                              | 37.5%  | 535,875.0  | 1,126,250.0                               | 1,126,000.0   |
| II ძირითადი დეპარტამენტი - პოლიტიკის შემუშავება და მართვა  | 15         | 350,000                   | 270,000                   | 80,000                      | 19%   | 240,375.0  | 590,375.0                              | 37.5%  | 535,875.0  | 1,126,250.0                               | 1,126,000.0   |
| III ძირითადი დეპარტამენტი - პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 10         | 230,000                   | 180,000                   | 50,000                      | 13%   | 160,250.0  | 390,250.0                              | 25.0%  | 357,250.0  | 747,500.0                                 | 748,000.0     |
|  | 80         | 1,718,000                 | 1,368,000                 | 350,000                     |   | 1,282,000.0  | 3,000,000.0                            |  | 1,429,000.0  | 3,000,000.0                               | 3,000,000.0   |

ძირითადი დეპარტამენტების რიცხოვნობის ჯამი - 40

საშუალოდ ძირითადი დეპარტამენტის შრომის ანაზღაურება დღეში (დეპარტამენტის ბიუჯეტი/15 ერთეულზე/250 დღეზე) – 300.3

ცხრილი 3: ბიუჯეტების გაანგარიშება ღონისძიებების მიხედვით ერთ დეპარტამენტზე (II ძირითადი დეპარტამენტის ღონისძიებების მაგალითზე)

| II ძირითადი დეპარტამენტის - პოლიტიკის შემუშავება და მართვის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები | დღეების რაოდენობა | საშუალო ხარჯი დღეში (ლარი/დღეში) | ღონისძიების განხორციელებაში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა | ხარჯი (დღეების მიხედვით) (2X3X4) |
|---|-------------------|----------------------------------|--|----------------------------------|
| 1   | 2                 | 3                                | 4  | 5                                |
|   |                   |                                  |  |                                  |

|              |            |     |    |                    |
|--------------|------------|-----|----|--------------------|
| ღონისძიება 1 | 170        | 300 | 15 | 765,000.0          |
| ღონისძიება 2 | 40         | 300 | 9  | 108,000.0          |
| ღონისძიება 3 | 24         | 300 | 9  | 64,800.0           |
| ღონისძიება 4 | 23         | 300 | 10 | 69,000.0           |
| ღონისძიება 5 | 40         | 300 | 10 | 120,000.0          |
| <b>ჯამი</b>  | <b>297</b> |     |    | <b>1,126,800.0</b> |